

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

GORI TEACHING UNIVERSITY



სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№2



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2011

UDC (უკ) 378 (479.22)(066)

გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2011 წლის 17 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on June 17, 2011 at LEPL Gori Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by LEPL Gori Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
გიორგი ხორბალაძე
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ქეთევან ბარბაკაძე
ციური ბაქრაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
მზია ზანგალაძე
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მარიამ კობერიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისტვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ჯემალ ქირია
შოთა ქურდაძე
პაატა ქურდაძე
მარიკა შერაზადიშვილი
გედევან ხელაია
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Giorgi Khorbaladze
Alexander Mgebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ketevan Barbakadze
Tsiuri Bakradze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Mzia Zangaladze
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Mariam Koberidze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Jemal Kiria
Shota Kurdadze
Paata Kurdadze
Marika Sherazadishvili
Gedevan Khelaia
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შინაარსი

განათლება

- ბაქრაძე ციური - აღზრდის თეორიის პრობლემები მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში – 7
გიგაშვილი ეკატერინე, ზანგალაძე მზია - მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა განათლების მიზნებიდან მოსწავლის მიღწევებამდე – 10
გოგიაშვილი მზია - სკოლისათვის ბავშვის მომზადება – 15
რამიშვილი მზია - ბუნების სწავლების მეთოდები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში – 19

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- აზმაიფარაშვილი მაია - გარემოს გაჭუჭყიანების თანამედროვე პრობლემები – 22
მაკასარაშვილი თამარ - ინფორმატიზაციის პროცესის მეორე მხარე – 26
მალაქელიძე რობერტ, დეკანოიძე თენგიზ - საქართველოს ნიადაგების რუკა ლანდშაპტურ საფუძველზე – 30
ტიელიძე ზურაბ - ენერგოუსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი ბიომასის ენერჯის გამოყენების მაგალითზე – 33

ბიზნესი და მართვა

- ბებნაძე ხათუნა - ელექტრონული ბაზრის განვითარების პერსპექტივები და პრობლემები საქართველოში – 37
ზიბილაშვილი ლია - კონფლიქტების მენეჯმენტი. ძალაუფლება და გავლენა – 41
ზიბინაშვილი დავით - პოტენციური ინვესტორების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის – 43
გიგუაშვილი გიული, ორჯონიკიძე ნინო - კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა ქართულ ბიზნესში – 46
ვარდიშვილი ლალი - გზა ქსელური მარკეტინგისკენ – 51
ლიპარტელიანი ნინო, ახალაია ნანა - ლონდონის და პარიზის საკრედიტო კლუბები – 54
მექვაბიძე რუიზან - ეკონომიკური განათლების კვადაკვალ: კვლევის მეთოდების სწავლება ეკონომიკური პროფილის სპეციალისტის მოსამზადებელ სასწავლო პროგრამებში – 57
მშვიდლობაძე თინათინ - კორპორაციული ინფორმაციული სისტემები და ბიზნეს გადაწყვეტილებები საწარმოს მართვაში – 64
რამიშვილი მზია - საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგიური ასპექტები – 67
შაქარაშვილი გელა - ბირთვული ენერჯის გამოყენების ტენდენციები და ეკონომიკური ასპექტები – 71
ხორგუაშვილი თეა, ჩიტაძე ხალიანა - ლიკვიდობის ზუსტი შეფასების კრიტერიუმები კომერციულ ბანკებში – 76

ლინგვისტიკა

- კობახიძე გიორგი - „ახალგაზრდა სიტყვების ვნებანი“ – 81
კობერიძე მარიამ - ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში – 85
ოთინაშვილი ნიკოლოზ - ქართული ანთროპონიმული მოდელის ერთი ტიპისათვის – 89
ოქროპირიძე ნინო - ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ლექსიკურ-სემანტიკური ველი ქართულსა და გერმანულ ენებში – 92
ხოჯევანიშვილი ელენე - მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ და მისი ქართული თარგმანი – 96

ლიტერატურა

- გოგოლაძე თამარ - კავკასიის კულტურული სამყარო და ნიჟამი განჯევის სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელი – 101
- ოქროპირიძე ზურაბ - ზოგი რამ დარიანული ლექსების ავტორის შესახებ – 106
- სიდამონიძე თამარ - დადებითი გმირის პრობლემატიკა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე (1957-1963 წწ.) – 111
- ცერცვაძე მარინა - კონსტანტინე გამსახურდიას რომანების „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“ სწავლების ზოგიერთი პერიპეტია – 115
- ხინჩაგაშვილი ნათელა, ხირსელი ელენე - სტუდენტთა სადისკუსიო კულტურის ფორმირების თავისებურებანი რუსული ლიტერატურის ისტორიის სწავლებისას – 119
- ხორბალაძე გიორგი - რელიგიური თემატიკის ზოგიერთი ასპექტი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში – 123
- ჭამპურიძე ნელი - საბავშვო ლიტერატურის არსი და სპეციფიკური ნიშნები – 128

CONTENTS

Education

- Bakradze Tsiuri** - *THE PROBLEMS OF THEORY OF EDUCATION AT THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY IN GEORGIA* – 7
Gigashvili Ekaterine, Zangaladze Mzia - *MULTICOMPONENTAL SYSTEM OF EVALUATION FROM EDUCATIONAL AIMS TO STUDENTS RESULTS* – 10
Gogiashvili Mzia - *PREPARATION OF A CHILD FOR SCHOOL* – 15
Ramishvili Mzia - *THE METHODS OF NATURE TEACHING IN VAZHA-PHAVELA'S WORKS* – 19

Exact and Natural Sciences

- Azmaiparashvili Maia** - *CONTEMPORARY PROBLEMS OF ENVIRONMENT POLLUTION* – 22
Makasarashvili Tamar - *THE SECOND SIDE OF PROCESS THE INFORMATIZATION* – 26
Maghlakelidze Robert, Dekanoidze Tengiz - *SOIL MAP OF GEORGIA ON THE BASE OF LANDSCAPE* – 30
Tielidze Zurab - *SOME ISSUES OF ENERGETIC SECURITY ON THE EXAMPLE OF LABOUR ENERGY USAGE* – 33

Business and Management

- Bebnadze Khatuna** - *PROBLEMS AND PERSPECTIVES OF ELECTRONIC MARKETING DEVELOPMENT IN GEORGIA* – 37
Bibilashvili Lia - *CONFLICT MANAGEMENT, POWER AND INFLUENCE* – 41
Bidzinashvili David - *THE IMPORTANCE OF POTENTIAL INVESTORS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE COUNTRY ECONOMY* – 43
Giguashvili Giuli, Orjonikidze Nino - *CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN THE GEORGIAN BUSINESS* – 46
Vardishvili Lali - *ROAD TO A NETWORK MARKETING* – 51
Liparteliani Nino, Akhalaia Nana - *LONDON AND PARIZ CREDIT CLAB* – 54
Mekvabidze Ruizan - *FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS IN GEORGIA: RESEARCH METHODS TEACHING IN THE PROGRAMS FOR PREPARING OF ECONOMIC PROFILE SPECIALISTS* – 57
Mshvidobadze Tinatin - *CORPORATION INFORMATION SYSTEMS AND BUSINESS-DECISION IN ENTERPRISE RESOURCE PLANNING* – 64
Ramishvili Mzia - *THE PSYCHOLOGICAL ASPECTS OF BUSINESS COMMUNICATION* – 67
Shakarashvili Gela - *TRENDS OF CONSUMPTION NUCLEAR ENERGY AND IT'S ECONOMIC ASPECTS* – 71
Khorguashvili Tea, Chitadze Khaliana - *THE EXACT EVALUATION CRITERIA OF LIQUIDITY IN COMMERCIAL BANKS* – 76

Linguistics

- Kobakhidze Giorgi** - *THE SORROWS OF YOUNG WORDS* – 81
Koberidze Mariam - *SEMANTIC-LEXICAL GROUPS IN "GEORGIAN DICTIONARY" BY SULKHAN-SABA ORBELIANI* – 85
Otinashvili Nikoloz - *ONE TYPE OF GEORGIAN ANTROPONIMIC MODEL* – 89
Okropiridze Nino - *LEXICO-SEMANTIC FIELD OF COLOUR IN THE GEORGIAN AND GERMAN LANGUAGES* – 92
Khojvanishvili Elene - *"THE MASTER AND MARGARITA" BY MIKHAIL BULGAKOV AND ITS GEORGIAN TRANSLATION* – 96

L i t e r a t u r e

Gogoladze Tamar - *THE CULTURAL WORLD OF THE CAUCASUS AND NIZAMI GANJEVI'S MORAL-ESTHETIC ASPECTS OF LOVE – 101*

Okropiridze Zurab – *SOME THINGS ABOUT THE AUTHOR OF DARIANULI POETRIES – 106*

Sidamonidze Tamar - *THE PROBLEMS OF POSITIVE CHARACTER IN THE JOURNAL “TSISKARI” (1957-1963) – 111*

Tsertsvadze Marina - *SOME TEACHING ASPECTS OF THE NOVELS “STEALING THE MOON” AND “DIONYSUS’ SMILE” BY KONSTANTINE GAMSAKHURDIA – 115*

Khinchagashvili Natela, Khirseli Elene - *FORMATION PECULIARITIES OF STUDENTS DISCUSSION CULTURE IN TEACHING THE HISTORY OF RUSSIAN LITERATURE – 119*

Khorbaladze Giorgi – *SOME ASPECTS OF RELIGIOUS THEME IN GODERDZI CHOKHELI'S CREATION – 123*

Champuridze Nelly – *ESSENCE OF CHILDREN'S LITERATURE AND SPECIFIC SIGNS – 128*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა E d u c a t i o n

აღზრდის თეორიის პრობლემები მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში

ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

ქართველი სამოციანელები – ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები მე-20 საუკუნის დასაწყისშიც განაგრძობდნენ ნაყოფიერ საგანმანათლებლო-ლიტერატურულ მოღვაწეობას და ავითარებდნენ პედაგოგიკის თეორიას.

1900 წლიდან 1912 წლამდე გამოქვეყნებული წერილებიდან აღზრდის თეორიისადმი მიძღვნილია: „ქართული მიმართულება“. (გაზ. „ივერია“, 1901, №16–17) . „მეტი გულკეთილობის ნაყოფი“ (გაზ. „ივერია“, 1902, №69). „დაურღვეველი კავშირი ქართული ტერიტორიისა და ქართველ ერს შორის“ (გაზ. „ივერია“, 1902, №95). „დიდი ვარამის შესახებ“ (გაზ. „ივერია“, 1905 №69). ივ. როსტომაშვილის შეხედულებით, მთავარია მოზარდი თაობის აღზრდა მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით, ზნეობრივად ამაღლებული გრძნობებით, ის წერს: „ჩვენ უნდა ავღზარდოთ ამგვარი ზნეობით ახალგაზრდანი, რომელნიც ემსახურებიან ჭეშმარიტებას, თუმცა ამ სამსახურისთვის მათ მოუხდეთ ათასის ჭირის ატანა, თუნდაც თვით სიცოცხლის შეწირვაც“ [2, გვ. 2]. იგი წუხდა იმის გამო, რომ მისი თანამედროვე სკოლა მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდას არ აქცევდა საჭირო ყურადღებას. სკოლაში ეს საქმე არ იყო დაყენებული სათანადო დონეზე. მისი აზრით, ბავშვის ზნეობრივი აღზრდა სულ მცირე ასაკში უნდა დაიწყოს და მთელი სწავლის პერიოდში უნდა გაგრძელდეს. წესიერი და ზნეობრივი ცხოვრება უპირველესი ხელოვნებაა. მისი შესწავლა ადამიანს შეუძლია მხოლოდ ხანგრძლივი ვარჯიშით.

ზნეობრივი აღზრდა მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებასთან ერთად აღიარებული იყო აღზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზნად. მიხ. ზანდუკელის აზრით, სკოლის მიზანია ბავშვის პიროვნების ჰარმონიული განვითარება, რომელიც გულისხმობს გონების, ნებისყოფის და ესთეტიკური გრძნობის ფორმირებას. ჰარმონიული აღზრდის იდეები და მისი განხორციელების გზები იკვლია დ. უზნაძემ. მისი აზრით, მოზარდის ჰარმონიულ განვითარებაში მთავარია ნიჭის, უნარების, ცოდნის დაუფლების ერთმანეთთან შერწყმა. იგი წერდა: „აღზრდას არასოდეს არ ჰქონდა დასახული მიზნად ცალმხრივობა.... იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისაკენ“. სადაც ნაგულისხმევი აქვს პიროვნების გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი და ფიზიკური ძალების სრულყოფა. ზნეობრივი თვისებებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდას.

ცალკე უნდა გამოიყოს ზნეობრივი აღზრდის პრობლემების გაშუქება ქართულ პედაგოგიურ პრესაში. ასეთი ორგანოები იყო ჟურნალები: „ნობათის პედაგოგიური დამატება“ (1883–1885 წწ.), „ნაკადულის პედაგოგიური ფურცელი“ (1904–1906 წწ), „განათლება“ (1908–1920 წწ), „მოწაფე“ (1908–1909), „სკოლა და ცხოვრება“ (1910–1916 წწ), „სკოლა და ოჯახი“ (1916 წ.) და სხვა.

ქართველი განმანათლებლები აკრიტიკებდნენ მათ თანამედროვე სკოლას, რომელიც სულიერად ამახინჯებდა მოზარდ თაობას, არ ზრუნავდა მისი ზნეობრივი სრულყოფისათვის. სტატიაში „პანსიონი და სტიპენდია“, რომლის ავტორი „შავშაკის“ ფსევდონიმით აწერს ხელს, ნათქვამია: „პანსიონი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც ადამიანის გამათახსირებელია, მისი გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი მხარეების დამამახინჯებელი. პანსიონი აცლის მოწაფეს ხალისს, კლავს მასში პიროვნების პატივისცემას, სწყვეტს მოწაფეს საზოგადოებას, უნერგავს მას უხეშ „სკაზიონურ-ყაზარმულ“ თვისებებს... ჯაშუშობა, მბეჭდლობა, დაცინვა, ლანძღვა-გინება, სხვისი დამცირება, უხეში და შეუფერებელი სიტყვა-პასუხები ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული“. [8, 258]. თვით ზნეობრივი აღზრდის ცნება და შინაარსი მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პედაგოგიურ პრესაში სწორად იყო გაგებული. ერთ-ერთი ავტორი წერს: „თუ პიროვნება პირად ინტერესებს უმორჩილებს საზოგადო ინტერესს, ის ზნეობრივი პიროვნებაა, თუ ის პირიქით იქცევა, უზნეოა. ზნეობრივი აღზრდა იქითკენაა მიმართული, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქმედება მოთხოვნილებად გადაექცეს. რამდენადაც მეტია ადამიანში განვითარებული ეს მოთხოვნილება, იმდენად ის უფრო მაღლა დგას ზნეობრივად“ [1, 258].

ქართულ პედაგოგიურ პრესაში სათანადოდ არის გაშუქებული ზნეობრივი აღზრდის ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები და განსაზღვრულია თითოეული მათგანის შინაარსი და დანიშნულება. ასევე სრულადაა განსაზღვრული ზნეობრივი აღზრდის მეთოდები. მეთოდი განსაზღვრულია, როგორც საშუალება, გზა, ხერხი, მათი ერთობლიობა, დასაბუთებულია მეთოდთა სიმრავლის საჭიროება, რადგან არ არსებობს ერთი ისეთი უნიკალური მეთოდი, რომელიც ყველა შემთხვევაში უცვლელად გამოდგებოდა. აღიარებულია ზნეობრივი აღზრდის 5 მეთოდი: აღზრდის სიტყვიერი და წიგნური მეთოდი, მაგალითისა და ავტორიტეტის მეთოდი, ვარჯიშის მეთოდი, წახალისებისა და დასჯის მეთოდები, რაც ძირითადად ემთხვევა დღევანდელი აღზრდის თეორიის მონაცემებსაც. მორალური აღზრდის მეთოდების სწორად გამოყენების აუცილებელ პირობად მიჩნეულია ბავშვისა და მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა და გათვალისწინება.

ქართულ პედაგოგიურ პრესაში ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ჭეშმარიტ სიყვარულზე აგებული ოჯახი, მშობლებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, ჯანსაღი ყოფა და ურთიერთობაა აუცილებელი. ზნეობრივ თვისებათა შორის უმთავრესად მიჩნეულია სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარული, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ზნეობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს. ივ. როსტომაშვილი მიუთითებს: „სამშობლო თუ არ დაიკავი მტრისაგან, სულ ყველაფერს წაგვართმევენ, დაგვინგრევენ და ჩვენს ცოლ-შვილსაც სულ ამოხოცავენ, რომ თვითონ დაინარჩუნონ ჩვენი სახლ-კარი და ტურფა საქართველო... არა ჩვენ ქართველები ვართ, ქართველებს ძალიან უყვართ თავიანთი ლამაზი სამშობლო და უბრძოლველად არავის დაუთმობენ, სიკვდილს არჩევენ და თავიანთ მარჩენალ და მაცხოვრებელ მიწა-წყალს სხვას არ მისცემენ“ [5. 52].

გიორგი ახვლედიანი წერდა: „ქართველი კაცი ისტორიულად ქვეყნის ერთგულებით და სიყვარულით გამოირჩეოდა და ასევე სულისკვეთებით ზრდიდა ის თავის შვილებს და შთამომავლობას. ქართველის ბედნიერება ის არის, რომ სამშობლოს, ერის ოთხივე ნიშნეულება აქვს უკლებლივ და განუწყვეტლივ. ესაა ენა, ტერიტორია, ეკონომიკა და კულტურა“ . [6.32]. პროფესორი ი. ყიფშიძე პატრიოტულ აღზრდაში განსაკუთრებულ როლს აკუთვნებს მშობლიური ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას და მისი ინტერესების დაცვას, ასევე საქართველოში მცხოვრებ სხვა ტომთა ურთიერთკავშირის განმტკიცებას. ივ. ჯავახიშვილი თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი იყო და სახელოვანი მამულიშვილი. ის თავის ნაშრომებში ხშირად ეხებოდა ამ თემას. მოჰყავდა დიდი პატრიოტების მაგალითები და მოუწოდებდა ახალგაზრდობას მიებაძათ მათთვის. ივ. ჯავახიშვილი უმაღლესი სკოლის ყოველ კურსდამთავრებულს მოუწოდებდა: „თავისი დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს თავისი სამშობლოს აღორძინებისათვის“ . [1.58].

ექვთიმე თაყაიშვილს გულს უკლავდა ქართველი ხალხის დაქსაქსულობა, ერთმანეთისაგან გათიშვა, სხვადასხვა პარტიებად დაყოფა. ის წერდა: „ყველა ქართველი რომ ერთსულოვანი ვიყოთ, მაშინაც ძნელია დიდი შედეგების მიღწევა, თორემ, ასეთ დაქსაქსულობაში, რაღა სახეიროს უნდა მოველოდეთ... ჩვენი სამშობლო ცეცხლში იწვის, მაგრამ გადაიტანს, მტკიცედ მწამს, როგორც არაერთხელ გადაუტანია განსაცდელი. კიდევ წარმოშობს, როგორც მრავალჯერ წარმოუშვია შესაფერ გმირებს, ღირსეულ შვილებს... გულს ნუ გაიტეხთ, არ არის უბედურება, რომელმაც არ გადაიაროს [4. გ267]

გამოითქვა შეხედულებები ჰუმანიზმის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის შესახებ. ივ. როსტომაშვილი წერდა: „სკოლამ და ოჯახმა უნდა აღზარდონ ახალგაზრდები, რომლებსაც ექნებათ სიყვარული სხვათადმი, თავდადება სხვების სიკეთისათვის, პატივისცემა, მოკრძალება, მოწიწება, მოწყალება და სხვა. ერთი სიტყვით თანაგრძნობა სხვებისადმი, მათის ავისა და კარგისადმი“ [5.62].

ვითარდებოდა აგრეთვე შრომითი აღზრდის თეორია, გამოთქვა მნიშვნელოვანი მოსაზრებები ამ პრობლემის შესახებ. გაკრიტიკებულ იქნენ მეფის რუსეთის სკოლები, რომლებიც არ აჩვენებდნენ ახალგაზრდობას შრომას, არ ზრდიდნენ მათ შრომისადმი ჯანსაღი დამოკიდებულებით, არ უყალიბებდნენ შრომის ჩვევებს. გამოჩენილი ქართველი პედაგოგები მოითხოვდნენ სკოლაში სწავლებისა და შრომის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებას. დ. უზნაძის მიხედვით, შრომითი აქტივობა ორგანულად არის დაკავშირებული პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასთან. მცირე ასაკიდან უნდა მივაჩვიოთ ბავშვი მარტივ შრომით საქმიანობას და ყველა საქმის სერიოზულად კეთებას.

განვითარებას განიცდიდა ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის თეორიები. აქ ისევ ივანე როსტომაშვილის მოსაზრებით უნდა დავიწყოთ ამ პრობლემების გაშუქება. მისი აზრით, „დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა აღზრდაში ესთეტიკური გრძნობის, ე.ი. მშვენიერებისადმი სიყვარულისა და მისწრაფების გახსნას ბავშვებში, რადგანაც იგი ძლიერ აფაქიზებს ადამიანის გულს და იცავს მას ყოველი ცუდისაგან“ [5.57]. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდაში მშობლიური ქვეყნის ბუნებას, მის მრავალფეროვნებას, სილამაზეს. 1910 წელს გაზეთ „დროებაში“

დაიბეჭდა ი. კარგარეთელის ვრცელი წერილი „სკოლა და სიმღერა“, რომელშიც გაშუქებულია მუსიკის მნიშვნელობა ბავშვებსა და მოზარდებზე. ქართველი ხალხი მისი აზრით, გაჭირვების ჟამსაც კი არ ივიწყებდა მშობლიურ ჰანგებს და ზურგს არ აქცევდა სიმღერას, ცეკვას, გალობას. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული სიმღერა-გალობის აღმზრდელი მნიშვნელობას. იოსებ ყიფშიძე აღსაზრდელის ჰარმონიული აღზრდით მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების, მშვენიერების, გრძნობის განვითარებასაც ითვალისწინებს. ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის უმთავრეს წყაროდ დ. უზნაძეს მიაჩნია საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებთა, ხატვისა და მუსიკა-გალობის შესწავლა, ცოცხალი ბუნების მშვენიერებათა სამყაროში ბავშვების შეყვანა, ბუნებასთან დაახლოება, ხელოვნების ქმნილებათა ნახვა, რაც ეფექტურად ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა ესთეტიკური გრძნობის გაფაქიზებასა და გამდიდრებაში, სილამაზის წვდომის უნარის გამახვილებასა და მოზარდთა ყოველმხრივ აღზრდაში. მ. ზანდუკელის მიხედვით, ესთეტიკური აღზრდის მიზანია შეძლებისდაგვარად შექმნას ადამიანი ბედნიერი. მისი აზრით, ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის მთავარი პირობაა ის, რომ ყველაფერს ლამაზი ფორმა ჰქონდეს, ამის გარეშე ვერც ბავშვი და ვერც მოზარდი ვერ მიიღებს იმ სიტყვოს განცდას ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოებისა, რომელიც უამისოდ რაც არ უნდა ღრმა და სიმპატიური იყოს თავისი შინაარსით. ავტორი მოიხთოვდა შრომის სკოლაში ახალ იდეალებს, რაც განასხვავებდა ძველი სკოლისაგან. აღზრდის დროს ბავშვს უნდა ჰქონოდა საშუალება, თავისი სულიერი და ფიზიკური ძალები მაქსიმალურად გამოეხატა. მ. ზანდუკელი სწავლობდა ქართული ფილოსოფიისა და ესთეტიკის საკითხებს. წარსული საუკუნის მრავალი მოღვაწის ესთეტიკური შეხედულებები იპყრობდა მკვლევრის ყურადღებას. განსაკუთრებით დიდი ილიას ესთეტიკით იყო გატაცებული.

ფიზიკური აღზრდის საკითხებს ესთეტიკურ აღზრდასთან შედარებით უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ცალკეული შეხედულებები მაინც გამოითქვა. ქართველი პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის ბუნებრივ პირობებს და განსაკუთრებით სუფთა ჰაერს. ზოგიერთ საშუალო სკოლებში ისწავლებოდა გიმნასტიკა, რომელსაც მამასახლისის გარდა სხვა პროფესიონალი მასწავლებელი არ ჰყავდა. ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები ფიზიკური აღზრდის აუცილებლობაზე. ქართველ პედაგოგებს მოჰყავდათ მაგალითები გამოჩენილი მეომრების, სარდლების ცხოვრებიდან, რომლებიც დიდი ჯანმრთელობით ხასიათდებოდნენ და ცდილობდნენ ქართველ ახალგაზრდებს მიეზამათ მათთვის. დ. უზნაძე ერთმანეთს უკავშირებდა ფიზიკურ აღზრდას და ნებისყოფას. ამ უკანასკნელის გარეშე შეუძლებელია ფიზიკური ვარჯიში და სხეულის გამოწრთობა. რევოლუციამდელი სკოლა თითქმის უყურადღებოდ ტოვებდა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ივ. ნანეთიშვილის აზრით: „სკოლის დღევანდელი ვითარება აუძლებს მოზარდის, ყმაწვილის სულსა და ხორცს, რადგანაც, სისტემა სწავლებისა არ შეჰფერის ყმაწვილის გონების ძალასა და აგებულებას“ [3.77].

ამდენად, მე-20 საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად განვითარდა აღზრდის თეორია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პიროვნების ჰარმონიული განვითარების პრობლემას (ი. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ივ. როსტომაშვილი, დ. უზნაძე და სხვა), ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს (იგივე ავტორები. ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვა), ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს (მ. ზანდუკელი, მ. აბრამიშვილი, ა. გოგუაძე), შრომითი აღზრდის პრობლემებს (ივ. როსტომაშვილი, ლ. ბოცვაძე, გ. ახვლედიანი და სხვა), ფიზიკური აღზრდის პრობლემებს (ი. როსტომაშვილი, დ. უზნაძე და სხვა.)

ლიტერატურა:

1. ანთელაძე ა, ჟურნალი „განათლება“, 1914, №4, გვ. 258;
2. გაზ. „დროება“, 1879, №8, გვ. 2;
3. გაზ. „ივერია“, 1889, №7, გვ. 17;
4. მეგრელიძე ი. – ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1988, გვ. 267;
5. როსტომაშვილი ივ., პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, თბ., 1920, გვ. 52;
6. ფრუიძე კ. – გიორგი ახვლედიანის პედაგოგიური შეხედულებები, 1990, გვ. 32;
7. უზნაძე დ. – აღზრდის მიზნები, გაზ. „დროება“, 1910, გვ. 5;
8. შავშავი – ჟურნალი „პირველი ნაბიჯი“, 1914, №4, გვ. 28.

რეზიუმე

ქართველი სამოციანელები – ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები მე–20 საუკუნის დასაწყისშიც განაგრძობდნენ ნაყოფიერ საგანმანათლებლო–ლიტერატურულ მოღვაწეობას და ავითარებდნენ პედაგოგიკის თეორიას. ამ საკითხებთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო სტატია იბეჭდებოდა გაზეთებში: „ალიონი“, „ახალი დროება“, „ივერია“, „კვალი“, ასევე ჟურნალებში: „მოამბე“, „მოგზაური“, „მწყემსი“ და სხვა.

მე–20 საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად განვითარდა აღზრდის თეორია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პიროვნების ჰარმონიული განვითარების პრობლემას (ი. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ივ. როსტომაშვილი, დ. უზნაძე და სხვა), ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს (იგივე ავტორები. ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვა), ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს (მ. ზანდუკელი, მ. აბრამიშვილი, ა. გოგუაძე), შრომითი აღზრდის პრობლემებს (ივ. როსტომაშვილი, ლ. ბოცვაძე, გ. ახვლედიანი და სხვა), ფიზიკური აღზრდის პრობლემებს (ი. როსტომაშვილი, დ. უზნაძე და სხვა).

THE PROBLEMS OF THEORY OF EDUCATION AT THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY IN GEORGIA

Tsiuri Bakradze, Associate Professor

RESUME

Georgian 60s such as Ilia chvachavadze, Iakob Gogebashvili, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze and others, they even continued educational-literary activity and were advancing pedagogical theory. There were written many interesting articles about these items in newspapers: “Alioni”, “Akhali droeba”, “Iveria”, “Kvali”, “Moambe”, “Mogzauri”, “Mtskemi” etc.

At the beginning of 20th century the idea of moral education was well understood in Georgian pedagogical press. One of the authors writes: “If a person obeys personal interests to social interests he/she is moral person, but otherwise he/she is immoral. Moral education consists that for each member of society must be important their useful activities. If person do much more useful activities he/she is considered highly moral one.

Using right methods of moral education is considered the main item to study individual characters of child or teenager

At the beginning of 20th century mainly developed the theory of education, special attention was focused on problems of harmonious development (I. Gogebashvili, L. Botsvadze, Iv. Rostomashvili, D. Uznadze and etc).

The problems of moral education (the same others: Iv. Javakhishvili, E. Takaishvili and etc), the problems of esthetic education (M. Zandukeli, M. Abramishvili, A. Gogvadze), The problems of labor education (Iv. Rostomashvili, L. Botsvadze, G. Akhvlediani and etc), the problems of physical education (Iv. Rostomashvili, D. Uznadze and etc).

მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა განათლების მიზნებიდან მოსწავლის მიღწევამდე

*კატერინე გიგაშვილი, ასოცირებული პროფესორი
მზია ზანგალაძე, სრული პროფესორი*

შეფასება არის რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის ან ვინმეს შესაბამისობის / მიმართების დადგენა წინასწარ განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან (კრიტერიუმებთან). საგანმანათლებლო სისტემაში და კერძოდ, სკოლაში შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ასწავლის მასწავლებელი და რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები. შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი მიზნები:

1. მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა;
2. მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
3. სწავლების კონკრეტული მეთოდის ეფექტიანობის შემოწმება;

4. სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა;
5. სასწავლო პროცესში სწავლების ეფექტიანობის შეფასება და სრულყოფა;
6. მშობლების ჩართვა მოსწავლის სწავლების პროცესში და მათთან კომუნიკაციის გამყარება.

შეფასებას აქვს ორი განსხვავებული ფუნქცია-სწავლის პროცესის შეფასება (მიმდინარე შეფასება) და საგანმანათლებლო პროდუქტის / შედეგების / მიღწევების შეფასება (შემაჯამებელი შეფასება); პირველი გულისხმობს ინფორმაციის დაგროვებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო მეორე - შედეგების აღნუსხვას.

მოსწავლეთა შეფასება ხდება კომპონენტების მიხედვით და თითოეული კომპონენტისთვის წინასწარ არის განსაზღვრული ხვედრითი წილი მთლიანი შეფასებაში და კომპონენტებში მიღებული შეფასებები განსაზღვრავს მოსწავლის სემესტრულ შეფასებას.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მკაფიოდ განსაზღვრამ და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მათ შორის უპირველესი არის ის, რომ „საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.“ ორიენტაცია თითოეულ მოსწავლესა და მისაღწევ შედეგზე თვისობრივად ცვლის შეფასების სისტემასაც. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი, რომლებიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული.

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. **განმსაზღვრელი შეფასება** აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. **განმავითარებელი შეფასება** აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა ასეთია:

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

მიმდინარე შეფასება ხდება ყოველ გაკვეთილზე, ყოველდღე, ყოველი აქტივობის დროს. არ არის სავალდებულო ყოველთვის ქულებით შეფასება. მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას. კერძოდ, რა სახის საქმიანობა იზიდავს და რა არა, როგორია მისი სწავლის სტილი (სწავლობს მოსმენით, კითხვით, წერით, კეთებით. აქვს მთლიანობითი აღქმა თუ საგნებსა და მოვლენებს დანაწევრებულად აღიქვამს, თეორეტიკოსია თუ პრაგმატიკია და ა.შ.), რა უძნელდება, რა უადვილდება, შეუძლია თუ არა კონცენტრაცია, აქვს თუ არა წინსვლა, თუ არა, რა არის წარუმატებლობის მიზეზი ან რა განაპირობებს მის წარმატებას; აქვს თუ არა განვითარებული შემოქმედებითი, სააზროვნო და სოციალური უნარები, როგორია მისი ინტერესების სფერო, ინდივიდუალური თავისებურებები, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მიმდინარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქულების დაწერა (ნიშნით შეფასება), რამდენადაც რჩევები, რა და როგორ გააუმჯობესოს. ფორმატული შეფასება მოსწავლის შესახებ ამომწურავ, მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა და ობიექტურობის გარანტია. ამასთან, მიმდინარე შეფასება მასწავლებელს აძლევს საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსიის შესაძლებლობას. იმაზე დაყრდნობით, რამდენად მიაღწია მასწავლებელმა საგაკვეთილო მიზანს, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოავლინეს მოსწავლეებმა, რა დაძლიეს და რა ვერა, მას შეუძლია შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა, შერჩეული მასალის სირთულე, კლასის მართვის, ორგანიზების უნარი და სხვ.

შემაჯამებელი შეფასება ადგენს მოსწავლის წარმატებას სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ ეტაპზე: თემის დასრულებისას, სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის ბოლოს. ასეთი შეფასებისას მოწმდება ის, თუ რამდენად მიაღწია მოსწავლემ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს / შედეგებს. სწორედ შემაჯამებელი შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ვაკეთებთ დასკვნას, რამდენად შესრულდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის მისაღწევი შედეგები მოიცავს: ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას. ბუნებრივია, გაკვეთილების სასწავლო მიზანი, რომელიც სტანდარტის ენაზე უნდა ჩამოყალიბდეს, უნდა მოიცავდეს მათ. მაგ.

საგანი	თემა	სასწავლო მიზანი სტანდარტის მიხედვით
მათემატიკა	პროცენტის კავშირი რიცხვის ნაწილებთან	მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

საინტერესოა შევეხოთ, რა კავშირი არსებობს სასწავლო მიზანსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის?

გაკვეთილის სასწავლო მიზანი გაკვეთილის ბოლოს მისაღწევ შედეგად გადაიქცევა. როგორ გავზომოთ მიღწეულია თუ არა შედეგი? სწორედ ამისათვის არის საჭირო კრიტერიუმი. რის მიხედვით ყალიბდება კრიტერიუმები? გაკვეთილის სასწავლო მიზნის შესაბამისად! როგორ? გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს:

გაკვეთილის სასწავლო მიზანი	შეფასების კრიტერიუმები
მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან. 2. მოსწავლე პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს. 3. მოსწავლე ხსნის შებრუნებულ ამოცანას

როგორც ხედავთ, სასწავლო მიზანში რამდენი ოპერაციაც არის მოცემული, იმდენი შეფასების კრიტერიუმიც საჭირო შედეგების გასაზომად. ეს საშუალებას აძლევს პედაგოგს (შემფასებელს) თითოეული ოპერაცია შეუფასოს მოსწავლეს; ანუ დაუკონკრეტოს, რა გააკეთა კარგად და რა ვერ გააკეთა. შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით მასწავლებელი ადგენს შეფასების რუბრიკას და თითოეულ კრიტერიუმს შლის დონეების მიხედვით.

არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი, განსხვავდებიან:

- ანალიტიკურ,
- ჰოლისტურ,
- ზოგად,
- კონკრეტულ შეფასების სქემებს.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლის ცოდნა შეაფასოს ორი ან მეტი კრიტერიუმის მიხედვით, იგი იყენებს ან ქმნის ანალიტიკური შეფასების სქემას. ზემოთ მოცემული შეფასების სქემა ანალიტიკურია, რადგანაც ის 3 კრიტერიუმს შეიცავს.

არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან, უბრალოდ, ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ქმნის ან იყენებს ჰოლისტური შეფასების სქემას. ჰოლისტური შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და ყველა მახასიათებელი, რის მიხედვითაც მასწავლებელს სურს, რომ, მაგალითად, ნაწერი შეაფასოს. მოსწავლის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლების მიმართ. გათვალისწინეთ თხზულების ჰოლისტური შეფასების სქემის ნიმუშს:

ჰოლისტური შეფასების სქემა

დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად. აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია. შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა.	3
დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. აზრი თანმიმდევრულად მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია. შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.	2
დავალების მოთხოვნას პასუხობს მცირედ. აზრის გაგება ჭირს. გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები არის წინადადებების უმეტესობაში.	1
ნაწერი დავალებას არ პასუხობს, ან აზრის გაგება შეუძლებელია, ან ფურცელი ცარიელია.	0

მაგალითად, სტანდარტის შესაბამისად თუ მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში პრეზენტაციის ან ინფორმაციის მოძიების უნარის განვითარება, მასწავლებელი ქმნის შეფასების სქემას, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერ.

შეფასების სქემების მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხოვნები მათ მიმართ ერთნაირია:

- რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული **/სანდო/;**
- შეფასების სქემა უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმას, რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად და სხვას არაფერს **/ვალიდური/;**
- მოსწავლეები წინასწარ უნდა იცნობდნენ (და/ან მონაწილეობდნენ სქემის შექმნაში) იმ შეფასების სქემას, რომლითაც მათი ცოდნა ფასდება **/გამჭვირვალე/.**

შეფასებისას დაცული უნდა იყოს ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა გამჭვირვალეობა.

შეფასება სანდოა, როდესაც რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ეს კი განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს და ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს;

შეფასება ვალიდურია, თუ შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. ხდება შეფასების სიზუსტის (ვალიდურობის) უზრუნველყოფა;

შეფასება ობიექტურია, თუ შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. საჭიროა, რომ მასწავლებელმა სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით ჩამოაყალიბოს ან მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაოს კრიტერიუმები, ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს

შეფასების ობიექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას;

შეფასება გამჭვირვალეა, როდესაც შეფასების კრიტერიუმები ცნობილია ყველასთვის, შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის, მოსწავლე თავად იღებს მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების და სქემების შედგენაში.

მოსწავლეთა შეფასება ვრცელი და საკმაოდ დელიკატური თემაა. შეფასების პრინციპების დაცვა შეფასების პროცესს უმტკივნეულოს ხდის; მნიშვნელოვანია მოსწავლეს საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა ჩამოუყალიბდეს;

მასწავლებელი მოსწავლის ცოდნის და მისი უნარ-ჩვევის შესაფასებლად სხვადასხვა საშუალებას, მეთოდს იყენებს. ეს მეთოდებია: **ტესტირება, მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი, მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.**

- **ტესტი უნდა იყოს ვალიდური** და სანდო. ინსტრუქციები და საკითხები ისე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სწორედ იმ ცოდნას ზომავდეს, რის გაზომვასაც ეს კონკრეტული ტესტი ისახავს. შეფასების შედეგები კი ყველა შემთხვევაში იდენტურ შედეგს უნდა იძლეოდეს.
- **ტესტი უნდა იყოს გაზომვადი.** ტესტის შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით. წინასწარ უნდა იყოს ასევე დადგენილი ქულების რაოდენობა სწორი პასუხისთვის. შეფასების მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და ცალსახა. იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.
- **ტესტი განსაზღვრული დროის ლიმიტზე უნდა იყოს გათვლილი.** დროის ფაქტორის გათვალისწინება და იმის ცოდნა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტესტის შესრულება, არამედ ისიც, რომ გამოყოფილ დროში ჩაეტო, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დროის უფრო ეფექტიანად გამოყენებას აჩვენებს.
- **ტესტი უნდა იყოს გამჭვირვალე.** მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, თუ რა ფორმატისაა ტესტი, რას ამოწმებს, როგორია შეფასების მექანიზმი და რა დროა მისთვის გამოყოფილი.

მასწავლებლის დაკვირვება - მასწავლებელი მოსწავლეზე დაკვირვებას მუდმივად აწარმოებს და ინიშნავს. ამგვარად მასწავლებელი სისტემატურად აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის პროგრესის შესახებ. მასწავლებელს ბევრი მოსწავლე ჰყავს და ძნელია ყველა დეტალი დაიმახსოვროს, ჩანაწერები კი ეხმარება მას, კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ პრობლემას დროულად გამოეხმაუროს.

დაკვირვების ცხრილი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

სახელი	თარიღი	საკლასო დავალება	ჯგუფური მუშაობა	ორგანიზებულობა

დაკვირვების შედეგად ქულა არ იწერება. იგი მოსწავლის განმავითარებელი "არაფორმალური" შეფასების ნაწილია.

ასევე **მნიშვნელოვანია კომენტარი**, რომელსაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს. ეს არის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს მასწავლებელი მოსწავლის კონკრეტულ პასუხს.

ნებისმიერი შეფასება და შეფასების ყოველი კომპონენტი, რომელსაც გამოვიყენებთ სასწავლო პროცესში, უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის მიღწევებს და გამომდინარეობდეს განათლების მიზნებიდან. განსაკუთრებული ადგილი შეფასების სისტემის ღრმა და საფუძვლიანად შესწავლას უკავია არა მარტო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არამედ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვითაც. პროფესიული სტანდარტის თანახმად, მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა, აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის, იცის, როგორ გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის. ყველაფერი ეს პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის შრომით მიიღწევა, მაგრამ მომავალი მასწავლებლებისთვის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემის შესწავლა, გააზრება განათლების მიზნებიდან მოსწავლის მიღწევებამდე შესაძლებელია საუნივერსიტეტო განათლების მიღებით, კონკრეტულად კი მასწავლებელთა მოსამზადებელი აკადემიური პროგრამების საშუალებით.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. განმარტებითი ლექსიკონი, 2007;
2. სწავლება და შეფასება, მასწ. პროფ. განვითარების ცენტრი, თბ., 2008;
3. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ;
4. «Вопросы психологии», Москва, 2000.

რეზიუმე

- რას ვგულისხმობთ მრავალკომპონენტური შეფასების მიღმა;
- ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო მიზნების განსაზღვრა და მათი შეფასება;
- სასწავლო მიზნების შეფასების ფორმები, ფუნქცია, მახასიათებლები, შეფასების ობიექტის განსაზღვრა, შეფასების ტიპები და ინსტრუმენტები.

MULTICOMPONENTAL SYSTEM OF EVALUATION FROM EDUCATIONAL AIMS TO STUDENTS RESULTS

Ekaterine Gigashvili, Associate Professor

Mzia Zangaladze, Full Professor

RESUME

- What I mean in multicomponental system of evaluation.
- Determining and evaluating of educational aims according the National Curriculum .
- Forms , functions and references of the evaluation of educational aims ; Determining the object of the evaluation ; Types and instruments of the evaluation.

სკოლისათვის ბავშვის მომზადება

მზია გოგიაშვილი, აკადემიური დოქტორი

სასკოლო ცხოვრებისათვის ბავშვის მომზადება ხანგრძლივი, რთული პედაგოგიური პროცესია, რომლის მიზანია შეუქმნას მას სასწავლო საქმიანობაზე, როგორც ქცევის ახალ, წამყვან ფორმაზე წარმატებით გადასვლის წინამძღვრები. სკოლისათვის ბავშვის მომზადების არსს შეადგენს ამოსავალი დებულება, რომ ბავშვი არა მხოლოდ ემზადება ცხოვრებისათვის, არამედ უკვე ცხოვრობს და ეს ცხოვრება უნდა იყოს სასიხარულო, საინტერესო და ბედნიერი.

სკოლაში სასწავლებლად მომზადება ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საერთო განვითარების ზრდას: ჯანმრთელობისა და შემეცნებითი პროცესების განმტკიცებას, პიროვნების გარკვეული თვისებების აღზრდას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასკოლო საქმიანობის ელემენტების ჩამოყალიბებას. უკანასკნელი გულისხმობს ბავშვის მიერ სასწავლო ამოცანის მიღებას, გადაწყვეტის საშუალებების შეცნობას, უფროსის მითითების მიხედვით მუშაობას და სხვ.

სუსტად მომზადებული ბავშვის სკოლაში შესვლას მოყვება არასასიამოვნო შედეგი: მოსწავლე ჩამორჩება სწავლაში და მას უყალიბდება უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი, სკოლისადმი. ხშირ შემთხვევაში ბავშვებს აღენიშნებათ ძილისა და მადის დარღვევა, თავის ტკივილები და ა.შ. სკოლისათვის მოსამზადებლად მოთხოვნები იმდენად სერიოზულია, რომ ეს მომზადება უნდა ხდებოდეს სისტემატურად და არა სპონტანურად, ხანდახან. მხოლოდ აღზრდისა და სწავლების მიზანმიმართული ხანგრძლივი პროცესი განაპირობებს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას და სკოლისათვის მის ოპტიმალურ მზადყოფნას.

სკოლისათვის ბავშვის მომზადება გულისხმობს მის ზოგად და სპეციალურ მზაობას სწავლისათვის. ზოგადი მზაობა მიზნად ისახავს ბავშვის პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას (ფიზიკურს, ინტელექტუალურს, ზნეობრივს, ემოციურ-ნებელობითს). აქედან ერთი რომელიმე სფეროს ჩამორჩენაც შეიძლება გახდეს სკოლაში წარუმატებლობის მიზეზი. ზოგად მომზადებასთან ხორციელდება ბავშვის სპეციალური მომზადება, რომელიც განისაზღვრება იმ ცოდნით, წარმოდგენებითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია სასწავლო საგნების შესასწავლად (მშობლიური ენის, მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის და სხვ) (1.424)

ზოგადი და სპეციალური მომზადება არ ეწინააღმდეგება და არ გამორიცხავს ერთიმეორეს. ბავშვის სპეციალური მომზადება ეყრდნობა ზოგად მომზადებას და პირიქით, სპეციალური მომზადების შინაარსი ხელს უწყობს სწავლისათვის ზოგად მომზადებას. ამ პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აღსაზრდელის ჰარმონიული ჩამოყალიბება, რომელიც გამორიცხავს პიროვნების ცალმხრივ (უფრო ხშირად ინტელექტუალურ) და ფორსირებულ განვითარებას.

მხოლოდ ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს სკოლისათვის ბავშვის სრულყოფილ მომზადებას. ზოგად მზაობას (ფსიქიკურსა და ფიზიკურს) ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ფსიქიკური მზაობა ყალიბდება თანდათანობით და ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალური განვითარების გარკვეულ დონესა და აუცილებელი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. ამასთან დაკავშირებით, გამოყოფენ სკოლაში სწავლისათვის ინტელექტუალური და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას.

ინტელექტუალური მომზადებისას გათვალისწინებულია, რომ სკოლამდელ ასაკში ბავშვის შემეცნებითი მოთხოვნილებები არსებითად იცვლება. ამ პერიოდში საწყის მოთხოვნილებად იქცევა ახალი შთაბეჭდილებების მიღება. ასაკთან ერთად ეს მოთხოვნილება მტკიცდება და ხდება უფრო ფართო და შინაარსიანი, თუ მოზრდილები საამისოდ ქმნიან პირობებს: ესაუბრებიან, აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებზე, უყალიბებენ შემეცნებით უნარ-ჩვევებს (ასწავლიან შედარებას, ანალიზს, მარტივი დასკვნების გაკეთებას) და ამით უვითარებენ ცნობისმოყვარეობას, ინიციატივას და დამოუკიდებლობასაც.

სკოლაში სასწავლებლად ფსიქოლოგიური მზაობა ითვალისწინებს ძირითადი ფსიქიკური სფეროების ჩამოყალიბებას (მოტივაციური, ნებელობითი, გონებრივი), რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო მასალის წარმატებით დაუფლებას. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ცნობიერების გადაყვანა საქმიანობის ბოლო შედეგიდან მისი შესრულების ხერხებზე. ასეთი მიდგომა აუცილებელია ბავშვის ნებისმიერი ქცევის, სწავლების სწავლის საწყისი ფორმების ჩამოსაყალიბებლად, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური პროცესების მართვასა და აზროვნების განვითარებას, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას.

სკოლაში სწავლისათვის ბავშვის მოსამზადებლად დიდ აქტუალობას იძენს მისი პიროვნული ჩამოყალიბება, რომელიც ექვემდებარება სკოლამდელთა ფსიქიკური განვითარების ზოგად კანონზომიერებებს. მაგალითად, მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბოლოს ბავშვს უყალიბდება ნებისმიერი ქცევა, რაც გასათვალისწინებელია, ვინაიდან ამ მხრივ განვითარების დაჩქარებამ იგი შეიძლება დააზიანოს. მისი ფსიქიკური განვითარება სრულყოფილად და ბუნებრივად მიმდინარეობს, როცა ფართოვდება და მდიდრდება ამ განვითარების მხარეები, ახალი ფსიქიკური წარმონაქმნები ეფუძნება თითოეული ასაკობრივი საფეხურის თავისებურებებს და მდიდრდება ბავშვის ცხოვრების შინაარსი. გასათვალისწინებელია, რომ სკოლამდელ ასაკში ბავშვი სწავლობს სხვადასხვა საქმიანობის დროს: იგი სწავლობს მოზრდილთან ურთიერთობისას, ხატავს და სწავლობს, აკვირდება ბუნებას და ა.შ.

მომავალი მოსწავლის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თამაშს. იგი სკოლამდელთა ქცევის ძირითადი ფორმაა, მაგრამ არა დროის ხანგრძლივობის მიხედვით, არამედ იმით, რომ სწორედ თამაშში ხდება ბავშვის ფსიქიკაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები, ეყრება გარემოსთან დამოკიდებულების საფუძვლები, ხორციელდება ბავშვის გადაყვანა ახალ ეტაპზე ქცევის უფრო სერიოზულ ფორმაზე - სწავლაზე. სწორი ხელმძღვანელობისას თამაშში უყალიბდება მომავალ მოსწავლეს აუცილებელი თვისებები, როგორცაა ორგანიზება, საზრიანობა, მოთმინება, დამოუკიდებლობა და სხვა. თამაშობებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მოძრავს და დიდაქტიკურს, რადგანაც წარმატებას უზრუნველყოფს არა მხოლოდ წესების აუცილებელი შესრულება, არამედ მისი ხერხების გათავისება, ტოლებთან ურთიერთობის დამყარება, რაც მოითხოვს მისგან ამხანაგის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას, თავშეკავებულობას. წესებთან თამაშობებში

ბავშვს თანდათან უყალიბდება ნებისმიერი ქცევა, ნებისყოფა, რაც აუცილებელია სკოლაში სასწავლებლად.

ამრიგად, სასკოლო სწავლება ორგანულად შედის ბავშვის ცხოვრებაში, თუ მოზრდილები ითვალისწინებენ სკოლამდელი ასაკის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, არ ივიწყებენ თამაშის წამყვან როლს ბავშვის პიროვნების მრავალმხრივ განვითარებაში, ოჯახსა და საბავშვო ბაღში უნდა შეიქმნას ოპტიმალური პირობები ბავშვის, როგორც ინდივიდის, ჰარმონიული განვითარებისათვის. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა ფორსირებული სწავლებით, რომელიც ამოკლებს ბავშვობის მნიშვნელოვან პერიოდს, არამედ სკოლამდელი ცხოვრების ამპლიფიკაციით. უკანასკნელი გულისხმობს ბავშვის თამაშობითი, პრაქტიკული, სახვითი და სხვა საქმიანობის ფართო გაშლას, რომელშიც გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების კეთილმოსურნე ურთიერთობის დამყარებას როგორც მოზრდილებთან, ისე ტოლებთან. (2.21.)

სკოლისათვის ფსიქიკური მომზადების ერთ-ერთი მაჩვენებელია ბავშვის სურვილი, გახდეს მოსწავლე, მოინდომოს სწავლა, გამოავლინოს ინტერესი გარე სამყაროს მოვლენებისა და საგნების აღსაქმელად, გამოამყვანოს ცნობისა და შრომისმოყვარეობა. ამისათვის კი უნდა ისწავლოს სწავლა, რითაც მას უნდა განუვითარდეს შემეცნებითი პროცესების (აღქმა, წარმოდგენები, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება და სხვ) ემოციურ-ნებელობითი სფერო, ჩამოუყალიბდეს გონებრივი საქმიანობის უნარ-ჩვევები (შედარება, ანალიზი, სინთეზი, განზოგადება).

სკოლაში წარმატებით სწავლისათვის საჭიროა არა მხოლოდ ბავშვის ფსიქიკური მზაობა, არამედ არა ნაკლებად ფიზიკური მზაობაც. ცხოვრების წესის შეცვლა, გონებრივი დატვირთვის გაზრდა, მასწავლებელთან ახალი ურთიერთობის დამყარება - ყველაფერი ეს მოითხოვს ბავშვის ორგანიზმის, უპირველეს ყოვლისა, ნერვული სისტემის დამაბვას, რაც ადასტურებს არასაკმარის ყურადღებას ბავშვის ფიზიკური აღზრდისადმი სკოლამდელ პერიოდში.

სკოლისათვის სრულყოფილი ფიზიკური მომზადება გულისხმობს ორგანიზმის გამხნეებას, წვრთნობილობისა და ზოგადი ფიზიკური განვითარების მაღალ დონეს. მრავალფეროვანი სამოძრაო უნარ-ჩვევები, ფიზიკური თვისებები უნდა შეესატყვისებოდნენ ასაკის შესაძლებლობებს (სპეციალურად დამუშავებული ნორმატივების საფუძველზე) (3.22). კარგი წვრთნობილობა ხელს უწყობს არა მხოლოდ სასკოლო პირობებში აღმოცენებული არახელსაყრელი ფაქტორების გაძლევას, არამედ გაკვეთილზე ინტერესით მუშაობას ცოდნისა და უნარ-ჩვევების დასაუფლებლად.

სკოლისათვის ბავშვის ფიზიკური მომზადება წარმატებით შეიძლება იყოს გადაწყვეტილი, თუ ამ მხრივ მუშაობა ტარდება სისტემატურად გათვალისწინებულია ბავშვის ეგრეთ წოდებული „ფიზიკური სტატუსი“, დაწყებული ადრეული ასაკიდან სკოლაში შესვლამდე.

ადრეული ასაკის ბავშვის (3 წლის ასაკისათვის) ფიზიკური განვითარების მაჩვენებლად მიღებულია დაავადებების შემცირება, ძილისა და მადის გაუმჯობესება, ემოციური მდგომარეობისა და ქცევის სტაბილურობა, მოძრაობების გარკვეული მრავალფეროვნება (ბავშვი თავისუფლად დადის, დარბის, ცოცავს, ისვრის ბურთს აბიჯებს ჯოხს და სხვ), აგრეთვე ჰიგიენური ჩვევების, მოძრაობების გარკვეული კოორდინაციისა და სივრცეში ორიენტაციის აღმოცენება.

ადრეული ასაკის ბავშვის სრულყოფილი ფიზიკური განვითარებისას უმცროს სკოლამდელ ასაკში (3-4 წლიანებში) ხდება დადებითი ცვლილებები სხეულის სიგრძესა და წონაში, გულ-მკერდის შემოწერილობაში, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის მაჩვენებლების, კუნთური ძალისა და შრომისუნარიანობის გაზრდაში. ამ ასაკის ბავშვი, წინა პერიოდთან შედარებით, ადვილად ეგუება გარემოს. იგი ხდება უფრო დამოუკიდებელი ჰიგიენური პროცესებისა და თვითმომსახურების შესრულებისას (იბანს პირს, იცვამს, წესრიგს ამყარებს სათამაშო კუთხეში და ა.შ.) ემოციური მდგომარეობა და ქცევა უფრო სტაბილური და აქტიურია. ბავშვი ინტერესით მონაწილეობს სხვადასხვა მოძრავ თამაშსა და ვარჯიშებში, სადაც ამჟღავნებს გარკვეულ სიმარდესა და სისწრაფეს. იზრდება გარემოს ცვლილებებისადმი გამძლეობა, მტკიცდება ტანადობა, ვითარდება ფიზიკური თვისებები. ბავშვი ეუფლება ყველა სასიცოცხლო აუცილებელი მოძრაობების ელემენტებს და შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს ისინი სხვადასხვა პირობებში: ვარჯიშებისა და მოძრავი თამაშობების დროს წარმატების მისაღწევად ავლენს ნებისყოფას, სიმტკიცეს, ამტანობასა და თავდაჭერილობას.

ამრიგად, ფიზიკური ჯანმრთელობა გულისხმობს ორგანიზმის სისტემების ნორმალურ მდგომარეობას, რაც უზრუნველყოფს გარემო პირობებისადმი ასევე ნორმალურ ადაპტაციას. ფიზიკური ჯანმრთელობა ითვალისწინებს ბავშვის სტატიკური დატვირთვის დაძლევის უნარსაც, რისთვისაც აუცილებელია ე.წ. ბუნებრივი „კუნთური კორსეტი“, რომლის განვითარება ეხმარება სწორი ტანადობის

ჩამოყალიბებას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია მოსწავლის ხანგრძლივ სასწავლო მეცადინეობასთან დაკავშირებით.

სკოლისათვის ბავშვის ჰარმონიული, ზნეობრივი აღზრდისათვის აუცილებელია ხალხური თამაშობების აქტიური სწავლება, კერძოდ, საქართველოში ქართული ხალხური თამაშობების, რომლებიც აცნობენ ბავშვს ქართულ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს და ამით უყალიბებენ პატრიოტულ გრძნობებს. სკოლისათვის ბავშვის მოსამზადებლად რეკომენდებულია ოჯახთან თანამშრომლობა, მშობლების პედაგოგიზაცია ამ მხრივ. ოჯახთან ერთად აღსაზრდელებს უნდა შეეუქმნათ ყველა პირობა მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის, რითაც უზრუნველყოფთ სკოლისათვის ბავშვის სრულყოფილ მომზადებას.

ლიტერატურა:

1. ვ. იადეშკო, ფ. სოხინი, სკოლამდელი პედაგოგიკა, თბ., 1987;
2. Осокина Г.И., Тимофеева Е.А., Физическое упражнения и подвижные игры для дошкольников, М., 1971;
3. საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის. რედ ნ. სამხარაძე, ლ. მექვაბიძე, თბ., 2000.

რეზიუმე

სკოლაში ბავშვის მომზადება გულისხმობს მის ზოგად და სპეციალურ მზაობას, რომლის მიზანია ბავშვის პიროვნების მრავალმხრივი განვითარება, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინტელექტუალურ, ზნეობრივ, ემოციურ, ნებელობით, ისე ფიზიკურ განვითარებასაც.

სკოლისათვის ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს როგორც სკოლამდელთა დაწესებულებებმა, ასევე ოჯახმა და მშობლებმა. ბავშვს უნდა შეექმნას ყველა პირობა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის, ეს კი უზრუნველყოფს სკოლისათვის ბავშვის სრულყოფილ მომზადებას.

PREPARATION OF A CHILD FOR SCHOOL

Mzia Gogiasvili, Academic Doctor

RESUME

Preparation of a child for school means its general and special readiness. The aim of it is the multilateral development of a child as a person. This foresees intellectual, moral, emotional and physical development of a child.

Harmonious development of a child for school must be promoted both by the pre-school facilities and by the family and parents. Everything should be done for the child's normal physical and mental health; this provides complete preparation of a child for school.

ბუნების სწავლების მეთოდები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

მზია რამიშვილი, ასოცირებული პროფესორი

სადღესოდ უაღრესად საჭირო შეგონებად გაისმის ვაჟა-ფშაველას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბუნების შესწავლისას ბუნებასთან გონივრული ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი პრობლემაა, იგი ადამიანის სულიერ, ზნეობრივ სფეროს განეკუთვნება და გარემოსთან ადამიანის დამოკიდებულება მისი ზნეობრივი დონის, მისი სულიერი მდგომარეობის გამომხატულებას, მის შედეგს წარმოადგენს.

პედაგოგთა ერთი ნაწილის სამართლიანი მოსაზრებით, პირველად ვაჟა-ფშაველამ დაგვანახა, რომ ბავშვის სულიერი სახის განსაზღვრაში დიდ როლს ბუნება ასრულებს. როგორც ცალკეული სკოლების მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკა ადასტურებს, ვაჟას საბუნებისმეტყველო თუ სხვა სახის ნაწარმოებთა ძალა იმაშია, რომ იგი აფაქიზებს ბავშვის სულსა და გულს, მის ზნეობას, იგი ადვილად ახერხებს შეაყვაროს ბავშვს ბუნება, ჩაახედოს მის საიდუმლოებაში, აღძრას მის გულში სათნოებისა და სიკეთის, სიბრალულის, ბუნებისადმი გაფრთხილების მაღალი გრძნობა, გააფაქიზოს აღსაზრდელის შინაგანი ბუნება.

გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების სწავლება შესაძლებლობას იძლევა არა მარტო შეაყვაროს აღსაზრდელს ბუნება, არამედ იგი ხელს უწყობს ყმაწვილთა ნორჩ გულებში სამშობლოს სიყვარულისა და ქართველთა ერთიანობის აუცილებლობის გაცნობიერებას. ჩაგონებს მათ, რომ საქართველოს სიძლიერე მთისა და ბარის, საქართველოს ყველა კუთხის ერთიანობაში უნდა ვეძიოთ. ამასთან, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა გმირები ერთმანეთთან ურთიერთობას აგებენ არა კუთხურობით, არა რელიგიური ნიშნის მიხედვით, არამედ მათთვის მთავარია ადამიანში ადამიანური ღირსება, ვაჟკაცობა და ისინი ადამიანებთან ურთიერთობისას აქცენტს აკეთებენ არა რელიგიურ განსხვავებულობაზე, მისი გმირები – ჯოყოლა, ალუდა, ალაზა და სხვები თვლიან, რომ სხვადასხვა რწმენის გამო არ შეიძლება ადამიანები ერთმანეთის მტრებად იქცნენ.

რელიგიური განსხვავებულობა ხელს არ უშლის ადამიანთა ურთიერთ სიყვარულს, დამოკიდებულებას, ურთიერთთანადგომას და მხარდაჭერას. სარწმუნოებრივი განსხვავება ვაჟას გმირებთან უკანა პლანზეა გადაწეული და უპირატესობა სტუმარმასპინძლობის, ვაჟკაცობის, კაცური ღირსების თვისებებს ეძლევა, ამით ვაჟა-ფშაველა არღვევს რელიგიური კარჩაკეტილობისა და ეროვნული შეზღუდულობის ვიწრო ჩარჩოებს და მიყვარათ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების აღიარებამდე, უმაღლეს ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობამდე. ამ საკითხების მხატვრულ, ემოციურ ფორმაში მიწოდება მოსწავლეთათვის მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს აღზარდოს ახალგაზრდობა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ჰუმანისტური იდეალების სულისკვეთებით.

სწორედ ამიტომ, რომ თანამედროვე ქართულ ეროვნულ სკოლაში ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს საბატიო ადგილი უკავია და საკმაოდ არის წარმოდგენილი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში. ჩვენს სკოლასა და მასწავლებლობას ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამოყენებით დიდი შესაძლებლობა ეძლევა, ღრმა კვალი დაამჩნიოს მოსწავლეთა სულიერ სამყაროს და სკოლის საქმიანობაც გარდაქმნან მაღალზნეობრივი ადამიანების აღზრდის „სახელოსნოდ“. თანამედროვე ქართული სკოლა გვერდს ვერ აუვლის ვაჟა-ფშაველას მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სკოლისა და სწავლების მაღალზნეობრივი აღზრდის დედაბოძად, ეროვნული მსოფლმხედველობის შენარჩუნების საშუალებად მშობლიური ენა უნდა იქნეს მიჩნეული და ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩაყენებული. მისი აზრით, ეს, უპირველეს ყოვლისა, დედა ენისა, ხოლო საუკეთესო მგოსანი, როგორც თვით ენა, ღვიძლი შვილია მისივე და არავინაც არ არის თავის მშობელთან ისე დაახლოებული, როგორც ის, ვისაც შეუთვისებია მშობლის სისხლი და ხორცი. მისი აზრით, პოეტის, მწერლის შემოქმედება მდუნეა, სიცოცხლეს მოკლებულია, ხალხზე ზემოქმედების ძალა არ გააჩნია, თუ იგი მშობლიურ ენას არის მოწყვეტილი. ვაჟა-ფშაველა იზიარებდა ქართველ სამოციანელთა იმ მოსაზრებას, რომ სკოლაში სწავლების ენა მშობლიური ენა უნდა იყოს და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ სახალხო სკოლა, რომელიც გვერდს აუვლის ხალხის სულიერ წყობასა და მის დედა ენას, ფესვებს ვერ გაიდგამს ხალხში.

განსაკუთრებით აქტუალურია ვაჟა-ფშაველას მოსაზრება იმის შესახებაც, რომ ცოდნის და ზნეობის დაშორება შეუძლებელია, და, რომ კაცობრიობას ბუნებისადმი გონივრული დამოკიდებულება და ურთიერთსიყვარული გადაარჩენს. დაუშვებელია ბუნებისადმი უხეში,

ფუქსავატური დამოკიდებულება, მისთვის შეგნებულად თუნდაც უმნიშვნელო ზიანის მიყენება. მხოლოდ ყველა ქმნილების სიყვარულით თუ შეძლებს ადამიანი თავისი თავისა და გარემოს გადარჩენას დაღუპვისაგან, „კაცობრიობის ახსნა მოყვასის სიყვარულისა და მშვიდობისაკენ მისწრაფებაშია... ჩვენს თანამედროვე ყოფას აუცილებლად სჭირდება ფართო ჰუმანიტარული იურისდიქციის მქონე მაღალი ზნეობის ადამიანები”, ვაჟა-ფშაველას დამსახურება ჩვენი სკოლის წინაშე ნაწილობრივ იმაშიც მდგომარეობს, რომ მის მიერ ბავშვთათვის შედგენილი საბუნებისმეტყველო მხატვრული ნაწარმოებები ისე საინტერესოდ არის შედგენილი და ღრმა ემოციურობით დატვირთული, რომ მისი გაცნობის შემდგომ, როგორც ზოგიერთი მასწავლებელი აღნიშნავს, თვით ბუნებისადმი გულგრილად განწყობილი აღსაზრდელებიც კი იცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას ბუნებასთან, რადგან ამ ნაწარმოებთა შინაარსი უდიდეს პედაგოგიურ ზემოქმედებას ახდენს მათზე. ამ ნაწარმოებებში ბუნება ისეა წარმოდგენილი, რომ იგი მრავალ საინტერესო ფიქრსა და კითხვას აღძრავს მათ წინაშე. განსხვავებით დღეს მოქმედი სასწავლო პროგრამებისაგან, რომელშიც, როგორც აკად. ნ. კეცხოველი აღნიშნავდა, ბევრი უინტერესო და ბავშვთათვის გაუგებარი, ძნელი სასწავლო მასალაა შეტანილი. ვაჟა-ფშაველას მოთხოვნები ისე ლაღად, საინტერესოდ იკითხება, ისე ლამაზად და ემოციურად აწვდის ყმაწვილებს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ბუნებაში არსებული მცენარეები და ცხოველები, რით საზრდოობენ ისინი, რა აინტერესებთ და როგორ ატარებენ ცხოვრებას, რომ ადვილად ხერხდება ბავშვმა ბუნებაც შეიყვაროს და მისი დაცვა-მოვლის ინტერესიც გაუჩნდეს. დღეისათვის მოქმედ სახელმძღვანელოებში მოთავსებული ვაჟა-ფშაველას მიერ შედგენილი საბუნებისმეტყველო ხასიათის ნაწარმოებები, ლექსები და პოემები მოსწავლეებს აცნობს ფრინველებსა და ცხოველებს, მათ საცხოვრებელ გარემოს, მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებს, უახლოეს ცხოვრებისეულ და ბუნებრივ მოვლენებს და განაწყობს მათ გარემომცველი გარემოს, ბუნებისა და ადამიანების უანგარო სიყვარულით. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ვაჟა-ფშაველას ყველა მხატვრული ნაწარმოები იმდაგვარადაა აგებული, რომ იგი უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს აღსაზრდელებზე. ბუნება მასთან ცოცხალია, იგი ადამიანური ენით მეტყველებს. მოთხრობებში ჩიტები, მტრედები, ცხოველები, ბუჩქი, ხე, ყვავილები ისეთი საზრუნავით არიან დაკავებული, როგორითაც ადამიანები. უზიარებენ აზრებს ერთმანეთს, ასწავლიან შვილებს, ტუქსავენ, ჭკუას არიგებენ, სიფრთხილესა და ავისა და კარგის გარჩევას აჩვენებენ, ზომიერებისაკენ მოუწოდებენ. ვაჟა-ფშაველას მოთხრობების გმირები შრომობენ, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ, იციან, ლაღობენ და მათი ზემოქმედების ძალა ბავშვებზე იმაზე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მშობლის ან მასწავლებლის მიერ მრავალჯერ განმეორებული დიდაქტიკური რჩევა-დარიგებანი.

ვაჟა-ფშაველა, როგორც პედაგოგი, ფასდაუდებელ მოსაზრებებს გამოთქვამს მოსწავლეთა სწავლებისა და ცხოვრებისათვის უკეთ მომზადების შესახებ. მისი აზრით, ხალხის გამოყვანა იმ მძიმე და ბედშავი მდგომარეობიდან, რომელსაც უმეცრება ეწოდება, შეუძლებელია ნამდვილი, გამოსადეგი, ჭეშმარიტი ცოდნისა და ზნეობრივად ამაღლების გარეშე. ხალხს ესაჭიროება არა ყოველგვარი ცოდნა, არამედ ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობდა ცხოვრების გარდაქმნის ამოცანებს, რაც მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ სკოლა შეძლებს აღზარდოს ქვეყნისათვის სასარგებლო, გონებით ძლიერი და ზნეობით სპეტაკი, ზოგადკაცობრიული ზნეობრივი იდეალების ერთგულებით შეიარაღებული ადამიანი. ამ დიდი ამოცანის გადაჭრის საქმეში, მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, ვაჟა-ფშაველა აღიარებს ბუნებას, როგორც განუსაზღვრელი ძალის მქონე სააღმზრდელო ფაქტორს. მისი მართებული მოსაზრებით, დედაენის შემდგომ ბავშვების შემეცნებითი განვითარების და ზნეობრივი სრულყოფის საქმეში უდიდეს როლს ბუნება ასრულებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზნეობრივი პრობლემების გაშუქება ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის. ზნეობრივი აღზრდის საკითხები ვაჟა-ფშაველასთან განხილულია ადამიანის რაობის, მისი მოვალეობის და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. მისთვის ადამიანი ბუნების ღვიძლი შვილია, ბუნების თანაზიარია და ადამიანის ადამიანობის, მისი კაცურ კაცობამდე ამაღლების გზა იმაზე გადის, რომ მან – ადამიანმა ბუნების ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნების ყოველი არსება და მოვლენა, ამ ადამიანის საქმიანობა ყოველთვის როდია ერთმანეთთან შეთანხმებული, ბუნებასა და ადამიანს შორის არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა და ბრძოლა კი - და ამ ბრძოლაში გამოიკვეთება ადამიანის ზნეობრივი ღირებულებანიც. ადამიანი თავისუფალი არსებაა და იგი ვერ ეგუება ბუნებისადმი ბრმა მორჩილებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ვაჟა-ფშაველა აიგივებს ადამიანსა და არაადამიანს, ვაჟა-ფშაველა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ

ადამიანი, მართალია, ღმერთის მიერ არის გაჩენილი, მაგრამ იგი თავისუფალია და ამდენად პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე. ადამიანი, როგორც სასრულო არსება, სხვა ყველა ცოცხალ არსებასთან ერთად იბადება, იზრდება, ვითარდება, კვდება. სიკვდილის შემდგომ იმისდამიხედვით, თუ აქ როგორ ცხოვრებას ეწეოდა, მისი სახელი ან უკვდავებას ეზიარება, ან სამუდამო დავიწყებას ეძლევა, ხოლო იქ, ცის ბინაში - „შავეთში“ – სასუფეველი რომ დაიმკვიდროს, იმისათვის აუცილებელია „შავეთში“ შესვლამდე ჯერ ბეწვის ხიდი გაიაროს. ბეწვის ხიდზე გავლა ადვილი არ არის, იგი მხოლოდ მართალთა ხვედრია, მართალი ბეწვის ხიდს ადვილად გადაივლის ცხენით, ხოლო მას, ვინც სააქაოს ბოროტებას სჩადიოდა, ე.ი. უზნეო ცხოვრებით ცხოვრობდა, ხიდი ჩაენგრევა და „კუპრის ზღვაში“ - /ჯოჯოხეთში/ ჩავარდება. უკვდავებასთან მისასვლელი გზა ისეთი საქმიანობაა, რომელიც სიკეთის კეთებასთან არის დაკავშირებული. სიკეთის კეთება კი მაღალზნეობრივ ადამიანთა ხვედრია. ეს ადვილი არ არის, რადგან ბუნება, გარემო უამრავ საცდუნებელს სთავაზობს ადამიანს. ადამიანის ზნეობრიობა, მისი კაცურ კაცობა ისაა, რომ მან ცნობიერებისა და პიროვნული ძალის მეშვეობით დაძლიოს ყოველგვარი „ემშაკური“ - რაც ბოროტების საწყისია და ამაღლდეს ადამიანურ სიმაღლემდე, განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც სიკეთეს მოუტანს მასაც და საზოგადოებასაც. ასეთი ქცევა ადამიანის მიერ ბოროტებაზე გამარჯვებაა, სიკეთის ზეიმი.

ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, ტ. I-X თბ., 1984;
2. ვაჟა-ფშაველა, ერთტომეული ჯ. ჭუმბურაძის რედაქციით, 2000;
3. ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, 1999;
4. ზანძელაძე გ., ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1999.

რეზიუმე

ნაშრომში „ბუნების სწავლების მეთოდები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ წარმოდგენილია მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ვაჟა-ფშაველა შეისწავლის ბუნებას. ნაშრომში გადმოცემული მეთოდები საშუალებას აძლევს პედაგოგს, აღსაზრდელებს შეასწავლოს ბუნება ვაჟას შემოქმედებაში. ვაჟას შემოქმედება ხომ ქართველი კაცის სულიერების საზრდოა, რომელზეც უნდა აღიზარდონ ქართველი მოსწავლეები. სიკეთის კეთება მაღალზნეობრივ ადამიანთა ხვედრია. ეს ადვილი არ არის, რადგან ბუნება, გარემო უამრავ საცდუნებელს სთავაზობს ადამიანს. ადამიანის ზნეობრიობა, მისი კაცურ კაცობა ისაა, რომ მან ცნობიერებისა და პიროვნული ძალის მეშვეობით დაძლიოს ყოველგვარი „ემშაკური“ – რაც ბოროტების საწყისია. იგი უნდა ამაღლდეს ადამიანურ სიმაღლემდე, უნდა განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც სიკეთეს მოუტანს ადამიანებს. ასეთი ქცევა ადამიანის მიერ ბოროტებაზე გამარჯვებაა.

THE METHODS OF NATURE TEACHING IN VAZHA-PHAVELA'S WORKS

Mzia Ramishvili, Associate Professor

RESUME

The work „Methods of learning the nature in the creation of Vaja-Pshavela studies the nature. Methods given in the work makes the teacher teach the nature in Vaja-pshavela's creation to the pupils. His creation is the spiritual subsistence according which the Georgian pupils should be brought up. making the kidness is the fate of people of high moral standards. It is not easy, because the nature, and environment offers a lot of temptations to the people. The morality of the person is to endure all the sly temptations with the help of his consciousness and individual force. The person should develop and create the activites useful for people. This kind of action will be the victory on the harm.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
Exact and Natural Sciences

გარემოს გაჭუჭყიანების თანამედროვე პრობლემები

მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მრავალფეროვანი კავშირი ადამიანისა მის გარემომცველ ბუნებრივ გარემოსთან ყალიბდება ათასეული წლების მანძილზე. ამ კავშირის ჰარმონიულობა არ დარღვეულა მანამდე, სანამ არ წარმოიშვნენ გარემოს ხელოვნური ელემენტები, წარმოქმნილი ადამიანის მიერ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში.

თანამედროვე ადამიანი, როგორც მაღალგანვითარებული საზოგადოების წევრი, ექვემდებარება ახალი ფიზიკური, ქიმიური და სოციალური გამლიზიანებლების გავლენას. ისინი ხშირ შემთხვევაში ადამიანზე ახდენენ საგრძნობ ზეწოლას. თავი რომ გაართვას და შეეგუოს მის ზემოქმედებას, ადამიანს უხდება დიდი ძალის დახარჯვა. დღევანდელი ადამიანის ცხოვრების ნირი რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რასაც იგი ეწეოდა თავისი ევოლუციის განმავლობაში. ცხოველების მსგავსად ადამიანის ორგანიზმი აღჭურვილია ჰომეოსტაზური მექანიზმებით, რომლებსაც საშუალებას იძლევა მუდმივად ცვლად გარემოში შეინარჩუნოს შინაგანი გარემოს გარკვეული მდგრადობა და წონასწორობა. ადამიანის ადაპტაციის უნარზეა დამოკიდებული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ანუ გააგრძელებს ინდივიდუალურ განვითარებას, თუ ელის დაღუპვა. (მათირიშვილი ა. ცაგარელი ს. ცარციძე მ. ზოგადი ბიოლოგია. თბ. 1999. გვ. 370)

ადამიანის მიმართ ბუნება ასრულებს სამ მნიშვნელოვან ფუნქციას: 1. ეკოლოგიურს, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლისათვის საჭირო ბიოლოგიურ რეჟიმს, 2. ეკონომიკურს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს, 3. ზნეობრივს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებაზე. (თ. ურუშაძე, ვ. ლორია. ეკოლოგიური სამართალი. 2010. გვ. 35)

ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ევოლუციური განვითარების შედეგი. ადამიანი ბუნების ობიექტია, რომელიც განიცდის მის ზეგავლენას და ამავე დროს სუბიექტია, რომელიც იყენებს ბუნებრივ რესურსებს.

ადამიანს შეუძლია პრაქტიკულად უსაზღვროდ შეცვალოს ბუნებრივი პირობები, ორგანიზმის შეგუებისუნარიანობა შედარებით შემოსაზღვრულია, მისი ტემპები ყოველთვის არ შეესაბამება იმ ტემპებს, რომელსაც ადამიანი ნერგავს გარემო პირობების შეცვლის პროცესში.

ადამიანის მოღვაწეობის შედეგები, დამოკიდებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან, ისეთი გრანდიოზული ხდება, რომ მისი დაპირისპირება შეიძლება მხოლოდ ბუნებრივ პროცესებთან. ჩვენი დროის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერება და ტექნიკა, რომლებიც გზას უხსნიან განვითარების უსაზღვრო პერსპექტივებს, ამავე დროს ამჟღავნებენ ბუნების შეზღუდულ შესაძლებლობებს ადამიანის მწარმოებლივი მოქმედების შედეგების ასიმილაციის საქმეში.

ყოველივე ამან განაპირობა ის მდგომარეობა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ბუნების დაცვის და გარემოს გაჯანსაღების პრობლემებს მიენიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა კაცობრიობისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და პლანეტის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად საზოგადოების მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე სწრაფად გაიზარდა. სამეურნეო საქმიანობაში ერთვება სულ ახალი ბუნებრივი რესურსები. ბიოსფეროში ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირები გამუდმებით ირღვევა. ის არის იმის შედეგი, რომ ხმელეთის 10% გადახნულია, მიწების 17% გამოიყენება საძოვრებად, იჩეხება ტყე, შენდება კაშხალები, გამოიყენება სასუქები და შხამქიმიკატები, წარმოებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. ბუნებაში ამ ცვლილებებს მოაქვს მეტად საზიანო და შეუქცევადი შედეგები. ამჟამად წარმოების გამოწყოფი, მყარი, თხევადი და გაზისებრი ნარჩენების მოსპობა ისეთივე

რთული საქმე გახდა, როგორც თვით წარმოების განვითარება. ნარჩენების რაოდენობა იზრდება გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად და ის ნარჩენები, რომლებსაც ბუნება ვერ ამუშავებს, გროვდება და აბინძურებს გარემოს. ბუნებაში არსებობს ევოლუციის სამი ფორმა: არაორგანული, ბიოლოგიური და სოციალური. არაორგანული ევოლუცია მიმდინარეობს ძალიან ნელა. ბიოლოგიური ევოლუცია წარმოებს უფრო ჩქარა და მისი განვითარების ტემპები თანდათან იზრდება. უფრო სწრაფად მიმდინარეობს სოციალური ევოლუცია. საზოგადოების განვითარების სისწრაფე იმდენად დიდია, რომ ორგანული და არაორგანული სამყარო თითქმის ადგილზეა გაჩერებული. ბუნება ვერ ეგუება მასზე დაჩქარებულ ტემპებს. (თ. ურუშაძე, ვ. ლორია. ეკოლოგიური სამართალი. 2010. გვ. 12).

გარემოს გაჯანსაღების პრობლემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხს. ადამიანის ფილტვებში ყოველდღიურად გამავალი ჰაერის წონითი რაოდენობა (დაახლოებით 20კგ) ბევრად აღემატება მის მიერ დღეში მიღებული წყლის (დაახლოებით 2კგ) და საკვების (1-კგ) წონით რაოდენობას. საჰაერო აუზის დაბინძურება უმეტეს შემთხვევაში პირველადი პროცესია, რომელსაც დამაბინძურებელი ნივთიერებების დედამიწაზე დალექვასთან ერთად თან ერთვის წყალსატევების და საკვები პროდუქტების დაბინძურება.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება ყოველთვის არ ემორჩილება ადამიანს და ბევრად არის დამოკიდებული გარემო პირობებზე. ატმოსფეროში არსებული მავნე ნივთიერებები ნალექების მეშვეობით ხვდება ნიადაგში, შემდეგ კი მცენარისა და ადამიანის ორგანიზმში. ბუნებრივია, რომ რაც უფრო მაღალია ჰაერში მავნე ნივთიერებათა შემცველობა, მით უფრო დიდი რაოდენობით ჩაიტანება ნალექები და აბინძურებს გარემოს. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები რაოდენობა (ზდრ). (ცხრილი1)

ატმოსფეროში გაფრქვეული ტოქსიკანტები იწვევენ სასიმილაციო აპარატის ფუნქციის რღვევას, ფოთლებსა და წიწვებში ხდება პროტოპლასმისა და ქლოროპლასტების დაშლა, წყდება ბაგეების მოქმედება, იწყება ქსოვილთა ნეკროზი, უარესდება ფესვთა სისტემის ზრდა და საკვები ელემენტების შეთვისება. ყველაფერი ეს კი ხელს უშლის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

ცხრ. 1

ზოგიერთი მავნე ნივთიერების ზღვრული დასაშვები რაოდენობა ჰაერში, მგ/მ³:

ნივთიერება	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური
გოგირდოვანი ანჰიდრიდი	0,5	0,05
ქლორი	0,1	0,03
გოგირდწყალბადი	0,03	0,01
ნახშირბადის ოქსიდი	3,0	1,0
ფოსფორის ანჰიდრიდი	0,15	0,05
ჰვარტილი	0,15	0,05
გოგირდმჟავა	0,3	0,1
ფენოლი	0,01	0,01
დარიშხანი	—	0,003
ტყვია	—	0,0007
მეტალური ვერცხლისწყალი	—	0,0003
ბენზოლი	1,5	0,8
ბენზინი	5,0	1,5

ატმოსფეროს გაქუჩყიანებაში იგულისხმება სხვადასხვა აირის, ორთქლის მყარი და თხევადი ნივთიერებათა ნაწილაკების არსებობა (რადიაქტიურობის ჩათვლით), რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე, მათ შორის მცენარეებზე, ცვლიან მცენარის ქიმიურ შედგენილობას და აფერხებენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

ატმოსფეროს გაქუჩყიანების ძირითადი წყაროები ერთიანდებიან შემდეგ ჯგუფებში:

1. ბუნებრივი წარმოშობის გამქუჩყიანებელი (მინერალური, მცენარეული, ცხოველური, მიკრობიოლოგიური)
2. გამქუჩყიანებელნი, წარმოშობილნი წარმოებისათვის საჭირო საწვავის მოხმარებისას, ბინების გათბობისას და ყოველგვარი ტრანსპორტის მუშაობისას.
3. გამქუჩყიანებლები, წარმოშობილნი წარმოების ნარჩენებისაგან.

4. გამჭუჭყიანებლები, გამოწვეულნი საყოფაცხოვრებო ნარჩენების წვითა და გადამუშავებით.
5. გამჭუჭყიანებლები, დაკავშირებულნი სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესთან.

ცოცხალი ნივთიერება ბუნებრივი რადიაქტიური ფონის ზემოქმედებას მრავალი ათასწლეულის მანძილზე განიცდიდა. ბუნებრივი რადიაქტიური ფონის წყაროებია რადიაქტიური ელემენტები. ბუნების მნიშვნელოვან და ძალიან საშიშ უარყოფით მოვლენებს უნდა მივაკუთვნოთ ატმოსფეროს გაჭუჭყიანება რადიაქტიური ნივთიერებებით. ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი შედეგი არის ჩვენს პლანეტაზე რადიაქტიური ნივთიერებების გადანაწილება, მათი ამოღება მიწის წიაღიდან და გაფანტვა სხვადასხვა გარემოში. გარემო სფეროს რადიაქტიური გაჭუჭყიანება არის ბუნებრივი რადიაქტიური ფონის ნებისმიერი მატება ადამიანის მიერ ბუნებრივი და ხელოვნური რადიაქტიური ნივთიერებების გამოყენების შედეგად. ატმოსფეროს რადიაქტიური გაჭუჭყიანების წყაროები, უპირველეს ყოვლისა, არის ექსპერიმენტული აფეთქებები, ატომური წყალბადის ბომბის გამოცდა, ასევე სხვადასხვა წარმოება, ატომური რეაქტორები და ატომური ელექტროსადგურები და სხვა. ატმოსფეროში მოხვედრილი რადიაქტიური ნალექები იყოფა პირველად (ადგილობრივ), მეორეულ და გვიან (გლობალურ) ნალექებად. რადიაქტიური ნივთიერებების ძირითადი რაოდენობა ატმოსფეროდან დედამიწაზე მოდის ატმოსფერულ ნალექებთან ერთად. რადიაქტიურ ელემენტებს, ატომური აფეთქების პროდუქტებს აქვთ ნახევრადდაშლის სხვადასხვა პერიოდი. ელემენტები ნახევრადდაშლის მოკლე პერიოდით ნაკლებსაშიშა იმდენად, რამდენადაც ისინი სწრაფად კარგავენ თავიანთ რადიაქტიურობას; უფრო საშიშა რადიაქტიური ელემენტები, რომელთა ნახევრადდაშლის პერიოდი გრძელდება ათეულ და ასეულ წელიწადს. მათ ეკუთვნის: სტრონციუმი-90 (⁹⁰Sr) 28 წლის ნახევრადდაშლის პერიოდით, ცეზიუმი-137 (¹³⁷Cs) - 29,68 წელი, ურანი-233 (²³³U) - 16.10⁵, ¹⁴C - 5600 წელი.

რადიაქტიური ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანების ხარისხი და მათ ცოცხალ ბუნებაზე მავნე მოქმედება იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ამან განაპირობა სპეციალური სამეცნიერო დარგების - რადიობიოლოგიისა და რადიოეკოლოგიის შექმნა.

რადიაქტიური ნივთიერებები ტრანსპორტირდებიან ჰაერისა და წყლის დინებით, ცოცხალი ორგანიზმებით, განსაკუთრებით თევზებითა და ფრინველებით.

ყველაზე დიდი ბიოლოგიური აქტიურობა აქვს რენტგენის სხივებს და გამა-სხივებს. ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობისათვის დიდად სახიფათოა ⁹⁰Sr, რომელიც გროვდება ძვლის ქსოვილში, კბილებში, წარმოქმნის რადიაქტიურ კერებს სისხლის წარმომქმნელი ორგანოს-ძვლის ტვინის ახლოს. ამის შედეგად ვითარდება კიბო და სისხლის გათეთრება. ბავშვის ორგანიზმი ნთქავს სტრონციუმს 10-15 ჯერ მეტად, ვიდრე დიდი ადამიანის. ამ იზოტოპის მავნე მოქმედება იგრძნობა ახალ თაობაზე. არსებობს მოსაზრება, რომ მსოფლიოში არ არის ბავშვი, რომლის ძვლებში არ იყოს სტრონციუმი. ადამიანისათვის რადიაციის სასიკვდილო დოზა არის 600 რენტგენი.

განსაკუთრებით საშიშა რადიაქტიურ ნივთიერებათა შემცველობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში. ამიტომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება დიდად არის დამოკიდებული რადიაქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე გარემოში. (ცხრილი 2)

ცხრ.2

რადიაქტიურ ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები რაოდენობა ჰაერსა და წყალში:

ელემენტი	სამუშაო სათავსოს ჰაერი		ღია წყალსატევები	
	ბეკ/ლ	კიური/ლ	ბეკ/ლ	კიური/ლ
ურანი	5,55.10 ⁸	0,015	1,85.10 ⁹	0,05
ფოსფორი	3,7	1.10 ⁻¹⁰	3,7.10 ²	1,10 ⁻⁸
გოგირდი	37	1,10 ⁻⁹	1,85.10,5	5,10 ⁻⁶
კობალტი	1,85	5,10 ⁻¹¹	1,85.10 ²	5,10 ⁻⁹
სტრონციუმი	0,185	5,10 ⁻¹²	18,5	5,10 ⁻¹⁰

ყველაზე მეტი გავრცელება და მავნეობა ჰაერის გაჭუჭყიანებაში სათბობის წვას განეკუთვნება, განსაკუთრებით დიდია დანაგვიანება სათბობის არასრული წვისას.

განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ ატმოსფეროსთან დაკავშირებულ უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას, კლიმატის ცვლილებას. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ჩვენი პლანეტის ბინადარ ცოცხალ ორგანიზმთა შეგუების უნარი გარემოსთან, კერძოდ, ატმოსფერული ჰაერის მახასიათებელ პარამეტრებსა და ატმოსფერული მოვლენების ერთობლიობასთან, კლიმატთან. მზისგან მიღებული ენერჯის ხარჯზე შექმნილი დედამიწის ენერგეტიკული დონე უცვლელი იყო, ანუ

ატმოსფეროს სითბური მდგომარეობა უცვლელი იყო. მაგრამ ეს წონასწორობა დაირღვა და დაიწყო თანდათანობით დათბობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვითარების შესახებ ორიგინალური ჰიპოთეზა ეკუთვნის ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თ. დავითაიას. იგი თანამედროვე კლიმატის დათბობის მიზეზად ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ტენდენციურ ზრდას ასახელებდა. დათბობის მექანიზმს შემდეგნაირად ხსნიდა: იზრდება რა ატმოსფეროში მტვერი, დედამიწის ზედაპირზეც ხდება მისი უფრო ინტენსიური დალექვა, ეს პროცესი ამცირებს დედამიწის ზედაპირის არეკვლისუნარიანობას, ალბედოს. ე.ი. იზრდება მზის სხივური ენერჯის რაოდენობა, რომელსაც დედამიწა უშუალოდ შთანთქავს. დედამიწა წარმოადგენს „რუხ სხეულს“, თუ მის ზედაპირზე, ოკეანეებსა და კონტინენტებზე, ატმოსფერული აეროზოლების მეტი და მეტი ინტენსიური დალექვა მოხდებოდა იგი თანდათან „გაშავდებოდა“ ანუ შემცირდება მისი ალბედო. ეს გამოიწვევდა დედამიწის ზედაპირის მიერ შთანთქმული ენერჯის გაზრდას, რაც მისი ტემპერატურის გაზრდაში გამოიხატება. ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების დინამიკის დასადგენად თ. დავითაიამ გამოიყენა არაპირდაპირი გზა. ატმოსფეროს გაჭუჭყიანებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის ალბედოს თანდათანობითი შემცირება. რაც შეეხება ნახშირორჟანგს, დღეისათვის ადგილი აქვს მის ტენდენციურ ზრდას ატმოსფეროში. ფაქტია, ეს პროცესი გამოიწვევს კლიმატის დათბობას და მისი შედეგი შეიძლება კატასტროფულიც კი გახდეს, თუ ნახშირორჟანგის ზრდის პროცესი არ შეწყდება.

ატმოსფერო, როგორც ფიზიკური სხეული, პრაქტიკულად გამოულეველი ბუნებრივი რესურსია, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად მასში საკმაოდ მძიმე, გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები ჩნდება. ცხადია, ამ პრობლემების თავიდან აცილება თვით ადამიანის სიცოცხლის ინტერესებში შედის და მისი აღკვეთა თვით ადამიანის ხელშია.

ლიტერატურა:

1. ქაჯაია გ. ეკოლოგია, (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბ., 1999;
2. ურუშაძე თ., ვ. ლორია, ეკოლოგიური სამართალი, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010;
3. ვორონცოვი ა., ნ. ხარიტონოვა. ბუნების დაცვა. გამომცემლობა განათლება, თბ., 1985.
4. შათირიშვილი ა., ცაგარელი ს., ცარციძე მ. ზოგადი ბიოლოგია. თბილისი, 1999.

რეზიუმე

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და პლანეტის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად საზოგადოების მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე სწრაფად გაიზარდა. სამეურნეო საქმიანობაში ერთვება სულ ახალი ბუნებრივი რესურსები. ბიოსფეროში ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირები გამუდმებით ირღვევა. ამჟამად წარმოების გამონაყოფი მყარი, თხევადი და გაზისებრი ნარჩენების მოსპობა ისეთივე რთული საქმე გახდა, როგორც თვით წარმოების განვითარება. ნარჩენების რაოდენობა იზრდება გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად და ის ნარჩენები, რომლებსაც ბუნება ვერ ამუშავებს, გროვდება და აბინძურებს გარემოს. ბუნებაში არსებობს ევოლუციის სამი ფორმა: არაორგანული, ბიოლოგიური და სოციალური. არაორგანული ევოლუცია მიმდინარეობს ძალიან ნელა, ბიოლოგიური ევოლუცია წარმოებს უფრო ჩქარა და მისი განვითარების ტემპები თანდათან იზრდება. უფრო სწრაფად მიმდინარეობს სოციალური ევოლუცია. საზოგადოების განვითარების სისწრაფე იმდენად დიდია, რომ ორგანული და არაორგანული სამყარო თითქმის ადგილზეა გაჩერებული.

CONTEMPORARY PROBLEMS OF ENVIRONMENT POLLUTION

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

Scientific technical revolution and the rapid population of the planet with the increase in public demand for natural resources has increased. Engage in economic activity of the new natural resources. Currently the production of waste destruction has become as difficult as the industry itself to develop. Waste of resources used to increase the number of Nature exists in three forms of evolution: inorganic, biological and social. Inorganic evolution of the very slow. Biological evolution is made more quickly and the pace of its development is gradually increasing. Faster than the evolution of social. Speed of development of society is so great that the organic and inorganic world is almost stopped in one place.

ინფორმატიზაციის პროცესის მეორე მხარე

თამარ მაკასარაშვილი, სრული პროფესორი

საზოგადოების ინფორმატიზაცია გაიგივებულია საყოველთაო კომპიუტერიზაციასთან, კიბერნეტიზაციასთან. ინფორმატიზაცია მოიცავს საზოგადოებაში ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას, რაც საშუალებას იძლევა საზოგადოების მიერ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოთხოვნაზე გაეცეს ზუსტი და ამომწურავი პასუხი. ეს არის სახელმწიფოს სიძლიერე, თავდაცვისუნარიანობა, მთლიანობა, ცოდნა, წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე. კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის წარმოება და გამოყენება შეუზღუდავი გეოგრაფიული მანძილებით გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა.

ამ ახალი შესაძლებლობების მეორე მხარე კი დიდ საზრუნავს წარმოადგენს ხელისუფლებისათვის, კომპანიებისათვის და მოქალაქეებისათვის. საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესს დადებით მხარეებსა და ტენდენციებთან ერთად აქვს თანმდევი უარყოფითი მოვლენები, მეორე - უარყოფითი მხარეც.

საზოგადოების ინფორმატიზაციის შედეგად, ადამიანთა ეკონომიკური, საყოფაცხოვრებო, სამეცნიერო, კულტურული საქმიანობის ინტელექტუალიზაციის შედეგად შესაძლებელია წარმოიშვას მრავალი უმუშევარი. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების უკონტროლო დანერგვამ კაცობრიობას შეიძლება დიდი ზიანი მიყენოს. გენური ინჟინერია, ინფორმაციული ტექნოლოგიები - ეს არის მოსალოდნელი ქარიშხლის მოკრძალებული ხმები, და ვიცით რა ადამიანის თვითგანადგურების უნარი, კარგად უნდა წარმოვიდგინოთ ინფორმაციული აღმოჩენების გამოყენებისას ამ მოვლენის მრავალჯერ გაზრდილი საფრთხე, ვინაიდან თუ ეს აღმოჩენები არ მოექცევა კონტროლის ქვეშ, შეიძლება მივიღოთ კაცობრიობისათვის ტრაგიკული „მიღწევები“. საზოგადოების საყოველთაო კომპიუტერიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დანაშაულებანი და უარყოფითი სოციალური შედეგები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების არასწორი, დაუსაბუთებელი, შეუზღუდავი გამოყენება დროთა განმავლობაში შეუმჩნევლად, თანდათან უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის პიროვნებაზე.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ კომპიუტერების დაუსაბუთებელ, უკონტროლო გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს პიროვნების ინიციატივის შესუსტება, როგორც პიროვნების საზოგადოებიდან განკერძოება. წარმოების რობოტიზაცია, კომპიუტერიზაცია ადამიანში ადამიანურის ჩაკვლას იწვევს. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ პიროვნებას რომელიც დროის დიდ ნაწილს კომპიუტერთან ატარებს, სხვადასხვა უარყოფითი თვისებები უვითარდება. მაგალითად: მეგობრებთან ურთიერთობის გაწყვეტა, მძიმე ხასიათი, დაქვეითებული ემოციები, ადამიანური სითბოს ნაკლებად გამომჟღავნების უნარი და ოჯახის წევრებთან მიმართებაში სიტყვაძუნწობა. ასეთ ადამიანებს დასავლეთში ტექნოცენტრულ ადამიანებს უწოდებენ. მათ პირველ რიგში კომპიუტერის საშუალებით ინფორმაციის მოძიება და გაცვლა აინტერესებთ. ეს თვისება გააჩნიათ პროგრამისტებსა და კომპიუტერზე მომუშავე ბავშვებს. ამიტომ მშობლებმა კონტროლი უნდა გაუწიონ ბავშვების კომპიუტერთან ურთიერთობას. განსაკუთრებული ყურადღება საჭირო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან და წარმოებს პიროვნების ფორმირება. კომპიუტერული თამაშებით გართობის უფლება მიზანშეწონილია მივცეთ გაკვეთილების მომზადების შემდეგ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ იზრდება მონოპოლისტური ტენდენციების განვითარება, რაც კლავს თავისუფალ კონკურენციას, როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საფუძველს.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. საზღვარგარეთის სპეციალისტების შეფასებით კომპიუტერული ტექნიკის ინტენსიურმა დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა პროფესიული დაავადებები. პუბლიკაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ დისპლეისთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ზინადება მხედველობა, თვალი ჩქარა იღლება, რაც იწვევს თვალის ქრონიკულ დაავადებებს.

კომპიუტერიზაციის ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა, გაფართოვდეს მეცნიერული კვლევა ინფორმატიზაციის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გამოწვეულ დაავადებათა გამოსავლენად, რაც საშუალება მოგვცემს გარკვეული მოთხოვნები წაუყენოთ ტექნიკური საშუალებების დამპროექტებელ და გამომშვებ წარმოება - ორგანიზაციებს. საყოველთაო კომპიუტერიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი მოვლენაა ინტელექტუალური საკუთრების უფლების

დარღვევა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ინტელექტუალური პროდუქტის არაკანონიერ მითვისებასა და საავტორო უფლებების დარღვევაში. პირველ რიგში აღნიშნული ეხება პროგრამულ პროდუქტს, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ობიექტს. საკმაოდ გავრცელებულია პროგრამული პროდუქტების არალიცენზირებული ტირაჟირება.

დარღვეულია პროგრამული პროდუქტის ავტორის ინტელექტუალური საკუთრების უფლება. ანალოგიური მდგომარეობაა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

საზოგადოების ინფორმატიზაციის შედეგად წარმოიშვა დანაშაულის ახალი სახეც - კომპიუტერული დანაშაული. ეს ნეგატიური ტენდენცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეცნიერულ ტექნიკური პროცესის შეუფერხებელ ზრდაზე და კომპიუტერიზაციის მზარდი ტემპების კვალდაკვალ ამ დანაშაულის დონე კიდევ უფრო მაღლა აიწევს. დანაშაულებრივი დაჯგუფებები ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით უკანონოდ ითვისებენ მილიონობით თანხებს, „აცოცხლებენ“ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ უზარმაზარ ფულად სახსრებს, თავს არიდებენ გადასახადებს, კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებენ სხვადასხვა დანაშაულის მოსამზადებლად, ჩასადენად და შესანიღბად. სპეციალისტების მიერ პროგნოზირებულია კომპიუტერის გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულის სწრაფი ზრდის ტემპები.

სოციალური კონტროლის სფეროში კომპიუტერული დანაშაული 70-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა და აშშ-ში მრავალი ასეთი სახის ქმედება გამოქვეყნდა. ამ ფაქტმა მაშინ სისხლის სამართლის, იუსტიციისა და მეცნიერ-იურისტთა ყურადღება მიიზიდა და დაიწყო ამ ფენომენის ინტენსიური კვლევა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. თავდაპირველად იუსტიციის ორგანოები, რომლებიც კომპიუტერულ დანაშაულს წააწყდნენ შეეცადნენ მასთან ბრძოლა ქურდობის, თაღლითობის, ნდობის ბოროტად გამოყენების ტრადიციული დანაშაულის ნორმებით ეწარმოებინათ. მაგრამ საკითხისადმი მსგავსი მიდგომა წარუმატებელი აღმოჩნდა იმ მიზეზის გამო, რომ ტრადიციულ დანაშაულთა შემადგენლობა ვერ მოიცავდა მრავალ კომპიუტერულ დანაშაულს (მაგალითად, კომპიუტერის „მოტყუებით“ ფულის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა). ეს დანაშაული ვერც ქურდობის და ვერც თაღლითობის მუხლებით ვერ დაკვალიფიცირდებოდა.

სისხლის სამართლებრივი ნორმებისა და კრიმინალური რეალობის ერთმანეთთან შეუსაბამობამ დღის წესრიგში დააყენა სისხლის სამართლებრივი ნორმების განვითარების მოთხოვნა. გამოიკვეთა ორი მიმართულება: არსებული სისხლის სამართლებრივი ნორმების უფრო ფართო განმარტებისა და კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავების გზით. შემუშავდა კომპიუტერული დანაშაულის ცნებაც, როგორც ყოველგვარი მონაცემების დამუშავებისა და მათი გადაცემის სფეროში უკანონო, არაეთიკური და ნებადაურთველი ქმედება.

გამოიკვეთა კომპიუტერული დანაშაულის სხვადასხვა ჯგუფები: კომპიუტერულ-ეკონომიკური დანაშაული, კომპიუტერული დანაშაული პირადი უფლებებისა და ხელშეუხებლობის სფეროში, კომპიუტერული დანაშაული საზოგადოების და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და სხვა.

ეკონომიკურ-კომპიუტერულ დანაშაულთაგან ყველაზე გავრცელებული და საშიშია თაღლითობა ანუ ავტომატიზირებული, ინფორმაციული სისტემის ბოროტად გამოყენებით სხვის ხარჯზე არამართლზომიერი გამდიდრება, კომპიუტერულ-ეკონომიკური ჯაშუშობა, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული საბოტაჟი, კომპიუტერული მომსახურებისა და დროის ქურდობა, საინფორმაციო ავტომატურ სისტემაში თვითნებური შეღწევა და კომპიუტერის დახმარებით ტრადიციული ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა.

კომპიუტერული თაღლითობა, კომპიუტერულ მატარებელზე არსებულ საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული დანაშაული, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული „მეკობრეობა“ კომპიუტერული მომსახურების არამართლზომიერი მიღება, კომპიუტერული დროის ქურდობა ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ევროპასა და აშშ-ში და კომპიუტერული დანაშაულის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

პირადი უფლებების ხელშეუხებლობის სფეროში არსებული კომპიუტერული დანაშაული ყველაზე ხშირად კომპიუტერულ სისტემაში პიროვნების შესახებ არასწორი და არაკორექტული მონაცემების შეტანით, სწორი მონაცემების დამახინჯებით ან პიროვნების შესახებ მონაცემების უკანონო ხერხით შეგროვებაში გამოიხატება.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი კომპიუტერული დანაშაული მოიცავს ინფორმაციის საზღვარგარეთ გადაცემის წესების დარღვევას, თავდაცვის სისტემის მუშაობის დეზორგანიზაციას, არჩევნების დროს ხმების დათვლისას და პარლამენტის გადაწყვეტილების მიღებისას ავტომატური სისტემის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

საქართველო დამნაშავეობასთან ბრძოლის ურთიერთდახმარების შავი ზღვის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მონაწილეა. ამ დანაშაულთა შორის დასახელებულია დანაშაული მაღალი ტექნოლოგიის სფეროში - მათ შორის კომპიუტერული დანაშაული.

იმის გათვალისწინებით, რომ სუბიექტთა ნებისმიერი სახის საქმიანობა ხორციელდება ან სრულდება ინფორმაციული ურთიერთობებით, ინფორმაციის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სუბიექტთა ნებისმიერი სახის ურთიერთობა უფრო მარტივი და სამართლებრივად დაცული ხდება, თუ იგი დარეგულირებულია კანონმდებლობით.

კომპიუტერული დანაშაულის სამართლებრივი საფუძვლები ტელესაკომუნიკაციო ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი პრინციპებით და იმ ნორმებით რეგულირდება, რომელთა შემდგომი კონკრეტიზაცია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ხდება. ხელშეკრულება იდება კომპიუტერული ინფორმაციული ურთიერთობების რამდენიმე სუბიექტს შორის: ინფორმაციის გადამცემს, ინფორმაციის მიმღებს, კავშირგაბმულობასა, რომლის საშუალებით გადაცემა ხორციელდება და ზოგჯერ შუამავალ შორის, რომელიც ინფორმატორს და მოსარგებლეს რთავს ქსელში.

კომპიუტერული დანაშაულის ძირითადი სახეებია:

- კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა;
- კომპიუტერის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება;
- კომპიუტერის, კომპიუტერული სისტემების ან ქსელების ექსპლოატაციის წესების დარღვევა.

ზოგადად ინფორმაციული რესურსები ღია და ხელმისაწვდომია გარდა იმ დოკუმენტური ინფორმაციისა, რომელიც კანონით შეზღუდული შეღწევადობის კატეგორიას განეკუთვნება და რომელთან არამართლზომიერ შეღწევას შეუძლია ზიანი მიაყენოს როგორც ინფორმაციის მესაკუთრეს, ისე მის მფლობელს და სხვა პირებს. ამ თვალსაზრისით კანონით დაცულ ინფორმაციაში მოიაზრება კანონით, თუ სხვა ნორმატიული აქტით ან შინაგანაწესით დაცული დოკუმენტური ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება ამ ფაქტებს და ამოღებულია საჯარო ბრუნვიდან. როგორც წესი, ასეთ ინფორმაციას გააჩნია შეზღუდული სარგებლობის გრიფი, ანუ მისთვის კანონით დადგენილია დაცვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

შეზღუდული შეღწევადობის დოკუმენტური ინფორმაცია, მისი სამართლებრივი რეჟიმის პირობების მიხედვით იყოფა სახელმწიფო საიდუმლოების და კონფიდენციალურ ინფორმაციადა.

კონფიდენციალურ ინფორმაციას მიეკუთვნება პერსონალური მონაცემები. სასამართლო გადაწყვეტილების გარდა პირადი და ოჯახური მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინების საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება არ დაიშვება იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ინფორმაცია შეეხება.

კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. არამართლზომიერია ინფორმაციასთან შეღწევა, როდესაც პირს შეღწევის უფლება არ გააჩნია, ანდა ასეთი უფლება აქვს, მაგრამ ინფორმაციის დაცვის წესების დარღვევით ახორციელებს მას.

კომპიუტერული ინფორმაციის დაცვის მრავალფეროვანი საშუალებების მიუხედავად, „ხაკერები“, „ელექტრონული კორსარები“, „კომპიუტერული მეკობრეები“ ახერხებენ ამ ინფორმაციასთან შეღწევას.

კომპიუტერული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. იგი შეიძლება სამი ფორმით გამოიხატოს:

- კომპიუტერების, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლოატაციის უზრუნველყოფელი წესების დაუცველობით;
- მუშაობის პარამეტრების არასათანადო დაცვით;
- კომპიუტერების, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლოატაციის უზრუნველყოფელი წესების უშუალო დარღვევით .

პირველი ორი ფორმა უმოქმედობით ხორციელდება, ბოლო კი - აქტიური მოქმედებით.

ვინაიდან, კიბერნეტიკული საფრთხეები მუდმივად იცვლება, ჩნდება ახალი კომპიუტერული ვირუსები, არასანქცირებული შეღწევისაგან დამცავი სისტემების დარღვევის ახალი საშუალებები და ეს პროცესი კიდევ უფრო ვითარდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, უნდა შემუშავდეს ინფორმაციული უსაფრთხოების პროცედურების მუდმივი სწავლებისა და ტრენინგის სისტემა, ინფორმაციული სისტემებისა და მათი ექსპლოატაციის პირობების

პერიოდული აუდიტის, უსაფრთხოების თვალსაზრისით მათი შეფასებისა და სერტიფიცირების სისტემა. აუცილებელია საქართველო მიუერთდეს ევროკავშირის კონვენციას კომპიუტერული დანაშაულობების შესახებ და საკანონმდებლო დონეზე აკრძალულ იქნეს ინტერნეტსა და სხვა ქსელებში თუ სისტემებში შეურაცხმყოფელი და კრიმინალური სახის საინფორმაციო შემცველობის გავრცელება. ამასთანავე, უნდა აიკრძალოს ინფორმაციული სისტემების დაცვის დარღვევის პროგრამულ-აპარატურული საშუალებების, კოდებისა და პაროლების წარმოება-გავრცელება და განისაზღვროს აღმკვეთი ზომები აღნიშნული სამართალდარღვევებისათვის. აგრეთვე, აუცილებელია სხვა საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა, კერძოდ: საინფორმაციო ტექნოლოგიების სტანდარტების შემუშავება, მათი სერტიფიცირების წესების განსაზღვრა, საინფორმაციო უსაფრთხოების დაცვის რეგლამენტებისა და წესების შემუშავება, ინფორმატიზაციის სფეროში სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

ლიტერატურა:

1. მ. მაღრაძე, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2000;
2. მ. სურგულაძე, კომპიუტერული დანაშაული, თბ., 2003;
3. მ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბ., 1999;
4. Батурич Ю. М. и др. Компьютерная преступность и компьютерная безопасность, М., 1997;
5. <http://www.science.org/Documents/koncefcia/koncefcia.pdf>
(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვარი № 2 დადგენილების დანართი (საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია 2000 – 2015 წლებში);
6. <http://conference.ge>

რეზიუმე

საზოგადოების ინფორმატიზაცია საყოველთაო კომპიუტერიზაციასთან ერთად მოიცავს საზოგადოებაში ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას, ეს არის სახელმწიფოს სიძლიერე, თავდაცვისუნარიანობა, მთლიანობა, ცოდნა, წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე. კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის წარმოება და გამოყენება შეუზღუდავი გეოგრაფიული მანძილებით გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა.

ამ ახალი შესაძლებლობების მეორე მხარე კი დიდ საზრუნავს წარმოადგენს ხელისუფლებისათვის, კომპანიებისათვის და მოქალაქეებისათვის. საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესს დადებით მხარეებსა და ტენდენციებთან ერთად აქვს თანმდევი უარყოფითი მოვლენები, მეორე - უარყოფითი მხარეც.

ინფორმაციული ტექნოლოგიების არასწორი, დაუსაბუთებელი, შეუზღუდავი გამოყენება დროთა განმავლობაში უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის პიროვნებაზე, ჯანმრთელობაზე, საყოველთაო კომპიუტერიზაციის შედეგია დანაშაულის ახალი სახე - კომპიუტერული დანაშაული და აქედან გამომდინარე უარყოფითი სოციალური შედეგები.

THE SECOND SIDE OF PROCESS THE INFORMATIZATION

Tamar Makasarashvili, Full Professor

SUMMARY

The process of informatization of society is a digital information – communication technologies in large-scale and full-scale implementation, application and development of the necessary political, economic, social, cultural, legal, scientific, technical, organizational and other conditions, mechanisms and structures to create a difficult and complex process.

These new opportunities by the other side of the big concerns for the government, companies and citizens. The process of informatization of society and the positive tendencies of the parties, together with a related adverse events, the second - the negative side as well.

IT inaccurate, unsubstantiated, unlimited use over time, negatively affect the human person, on health. Computerization of the general result of a new type of crime - cyber crime, and thus the negative social consequences.

საქართველოს ნიადაგების რუკა ლანდშაფტურ საფუძველზე (ლანდშაფტური და ნიადაგური რუკების შეჯერების ცდა)

*რობერტ მალაკელიძე, აკადემიური დოქტორი
თენგიზ დეკანოიძე, აკადემიური დოქტორი*

საკვლევი თემის დამუშავებისას, რომელიც საქართველოს ლანდშაფტების გეოქიმიური თავისებურებების შესწავლაში მდგომარეობს, გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. იგი ეხება საქართველოს ლანდშაფტური და ნიადაგური რუკების შეჯერების საფუძველზე ნიადაგების რუკის შექმნის იდეას. აღნიშნული ასევე მჭიდრო კავშირშია ნიადაგის, როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთი კომპონენტის, შესწავლასთან (1972,1976,1978, 1983, 1987, 2003).

საქართველოში ნიადაგების და ლანდშაფტური რუკების შექმნას დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ს. ზახაროვის (1923), დ. გედევანიშვილის (1930,1938, 1958), მ. საბაშვილის (1939, 1954), გ. ტალახაძის (1963), ი. ანჯაფარიძის (1980) და სხვა მეცნიერთა მიერ შექმნილ ნიადაგურ რუკებს დიდი აღიარება და სახალხომეურნეობრივი გამოყენება ჰქონდა. ასევე შეიძლება მ. სანებლიძის, ქრ. ჯაყელის, დ. უკლებას (1970), ნ. ბერუჩაშვილის (1979) და სხვათა ლანდშაფტურ რუკებზე ითქვას.

არცთუ ისე დიდი ხანია, საქართველოს გეოგრაფიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. გამოვიდა საქართველოს ახალი ლანდშაფტური და ნიადაგური რუკა, 1:500000 მასშტაბში. საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა შედგენილია პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის (2000 წ.) მიერ, ნიადაგური რუკა კი შეადგინა თენგიზ ურუშაძემ (2001 წ.). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ლანდშაფტური რუკა შედგენილია პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის მიერ, იგი ასახავს საქართველოს ლანდშაფტმცოდნეთა თვალსაზრისს. საქართველოს ნიადაგების რუკის შედგენაში პროფესორ თენგიზ ურუშაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა ავტორთა მთელი კოლექტივი. ასე რომ, მასშიც ნიადაგმცოდნეთა თანამედროვე თვალსაზრისია გადმოცემული.

საქართველოს ნიადაგების რუკის მრავალ საინტერესო მომენტთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ რუკის სახელწოდებები მოცემულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე და ამ ენებზე ნიადაგების სახელწოდებების ტერმინოლოგია შესაბამისობაშია მოყვანილი. აღნიშნული ამ საკითხის გადაწყვეტის პირველი ცდაა და საშუალებას იძლევა, რუსული ნიადაგური კლასიფიკაცია შევუსაბამოთ საერთაშორისო კლასიფიკაციას.

ცნობილია, რომ ლანდშაფტური გამოკვლევები კომპლექსური კვლევაა, ნიადაგი კი მისი უმთავრესი ნაწილი. აქედან, ლანდშაფტურ გამოკვლევებში ყოველთვის დიდი როლი ენიჭება ნიადაგების კვლევას. ლანდშაფტმცოდნეთა მიერ ჩატარებული ნიადაგების ჭრილების ფიზიკომიური აღწერილობები არაფრით არ ჩამოუვარდება ნიადაგმცოდნეთა მიერ აღწერილ ჭრილებს. თუმცა, ქიმიური ანალიზი ლანდშაფტურ გამოკვლევებში გარკვეული მიზეზის გამო ნაკლებადაა გამოყენებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლანდშაფტმცოდნეები ყოველთვის უთანხმდნენ თავიანთ ნიადაგურ აღწერილობებს ნიადაგმცოდნეთა მიერ მიღებულ მონაცემებს. კერძოდ, ქართული ნიადაგმცოდნეობის ფლაგმანის, თენგიზ ურუშაძის კვლევებს.


ასე რომ, ავიღეთ ეს ორი რუკა – ლანდშაფტური და ნიადაგური, შევადარეთ ერთმანეთს. ისინი შევადარეთ, ერთი მხრივ, შინაარსის, ე.ი. გამოყოფილი ნიადაგური ერთეულების მიხედვით (ნიადაგების ტიპი, ქვეტიპი და სხვ.), მეორე მხრივ, კონტურების მიხედვით, ე.ი. თუ როგორია ლანდშაფტურ და ნიადაგურ რუკებზე გამოყოფილ ერთეულებს შორის სივრცობრივი დამთხვევა ან განსხვავება. ბევრ შემთხვევაში მივიღეთ საინტერესო მონაცემები. თუმცა, ლანდშაფტური და ნიადაგების რუკის შედარებისას ხშირად აღმოჩნდა მათზე წარმოდგენილ ნიადაგებს შორის დაშორიშორება. აღნიშნული ჩავატარეთ როგორც კარტოგრაფიული, ასევე გის მეთოდით.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ამ რუკების შედარების შედეგად შევადგინეთ საქართველოს ნიადაგების რუკა ლანდშაფტურ საფუძველზე 1:500000 მასშტაბში (ნახ.1). რას ნიშნავს ლანდშაფტურ საფუძველზე? გამოვიყენეთ ლანდშაფტური კონტურები და ჩავტვირთეთ შიგ ნიადაგური შიგთავსი. ე.ი. ლანდშაფტური კონტურები დარჩა იგივე და მასში ჩაისვა ნიადაგის ტიპი. ამ დროს მოხდა ზოგიერთი ნიადაგური ტიპის გაერთიანება; გაყოფა არ მომხდარა.

ჩვენი მიზანი არ არის ამ ნიადაგების რუკის კრიტიკა ან ანალიზი. აღნიშნულს გააკეთებს ამ საკითხით დაინტერესებული მომხმარებელი. ნაშრომის მიზანი მხოლოდ ლანდშაფტებისა და ნიადაგების რუკაზე წარმოდგენილი ნიადაგების ერთ სისტემაში მოყვანაა.

ნახ. 1 საქართველოს ნიადაგების რუკა ლანდშაფტური და ნიადაგების რუკის ფუჯვარების საფუძველზე

საქართველოს ნიადაგები



ნიადაგების ტიპები

1	მოა-მდელოს პრიმიტული
10	ტყის ყვითელ-ყონრადი
12	ნეშომპალ-კარბონატული
15	წითელმიწა
17	ყვითელმიწა
18	ყვითელმიწა-ქვი
19	სუბტროპიკული ქვი
2	მოა-მდელოს
21	ყვითელმიწა ღებანი
23	შავმიწა
26	შავი კარბონატული
30	ყვისფერი გამოტუკული
31	ყვისფერი ტიპური
32	ყვისფერი კარბონატული
34	მდელოს ყვისფერი
36	რუხი-ყვისფერი მუქი
37	რუხი-ყვისფერი
38	რუხი-ყვისფერი ღია
40	ბიცობი
42	ალუვიური მუქი
44	ალუვიურ-კარბონატული
46	ტორფიან-პოზიანი
49	ნიადაგის საფარს მიკლდეული
5	მოა-მდელოს შავმიწისებური
6	მოა-ტყე მდელოს
7	ტყის ყვითელი მუქი
8	ტყისყვითელი სუსტად არამპლარი
9	ყვითელი გაქვრებული

აქვე გვინდა დასკვნის სახით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ლანდშაფტური და ნიადაგების რუკის შეჯერების საფუძველზე შედგენილი საქართველოს ნიადაგების რუკა ძალზე მოსახერხებელია როგორც ლანდშაფტური, ასევე ნიადაგური კვლევებისათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც ლანდშაფტური, ასევე ლანდშაფტურ-გეოქიმიური კვლევები კომპლექსური კვლევაა. ნიადაგი ლანდშაფტურ გეოქიმიურ კვლევებში უმთავრესი ნაწილია, განსაკუთრებით გეოქიმიური ლანდშაფტების კლასების გამოყოფისას. გეოქიმიური ლანდშაფტების კლასები - გამოიყოფა ნიადაგის A ჰორიზონტში წყლისმიერი მიგრაციის თავისებურებებით. ამიტომ ჩვენ მიერ შედგენილ საქართველოს ნიადაგების რუკას ლანდშაფტურ საფუძველზე გეოქიმიური ლანდშაფტების კლასების გამოყოფისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს რეალურ წინაპირობას საქართველოს ლანდშაფტურ-გეოქიმიური რუკის შედგენის საქმეში.

აღნიშნული ნიადაგების რუკა ლანდშაფტურ საფუძველზე შესაბამისობაშია ნიადაგების საერთაშორისო კლასიფიკაციასთან.

ამ რუკით ადვილი განსასაზღვრია, რომელ ლანდშაფტებში გვხვდება ესა თუ ის ნიადაგი.

ამ რუკით შესაძლებელი ხდება ცალკეულ ლანდშაფტში ამა თუ იმ ნიადაგის ფართობის განსაზღვრა, მათი შედარება და სხვა.

ჩვენ გვსმის, რომ აღნიშნული მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ორი მეცნიერული დარგის – ნიადაგმცოდნეობის და ლანდშაფტმცოდნეობის შეჯერებაში და იგი მოითხოვს ფართო განხილვას. თუმცა აღნიშნული რუკის არსებობის პირობებში შეგვიძლია მივიღოთ გის მეთოდების საფუძველზე გარკვეული შედეგები, მრავალი ლანდშაფტური თუ ნიადაგური კვლევისთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად.

ლიტერატურა:

1. Беручашвили Н.Л. и др. Марткопский стационар - 30 лет спустя. Кавказский географический журнал, 2003, №3
2. Беручашвили Н.Л. Геофизика ландшафта. - М.: Высшая школа, 1990.
3. Ковда В.А. Основы почвоведения. -М.1973.
4. Ландшафтные исследования на Марткопском стационаре. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1976.
5. Ландшафтный сборник. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1972.
6. Маглакелидзе Р.В. Состояния почв и природно-территориальных комплексов: анализ связи - Тбилиси: Изд. универсал, 2006.
7. Наблюдения и исследования на Марткопском стационаре. Ландшафтно-геофизические исследования 1973 г. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1974.
8. Стационарные исследования - что они дали. - Тбилиси: Изд.ТГУ, 1987.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს ლანდშაფტური და ნიადაგური რუკების შეჯერების საფუძველზე 1:500 000 მასშტაბში ნიადაგების რუკის შექმნის იდეა.

SOIL MAP OF GEORGIA ON THE BASE OF LANDSCAPE (Comparison of the Landscapes and Soils Maps of Georgia)

Robert Maglakelidze, Academic Doctor

Tengiz Dekanoidze, Academic Doctor

SUMMARY

The article carry off idea of creation Soil Map of Georgia on the base of Landscape baseis in scale of 1: 500 000.

ენერგოსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი ბიომასის ენერჯის გამოყენების მაგალითზე

ზურაბ ტიელიძე, სრული პროფესორი

საზოგადოების ენერგოაღჭურვილობა მისი სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის საფუძველი, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მზარდი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ენერგეტიკის ახალი დარგი, ე. წ. “ენერგოდამზოგველი” ენერგეტიკა, რომლის მიზანია განაპირობოს უკვე საკმაოდ დაზიანებული ბიოსფეროს შენარჩუნება და ამისათვის იგი ეძებს ახალ, ენერჯის ალტერნატიულ–არატრადიციულ წყაროებს (წყლის, მზის, ქარის, ზღვის, ოკეანის ტალღების, გეოთერმულ, ბიომასის და სხვ.), რომლებიც არ მიაყენებს ზიანს გარემოს, იქნება იაფი, ეფექტური და გამოსაყენებელი განუსაზღვრელი დროის მანძილზე ანუ ამოუწურავი, განსხვავებით ტრადიციული ენერგეტიკული რესურსებისაგან (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, ატომური ნედლეული, ტორფი, შუშა და ა. შ.). არატრადიციული კვლავწარმოებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას განსაზღვრავს წარმოებული ენერჯის ღირებულება, ტრადიციულთან შედარებით, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერჯის ლოკალურ მომხმარებელს.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ენერჯის განახლებადი წყაროების, ანუ ბუნებაში მუდმივად არსებული ან პერიოდულად შევსებადი ენერჯის ნაკადებზე დაფუძნებული ენერჯის წყაროების გამოყენებაზე გადასვლის აუცილებლობა გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით, კერძოდ:

1. ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების ამოწურვადობა. გაანგარიშებულია, რომ კაცობრიობას ქვანახშირის არსებული მარაგი ეყოფა დაახლოებით 270 წელს, ურანისა – 100 წელს, ნავთობისა და ბუნებრივი აირისა კი დაახლოებით 50 წელს (სტატიაში გამოყენებულია “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს” მონაცემებიც. ზ. ტ.);

2. ტრადიციული რესურსების, როგორც ძვირფასი ქიმიური ნედლეულის, დაზოგვის აუცილებლობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობა ნამდვილად ჩადის უპატიებელ ცოდვას მომავალი თაობების წინაშე, როდესაც იგი, ტექნოლოგიური უძღურების გამო, ასე უმოწყალოს ანადგურებს უზარმაზარ ძვირფას ქიმიურ სანედლეულო ბაზას – ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვათა სახით, გამოიყენებს და მოიხსენიებს რა მათ ეგრეთ წოდებულ საწვავ რესურსებად.

3. გლობალური დათბობის (“სათბურის ეფექტის”) თავიდან აცილება. ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება – მათი წვა ხელს უწყობს ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის (ეს მაჩვენებელი დედამიწაზე +15 გრადუსის ტოლია) ზრდას. 1860 წლიდან დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურამ გრადუსის 2/3–ით მოიმატა, რაც გამოწვეულია ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების (წვის) შედეგად, როდესაც ადგილი აქვს ატმოსფეროში ე. წ. “სათბურის გაზების” – ნახშირორჟანგის (CO₂), მეთანის (CH₄), აზოტის ოქსიდის (N₂O) და სხვა აირების გამოყოფასა და დაგროვებას. ამ პროცესის შედეგად კი დედამიწის საშუალო ტემპერატურა +15 გრადუსზე ზემოთ ადის, რასაც მეცნიერები “გამდიერებული სათბურის ეფექტს” – გლობალურ დათბობას უწოდებენ. სწორედ ეს მოვლენა იწვევს კლიმატის არასასურველ ცვლილებას, რასაც ხშირად შედეგად მოსდევს დედამიწაზე დღეისათვის აგრერიგად მომძლავრებული უარყოფითი კლიმატურ–ატმოსფერული მოვლენები.

4. მოსახლეობის – ენერჯის მომხმარებლის რაოდენობის ზრდა. ეს მოვლენა მეოცე საუკუნეშია დაწყებული და XXI საუკუნეში განგრძობად ხასიათს ატარებს და ე. წ. ”დემოგრაფიული აფეთქების” სახელწოდებითაა ცნობილი. პროცესი გრძელდება და, დემოგრაფთა პროგნოზით, ამ საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 10–12 მილიარდს მიაღწევს, რაც მათი ენერჯით მომარაგებისათვის ალტერნატიული რესურსების გამოვლენისა და გამოყენების აუცილებლობას წარმოშობს.

ალტერნატიული – არატრადიციული ენერგეტიკული რესურსებიდან ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია **ბიომასის ენერჯია**. ბიომასა – ესაა სასოფლო–სამეურნეო ორგანული ნარჩენები (პირუტყვის, ფრინველის ნაკელი), აგრონარჩენები (ნამჯა, ტექნიკური კულტურების ნარჩენები) და საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები (სატყეო და ხის გადამამუშავების მრეწველობის ნარჩენები, ქალაქის წარმოების ნარჩენები და სხვ.).

ბიოგაზის გამოყენება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 ათასწლეულში თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე დაიწყო. მდინარე ელბის აუზის დაჭაობებულ მიწებზე მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა მოიფიქრეს ჭაობის ზედაპირიდან ამომავალი აალებადი გაზის გამოყენება. ისინი ჭაობის ზედაპირს ტყავებით ფარავდნენ, შემდეგ კი ტყავებისავე მილებით მიყავდათ დაგროვილი გაზი თავიანთ საცხოვრისამდე და იყენებდნენ საჭმლის მოსამზადებლად.

მე-17 საუკუნეში ვან ბენმოლდმა აღმოაჩინა, რომ ბიოლოგიურად დეგრადირებული ბიომასა გამოყოფს აალებად გაზებს. ალექსანდრო ვილტა კი 1776 წელს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება ბიომასის რაოდენობასა და მისი დეგრადაციის შემდეგ გამოყოფილი გაზის რაოდენობას შორის. 1808 წელს ჰემფრი დევიმ კი ბიოგაზში მეთანი აღმოაჩინა. 1859 წელს თანამედროვე ტიპის ბიოდანადგარი აშენდა ბომბეიში. 1895 წელს მიწისქვეშა საკანალიზაციო არხებიდან მიღებული ბიოგაზი გამოიყენეს ქალაქის გარე განათებისათვის. მიკრობიოლოგიის განვითარების შედეგად 1930 წელს აღმოაჩინეს ის ბაქტერიები და ის ბიოლოგიური პროცესები, რომლებიც მონაწილეობას დებულობს ბიოგაზის წარმოქმნის პროცესში.

ამჟამად მსოფლიოში ბიოგაზის მისაღებად დაახლოებით 60 სახის ტექნოლოგია გამოიყენება. ყველაზე ფართოდ გამოიყენება ორგანული ნივთიერებების დახურულ აუზში ანაერობული (უჰაერო) ფერმენტაცია. რადგანაც ბაქტერიები ბიომასის 25–70 გრადუსის ფარგლებში გარდაიქმნიებიან მეტანად, ამ ტექნოლოგიით წელიწადის ცივ პერიოდებში გამოიმუშავებული ბიომასის ნაწილი (15–20%) გამოიყენება რეზერვუარის შესათბობად და ბიოლოგიური პროცესების შენარჩუნებისათვის. ცხელი კლიმატის ქვეყნებში აუცილებლობას არ წარმოადგენს მეთანის აუზის გათბობა. ზოგიერთი ბიომასა (მაგ.: ფრინველის ექსკრემენტები და სპირტის წარმოების ნარჩენები) ჩვეულებრივ რეაქტორში ბიოგაზად არ გადამუშავდება და ამისათვის დამატებით საჭიროა ჰიდროლიზის რეაქტორი, რომელშიც ხდება მჟავიანობის დონის კონტროლი და ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება მომატებული მჟავიანობისა და ტუტეანობის პირობებში. ასეთი ტექნოლოგიები მოხერხებულია იქ, სადაც არსებობს ნარჩენების მუდმივი წყარო, მაგალითად, მეცხოველეობის ფერმებში ბიოგაზის მისაღებად.

ენერგეტიკული მიზნებისათვის ბიომასა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი ფორმით: 1. თერმოქიმიური (ბიომასის უშუალო დაწვით, მაგალითად, შეშა, ნახერხი და ა. შ.); 2. ბიოტექნოლოგიური (ბიომასის ბიოტექნოლოგიური გადამუშავებით, ანუ უჰაერო-ანაერობულ პირობებში სხვადასხვა ორგანული ნივთიერებების ფერმენტაციის შედეგად გამოიყოფა 5–დან 80%-მდე მეთანი, რომლის გამოყენება შეიძლება. მეთანის მეტად ეფექტურ წყაროს წარმოადგენს ნაკელი). ესე იგი, სხვადასხვა ბიომასიდან შესაძლებელია მიღებულ იქნეს ენერგია, რომელიც ბიოენერჯის სახელწოდებითაა ცნობილი. სხვა ენერგეტიკულ რესურსებთან შედარებით, ბოლო ხანებში ბიომასის ენერჯის მოხმარების საერთო ზრდა მსოფლიოში წელიწადში მოხმარების 15% შეადგენს. ბიომასაში ფოტოსინთეზით დაგროვილი ენერგია თვითონ შეიძლება გახდეს შემდგომში ენერჯის წყარო. ჩვეულებრივ ეს თბური ენერგიაა, რომლიდანაც შესაძლებელია ელექტროენერჯის მიღება. ბიომასიდან შეიძლება აგრეთვე თხევადი საწვავის, წყალბადისა და ეთილის სპირტის მიღება.

ბრაზილიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ მხრივ, ხორციელდება მსოფლიოში ყველაზე მსხვილი პროექტები. ბრაზილიაში ბიომასიდან (შაქრის ლერწამი) მიიღება ეთილის სპირტი, რომელიც გამოიყენება, როგორც ავტომობილების საწვავი, რაც გაცილებით ამცირებს გამონაბოლქვს და დადებითად მოქმედებს გარემოზე.

საქართველოს, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოს, ბიომასის გამოყენების დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ქ. მცხეთასთან ახლოს, სოფ. ბაგინეთში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 2500 წლისწინანდელი აბანოს ნარჩენები, რომლის დახვეწილი თბური სქემა სპეციალისტებში დღესაც გაცეხას იწვევს. სათბობად, რა თქმა უნდა, გამოიყენებოდა შეშა.

გამოანგარიშებულია, რომ საქართველოში მოქმედი წვრილი ფერმერული მეურნეობები ყოველწლიურად მოიხმარენ დაახლოებით 4,5 მლნ. კუბ. მეტრ შეშას, ხოლო საქართველოს ტყეების მერქნის მთელი მარაგი კი შეადგენს 420 მლნ. კუბ. მეტრს, ამ ტყეების ყოველწლიური ნამატი მერქანი 3,9 მლნ. კუბ. მეტრია. როგორც ვხედავთ, საქართველოს მხოლოდ წვრილ ფერმერულ მეურნეობებში ყოველწლიურად გამოიყენება მთელი მერქნის მარაგის 1,1%, ხოლო ტყეების მერქნის მარაგის შეივსება ხდება მხოლოდ 0,9%-ით. ეს გარემოება კი საქართველოს ტყეების მოსპობის საფრთხის წინაშე აყენებს. არადა, ტყის მეურნეობის მდგრადობის შესანარჩუნებლად საქართველოში ტყის ჭრის მოცულობის ნორმა წელიწადში შეადგენს 1 მლნ კუბ მეტრს. აღნიშნულ ფონზე ნათელი ხდება ის გარემოება, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ნარჩენი ბიომასის გამოყენებას,

რომლის რაოდენობა საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 20 მლნ. კუბ. მეტრს შეადგენს. საქართველოს მხოლოდ მსხვილ ქალაქებში დაგროვილი კომუნალური ნარჩენების (600–700 ათასი ტონა წელიწადში) თბური ენერგოპოტენციალი 1–1,5 მლრდ. კვტ. საათით არის შეფასებული (აქედან დაახლოებით ნახევარი თბილისზე მოდის). მთლიანად საქართველოში არსებული სხვადასხვა სახის ბიომასის იგივე მაჩვენებელი კი 3,2–4,7 მილიარდი კვტ. საათის ტოლია, რაც საქართველოში დღეისათვის ყოველწლიურად წარმოებული ელექტროენერჯის დაახლოებით 50%-ს ეტოლება.

ნებისმიერ გლეხურ მეურნეობაში წლის განმავლობაში გროვდება ნაკელის, მცენარეული ძირების, სხვადასხვა ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ჩვეულებრივი გახრწნის შემდეგ ისინი გამოიყენება, როგორც ორგანული სასუქი. ცოტა ვინმემ თუ იცის, ბიოგაზისა და სითბოს რა რაოდენობა გამოიყოფა მათი ფერმენტაციისას. ამ ენერჯიას კი შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს სოფლის მოსახლეობას. გარდა იმისა, რომ ბიომასის გამოყენებით რამდენადმე გადაიჭრება ენერგეტიკული და ეკოლოგიური პრობლემები, ბიომასის ნარჩენები ძვირფას ორგანულ სასუქს წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში.

საქონლის ნაკელისაგან, მეთანური დუღილის მეთოდით იღებენ ბიოგაზს. ბიოგაზი შედგება 55–75% მეთანისა და 25–45% ნახშირორჟანგისაგან.

ბიოგაზი გაზისებრი პროდუქტია, რომელიც წარმოიქმნება უჰაერო (ანაერობულ) პირობებში სხვადასხვა წარმოშობის მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნივთიერებების ფერმენტაციით, კერძოდ, ნაკელის, მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების (საჭმლის, ხილის, ბოსტნეულის, ქატოს და სხვა). ნარჩენების ფერმენტაციის დროს გამოიყოფა ბიოგაზი, რაც გამოიყენება ბუნებრივი აირისა და თხევადი საწვავის ნაცვლად. ვინაიდან ორგანული ნარჩენების გახრწნა გარკვეული ტიპის ბაქტერიების მოქმედების ხარჯზე ხდება, მასზე არსებით გავლენას ახდენს ტემპერატურული გარემო. წარმოებული გაზის რაოდენობა დამოკიდებულია ტემპერატურულ რეჟიმზე. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა (55–60 გრადუსი), მით უფრო მაღალია ორგანული ნედლეულის ფერმენტაციის ინტენსიურობა. სწორედ ამიტომ ბიოგაზის მიღების პირველი დანადგარები თბილ კლიმატურ ქვეყნებში გაჩნდა. ისეთ ქვეყნებში, სადაც ზამთრის პერიოდში ტემპერატურა –20 C⁰-მდე და უფრო დაბლა ჩამოდის, საჭიროა თბოიზოლაციის გამოყენება და დანადგარის შეთბობა. საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა დანადგარი აშენებულია საერთაშორისო დონორების ხელშეწყობით 1994–2007 წლებში. დღეისათვის სულ ექსპლუატაციაშია 400–ზე მეტი დანადგარი.

დღემდე განხორციელებული პროექტებიდან საქართველოში გავრცელებულია ჩინური მტკიცე გუმბათიანი და ინდური მცურავზარხუფიანი დიზაინის სახეცვლილების 6 კუბ/მეტრი მოცულობის (4–6 სული მსხვილფეხა პირუტყვიდან მიღებული ნარჩენის) დანადგარები.

ბიოდანადგარების შიგნით სათანადო ტემპერატურის შესანარჩუნებლად საქართველოს ცივ რეგიონებში ამჟამად ორი ძირითადი ტექნიკა გამოიყენება. ესენია ჩასატვირთი ნაკელის ცხელ წყალში გახსნა (წყალი ცხელდება ბიოგაზის ელენერჯის, შემის, მზის წყალგამაცხელებლის და სხვა საშუალებით) და თერმოიზოლაცია (ნიადაგის, თივის, მინაქსოვილის ერთი ან მეტი ფენა). საწყის ეტაპზე წყალი ცხელდება შემით, შემდეგ კი–გამომუშავებული ბიოგაზით. თერმოვილური პირობებისათვის შიდა ტემპერატურა უნდა იყოს 45–65 გრადუსი, რომლის შენარჩუნება ცივ კლიმატში გათბობის გარეშე შეუძლებელია.

საქართველოს აგროსექტორის განვითარება და იქ არსებული ყოველწლიურად განახლებადი ბიომასის რესურსებრივი პოტენციალი იძლევა შესაძლებლობას, უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ენერგომოთხოვნილების 14–17%. საქართველოში მარცვლოვანი კულტურების წარმოების ნარჩენი ბიომასა დაახლოებით 1,6 მლნ. კუბური მეტრია. საქართველოს მეცხოველეობის ფერმებში ყოველწლიურად დაახლოებით 2 მლნ. კუბმეტრი ბიომასა გროვდება. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სრული ენერგეტიკული პოტენციალი დაახლოებით 6,7 მლნ კვტ. საათია და 734 მლნ. კუბმეტრი ბუნებრივი აირის ექვივალენტურია, რაც მნიშვნელოვანი რესურსია ქვეყნისათვის, როგორც ენერგეტიკისა და ეკონომიკის, ასევე გარემოსდაცვითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მართალია, საზოგადოების მიერ ენერჯის არატრადიციული (განახლებადი) წყაროების გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, უმთავრესად კი მათ მაღალ თვითღირებულებასთან (ბიოგაზის დანადგარის ღირებულება მისი კატეგორიის, ზომისა და ადგილის მდებარეობის მიხედვით მერყეობს საშუალოდ 2000–3000 აშშ. დოლარის ფარგლებში) და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნის აუცილებლობასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა,

პერსპექტივაში აღნიშნული რესურსების გამოყენება მაინც მიგვაჩნია გარემოს მდგრადი განვითარებისა და ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად.

ლიტერატურა:

1. „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ენერჯის განახლებადი წყაროების მიმართულებით“ – „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიში, (საქართველო, 2008);
2. ბიწაძე ა., „მცირე ფერმერულ მეურნეობებში ბიოგაზის დანადგარის აშენების რეკომენდაციები“ – 2001;
3. „ბიოგაზი: რეტპროსპექტივა და მიმოხილვა“ Winrock internacional/USAID_ის „ენერჯეტიკის განვითარება სოფლად“ პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიში, (საქართველო, 2007);
4. ჩხაიძე ბ., „ბიოგაზი“_პრეზენტაცია, Winrock internacional/USAID_ის „ენერჯეტიკის განვითარება სოფლად“, 2006;
5. „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ მასალები, 2011;
6. პეპანაშვილი ნ. და სხვ., გარემო და მდგრადი განვითარება, 2007;
7. ტიელიძე ზ., საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალების განლაგება, გორი, 2008.

რეზიუმე

ნაშრომი ეხება ენერჯეტიკის ახალ დარგს – „ენერგოდაზოგველ ენერჯეტიკას“, რომლის მიზანია ახალი ენერჯის – ალტერნატიული – არატრადიციული წყაროების (წყლის, მზის, ქარის, ზღვის ტალღების, გეოთერმული, ბიომასის და სხვ.) გამოყენებით განაპირობოს უკვე საკმაოდ დაზიანებული ბიოსფეროს შენარჩუნება და შეაფერხოს ე.წ. „სათბურის ეფექტი“.

ნაშრომში დასაბუთებულია ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაზე გადასვლის აუცილებლობა, განხილულია საქართველოს ბიომასის ენერჯის რესურსებრივი პოტენციალი, მისი მნიშვნელობა და ეკონომიკური ეფექტი.

SOME ISSUES OF ENERGETIC SECURITY ON THE EXAMPLE OF LABOUR ENERGY USAGE

Zurab Tielidze, Full Professor

RESUME

In the work the author discusses the new field of energetics - “Energy Saving Energetic”. It aims to keep already damaged biosphere and delay so called “Greenhouse Effect” by using the alternative and traditional sources of new energy (water, wind, sea waves, geothermal, biomass) and so on.

The work deals with the arguments and reasons of inevitable usage of new alternative sources of energy; herewith, the author discusses the potential of biomass energy as a resource, its importance and economical effect.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

ელექტრონული ბაზრის განვითარების პერსპექტივები და პრობლემები საქართველოში

ხათუნა ბებნაძე, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა, ხელი შეუწყო ადამიანების გაცნობა-დამეგობრებას, საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ფინანსური კაპიტალის, საწარმოო და შრომითი რესურსების, აგრეთვე ინფორმაციის მიმოქცევა მსოფლიო მასშტაბით დროის უმცირეს მონაკვეთში. სწორედ ელექტრონული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა კი ინტერნეტი, როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც. საზოგადოების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია იქცა სტრატეგიულ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების განვითარებას. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი გახდა ცოცხალი მატერიის არსებობა და განვითარება. კაცობრიობაზე ელექტრონული ტექნოლოგიების გავლენამ შეცვალა წარმოების და მომსახურების პროცესი, ადამიანთა ცხოვრების წესი, აზროვნება, საზოგადოებისათვის მოიტანა ახალი თავისებურებები. თანამედროვე ეტაპზე ინფორმაცია გვევლინება როგორც ძალა, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიის განვითარება ქვეყნის განვითარების ინდიკატორად მიიჩნევა. ინტერნეტი განაპირობებს მსოფლიო სამეურნეო პროცესებში მჭიდრო ინტეგრაციას, აგრეთვე ქსელური ეკონომიკის, ელექტრონული ბაზრის, კონკურენტული და გამჭვირვალე ბიზნეს გარემოს, საინვესტიციო წყაროების გავრცელებას და დამკვიდრებას. იგი არის აბსოლუტურად თავისუფალი, არაკონტროლირებადი, უპრინციპო და ანონიმური, ცენზურის და რედაქტირების გარეშე არსებული სივრცე. მისი ინფრასტრუქტურის მართვაზე ზრუნავს მსოფლიო-სახელმწიფოები: მთავრობის, კერძო სექტორის და საზოგადოებრივ გაერთიანებათა სწავლული ექსპერტები. ინტერნეტ-სივრცეში ხდება ბიზნეს საქმიანობის დანამატის მოდელის პოტენციალის გამოვლენა, ახალი სახის ეკონომიკური პროდუქტების მიმოქცევა, წარმოების პროცესების რეალიზება, მარკეტინგი, ვაჭრობა, ანგარიშსწორება, მონაცემთა გაცვლა, კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება და კომუნიკაციური კულტურის შექმნა, ჩვეულებრივი თუ საერთაშორისო მეცნიერული კომუნიკაციების, ასევე ინტერნეტ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ჩამოყალიბება.

ინტერნეტმა მოახდინა მარკეტინგის ტრანსფორმირება, რომელმაც მოიტანა ახალი თავისებურებანი, მახასიათებლები და უპირატესობანი. ყოველივე ამან კი მიგვიყვანა მარკეტინგის განვითარების ახალ ეტაპზე. ელექტრონული მარკეტინგი, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად. ინტერნეტ-ქსელისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებამ ხელი შეუწყო ამ ახალი მიმართულების წარმოქმნას. ინტერნეტი და ინფორმაციული ტექნოლოგიები გახდა ძირითადი სფერო მარკეტინგული ცოდნის გამოყენებისათვის, რომლის განვითარებასთან ერთად ვითარდება ელექტრონული მარკეტინგის მეცნიერებაც. ელექტრონული მარკეტინგის, როგორც საქმიანი აქტივობის გამოყენების თავისებურებას წარმოადგენს „ნდობის სინდრომის“ შექმნა, კონკურენტული ბრძოლის სისწრაფე და პრაგმატული გათვლა, მომხმარებელთა მოპოვების მაქსიმალიზაცია, მოთხოვნილების ბუნების ცვალებადობის მართვა, მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მუდმივი მოპოვება და ანალიზი, აგრეთვე კომპანიის ადაპტაცია მომხმარებელთა მოთხოვნებზე. ელექტრონულმა მარკეტინგმა მოახდინა ახალი ეკონომიკური სივრცის ფორმირება. ამ ახალ ეკონომიკურ სივრცეში წარმოიშვა ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, როგორცაა ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა. ელექტრონულ ვაჭრობას აქვს მრავალი უპირატესობა როგორც მყიდველის, ისე გამყიდველისათვის. ელექტრონული კომერციის საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სამრეწველო ვაჭრობას (B2B) და

საცალო ვაჭრობას ((B2C), ხოლო ბიზნესის სხვა კატეგორიები ნაკლებად განვითარებულია და, შესაბამისად, მათი ბრუნვის მასშტაბები მცირეა. კომპიუტერმა შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური პროცესები, ინფრასტრუქტურა, საქმიანი გარემო, ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო მასშტაბით, დააჩქარა გლობალიზაციის პროცესები და გახდა კულტურის და პროგრესის ძრავა. თანამედროვე კომპიუტერულმა საშუალებებმა რადიკალურად შეცვალა მსოფლიოს სურათი საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში - სახელმწიფო მართვა, თავდაცვა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება და სხვა. საზოგადოების კომპიუტერიზაცია იქცა ქვეყნის რესურსად, მსოფლიოს მასშტაბით იზრდება ინფორმაციულ სფეროში დასაქმების წილი. თანამედროვე მყიდველის პროფილი და ქცევა სხვადასხვა ქვეყანაში განისაზღვრება საკომუნიკაციო ქსელების განვითარებითა და პერსონალური კომპიუტერების გავრცელებით. საინფორმაციო სისტემების ეფექტიანობის თვალსაზრისით, კომპანიები მაშინაა განვითარებული, რაც ნაკლებია სხვაობა თანამშრომელთა და კომპიუტერის რაოდენობას შორის. კვლევამ გვიჩვენა, რომ კომპიუტერული ინდუსტრია ჩამოყალიბდა და განვითარდა სწრაფად, დღეისათვის კომპიუტერული პარკი ითვლის 1 მლრდ კომპიუტერს, პერსონალური კომპიუტერის მსოფლიო მიწოდება შეადგენს 239,4 მლნ ერთეულს. კომპიუტერის ბაზარი, სეგმენტი და აუდიტორია, კომპიუტერის საათობრივი, დღიური და ყოველთვიური მოხმარება ერთობლიობაში წარმოადგენს სექტორის დედაარსს, რაც მთლიანობაში მეტყველებს პერსონალური კომპიუტერების უმნიშვნელოვანეს როლზე და საზოგადოების კომპიუტერიზაციაზე. მსოფლიო ინტერნეტ-ბაზრის კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა და მისი რესურსები სულ უფრო იზრდება. კომპიუტერებისა და ქსელური ტექნოლოგიების შეუწყვეტელ ევოლუციასთან ერთად გამუდმებით იზრდება ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობაც. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ინტერნეტ-აუდიტორიის ზრდა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოების განვითარებასთან.

საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების შესწავლის მიზნით 2007 წელს ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა. კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით. გამოკვლეული იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა: საქართველოს ინტერნეტ-პროვაიდერების ბაზარი, საქართველოს ინტერნეტ-ბაზარი, საქართველოში ინტერნეტის, კომპიუტერის მოხმარება და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებანი, საქართველოს ელექტრონულ ბაზარზე ინტერნეტ-რესურსების მოხმარებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულება. ქართული ელექტრონული კომუნიკაციების სეგმენტი გამოირჩევა ეკონომიკური მიმზიდველობით, საკომუნიკაციო დარგის და ინტერნეტ-პროვაიდერების შემოსავლები, ბაზარზე მოქმედი კომპანიები, მომხმარებლები, 2001 წლიდან მოყოლებული, ხასიათდება ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით. ქართული ინტერნეტ-ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინტერნეტის აქტიური აუდიტორია შედგება 15-დან 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისაგან, რომლებიც შეადგენენ მთლიანი ინტერნეტ-აუდიტორიის 95%-ს. ხოლო ინტერნეტ-მომხმარებელთა ბირთვის 77% არის სტუდენტი და უმაღლესი განათლების მქონე. საქართველოში ინტერნეტის მოხმარების მარკეტინგული კვლევისას გამოვლინდა, რომ ინტერნეტით და კომპიუტერით სარგებლობა ძირითადად წარმოდგენილია სამსახურის და სახლის ინტერნეტ-არხებით, შედარებით ნაკლებია სასწავლო დაწესებულებების, ინტერნეტ-კაფეს, ბიბლიოთეკით და სხვა გზების მეშვეობით ინტერნეტის და კომპიუტერის მოხმარება გარკვეული საქმიანობისათვის. ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ციფრულ სააბონენტო ხაზს DSL-ს, ხოლო ინტერნეტ-კავშირის მუშაობის ხარისხზე, ინტერნეტ-მომხმარებელთა დაკმაყოფილების და ლოიალობის დონე, მთლიანობაში დადებითია. საქართველოს ინტერნეტ-მომხმარებელთა ბაზრის ჩამოყალიბების პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლო 8-10 წელი, თუმცა ძირითადი სეგმენტის შექმნას უფრო ნაკლები ისტორია აქვს. ფაქტიურად ბაზარზე ინტერნეტ-მომხმარებლების ბირთვის მიერ ინტერნეტის მოხმარების დრო 2 წელია. მომხმარებლების ძირითადი ნაწილი (83%) ინტერნეტით სარგებლობს „ყოველდღე“ და „ხშირად“, დღე-ღამეში საშუალოდ 1-4 საათი, ხოლო კომპიუტერის მოხმარების ინტენსივობის კვლევამ აჩვენა, რომ მას ყოველდღიურად იყენებს 1-8 საათის განმავლობაში. ინტერესის სფეროებია ელექტრონული ფოსტის გაგზავნა/მიღება, ინფორმაციის ძიება/დათვალიერება, გასართობი, ვიდეო-აუდიო ფილმებით სარგებლობა და სხვა.

საქართველოში ინტერნეტ-ქსელის განვითარების დასაწყისად ითვლება XX საუკუნის 90 წლების პირველი ნახევარი. ელექტრონული ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობა საქართველოში გაჩნდა 1991 წელს, 1995 წელს კი განხორციელდა მუდმივი პირველი მიერთება მსოფლიო ქსელთან. დღეისათვის ინტერნეტის აქტიურ მომხმარებელთა რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში 330 ათას გადააჭარბა. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ინტერნეტ მომსახურებით უფრო მეტად ქალაქის მოსახლეობა

სარგებლობს. ინტერნეტ ბაზარს საქართველოში ემსახურებოდა სამი მსხვილი კომპანია პროვაიდერი. “Caucasus Online”- მა დაიკავა დომინირებული პოზიცია. მას შემდეგ, რაც ბაზრის ლიდერმა “Caucasus Network” კომპანიამ ჩაყლაპა ორი მსხვილი პროვაიდერი – “Georgia online” და “Sanet”, იგი აკონტროლებს ინტერნეტ ბაზრის 87,6%. დღეისათვის კიდევ 15 პროვაიდერია უმნიშვნელო წილით. „ომი“ ინტერნეტ ბაზარზე შედის ახალ ფაზაში. „სილქნეტი“ ცდილობს ბაზრის დაკავებას. მომავალში იგეგმება ინტერნეტ-მაგისტრალის მშენებლობა ბულგარეთის პორტ ვარნასა და ფოთს შორის, პროექტის ღირებულებაა 75 მლნ ლარი. იგი შეუერთებს Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS - No 2(5), 2008 184 საქართველოს ევროპის სუპერმაგისტრალს. ამერიკულმა ფირმამ “Tyco Telecommunications” დაასრულა “Caucasus Online” კომპანიასთან დადებული კონტრაქტის შესაბამისად, შავი ზღვის ფსკერზე ათასზე მეტი კილომეტრი სიგრძის ოპტიკური კაბელის გადაყვანის მოსამზადებელი სამუშაოები. მას მიუერთდება “Caucasus Online” კომპანიის მიერ შექმნილი ინტერნეტის ეროვნული ინფრასტრუქტურა. ეს ნიშნავს მთელი ქვეყნის ტერიტორიის დაფარვას ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ქსელით. ამასთან, დაგეგმილია თბილისში “Data center”-ის ამოქმედება, სადაც განთავსდება ყველა ტიპის საკომუნიკაციო კვანძი. აღნიშნული ობიექტი იქნება ერთადერთი მთელ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლის თებერვალში ბრიტანეთის საინვესტიციო ფონდმა “Growth Managment Ltd” შეიძინა “Caucasus Online” კომპანიის 10%-იანი აქციები. პროვაიდერ-კომპანია გეგმავს თავისი აქციების განთავსებას ლონდონის საფონდო ბირჟაზე. რაც შეეხება ტექნოლოგიას, ტრადიციული Dial-up ნელ-ნელა მიდის არენიდან. მიერთების ყველაზე გავრცელებულ ტექნოლოგიას წარმოადგენს ADSL. დღეისათვის ქვეყნის მთავარი პრობლემა ამ დარგში არის მომსახურების მაღალი ფასი და დაბალი ხარისხი. ინტერნეტი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორს, ეკონომიკური აქტივობის სტიმულს.

ქვეყანაში ინტერნეტის განვითარების დონით შეიძლება ვილაპარაკოთ საზოგადოების განვითარების შესახებ. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები დიდხანს აფერხებდა ინტერნეტის განვითარებას. დღეისათვის ინტერნეტი ქვეყანაში ბიზნესის ხელშეწყობის როლში ვერ გამოდის. არ არის განვითარებული ვებ-მარკეტინგი; რეკლამის დამკვეთი არ არის ორიენტირებული ინტერნეტზე, რადგანაც მომხმარებელთა რიცხოზობივი სიმცირის გამო საქართველო როგორც კომპიუტერის ფლობის, ისე ყოველ 10 ათას კაცზე ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებლით, მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა განვითარებად ქვეყნებს შორისაც კი. მეორე მხრივ, ადგილი აქვს ინტერნეტის შესაძლებლობების შეუფასებლობასაც. ინტერნეტის ხარისხი და ფასიც არასახარბიელოა.

საქართველოში ელექტრონული ბიზნესის პერსპექტივები განისაზღვრება ელექტრონული საგადასახადო სისტემების განვითარების დონით, რომელიც მოიცავს პლასტიკური ბარათების ბაზარს და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი გაანგარიშების ფორმებს. ეს პერსონიფიცირებული საგადასახადო ინსტრუმენტი – პლასტიკური ბარათები საქართველოსათვის წარმოადგენს განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალას გლობალური ელექტრონული ბაზრის სახით. ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლების აქტივობა ელექტრონულ ბაზარზე გვიჩვენებს, რომ ძირითადი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ინტერნეტ-მაღაზია, ინტერნეტ-ბანკი, ფულადი ანგარიშსწორება, გადასახადების გადახდა, აუქციონი, ბილეთების დაჯავშნა.

საქართველოში ელექტრონული ბაზრის განვითარების შესწავლაში საინტერესო სეგმენტია ქართული ვებ-გვერდების ბაზარი, რომელიც საკმაოდ სწრაფად ვითარდება, იხვეწება, ხდება ინფორმაციული და პოპულარული. კვლევისას შეფასდა ქართული ვებ-საიტები, გამოვლინდა ის უარყოფითი მხარეები, პრობლემები და რეკომენდაციები, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ვებ-გვერდების ბაზრისთვის. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად გამოვლენილია საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის სპეციფიკა, ქართველ ინტერნეტ-მომხმარებელთა ქცევის თავისებურებანი და დადგენილია განვითარების ძირითადი ტენდენციები. კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის განვითარების ტენდენციები საკმაოდ მაღალია და ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის ჩართვას.

ლიტერატურა:

1. ნ. მაღრაძე, ინფორმატიკა ბიზნესში, ნაწ. I-II, თბ., 2005;
2. გ. კვაშილავა, ინფორმაციული ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები, ჟურნ. „ეკონომიკა“, №6, 2001;

3. მ. მაღრაძე, საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემები, ჟურნ. „ეკონომიკა“, №4-5, თბ., 2001;
4. ნ. ნადარაია, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები, თბ., 2003;
5. მ. ცერცვაძე, ინფორმაციული ტექნოლოგიები და საზოგადოების გლობალური ინფორმატიზაციის ძირითადი ასპექტები, ჟურნ. „ეკონომიკა“, №5-6, თბ., 2005;
6. И. БЕК, Что такое глобализация. ФРГ. 2004г.
7. О. Вершинская, Информационное неравенство каксоциологическая проблема, М., 2001;
8. М. Кастель, Информационная эпоха, М. 2002;
9. В. И. Лойко, Информационные системы и технологии в экономике, М., 2005.

რეზიუმე

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა, ხელი შეუწყო ადამიანების გაცნობა-დამეგობრებას, საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ფინანსური კაპიტალის, საწარმოო და შრომითი რესურსების, აგრეთვე ინფორმაციის მიმოქცევა მსოფლიო მასშტაბით დროის უმცირეს მონაკვეთში. სწორედ ელექტრონული ტექნოლოგიები, უწინარეს ყოვლისა კი ინტერნეტი, როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რომელმაც შეცვალა მსოფლიოს ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც. საზოგადოების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია იქცა სტრატეგიულ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების განვითარებას. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი გახდა ცოცხალი მატერიის არსებობა და განვითარება. კაცობრიობაზე ელექტრონული ტექნოლოგიების გავლენამ შეცვალა წარმოების და მომსახურების პროცესი, ადამიანთა ცხოვრების წესი, აზროვნება, საზოგადოებისათვის მოიტანა ახალი თავისებურებები.

PROBLEMS AND PERSPECTIVES OF ELECTRONIC MARKETING DEVELOPMENT IN GEORGIA

Khatuna Bebnadze, Associate Professor

SUMMARY

The modern information technologies have united and provided communications throughout the whole planet, promoted establishment of contacts and friendly relations, developed business relationships, realized scientific potentials and accomplished adjustments of political correlations. By its means it has become possible to turnover financial capital, information, industrial and labor resources on a global scale for a short period of time. Just information technologies, first of all internet as a global net of sole system of correlated computers has become the foundation of the humanity development, which has changed the life, relations and accordingly business of the peoples throughout the world. The computerization and internet prevalence have turned to be the strategic resource which defines development of states. It has become impossible without information existence and development of lively stuff. Impact of information technologies on humanity has changed the process of production and service, rules of human way of life, thinking; have brought new peculiarities for the society.

კონფლიქტების მენეჯმენტი. ძალაუფლება და გავლენა

ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

კონფლიქტი შეიძლება, განისაზღვროს, როგორც შეხედულებათა დაპირისპირება ან უთანხმოება ორ და მეტ მხარეს შორის ამა თუ იმ საკითხზე. „კონფლიქტი არის სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება, საწინააღმდეგო ინტერესთა, შეხედულებათა შეჯახება“ (ქართ. ენის განმ. ლექსიკონი).

„კამათში იბადება ჭეშმარიტება“. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ის ორგანიზაციები, სადაც არ არის აზრთა სხვაობა და მცირეა უთანხმოება საკითხებთან დაკავშირებით, ვერ აღწევენ წარმატებას. მეორე მხრივ, ყველა სახის კონფლიქტი არ იძლევა დადებით შედეგს.

თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, კონფლიქტი უზრუნველყოფს განსხვავებული მოსაზრებების გამოვლენას და იძლევა დამატებით ინფორმაციას უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. ამიტომ მმართველებს ზუსტად უნდა შეეძლოთ კონფლიქტის მიზეზების დადგენა. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კონფლიქტში მონაწილე მხარეების კულტურული და სოციალური მდგომარეობა; მმართველებმა უნდა შეარჩიონ მათი მოგვარების შესაბამისი სტრატეგია, რათა მოგვარდეს კონფლიქტის საფუძველში არსებული პრობლემა და არ დაზიანდეს პიროვნებათა შორის ურთიერთობა.

კონფლიქტი შეიძლება იყოს ფუნქციური და მიიყვანოს ორგანიზაცია ეფექტიანობის ამაღლებამდე, ან დისფუნქციური და გამოიწვიოს პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სასარგებლოდ, ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შემცირება. საერთოდ, კონფლიქტის როლი დამოკიდებულია მის მართვაზე, რომლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებში გარკვევა. განვიხილოთ კონფლიქტის წარმოშობის წყაროები:

პიროვნული ნაკლოვანებების თეორია — მმართველებს ხშირად ჰგონიათ, რომ პიროვნებების (ან მათი ნაკლოვანებების) მიზეზია წარმოქმნილი უთანხმოება და კონფლიქტი. ასეთ ადამიანებს ისინი თვლიან „უსიამოვნების მომტანად“ და ცდილობენ ასეთი თანამშრომლების მოცილებას. ეს წარმოადგენს კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ ხერხს. გამოკვლევების თანახმად, მმართველები ძირითადად თვლიან, რომ სამუშაოს უხარისხოდ შესრულება არის მომსახურე პერსონალის ბრალი - მათი სიზარმაცის, შესაბამისი უნარ-ჩვევების უქონლობისა და მოტივაციის ნაკლებობის ბრალი. თუმცა მომსახურე პერსონალის აზრით, არასათანადო შედეგის მიზეზი არის არახელსაყრელი გარემო. მენეჯერმა უნდა იცოდეს, რომ თანამშრომლის შეუსაბამო ქცევა სულაც არ ნიშნავს, რომ ის „ცუდია“. სინამდვილეში ამგვარი საქციელი გამოწვეულია ადამიანების იმედგაცრუებით.

პიროვნებების ნაკლოვანებების თეორიის საწინააღმდეგოდ, მეცნიერებმა გამოყვეს კონფლიქტების ოთხი სხვა წყარო.

1. **პიროვნული სხვაობა** – ორგანიზაციებში მყოფი ადამიანები ფლობენ განსხვავებულ ფასეულობებს, იზრდებიან სხვადასხვა გარემოში, ეკუთვნიან განსხვავებულ სოციალურ ფენებს, აქვთ განსხვავებული ტრადიციები, ერთმანეთისგან განსხვავდებიან განათლების დონითა და გამოცდილებით და ა.შ. განსხვავებულია მათ მიერ მოვლენების აღქმა და შეფასება. ყველაზე რთულია პიროვნული ფასეულობების შეუთავსებლობითა და საჭიროებებით გამოწვეული კონფლიქტების მოგვარება.
2. **ინფორმაციის ნაკლებობა** – კონფლიქტის მიზეზი შესაძლებელია, გახდეს ორგანიზაციულ სისტემაში არსებული ნაკლოვანებები. ასეთი სახის კონფლიქტები ხშირია ორგანიზაციებში, თუმცა ადვილად მოგვარებადია.
3. **როლებისა და ფუნქციების შეუთავსებლობა** – ამგვარი კონფლიქტი გამოწვეულია გარკვეული როლებითა და ფუნქციებით ორგანიზაციებში.
4. **გარემოდან გამოწვეული სტრესი** – როდესაც ორგანიზაციებს უწევთ შეზღუდული ბიუჯეტით მუშაობა, შტატების შემცირება და არახელსაყრელ პირობებში მოღვაწეობა, წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაცია თანამშრომელთა შორის. გარემოდან გამოწვეული სტრესის მეორე მიზეზი არის გაურკვევლობა, როდესაც თანამშრომლებს არ შეუძლიათ პროგნოზირება, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, ისინი უფრო ადვილად ღიზიანდებიან და ადვილად ხდებიან კონფლიქტურნი.

კონფლიქტი შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი მიზეზით, რომელთა შორის ძირითადია: რესურსების შეზღუდულობა, სამუშაოთა ურთიერთდამოკიდებულება, განსხვავება მიზნებსა და შეხედულებებში, განსხვავება ქცევის მანერებსა და განათლების დონეში, ცუდი კომუნიკაცია.

კონფლიქტის შედეგები დამოკიდებულია მართვის ეფექტიანობაზე. არასწორი მართვის შემთხვევაში, კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს შრომის მწარმოებლურობის შემცირება, კადრების დენადობის გაძლიერება, დაუკმაყოფილებლობის გრძობის გაჩენა, მოტივაციის დაცემა და ა.შ.

კონფლიქტური სიტუაციების მართვის მეთოდებს მიეკუთვნება: სამუშაოსადმი წაყენებული მოთხოვნების ახსნა-განმარტება, საკოორდინაციო და ინტეგრაციული მექანიზმების გამოყენება, საერთო ორგანიზაციული ხასიათის კომპლექსური მიზნების დადგენა, დაჯილდოების სისტემის გამოყენება.

ადამიანები განსხვავებულად რეაგირებენ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებზე. გამოკვლევებმა ადამიანთა კონფლიქტებზე რეაგირების ხუთი კატეგორია აჩვენა:

1. **ძალმომრეობა** – საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილება სხვის ხარჯზე. ამის გაკეთება შესაძლებელია თანამდებობის გამოყენებით, დაშინებით, მანიპულირებით ან სხვისი მოთხოვნების უგულვებელყოფით. ხშირად ხელმძღვანელები იყენებენ ფარული ძალადობის ტაქტიკას – მანიპულირებას.
2. **დათმობა** – მიმართულია სხვისი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფაზე. განეკუთვნება „წაგება-წაგების“ სტრატეგიას. დამთმობი ადამიანი ვერ აღწევს პროგრესს საქმიანობაში, ვერ იბრძვის თავისი მიზნის მისაღწევად. ხშირი ან მუდმივი დათმობა ამცირებს საკუთარი ღირსების შეგრძნებას.
3. **თავის არიდება** – ამ დროს ხდება ორივე მხარის ინტერესების უგულვებელყოფა პრობლემის გადაწყვეტის გადადებით ან პრობლემის „თავიდან აცილებით“. გამოუცდელი ადამიანები ხშირად მიმართავენ ამ ტაქტიკას.
4. **კომპრომისი** – კომპრომისის მიღწევა ხდება ორივე დაპირისპირებული მხარის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით. კომპრომისი გულისხმობს მეორე მხარის შეხედულებების გათვალისწინებას.
5. **თანამშრომლობა** – ეს სტრატეგია მიმართულია იმაზე, რომ მოხდეს ორივე მხარის ინტერესებისა და პრობლემების მთლიანი დაკმაყოფილება.

კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია გახდეს ძალაუფლება, უფრო კონკრეტულად კი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ძალაუფლება, ტრადიციულად, განიმარტებოდა, როგორც კონტროლის შესაძლებლობა ადამიანებსა და მოვლენებზე. დღესდღეობით, ძალაუფლება განიხილება, როგორც რესურსების მობილიზაციის უნარი რაიმე პროდუქტული (ნაყოფიერი) სამუშაოს შესასრულებლად.

ადამიანები ძალაუფლებას ძალასა და აგრესიასთან აკავშირებენ, მაგრამ ძალა სულაც არ არის ძალაუფლების აუცილებელი ნიშანი. ძალაუფლება სხვათა ქცევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობაა. გავლენაში იგულისხმება ერთი ინდივიდის ნებისმიერი სახის მოქმედება, რომელიც გამოიწვევს ცვლილებებს მეორე ინდივიდის ქცევაში, შეგრძნებებსა და ურთიერთობებში. ადამიანმა შეიძლება იმოქმედოს მეორე ადამიანზე იდეის მეშვეობითაც. ძალაუფლება და გავლენა ის საშუალებებია, რომელთაც მენეჯერები იყენებენ კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. თუ მენეჯერი არ ფლობს მუშაკებზე ზემოქმედებისათვის საკმარის ძალაუფლებას, ის ვერ შეძლებს მათ წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ძალაუფლება ორგანიზაციათა წარმატებით ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, თუმცა ზოგჯერ ის არასწორად გამოიყენება.

ხშირად ხდება, რომ პიროვნებები რაიმე მაღალი თანამდებობის დაკავების შემდეგ მკვეთრად იცვლებიან. მათ ეუფლებათ საკუთარი თავის ღირსებისა და მნიშვნელოვნების გადამეტებული აღქმა და ხდებიან ამპარტაუნები. მათთვის მიუღებელი ხდება სხვისი რჩევის ან განსხვავებული აზრის მოსმენა.

სოფოკლე ამბობდა: „არასოდეს შეგშურდეს სხვისი ძალაუფლებისა, სანამ არ გაიგებ, როგორ დაასრულა მან თავისი მოღვაწეობა“. ხშირად ძალაუფლების ბოროტად გამოყენება იწვევს მარცხსა და არასახარბილო დასასრულს.

ხელმძღვანელობამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ არ შეიძლება ძალაუფლებით ცალმხრივად სარგებლობა. ამან შეიძლება გამოიწვიოს პროტესტი ხელქვეითთა მხრიდან. ამიტომ კარგი მენეჯერი ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლების ბალანსი, რაც უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, მაგრამ არ გულისხმობს არც ხელქვეითთა დაჩაგვრასა და არც

დაუმორჩილებლობას იწვევს. ჭკვიანმა მენეჯერებმა იციან, რომ საბოლოო ჯამში, ვერავინ ისარგებლებს ძალაუფლების ცალმხრივი გადანაწილებით.

ძლიერი და გავლენიანი მმართველები ეხმარებიან თავიანთ თანამშრომლებს, თავი იგრძნონ მნიშვნელოვნად, ანიჭებენ მათ უფლებამოსილებას, გადასცემენ საჭირო ინფორმაციას და უზრუნველყოფენ სათანადო რესურსებით.

ლიტერატურა:

1. გ. მერლანი, მენეჯმენტი, 2007;
2. NSS Management, 2010;
3. Стратегический Менеджмент, 2010.

რეზიუმე

თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, კონფლიქტი უზრუნველყოფს განსხვავებული მოსაზრებების გამოვლენას და იძლევა დამატებით ინფორმაციას უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. მმართველებს ზუსტად უნდა შეეძლოთ კონფლიქტის მიზეზების დადგენა, სიტუაციის მართვა.

CONFLICT MANAGEMENT, POWER AND INFLUENCE

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

The modern view, according to the different conflict detection zrunvelqops and provides additional information for more effective decisions. Administrators must be able to accurately determine the causes of conflict, to manage the situation.

პოტენციური ინვესტორების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის

დავით ბიძინაშვილი, სრული პროფესორი

„ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ ბოლო ერთი წლის მონაცემებს ეყრდნობა, საქართველო 87 ქვეყანას შორის პირველ სამეულში მოხვდა.

კვლევა მსოფლიო ბანკის კერძო იურიდიული კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე მომზადდა. 200-გვერდიან კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად გამარტივებულია უცხო ქვეყნებში ბიზნესის წამოწყება (<http://www.nbg.gov.ge /1/>).

როგორც იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, ამ მხრივ საქართველომ მაღალი შედეგი აჩვენა, რასაც ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებულ წესებს უკავშირებენ, რაც გულისხმობს ბიზნესის დაწყებაში ზუსტად ერთ დღეში.

კვლევის მაღალი მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში ვარაუდობენ, რომ უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

„დღეისათვის ინვესტორები საქართველოს რეგიონული ეკონომიკის ცენტრად განიხილავენ. საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ყველაზე პრიორიტეტული სფერო ტურიზმი და სოფლის მეურნეობაა“, – განმარტა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა და დასძინა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს საქართველოში ინვესტორებისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად (<http://www.ambebi.ge/ekonomika/22846-saqartvelo /2/>).

როგორც გილაურმა აღნიშნა, საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური დასაქმების კოდექსი და ასევე საქართველოში დღეს ყველაზე მარტივია კომპანიის ჩამოყალიბება, ასევე ქვეყანაში გამარტივებულია საბაჟო პროცედურები.

პრემიერი იმედოვნებს, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით საქართველო რეიტინგში მე-11 ადგილიდან პირველ ათეულში აუცილებლად გადაინაცვლებს. ასევე, გილაურმა ხაზი გაუსვა კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელობასაც რეგიონში.

საქართველოში, როგორც 2011 წლის პირველი კვარტლის ფაქტობრივი მონაცემებით ირკვევა, დაგეგმილი ინვესტიციების მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 6% შემოვიდა. არადა საპროგნოზო გათვლებით წლის დასაწყისშივე ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 1,2 მლრდ დოლარი შემოვიდოდა. პირველი კვარტლის მონაცემებით კი ინვესტიციების საერთო რაოდენობამ სულ რაღაც 76 მილიონი დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ინფორმაციის გამოქვეყნებამდე ხელისუფლება პირველ კვარტალში ინვესტიციების კლების მიზეზებზეც საუბრობდა და აცხადებდა, რომ ყველაფერს ხელს არჩვენები უშლიდა. საერთოდ, ყოველთვის, როდესაც ქვეყანაში არჩვენები ტარდება, იმ წელს ინვესტორები ქვეყანაში შემოსვლისგან თავს იკავებენ.

ამიერკავკასიის რეგიონის სამ ქვეყანაში, 2011 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ყველაზე ცოტა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სწორედ საქართველოში შემოვიდა.

76 მლნ. დოლარის უცხოური ინვესტიციების მოცულობით საქართველო არა მარტო აზერბაიჯანს, არამედ სომხეთსაც კი ჩამორჩება. აზერბაიჯანში 2011 წლის პირველ კვარტალში სულ 494,8 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიცია შევიდა. რაც შეეხება სომხეთს, იქ პირველ კვარტალში უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ 116,9 მლნ. დოლარი შეადგინა.

საქართველოში პირველ კვარტალში უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 76 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2009 წლის პირველ კვარტალთან შედარებით თითქმის 40%-ით ნაკლებია. შარშან პირველ კვარტალში 130 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია შემოვიდა ([www.geostat.ge/3/](http://www.geostat.ge/)).

რაც შეეხება უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს, ესენი არიან: თურქეთი, რომელმაც 20,3 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რაც საერთო რაოდენობის 26,8%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა ჩეხეთი 19,8 მლნ. დოლარის მოცულობის ინვესტიციით, რაც საერთო რაოდენობის 26,1%-ია. მესამე ადგილი ეგვიპტეს უკავია, რომელმაც ქვეყანაში ჯერ მხოლოდ 18 მლნ დოლარის ინვესტირება მოახდინა, ეს საერთო რაოდენობის 23,8%-ია. განხორციელებული ინვესტიციების მხრივ მეოთხე ადგილზეა იაპონია-15,2 მლნ დოლარით, ანუ 20,7 %-ით. დანარჩენი ქვეყნების მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა კი სულ რაღაც 2 მლნ დოლარი - 2,6% შეადგინა.

ახლა გადავიდეთ მეზობელ აზერბაიჯანზე, სადაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაახლოებით 494,8 მლნ დოლარის ინვესტიცია შევიდა. ეს კი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაახლოებით 67,4%-ით მეტია.

აზერბაიჯანში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ პირველ ადგილზეა დიდი ბრიტანეთი, რომელმაც წლეულს დაახლოებით 247,6 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მეორე ადგილი უკავია ამერიკას, საიდანაც პირველ კვარტალში 89,3 მლნ დოლარის ინვესტიცია შევიდა.

აზერბაიჯანში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ მესამე ადგილზეა იაპონია, საიდანაც წლეულს დაახლოებით 46,8 მლნ დოლარი ინვესტიცია შევიდა. შემდეგ მოდის ნორვეგია 29 მლნ დოლარის ინვესტიციით. თურქეთიდან კი 23 მლნ დოლარის ინვესტიცია შევიდა. კორეიდან - 9,9 მლნ დოლარის, რუსეთიდან კი დაახლოებით 2,3 მლნ დოლარის ინვესტიცია შევიდა.

2011 წლის პირველ კვარტალში უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ სომხეთში 116,9 მლნ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სულ რაღაც 12,9% ნაკლებია. როგორც მოსალოდნელი იყო, წლეულსაც სომხეთში მსხვილი ინვესტორი ქვეყანა რუსეთი გახდა, რომელმაც 51,9 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. რუსეთს მოჰყვება საფრანგეთი 33,7 მლნ დოლარით, ჰოლანდია-31.4 მლნ დოლარით.

რაც შეეხება წლიურ მონაცემებს, გასულ წელს აზერბაიჯანში 5 მლრდ 468 მლნ 6 ათასი დოლარის უცხოური ინვესტიცია შევიდა, რამაც ერთ სულ მოსახლეზე 615 დოლარი შეადგინა. სომხეთში შარშან 853 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შევიდა, რაც ერთ სულ მოსახლეზე 262 დოლარი იყო. საქართველოში კი განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2010 წელს 759,1 მილიონი დოლარი შეადგინა, შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 173 დოლარი.

მიუხედავად ამ ციფრებისა, მთავრობაში იმედს არ კარგავენ და საინვესტიციო გეგმასაც მეტი ოპტიმიზმით ადგენენ. 1 მლრდ 200 მილიონი დოლარი - ეს ციფრია, რასაც ხელისუფლება პროგნოზირებს.

შარშან ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სამრეწველო სექტორმა მოიზიდა - 204,1 მილიონი დოლარი. შემდეგ მოდის ტრანსპორტის და კომუნიკაციების სფერო - 153,6 დოლარი, სასტუმროები და რესტორნები - 134 მილიონი დოლარი, უძრავი ქონება - 132 მილიონი დოლარი, სამშენებლო სექტორი - 79 მილიონი დოლარი, საბანკო სექტორი - 45,3 მილიონი დოლარი.

არსებული ციფრებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ უცხოელები საქართველოში ფულის დაბანდებისაგან თავს იკავებენ, რადგან რუსეთის მხრიდან საფრთხეს კვლავ ხედავენ. გამორიცხული არ არის, რომ წლეულს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საპროგნოზო მაჩვენებელი ისევ არ გამართლდეს და ის კვლავ დაბალ ნიშნულზე დაბალანსდეს.

ინვესტიცია არის კერძო კაპიტალი და ინვესტიციების რაოდენობაც ამით უნდა განვსაზღვროთ (ლ. ქოქიაური - „ინვესტიციების ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, თბ., 2007 წ. გვ. 7 /5/). სახელმწიფო კაპიტალს ინვესტიცია არ ჰქვია, ის არის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი. როდესაც რაღაცას ჰყიდი და ფულს იღებ, ეს აქტივების სახეცვლილებაა და არა ინვესტიცია. ინვესტიცია არის ისეთი ფაქიზი რამ, რასაც სჭირდება მშვიდი ადგილი, სადაც ფინანსებს საფრთხე არ ემუქრება. ქვეყანაში არ უნდა იყოს პოლიტიკური რისკები, რომ საინვესტიციო გარემო უკეთესი იყოს.

რაც შეეხება იმას, შემოვა თუ არა დაგეგმილი ინვესტიცია საქართველოში, ანუ 1 მილიარდ 200 მლნ დოლარი, ამის პროგნოზი რთული არაა. თავად ეს ციფრი ნამდვილად არ არის ფანტასტიკური და შესრულებაც შესაძლებელია. მაგრამ, ამისათვის უნდა მოხდეს შიდა და გარე ფაქტორების თანხვედრა. ამასთან, საჭიროა შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნა და ფორსმაჟორის გამორიცხვაც. ასევე უნდა მოხდეს ინვესტორების დარწმუნება იმაში, თუ რატომ უნდა შემოვიდნენ ისინი ჩვენთან მაშინ, როდესაც მსოფლიოში ინვესტიციების ნაკლებობაა. მოკლედ, იმისათვის, რომ შესრულდეს გეგმა, ბევრი მუშაობაა საჭირო.

ლიტერატურა:

1. <http://www.nbg.gov.ge>
2. <http://www.ambebi.ge/ekonomika/22846-saqartvelo>
3. www.geostat.ge
4. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, 1997;
5. ლ. ქოქიაური - „ინვესტიციების ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, 2007;
6. ლ. ქოქიაური - „ინვესტიციების ობიექტების შერჩევა და დაგეგმვა“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, #4, 2009;
7. ლ. ქოქიაური - „ინვესტიციური საქმიანობის პრობლემები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე“, გამომცემლობა „ფინანსები“, თბ., 1998;
8. Лоренс Дж. Гитман, Майкл Д. Джонк - „Основы инвестирования“. Пер. с англ. М. „Дело“ 1997;
9. Богатырев А.Г. - „Инвестиционное право“ М. 1992.

რეზიუმე

„დღეისათვის ინვესტორები საქართველოს რეგიონული ეკონომიკის ცენტრად განიხილავენ. საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ყველაზე პრიორიტეტული სფერო ტურიზმი და სოფლის მეურნეობაა“, – განმარტა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა და დასძინა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს საქართველოში ინვესტორებისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

როგორც გილაურმა აღნიშნა, საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური დასაქმების კოდექსი და ასევე საქართველოში დღეს ყველაზე მარტივია კომპანიის ჩამოყალიბება, ასევე ქვეყანაში გამარტივებულია საბაჟო პროცედურები.

ინვესტიცია არის კერძო კაპიტალი და ინვესტიციების რაოდენობაც ამით უნდა განვსაზღვროთ. სახელმწიფო კაპიტალს ინვესტიცია არ ჰქვია, ის არის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი. როდესაც რაღაცას ჰყიდი და ფულს იღებ, ეს აქტივების სახეცვლილებაა და არა ინვესტიცია. ინვესტიცია არის ისეთი ფაქიზი რამ, რომელსაც სჭირდება მშვიდი ადგილი, სადაც ფინანსებს საფრთხე არ ემუქრება. ქვეყანაში არ უნდა იყოს პოლიტიკური რისკები, რომ საინვესტიციო გარემო უკეთესი იყოს.

რაც შეეხება იმას, შემოვა თუ არა დაგეგმილი ინვესტიცია საქართველოში, ანუ 1 მილიარდ 200 მლნ დოლარი, ამის პროგნოზი რთული არაა. თავად ეს ციფრი ნამდვილად არ არის ფანტასტიკური და შესრულებაც შესაძლებელია. მაგრამ, ამისათვის უნდა მოხდეს შიდა და გარე ფაქტორების თანხვედრა. ამასთან, საჭიროა შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნა და ფორსმაჟორის გამორიცხვაც. ასევე უნდა მოხდეს ინვესტორების დარწმუნება იმაში, თუ რატომ უნდა შემოვიდნენ ისინი ჩვენთან მაშინ, როდესაც მსოფლიოში ინვესტიციების ნაკლებობაა. მოკლედ, იმისათვის, რომ შესრულდეს გეგმა, ბევრი მუშაობაა საჭირო.

THE IMPORTANCE OF POTENTIAL INVESTORS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE COUNTRY ECONOMY

David Bidzinashvili, Full professor

RESUME

“Nowadays investors consider Georgia as a center of regional economy. Tourism and agriculture are priorities” elucidated Prime Minister of Georgia Nika Gilauri and added that the government does its best for creating a comfortable environment for investors in Georgia.

As Gilauri marked Georgia has one of the most liberal code of employment; also it's very easy to form a company and the custom's procedures are simplified here.

Investment is a private capital and it defines the amount of itself as well. State capital is not an investment, that is a part of the state policy. Money that comes from the product sold by the state is not an investment, that is a kind of assets. Investments need a place with no financial danger. In the country shouldn't be any political risks, in order to have a better environment for investments.

It's not difficult to make a forecast whether Georgia will get one billion 200 million USD investment or not. This amount is not unreal, that's realistic. But internal and external factors should be coincided; corresponding business environment should be created and there should be excluded unforeseen circumstances. Investors should be convinced why should they come to our country when there is a lack of investments in the world. Briefly, the fulfillment of the plan needs much work.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა ქართულ ბიზნესში

გიული გიგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ნინო ორჯონიკიძე, სრული პროფესორი

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისადმი (Corporate Social Responsibility) ინტერესმა განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი გლობალიზებადი ეკონომიკური გარემოს პირობებში. ბიზნესისათვის აღარ არის საკმარისი ტრადიციული ეკონომიკური ფუნქციების შესრულება, საზოგადოება მისგან სულ უფრო მეტად მოითხოვს ისეთი საკითხების გათვალისწინებას, რომლებიც უშუალოდ საზოგადოების კეთილდღეობასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ასევე მორალისა და ეთიკის ნორმების დაცვას ემსახურება.

არსებობს კსპ-ის (CSR) მრავალი განსაზღვრება: ბიზნესის ეთიკა, მდგრადობა, კორპორატიული მოქალაქეობა. ზოგი კომპანიისათვის ეს „საქმის მართებულად კეთებაა“, სხვებისთვის - საშუალება, სტრატეგიულად განასხვავოს მისი კომპანია სხვა კომპანიებისაგან და მაღალი რეიტინგი შეიძინოს.

CSR შეიძლება განისაზღვროს, როგორც კომპანიის ვალდებულება, იმოქმედოს ეკონომიკური, სოციალური სფეროებისა და გარემოს დაცვისადმი მდგრადი მიდგომით, გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, ინვესტორების, მომხმარებლების, თანამშრომლების, ბიზნეს პარტნიორების და მთლიანად საზოგადოების ინტერესები.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- სამუშაო გარემო და ადამიანის უფლებები - რამდენად შეესაბამება სამუშაო გარემო შრომის კანონმდებლობას, დაცულია თუ არა ადამიანის უფლებები.
- დასაქმებულთა სოციალური დაცულობის დონე - სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა, საპენსიო უზრუნველყოფა, არსებული ადამიანური რესურსების განათლება და განვითარება.
- გარემოს დაცვა - რამდენად ხორციელდება არსებული გარემოს კვლევა, გარემოსდაცვითი პროგრამების დაფინანსება.
- მოსახლეობასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები - კერძო, მუნიციპალური, ან სამთავრობო. აქ მოიაზრება ფინანსური, პროდუქტებით, მომსახურებით, ტექნიკით, მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება შემდეგ სფეროებში: განათლება, კულტურა, სპორტი, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა; ტექნიკური ტრენინგები მოსახლეობისათვის, სხვადასხვა ტიპის სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისა და ინსტიტუტის საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფა; ანტიკორუფციული და სიღარიბისაგან თავის დაღწევის პოლიტიკის გატარება.
- სპონსორები, ქველმოქმედება, ფულადი გრანტების გამოყოფა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების რეალიზაციისათვის ფონდების შექმნა, ინვესტირება, სოციალური სფეროს მარკეტინგული გამოკვლევები, სამედიცინო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებები, რომლებიც არ შედის სახელმწიფო პროგრამებში ან რეალიზდება თანადაფინანსების პრინციპით და სხვ.
- ისტორიული და კულტურული პოტენციალის დაცვა-განვითარება, სპორტული ტრადიციების გაფართოება და სხვ.
- რესურსდამზოგავი და გარემოსდაცვითი ეკონომიკური პრინციპების შემუშავება-რეალიზაცია.
- რესურსული პირობების შექმნა დემოგრაფიული გაჯანსაღების, შრომის პირობების გაუმჯობესების და სტაბილურობის, მომხმარებლის, ბიზნეს-პარტნიორებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების საქმიანი თანამშრომლობის კულტურის ეფექტიანობის ამაღლება. [1]

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა არის კომპანიის სისტემატური, გააზრებული, სტრატეგიულად დაგეგმილი და წინასწარგათვლილი მოქმედებები და მიზნად ისახავს გრძელვადიანი ბიზნეს წარმატების უზრუნველყოფას საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის პარალელურად.

კსპ-ს ხშირად ფილანტროპიასთან აიგივებენ და კომპანიები ერთჯერად საქველმოქმედო მცირემასშტაბიან ღონისძიებებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სახელწოდებით აწვდიან მომხმარებელს, რაც არასწორად მიგვაჩნია. შეიძლება ითქვას, ფილანტროპია კსპ-ს მოძველებული ფორმაა. წლის ბოლოს კომპანიის მიერ რაიმე სოციალური პროგრამისთვის გაღებული შეწირულობა არ შეიძლება აღქმული იქნეს კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობად, რადგანაც ეს ერთჯერადი, არასისტემატური და მცირემასშტაბიანი აქტია, რომელიც არ ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივებს და განვითარების სტრატეგიებს.

კსპ წარმოადგენს ბიზნესსა და იმ ეკონომიკურ სისტემებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზის საშუალებას, რომლებზეც ეს ბიზნესია დაფუძნებული. ის წარმოადგენს ბიზნესის მხრიდან საზოგადოების წინაშე ვალდებულების სიმძიმის საზომს, კონკრეტული იდეების შეთავაზების საშუალებას იმის თაობაზე, თუ ეს ვალდებულებები როგორ შეიძლება შესრულდეს. ასევე საშუალებას, გავარკვიოთ, თუ რა სარგებელი მოუტანა ბიზნესს ამ ვალდებულებათა შესრულებამ.

დღეისათვის კსპ-ს აქტუალობას ძირითადად განაპირობებს:

- მზარდი რეალური შემოსავლები;

გაზრდილი შემოსავლის მქონე მომხმარებლებს შეუძლიათ საკუთარი სურვილისდამიხედვით აირჩიონ პროდუქცია, რომელსაც ყიდულობენ. საზოგადოება, რომელშიც უმუშევრობისა და გაჭირვების მაღალი დონეა, ნაკლებად მოსალოდნელია, მკაცრი რეგულირების მოთხოვნებს აყენებდეს და სანქციებს უყენებდეს ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობისას კსპ-ს პრინციპებს არ ითვალისწინებენ.

- მზარდი სოციალური მოლოდინი;

მომხმარებლები და, ზოგადად, საზოგადოება მეტს მოელიან იმ კომპანიებისაგან, რომელთა პროდუქციასაც იძენენ.

- გლობალიზაცია/იფორმაციის თავისუფალი გავრცელება.

მედიის მზარდი გავლენის პირობებში კომპანიების მიერ დაშვებული ნებისმიერი „შეცდომა“ მაშინვე ექცევა საზოგადოების ყურადღების ქვეშ. ამასთან, ინტერნეტი იქცა მძლავრ საშუალებად

სხვადასხვა ჯგუფებისა და მომხმარებლებისათვის საკუთარი გზავნილის გავრცელებისათვის. ეს მათ აძლევს კოლექტიური ქმედების კოორდინირების საშუალებას. [2]

კსპ მნიშვნელოვან ბიზნეს-სტრატეგიას წარმოადგენს, რადგანაც მომხმარებლებს სურთ პროდუქციის ყიდვა იმ კომპანიებისაგან, რომელთაც ენდობიან; მომწოდებლებს სურთ სანდო კომპანიებთან ითანამშრომლონ; დაქირავებულებს სურთ ისეთ კომპანიებში მუშაობა, რომლებსაც პატივს სცემენ; ხოლო ბიზნეს პარტნიორებს სულ უფრო მეტად უჩნდებათ სურვილი იმუშაონ კომპანიებთან ერთად ეფექტიანი გზების ძიებაში ინოვაციების დანერგვისა და, ზოგადად, საერთო პრობლემატური საკითხების მოგვარებისას.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გაძლიერების სხვა მნიშვნელოვან მიზეზებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: კონკურენციის ზრდა მსოფლიო მასშტაბით, რაც თან სდევს გლობალიზაციის პროცესებს; კომპანიების ძალაუფლებისა და მასშტაბების გაფართოება; გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტივიზმის ზრდა, არამატერიალური აქტივების მნიშვნელობის გაძლიერება და სხვ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კსპ-ს როლი სულ უფრო ძლიერდება და ახალ მასშტაბებს იძენს. საერთაშორისო მასშტაბით კომპანიების დიდი ნაწილი (მსოფლიოს 100 ყველაზე მსხვილი კომპანიის ნახევარი) ყოველწლიურ ანგარიშგებას ახორციელებს მათი ბიზნესის სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ; ევროკავშირში მოქმედი 45 ყველაზე მსხვილი კომპანიის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათგან 90% ახორციელებს კსპ-ს ანგარიშგებას (CSR Network (2000) The Global Reporters and DTI (2001) Developing corporate social responsibility in the UK, Business and Society, DTI, London). საერთაშორისო არენაზე სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ბიზნესის გარემოსდაცვითი როლით. მაგალითად, კვლევები ცხადყოფს, რომ სამიდან ორი მოქალაქე მიიჩნევს, რომ ბიზნესის მთავარ ამოცანებში სოციალური პასუხისმგებლობის მომენტები უნდა გაფართოვდეს; ხუთიდან ერთი მომხმარებელი კი ადასტურებს, რომ მოხმარებისას ყურადღებას აქცევს პროდუქციის გამომშვები საწარმოს სოციალურ პასუხისმგებლობას (Environics International ITD. (1999) Millenium Poll on Corporate Social Responsibility). ევროპული კვლევების მონაცემებით, კსპ-ს მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება მომავალ წლებში. [3]

სოციალური პასუხისმგებლობის სარგებლიანობის შეფასება ხშირად მეცნიერებს შორის კამათის საგნად იქცევა. „ძნელად თუ იპოვით სხვა ისეთ ტენდენციას, რომელიც ისევე საფუძვლიანად დაანგრევს ჩვენი თავისუფალი საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორც კორპორატიული მმართველების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის მიღება, რასაც ისინი თავიანთი სტიკპოლდერებისთვის მაქსიმალური მოგების გამომუშავებაზე მუშაობის ნაცვლად აკეთებენ“, – დაჯერებით წერდა მილტონ ფრიდმენი 1962 წელს. „ვფიქრობ, ბევრი ადამიანი შეცდომით მიიჩნევს, რომ კომპანიები მხოლოდ მოგების მისაღებად არსებობენ. მართალია, მოგება კომპანიის არსებობის მნიშვნელოვანი შედეგია, მაგრამ ვფიქრობ, საჭიროა ჩავიხედოთ უფრო ღრმად და ვიპოვოთ ჩვენი არსებობის ნამდვილი მიზეზები. ამ საკითხის გამოკვლევისას უთუოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ ადამიანთა ჯგუფი ერთიანდება და არსებობს ინსტიტუციის სახით, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ კომპანიას, რადგანაც ამ გზით მათ შეუძლიათ ერთობლივად მიაღწიონ იმას, რასაც თითოეული მათგანი ცალკე ვერ მიაღწევდა – მათ საზოგადოების განვითარებაში შეაქვთ წვლილი. ეს ფრაზა ტრივიალურად ჟღერს, მაგრამ ის ფუნდამენტურია“, – ასევე დარწმუნებით აღნიშნავდა დეივ პაკარდი Hewlett Packard Company-ის თანადამფუძნებელი 1939 წელს.

როგორც მილტონ ფრიდმენისა და დეივ პაკარდის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიზნეს ორგანიზაცია თავის ფუნდამენტურ და უმთავრეს მიზანს – ე.ი. მოგების მაქსიმიზაციას – არ უნდა სცდებოდეს, სხვათა აზრით კი დღეს ამ ფუნქციის თუნდაც პირნათლად შესრულებით კომპანია ვერ შემოიფარგლება, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს წარმატების მისაღწევად.

კრიტიკოსთა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, დღეისათვის ფართოდ გავრცელებული და შეიძლება ითქვას, საერთაშორისო საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებაა, რომ კსპ არა მხოლოდ ფართო საზოგადოების ინტერესებს ემსახურება, არამედ საწარმოს გრძელვადიან, მდგრად ეკონომიკურ სტაბილურობასაც უზრუნველყოფს. კსპ მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მთავარ მექანიზმად აღიქმება.

ქვემოთ მოყვანილია იმ დადებითი ეფექტების ჩამონათვალი, რომელთაც სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების გამტარებელი კომპანიები აღწევენ.

ესენია: შემცირებული საოპერაციო ხარჯები; რისკის მენეჯმენტი; კორპორაციული რეპუტაცია; უფრო სრულყოფილი ბრენდის და იმიჯის რეპუტაცია; გაუმჯობესებული ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან; გაყიდვების ზრდა და კლიენტების ერთგულება; თანამშრომლების მოზიდვისა და შენარჩუნების მეტი უნარი; რეკლამირება და სასარგებლო საქმიანობის შექმნილი მაღალი საზოგადოებრივი იმიჯი; მოზიდული ინვესტიციები და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მორალური და ეკონომიკური არგუმენტები.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ 2007 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა იყოს ბიზნესი საქართველოში სოციალურად პასუხისმგებელი, გამოკითხულ მენეჯერთა 85% მიიჩნევს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება მნიშვნელოვანია კომპანიის დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის ჩამოყალიბებისათვის. უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევა საზოგადოების კეთილგანწყობისა და დადებითი იმიჯის მოპოვება, კომპანიის რეკლამა, თანამშრომელთა ლოიალობა, სახელმწიფოსთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ამასთან ერთად, გამოკითხულთა აზრით, ბიზნესი უნდა იყოს სოციალურად პასუხისმგებელი, რადგან ის სარგებლობს საზოგადოების რესურსებით ან აზიანებს გარემოს, ამიტომ მისი ზნეობრივი ვალია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი და დახარჯული რესურსები.

ბიზნესის სოციალიზაციაში ბიზნესწრეების წარმომადგენლები ხედავენ მასშტაბების გაფართოების, იმიჯის ამაღლების ელემენტებს, ხოლო საზოგადოება - პიროვნების დაცვის საზოგადოებრივი პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმებს. [4]

საქართველოში კსპ-ს დონის ანალიზისათვის საჭიროა იმ გარემოს ანალიზი, რომელშიც ფუნქციონირებს ბიზნესი. უმნიშვნელოვანეს პირობას ქვეყანაში კსპ-ს განვითარებისათვის წარმოადგენს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვა, კეთილსინდისიერი კონკურენციის მაღალი დონე, რაც გარკვეულწილად თავისთავად გამოიწვევს ბიზნეს სუბიექტების მიერ კსპ-ს აღქმას კომპანიის სტრატეგიული გეგმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით, მისი აქტიური ჩართვა კსპ-ს საკითხების მოგვარებაში.

საქართველოში დღეისათვის მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. საგულისხმოა, რომ ქვეყანაში მომწიფდა საზოგადოებრივი აზრიც კსპ-ს განვითარების მხარდასაჭერად. შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ქვეყნის ამჟამინდელი ლიბერალური კურსი ეკონომიკაში ასევე მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ბიზნესის თავისუფალ ინიციატივას კსპ-ს დანერგვისათვის, საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესების სტიმულს აძლევს მას.

საქართველოში კსპ-ს დანერგვის თვალსაზრისით ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს გლობალური შეთანხმების (Global Compact) რეგიონული ქსელის დაარსება. ეს არის გაეროს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინიციატივა კსპ-ს საკითხებში. ამჯერად იგი აერთიანებს 3 ათასზე მეტ კომპანიას მსოფლიოს 90 სახელმწიფოში. გლობალურ შეთანხმებას მხარს უჭერენ გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობები. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი 2006 წლის დეკემბრიდან არსებობს და 32 კომპანიას, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ორგანიზაციას მოიცავს. [5]

კსპ-ს საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში არაერთი კვლევა ჩატარდა, რომელთა შედეგებიც საკმაო საფუძველს გვაძლევს იმის სათქმელად, რომ ქვეყანა შედარებით უმტკივნეულოდ შეძლებს დანერგოს კსპ-ს სტანდარტები ბიზნესში. განვიხილოთ ჩატარებული რამდენიმე კვლევის შედეგები.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარდა ორი სოციოლოგიური გამოკვლევა: 1) თბილისის მსხვილი ბიზნესი და კსპ - დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება. ამ საკითხების გამოკვლევისათვის ცენტრმა ჩატარა თბილისის მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელთა გამოკითხვა; 2) კსპ-ს მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის შედეგები ასეთია: თბილისის მოსახლეობის 72% მიიჩნევს, რომ ბიზნესი ძალიან მნიშვნელოვან ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის განვითარებაში. გამოკითხულ მენეჯერთა 90% სახელმწიფოს შემდეგ სწორედ მსხვილ ბიზნესს მოიაზრებს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტად. მოსახლეობის 93% და გამოკითხული კომპანიების 94%-ის აზრით, მსხვილი ბიზნესი, საკუთარი საქმიანობის წინსვლისა და შემოსავლების ზრდაზე ზრუნვის პარალელურად, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს და ნებაყოფლობითი წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში. [6]

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს კსპ-ს საკითხების მოგვარებაში, მიუხედავად იმისა, რომ კსპ, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის პიროვნული პასუხისმგებლობის საკითხია, წარმოადგენს სახელმწიფო.

ევროპისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთავრობა აქტიურ როლს თამაშობს კსპ-ს განვითარებაში და სწორად შერჩეული სამთავრობო პოლიტიკა განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. ე.ი მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ სათანადო ჩარჩო პირობების შექმნა და ბიზნესისათვის აქტიური სოციალური ქმედებისათვის მოტივაციის მიცემა. აქვე შეიძლება გამოვყოთ უმთავრესი საკითხი, რომლის რეგულირებაც სწორედ სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით დადგენილი ჩარჩო პირობებით ხდება - ეს არის სამართლიანი კონკურენციის პრინციპებისა და მექანიზმების დაცვა და ხელშეწყობა, მსხვილი მონოპოლიების წარმოქმნის აღმოფხვრა. ეს არსებითად უმთავრეს პირობად შეიძლება მივიჩნიოთ კსპ-ს განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნის საკითხში.

კსპ-ს კუთხით ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არაერთი პრობლემა არსებობს. ამ პრობლემათა გადაჭრა კომპლექსურ მუშაობას მოითხოვს სახელმწიფოს, ბიზნეს სექტორისა და ფართო საზოგადოების მხრიდან. პრობლემა საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, გადასაჭრელია ინსტიტუციონალური და პოლიტიკური საკითხები, კონკურენციის დაბალი დონე ბაზარზე და სხვ.

ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემატიკის მოგვარებას ხელს შეუწყობს:

- ინტელექტუალური ბაზის ფორმირება ეროვნული კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე.
- ბიზნესის სოციალური ორიენტაციისა და პასუხისმგებლობის აქტიური მხარდაჭერა;
- კსპ-ს სისტემისა და სტრატეგიის ფორმირება;
- ბიზნესის მართვაში სოციალური კორპორატიული ტექნოლოგიების გამოყენება - დამქირავებლებისა და დაქირავებულების თანამშრომლობა.
- საზოგადოების წევრების მენტალიტეტის შეცვლა, რაც გამოიწვევს იმის გააზრებას, რომ მისი სოციალური დაცვა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ ბიზნესისა და სახელმწიფოს ჩარევით, არამედ პირადი მონაწილეობითაც.

ამრიგად, საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიმართულებას დღეისათვის უთუოდ უნდა წარმოადგენდეს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არაერთი ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, რომელთა პრიორიტეტსაც კსპ-ს განვითარება წარმოადგენს, შესაბამისად, ქვეყნისათვის ამ სფეროში მიღწეული წარმატება მისი საერთაშორისო ინტეგრაციისთვისაც უდავოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. კსპ ისეთი სფეროების განვითარებას შეუწყობს ხელს, როგორცაა: ლიბერალური ბიზნეს-გარემოს შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა, დასაქმების ზრდა, სიღარიბის დამლევა და სხვ. ეროვნულ ეკონომიკაში კსპ-ს დანერგვა აუცილებელი და გარდაუვალია. კსპ წარმოადგენს კონცეფციას, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ, ვაქციოთ სამყაროდ, რომელში ცხოვრებასაც ჩვენ შვილებს ვუსურვებდით.

ლიტერატურა:

1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა: წარმატებული და მდგრადი ბიზნესის პრაქტიკა, თბ., ჰორიზონტი, 2006, გვ. 44
2. <http://www.ecrc.org.eg/>
3. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-social-responsibility/index_en.htm
4. მანველიძე რ., ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ზოგიერთი ფუნქცია, ახალი ეკონომისტი, №8, 2007, გვ. 6-13.
5. www.unglobalcompact.org
6. <http://www.csr.dg.ge/index.php>

რეზიუმე

სტატიაში „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა ქართულ ბიზნესში“ განხილულია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის არსი, კსპ-ის კონცეფციის ძირითადი საკითხები, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სარგებლიანობის და დანერგვის აუცილებლობის არგუმენტები, კსპ-ს საკითხებთან დაკავშირებით სოციალური კვლევების შედეგები, ქართულ ბიზნესში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემები და მათი გადაჭრის პრიორიტეტები.

CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN THE GEORGIAN BUSINESS

Giuli Giguashvili, Associate Professor

Nino Orjonikidze, Full Professor

RESUME

In the article "Corporate Social Responsibility in Georgian Business" discusses corporate social responsibility, the essence, CSR - the concept of the main issues of corporate social responsibility, benefits and the introduction of necessary arguments, CSR - the issues of social research results, the Georgian business in corporate social responsibility issues and their resolution priorities.

გზა ქსელური მარკეტინგისკენ

ლალი ვარდიშვილი, აკადემიური დოქტორი

ბიზნესი ეკონომიკური საქმიანობის უაღრესად მრავალწახნაგოვანი სახეობაა, რომელიც პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სფეროში ვრცელდება. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს განსაზღვრავს. საქართველოში ბევრი მოქალაქისათვის ბიზნესი უკვე გახდა სამუშაოს ძირითადი სახეობა ან მეორადი დასაქმების ფორმა.

ბიზნესი ეკონომიკის განსაზღვრული სფეროების მიხედვით იყოფა ცალკეულ სახეობად და სხვადასხვა სფეროში არსებითად განსხვავებულია ფორმისა და, განსაკუთრებით, ოპერაციათა შინაარსის და მათი განხორციელების მიხედვით. ბიზნესის სახეობზე დიდ გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების მოპოვების წესი. ერთ შემთხვევაში შეიძლება ბიზნესმენი თვითონ აწარმოებდეს საქონელსა და მომსახურებას, მხოლოდ წარმოების ფაქტორების შეძენის საფუძველზე, მეორე შემთხვევაში კი იგი შეიძლება ახორციელებდეს შესყიდვა-გაყიდვას, კერძოდ, იძენდეს საქონელს მზა სახით და ყიდდეს მომხმარებელზე და ბოლოს, მესამე შემთხვევა, როდესაც ბიზნესმენი არც აწარმოებს საქონელს და არც ვაჭრობს საქონლით, არამედ აკავშირებს ერთმანეთთან მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, გამყიდველებსა და მყიდველებს. სწორედ ბიზნესის ამ სახეობას მიკუთვნება ქსელური მარკეტინგი.

ბიზნესის ერთ-ერთ პირველ ქვეყნად ითვლება აშშ, რომელიც ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული და ძლიერი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს საკუთარი ბიზნესი გააჩნია, მათთვის ბიზნესი მიჩნეულია გამდიდრების მთავარ წყაროდ. ცნობილია რუსულ-ამერიკული კომპანიის „ბოსმოკოს“ პრეზიდენტის ჰენრი მ. კვინლანის გამონათქვამი: „ცუდია ის ამერიკელი, რომელიც არ ოცნებობს გახდეს მილიონერი“. სწორედ ქსელური მარკეტინგის ისტორია იწყება აშშ-ში 1868 წლიდან, სადაც გაიხსნა პირველი კომპანია, რომელიც საკუთარ პროექტს სწორედ მრავალდონიანი ან ქსელური მარკეტინგის პრინციპით ავრცელებდა. ასე ვითარდებოდა დღემდე მსოფლიოში ქსელური მარკეტინგი, როგორც ბიზნესის შემოსავლიანი და წარმატებული სფერო. ამაზე მეტყველებს მრავალი უცხოური კომპანიის წლიური მილიარდიანი ბრუნვები და მრავალმილიონიანი მოგებები. ქსელური მარკეტინგის გავრცელების არეალი ყოველდღიურად იზრდება. და დღესდღეობით ამ სისტემით მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიების 90%, ევროპის წამყვანი ქვეყნების კომპანიების 80% და იაპონიის კომპანიების დაახლოებით 83%. ეს სისტემა ფეხს იკიდებს საქართველოშიც. ქსელურ მარკეტინგში მოქმედებენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა: „ორიფლეიმი“, „ეივონი“, „ნიუვესი-ჯორჯია“, „ტიენსი“, „ვიზიონი“, „MLM TECHNOLOGY“ და მრავალი სხვა.

მსოფლიო ეკონომიკურ თეორიაში გამოყოფენ ორი ტიპის ქსელურ „პირამიდას“ - „პირამიდა ფინანსური“ და „პირამიდა სასაქონლო“. ფინანსური პირამიდა არსებობს ახალი ადამიანების მოზიდვის ხარჯზე, რომლებიც ვალდებული არიან შეიტანონ „პირამიდაში“ გარკვეული რაოდენობის თანხა. ასეთი „პირამიდა“ არსებობს მანამ, სანამ მიმდინარეობს ახალ მონაწილეთა მიღება. როცა იგი მთავრდება, „პირამიდა“ წყვეტს თავის მოღვაწეობას და ტოვებს ახალ მონაწილეებს შემოსავლის გარეშე, უფულოდ.

სასაქონლო პირამიდა კი ითვალისწინებს საქონლის გავრცელებას, გაყიდვას, როგორც ზოგიერთები ამბობენ, საქონლის გადაადგილებას ხელიდან ხელში პირამიდის მონაწილეთა შორის. ასეთ

პირამიდაში გაწვევრიანება უფასოა, საქონლის შესყიდვა ან რაღაც ამდაგვარი არ ხდება. სასაქონლო პირამიდას შეიძლება ეწოდოს აგრეთვე მრავალდონიანი ქსელური მარკეტინგი, სხვა ყველა დანარჩენი კი შორს არის იდეალურობისგან, იმისგან, რომ ეწოდოს ქსელური მარკეტინგი.

ნებისმიერი პირამიდა (ფინანსური თუ სასაქონლო), უკიდურეს შემთხვევაში, თანამედროვე გაგებით წარმოადგენს უსამართლოს, ვინაიდან ვინც ადრე ჩაება ამ ქსელში, ცხოვრობს მოგვიანებით ჩაბმულთა ხარჯზე. თუ გადავხედავთ მთელ ჩვენს ცხოვრებას და ასევე ყველა სხვა ორგანიზაციებს, მოწყობილია ტრადიციული ვარიანტით, როგორც ეს პირამიდები. თანამდებობრივად მაღალი თანამდებობის პირები იღებენ მეტ ანაზღაურებას და ცხოვრობენ დანარჩენების ხარჯზე (ფულს კი ყველა ერთად გამოიმუშავენ). სასაქონლო პირამიდა, უკიდურეს შემთხვევაში, ფულს არ ართმევს ბოლოს გაწვევრიანებულებს, ფინანსური კი ართმევს და საკმაოდ ბევრს. გამოსავალი ამ სიტუაციიდან დევს პოლიტიკის სფეროში, თუ როგორ განისაზღვროს ურთიერთობა სახელმწიფოსა და საწარმოებს, საწარმოებსა და მომუშავეთა შორის. რაც შეეხება ქსელურ მარკეტინგს, ეს არის საქონლის გავრცელების ძალიან საინტერესო ორგანიზაცია. იგი სამართლიანი და მომგებიანი შეიძლება იყოს თითოეული მონაწილისთვის, მხოლოდ საზოგადოების სამართლიანი ცხოვრების პირობებში.

ქსელურ მარკეტინგს გააჩნია უამრავი უპირატესობა ტრადიციულ ბიზნესთან შედარებით. მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ისტორიაში, რომ ქსელური მარკეტინგით მოქმედი კომპანიები გაკოტრებულიყოს ან დახურულიყოს, რასაც ვერ ვიტყვით ტრადიციულ ბიზნესზე.

მრავალდონიანი ქსელური მარკეტინგი - ეს არის ბიზნესის ერთ-ერთი ახალი და ეფექტური მიმართულება, რომელიც მოწოდებულია საქონელი და მომსახურება დაიყვანოს მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მხოლოდ პირდაპირი კონტაქტის გამოყენებით - ადამიანიდან ადამიანზე.

გამოთქმა „მრავალდარგოვანი“ ნიშნავს მოსახლეობის წახალისებას, რომლის საშუალებითაც საქონელი და მომსახურება დაიყვანება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

ქსელური მარკეტინგი მოქმედებს, როგორც მამოძრავებელი ძალა. შეუძლებელი ხდება შესაძლებელი. ის სწრაფად და ფართოდ ხსნის და ავითარებს თითოეული მონაწილის ინდივიდუალურობას. ქსელური მარკეტინგი არის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, რეალობად აქციოს მასში მონაწილეთა ინტერესები. ის დადებით გავლენას ახდენს ათასობით და მილიონობით ადამიანის ცხოვრებაზე.

პროდუქციის მოძრაობის ტრადიციული სქემაა

(მწარმოებელი-რეკლამა-ტრანსპორტი-შუამავალი-ტრანსპორტი-მალაზია);

ქსელური მარკეტინგის სქემა კი ასეთია

(მწარმოებელი-დისტრიბუტორი-მომხმარებელი).

ქსელური მარკეტინგის ძირითადი ამოცანაა ხალხის მოზიდვა ინფორმაციით, რომლის შედეგადაც ხორციელდება გარკვეული რაოდენობის საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია. ქსელური მარკეტინგის იდეაა - საქონლის მომხმარებელი ამავდროულად გახდეს რეალიზატორიც, პირველ რიგში, ფირმის საქონლის ან მომსახურების ინფორმატორი და არა გამყიდველი. ქსელურ მარკეტინგში გაყიდვა არ არსებობს ტრადიციული მნიშვნელობით, მნიშვნელოვანია იყოს საქონელბრუნვა, თუ ეს არ იქნება, ვერავინ მიიღებს ფულს, როგორც ჯილდოს შესრულებული სამუშაოსთვის.

ქსელურ მარკეტინგში წარმოიშობა საქონელბრუნვა, რაც უზრუნველყოფილია იმის საფუძველზე, რომ ხალხი ინფორმაციას ფირმის საქონელზე ან მომსახურებაზე გადასცემს თავის მეგობრებს, ნაცნობებს და გამოავლენენ მათ შორის იმათ, ვისაც ეს სურთ.

ფირმები, რომლებიც ყიდნიან თავის საქონელს ან მომსახურებას ჩვეულებრივი საშუალებებით, საქონლის ღირებულების დაახლოებით 30%-ს ხარჯავენ რეკლამაში. ფირმები კი, რომლებიც ქსელური მარკეტინგის გზას დაადგენ, არ ხარჯავენ არაფერს რეკლამაზე. რეკლამა ხორციელდება პროდუქციის მომხმარებლებთან ურთიერთობით. ფირმებისგან საქონლის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობენ ბიზნესში, ისინი შემოსავლებს იღებენ როგორც საქონელბრუნვიდან, ასევე, რეკლამაზე გაწეული ეკონომიიდან. ამასთანავე, ამ ქსელში ჩართული ადამიანები იღებენ შემოსავალს არა მარტო იმიტომ, რომ საქონელს ავრცელებენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი ჩართონ ბიზნესში. ასეთი სახით წარმოიშობა ქსელში ჩართული გამავრცელებლების განშტოებები.

ქსელური მარკეტინგი გახდა სკოლა მასიური მეწარმეობის, რომლის წარმატების ფორმულაც მდგომარეობს შემდეგში:

1. გამოიყენონ და შეიყვარონ პროდუქცია, თვითონ ისწავლონ მუშაობა;
2. გაუზიარონ სხვებს ინფორმაცია, ასწავლონ მუშაობა მათ, ვინც ჩაერთო ბიზნესში;
3. დააინტერესონ სხვა ადამიანებიც თავისი ბიზნესით, ასწავლონ მათ, როგორ გადასცენ ინფორმაცია სხვა თაობებსაც.

ამგვარად, ეს არის თვითმწარმოებლური სისტემა, რომელიც ყოველთვიურად ზრდის თავისი საქმიანობის მოცულობას, ასაქმებს უამრავ ადამიანს და მოაქვს დიდი შემოსავალი და, ბოლოს, ქსელური მარკეტინგი აერთიანებს ერთ მთლიანობაში შეუთავსებელ ცნებებს „კეთილშობილება“ და „ბიზნესი“.

ტრადიციული ბიზნესისაგან განსხვავებით, ქსელური ბიზნესი საშუალებას იძლევა, კონკურენციის გარეშე იმოქმედოთ შიდა სტრუქტურაში. აკეთოთ თქვენი ბიზნესი მხოლოდ აპრობირებული და გამოცდილი მეთოდებით, რომელიც აუცილებლად წარმატების გარანტი გახდება. აქ არ გყავთ უფროსი ხელმძღვანელი, მის მაგიერ თქვენ ირგვლივ მუდამ არიან თქვენი წარმატებით დაინტერესებული ადამიანები. ქსელური მარკეტინგი - ეს გახლავთ მარკეტინგული მეზღვეობა და არა ნადირობა.

ქსელური მარკეტინგი თავის სტრუქტურაში ხალხის მიზიდვით აძლევს მათ შანსს: ერთი მხრივ, გახდნენ მათთვის აუცილებელი საქონლის ან მომსახურების მომხმარებელი, მეორე მხრივ, ამ პროდუქციის გამოყენებით ეძლევათ შესაძლებლობა დაუახლოვდნენ ქსელურ მარკეტინგს და საფუძვლიანად შეცვალონ თავისი ცხოვრება. ის იძლევა სწორ მიმართულებას ცხოვრების მთავარი მიზნის მისაღწევად.

ქსელური მარკეტინგი დღესდღეობით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად მეთოდს პროდუქციისა და მომსახურების გასავრცელებლად. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ამერიკის მილიონერების 20%-მა თავისი მდგომარეობა სწორედ მრავალდონიანი მარკეტინგით შეიქმნა.

დღეს ადამიანების მზარდ მოთხოვნილებებთან ერთად ხდება მკვეთრი ზრდა ადამიანური ურთიერთობების, სულიერი ზრდის, რომლის მამოძრავებელ ძალას სწორედ ადამიანის კულტურა წარმოადგენს, კერძოდ, ბიზნესის კულტურა.

ლიტერატურა:

1. გ. შუბლაძე, „ბიზნესის საფუძვლები“, თბ., 2000;
2. www.unico.ge/my.php?id=131&s=10
3. sashaviktor.ru/setevoj-marketing

რეზიუმე

ქსელური ანუ მრავალდონიანი მარკეტინგი ერთ-ერთი ახალი და ეფექტური მიმართულებაა ბიზნესში. იგი ყოველთვიურად ზრდის თავისი საქმიანობის მოცულობას, ასაქმებს უამრავ ადამიანს და მოაქვს დიდი შემოსავალი. ამ სისტემის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი პრაქტიკულად თითოეულ ქვეყანაშია გავრცელებული.

ROAD TO A NETWORK MARKETING

Lali Vardishvili, Academic Doctor

RESUME

Network or multilevel marketing is one of the newest and most effective lines of business. It increases its volume day by day, employs a lot of people and gains huge income. The fact that it is prevalent virtually in every country illustrates the popularity of the system.

ლონდონის და პარიზის საკრედიტო კლუბები

*ნინო ლიპარტელიანი, სრული პროფესორი
ნანა ახალაია, ასოცირებული პროფესორი*

XX საუკუნის 60-იან წლებში კომერციული ბანკების ვალების მიმართ იყო ნაკლები პრობლემები, ამიტომ მათი რეგულირების ოფიციალური მექანიზმის არსებობაც არ იყო აუცილებელი. XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ფილიპინების მთავრობა აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც იგი ვეღარ უძღვებოდა კომერციული ბანკების მიმართ დაგროვილ დავალიანებებს. მოლაპარაკებები მხარეებს შორის დასრულდა 1970 წელს შეთანხმებით, რომელიც საფუძვლად დაედო ფილიპინური კრიზისის დარეგულირებას. სწორედ ეს მოვლენები გახდა ლონდონის კლუბის დაფუძნების წინაპირობა.

ლონდონის კლუბი კერძო კომერციული ბანკების საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც შეიქმნა XX საუკუნის 70-იან წლებში. ამ ალიანსის მიზანი გახლდათ ის, რომ განვითარებადი ქვეყნების უდიდესი ნაწილი ვერ არეგულირებდა შიდა ვალების მართვას და იქმნებოდა მთელი რიგი პრობლემები. ლონდონის კლუბი დაკავებულია კომერციული ბანკების მიმართ იმ დავალიანებების პრობლემებით, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი სახელმწიფო მხარდაჭერით ან დაზღვევით. დავალიანებების პრობლემების გადაჭრის ძირითადი მეთოდია: ვალების რესტრუქტურისაცა, ვალის დაფარვის გადავადება და განახლებული დაკრედიტების საშუალების მიცემა. ლონდონის კლუბის პირველი სხდომა მოწვეულ იქნა 1976 წელს ზაირის პრობლემებთან დაკავშირებით. 1981-1983 წლებში გაფორმებულ იქნა 14 ხელშეკრულება 10 მილიარდ დოლარზე, მომდევნო წლებში მსოფლიო კრიზისის ფონზე გაფორმებულ იქნა 47 ხელშეკრულება 130 მილიარდ დოლარზე. 1994-1996 წლებში ლონდონის კლუბმა განახორციელა პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ბრაზილიის და გაბონის სამინაო ვალების რესტრუქტურისაცა.

კლუბის შემადგენლობაშია განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოების 600 კომერციულ ბანკზე მეტი, მათ შორის:

გერმანიიდან: Deutsche Bank, Dresdner Bank, Kommerzbank.

იტალიიდან: Banca Commerciale Italiana, Mediocredito Centrale.

აშშ-დან: Bank of America

დიდი ბრიტანეთიდან: Midland Bank

იაპონიიდან: Bank of Tokyo-Mitsubishi, Dai-Ichi Kangyo Bank, Industrial Bank of Japan.

საფრანგეთიდან: Credit Lyonnais, Banjua Nationale de Paris

ავსტრიიდან: Creditanstalt-Bankverein

ლონდონის კლუბში ვალის რესტრუქტურისაცა ხორციელდება 7 ეტაპად. საწყის ეტაპზე მოვალე აცხადებს მორატორიუმს გადახდებზე და შეადგენს საინფორმაციო მემორანდუმს. ამის პარალელურად კრედიტორი ბანკები აყალიბებენ საბანკო-საკონსულტაციო კომიტეტს. მხარეები ერთმანეთს მოუწოდებენ სათათბიროდ, სადაც მოხდება მდგომარეობის შესწავლა, შემდეგ ისინი ურთიერთ შეთანხმებენ ძირითად პირობებს და ბოლოს ოფიციალურად გააფორმებენ დოკუმენტს დავალიანების გადახდების გადახედვის შესახებ. რესტრუქტურისაცის პროცესი იწყება მაშინ, როდესაც მოვალე ქვეყანა განაცხადებს კონკრეტულ ვადას, როდესაც შეწყვეტს გადახდებს. ასეთი განაცხადება მორატორიუმის შესახებ მიუთითებს იმაზე, რომ მსესხებელს აღარ შესწევს უნარი მოახდინოს მისი ვალდებულებების მომსახურება და დღის წესრიგში დგება მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობა დავალიანების დაფარვის ვადების გადაწევის თაობაზე. მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საბანკო-საკონსულტაციო კომიტეტი იქცა კომპეტენტურ ორგანოდ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესაფასებლად.

1956 წელს კანადამ, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, პორტუგალიამ, აშშ-მ, შვეიცარიამ, შვეციამ, საფრანგეთმა, ფინეთმა და იაპონიამ შექმნეს გაერთიანება, რომლის მიზანი იყო განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალების რესტრუქტურისაცა, გაერთიანებას პარიზის კლუბი ეწოდა. პარიზის კლუბის წევრობა გულისხმობს კრედიტორებს შორის მუდმივად ინფორმაციის გაცვლას დავალიანებებსა და მათი დაფარვის მდგომარეობის შესახებ. მოვალე ქვეყნების მიერ პარიზის კლუბთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება მოიცავს პუნქტს, რომელიც ავალდებულებს მათ, რომ მესამე მხარეს არ შესთავაზონ უფრო მომგებიანი პირობებით ვალის დაფარვა, ვიდრე ამას თვითონ კლუბი სთავაზობს. შედარებით

ღარიბ ქვეყნებს ჩამოეწერებათ მათი საგარეო დავალიანების 80%-მდე. პარიზის კლუბის მიერ მიღებული პრაქტიკა ზღუდავს კრედიტორი ქვეყნების მხრიდან დათმობილი თანხის ოდენობას. პარიზის კლუბი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. პარიზის კლუბის ფარგლებში ის ქვეყნები, რომლებსაც საგარეო ვალთან დაკავშირებით აქვთ პრობლემები, მართავენ მოლაპარაკებებს გადახდის პირობების და გრაფიკების გადახედვის შესახებ. პარიზის კლუბი არაფორმალური, არაოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციაა. მას არა აქვს შტაბბინა, სამდივნო და, რაც მთავარია, წესდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კლუბს არ აქვს იურიდიული სტატუსი. პარიზის კლუბი ფართო საზოგადოებისათვის არაა ცნობილი, რადგან ისინი იცავენ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, კერძოდ: კრედიტორები ცდილობენ არ გაავრცელონ ინფორმაცია მათი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასევე ფინანსური დახმარების მასშტაბებზე. თუ რა დოზით უნდა მიეწოდოს ეს ინფორმაცია მესამე მხარეს, ამაზე თვითონ მოლაპარაკების უშუალო მონაწილეები თანხმდებიან. ალბათ, ასეთი პოლიტიკის გამოც თავისი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში დაკრედიტების და დავალიანებათა დაფარვის საქმეში კლუბი იქცა მთავარ მოქმედ პირად, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო სტრატეგიას ამ, სფეროში. მოცემულ სტრატეგიას ხშირად უტარებენ კორექტირებას, მაგრამ მის საფუძველს ყოველთვის წარმოადგენს შემდეგი ორი პრინციპი: შიდა რეფორმების აუცილებლობა და სტრუქტურული ცვლილებები.

1956 წელს კლუბის ჩამოყალიბებისთანავე პირველი მოლაპარაკებები გაიმართა პარიზის კლუბის ოფიციალურ წარმომადგენლებსა და არგენტინის მთავრობას შორის გადახდების გრაფიკის გადახედვის თაობაზე. იმავე თხოვნით კლუბს მომდევნო წლებში მიმართეს ბრაზილიამ, ჩილემ და თურქეთმა. განსაკუთრებული აქტივობა შეინიშნება ბოლო 20 წლის განმავლობაში, როდესაც 100-ზე მეტმა ქვეყანამ კლუბთან გააფორმა 200-ზე მეტი ხელშეკრულება 350 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულებით, ვალების რესტრუქტურირების შესახებ.

კლუბის საქმიანობაში თავისი წვლილი შეაქვთ კომერციულ ბანკებს, სახელმწიფოს მხრიდან არაუზრუნველყოფილი კრედიტების დაფარვის ვალდებულებების მნიშვნელოვნად შემცირებით. პარიზის კლუბის ორგანიზაციული სტრუქტურის თავისებურება გახლავთ ის, რომ იგი აერთიანებს სუვერენული სახელმწიფო კრედიტორების წარმომადგენლებს საფრანგეთის სახელმწიფო ხაზინის მაღალჩინოსნის, ფრანსუა პერეს ხელმძღვანელობით. ეს ორგანიზაციული სტრუქტურა მუდმივმოქმედი არ გახლავთ, ის იკრიბება მხოლოდ კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად. კლუბი ხელმძღვანელობს მთელი რიგი პრინციპებით, მაგალითად, კონსენსუსის პრინციპით. რადგან პარიზის კლუბს მუდმივი წევრები არ ჰყავს, მოლაპარაკების პროცესში კლუბის ფარგლებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფო-კრედიტორს, რომელიც სავალო ვალდებულების მფლობელია. რადგან განვითარებული ქვეყნებისათვის სესხების უდიდესი ნაწილი გაიცემა მსოფლიო ბანკიდან, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან, ამიტომ ეს ორი მხარე თითქმის ყოველთვის მონაწილეობს მოლაპარაკებებში, არის კლუბის ტრადიციული მონაწილე.

ვალების რესტრუქტურირაცია – ეს არის ვალის გადახდის პირობების და ფორმების რეორგანიზაცია, რომლის პროცესში მსესხებლები და კრედიტორები ერთმანეთში თანხმდებიან დავალიანების (კრედიტის ძირითადი თანხის და პროცენტების) გადახდის გადავადებაზე. ბოლო პერიოდში ვალების რესტრუქტურირაცია იქცა პოპულარულ პრაქტიკად.

პარიზის კლუბში ხდება სამთავრობო დავალიანებების რესტრუქტურირაცია, ხოლო ლონდონის კლუბში ხდება კომერციული ბანკების დავალიანებების რესტრუქტურირაცია. პარიზის კლუბში უმეტესწილად ხდება ღარიბი ქვეყნების სამთავრობო დავალიანებების რესტრუქტურირაცია. დავალიანებების რესტრუქტურირაცია ხდება სხვადასხვა მიდგომებით, ქვეყნების კატეგორიიდან გამომდინარე.

- უღარიბესი ქვეყნების მიმართ გამოიყენება ტორონტოს, ლონდონის და ნეაპოლის პირობები. ნეაპოლის პირობები გულისხმობს დავალიანების 67%-ის ჩამოწერას უღარიბესი ქვეყნებისათვის, სადაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი ნიშნულის ტოლია (თანამედროვე ეტაპზე 500 დოლარი წელიწადში). ასევე გადახდის გადავადება 33 წელზე და შეღავათიანი პერიოდი 8 წელი. 1995-1998 წლებში პარიზის კლუბმა ნეაპოლის პირობებით ხელშეკრულება გააფორმა 30 ქვეყანასთან. (მათ შორის 20 აფრიკული სახელმწიფოა).

- საშუალო დონის შემოსავლების მქონე ქვეყნების მიმართ გამოიყენება ჰიუსტონის პირობები. ჰიუსტონის პირობები შემოღებული იქნა 1990 წელს ღარიბი ქვეყნებისათვის, სადაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი ნიშნულის ტოლია (თანამედროვე ეტაპზე 785

დოლარი წელიწადში). ასეთი შემოსავლების ქვეყნებს ეძლევათ უფლება მოახდინონ საგარეო ვალის რესტრუქტურირება ჰიუსტონის პირობებით, კერძოდ: კომერციული კრედიტების დაფარვის ვადის გაზრდა 15 წლამდე და შეღავათიანი პერიოდი 8 წელი. ჰიუსტონის პირობებით პარიზის კლუბთან ითანამშრომლეს შემდეგმა ქვეყნებმა: კონგომ, სალვადორმა, ჰონდურასმა, მაროკომ და ნიგერიამ. 1990-1992 წლებში ამ ქვეყნებთან გაფორმდა 15 ხელშეკრულება საერთო თანხით 18,4 მილიარდი დოლარი.

- საშუალო დონეზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიმართ გამოიყენება სტანდარტული პირობები. რაც შეეხება პარიზის კლუბის სტანდარტულ პირობებს, იგი გულისხმობს საგარეო ვალის 10%-ის რესტრუქტურირების და დაფარვის 10 წლიან პერიოდს და 5 წლიან შეღავათიან პირობებს.

- არსებობს განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც ქვეყნისათვის საგარეო ვალის ჩამოწერა ხდება სხვა ქვეყნის მხრიდან რაიმე პოლიტიკური აგრესიის განხორციელების გამო. ეს არის ტორონტოს პირობები, რომელიც მიღებული იქნა 1988 წელს. ტორონტოს პირობები გამოიყენება იმ ქვეყნების მიმართ, სადაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილ ნიშნულზე დაბალია (თანამედროვე ეტაპზე 540 დოლარი წელიწადში). ასეთ ქვეყნებს კლუბი სთავაზობს შემდეგ პირობებს:

ა) დავალიანების თანხის შემცირებას

ბ) დავალიანების 1/3 ჩამოწერას

გ) დავალიანების დაფარვას 14 წელიწადში და შეღავათიან პერიოდს 8 წელს.

ტორონტოს პირობებით სარგებლობენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: მალის რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის ქვეყნები, მადაგასკარი, ნიგერია, ტანზანია და ა.შ. 1988-1990 წლებში პარიზის კლუბმა ტორონტოს პირობებით გააფორმა 26 ხელშეკრულება 5,8 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულებით

მაღლე საინტერესოა პარიზის და ლონდონის კლუბებში გამართული მოლაპარაკებების ორგანიზაციული სტრუქტურა. მაგალითად, პარიზის კლუბში იმართება პირდაპირი მოლაპარაკებები მოვალე ქვეყანასა და კრედიტორ სტრუქტურას შორის. მოლაპარაკებების გახსნისთანავე მოვალე ქვეყნის წარმომადგენელი წარდგება მოხსენებით თავისი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ჩამოაყალიბებს თხოვნას ვალის დაფარვის გადავადების შესახებ. შემდეგ კლუბის წინაშე წარდგებიან საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის ან სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მაგალითად, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი საუბრობს ამ ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე და ხაზს უსვამს სტრუქტურული გარდაქმნების აუცილებლობას. შემდეგ კრედიტორი ქვეყნების წარმომადგენლები შეკითხვებს უსვამენ მოვალე ქვეყანას და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს მათ მიერ წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლების ირგვლივ. მომდევნო ეტაპზე კრედიტორი ქვეყნების წარმომადგენლები გამართავენ დახურულ სხდომას მოვალე ქვეყნის დელეგაციის მონაწილეობის გარეშე, სადაც მიიღებენ საერთო პოზიციას, სადაც გათვალისწინებული იქნება საგარეო ვალის რესტრუქტურირების პირობები. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. კლუბის თავმჯდომარე მიღებულ გადაწყვეტილებას გააცნობს მოვალე ქვეყნის დელეგაციას. როგორც წესი, მოვალე ქვეყნის წარმომადგენელი წამოაყენებს შემხვედრ წინადადებას, რომელიც მიახლოებული იქნება თავდაპირველ მოთხოვნებთან. ეს პროცედურა შესაძლოა განმეორდეს რამდენჯერმე. მოვალე ქვეყნის წარმომადგენლის პრინციპულობაზე ბევრადაა დამოკიდებული საბოლოო შედეგი. ვალის რესტრუქტურირების პროცესი დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორი ქვეყნები მოვალე მხარეს გაუგრძელებენ შემდგომ დაფინანსებას.

ლიტერატურა:

1. რევაზ კაკულია, ლელა ბახტაძე, საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები, 2007;
2. ლელა ბახტაძე, ფინანსური ბაზარი, 2007;
3. ჰერბერტ ნიუტონ კესონის, ბიზნესის აქსიომები, 2005;
4. ა. სარქისიანი, პარიზის და ლონდონის კლუბები: ვალების რესტრუქტურირება. ჟურნალი აუდიტორი, #1, 2002.

რეზიუმე

ლონდონის კლუბი კერძო კომერციული ბანკების საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც შეიქმნა XX საუკუნის 70-იან წლებში. ამ ალიანსის მიზანი გახლდათ ის, რომ განვითარებადი ქვეყნების უდიდესი ნაწილი ვერ არეგულირებდა შიდა ვალების მართვას და იქმნებოდა მთელი რიგი პრობლემები.

ლონდონის კლუბი დაკავებულია კომერციული ბანკების მიმართ იმ დავალიანებების პრობლემებით, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი სახელმწიფო მხარდაჭერით ან დაზღვევით. დავალიანებების პრობლემების გადაჭრის ძირითადი მეთოდია: ვალის რესტრუქტურირება, ვალის დაფარვის გადავადება და განახლებული დაკრედიტების საშუალების მიცემა. პარიზის კლუბის წევრობა გულისხმობს კრედიტორებს შორის მუდმივად ინფორმაციის გაცვლას დავალიანებებსა და მათი დაფარვის მდგომარეობის შესახებ. მოვალე ქვეყნების მიერ პარიზის კლუბთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება მოიცავს პუნქტს, რომელიც ავალდებულებს მათ, რომ მესამე მხარეს არ შესთავაზონ უფრო მომგებიანი პირობებით ვალის დაფარვა, ვიდრე ამას თვითონ კლუბი სთავაზობს.

LONDON AND PARIZ CREDIT CLAB

Nino Liparteliani, Full Professor

Nana Akhalaia, Full Professor

An informal group of private creditors on the international stage. Similar to the Paris Club of public lenders. London Club is not the only informal group of private creditors. Its first meeting took place in 1976 in response to Zaire's payment problems

The **Paris Club** (French: **Club de Paris**) is an informal group of financial officials from 19 of some of the world's biggest economies, which provides financial services such as debt restructuring, debt relief, and debt cancellation to indebted countries and their creditors. Debtors are often recommended by the International Monetary Fund after alternative solutions have failed. It meets every six weeks at the French Ministry of the Economy, Finance, and Industry in Paris. It is chaired by a senior official of the French Treasury, currently the Director General of the Treasury and Economic Policy Department Xavier Musca. The club grew out of crisis talks held in Paris in 1956 between the nation of Argentina and its various creditors. Its principles and procedures were codified at the end of the 1970s in the context of the North-South Dialogue.

ეკონომიკური განათლების კვადაკვალ: კვლევის მეთოდების სწავლება ეკონომიკური პროფილის სპეციალისტის მოსამზადებელ სასწავლო პროგრამებში

რუიზან მექვაბიძე, აკადემიური დოქტორი

ეკონომიკური განათლების მთავარი მიზანი ეკონომიკური თეორიის კონცეფციის გაგება, ანალიზი და მოდელირებაა, რასაც ოპერატიულად ემსახურება კვლევის მეთოდები და მისი დიზაინი. 2005 წლიდან, როდესაც საქართველო ბოლონის საგანმანათლებლო პროცესებში ჩაერთო, საქართველოს ეკონომიკური საგანმანათლებლო პროგრამები შედარებით უნდა დახვეწილიყო. კერძოდ, პროგრამაში უნდა ჩართულიყო (და არ უნდა ამოვარდნილიყო) ის დისციპლინები, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ფორმირებისათვის ამ გარემოში [1]

გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ძირეულად შეცვალა ეკონომიკური მიმართულების სპეციალისტის მომზადების პროცესი, რადგან სწორედ ეკონომიკურმა განათლებამ განიცადა ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და ძვრა. ამ პროცესს კიდევ დაემატა:

- სწრაფად მზარდი საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენების აუცილებლობა განათლებაში;
- ეკონომიკური მოდელების აგებისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა და მათი შემდგომი განვითარება: STATA, SPSS, EcoView და სხვა;
- პასუხისმგებლობის გაზრდა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამების დახვეწის თალსაზრისით;
- მასწავლებლის მზარდი გადამზადების აუცილებლობა.

საბაზრო ეკონომიკა, რომელიც კონკურენტუნარიან გარემოს აყალიბებს, სისტემატიურ კვლევას ითხოვს. ეს კვლევა და მისი დიზაინი აერთიანებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ეყრდნობა

სტატისტიკის მეთოდებს და მისი გამოყენებითი მიმართულებები აისახება ეკონომეტრიკაში, რასაც დაემატება ოპტიმიზაციის მეთოდები. იმისათვის, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილება მივიღოთ კვლევის შედეგების მიხედვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიზანშეწონილია, სასწავლო დისციპლინების: მათემატიკა, ალბათობის თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში შემდეგ, სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და მოდელები, ოპტიმიზაციის მეთოდები.

ეკონომეტრიკა, როგორც გამოყენებითი დისციპლინა, ეყრდნობა სტატისტიკის მეთოდებს და მისი დიზაინი აერთიანებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენებიან ეკონომიკურ კვლევაში და ამ კვლევის მეთოდების ძირითადი ნაწილია.

საქართველოს უნივერსიტეტებში ეკონომიკური განათლების პროგრამების დიზაინისას შეტანილი ცვლილებები, რომელიც იმ დისციპლინების სწავლებას მოიცავს, როგორცაა: ეკონომეტრიკა, ოპტიმიზაციის მეთოდები (მათ შორის თამაშთა თეორია) მნიშვნელოვან დატვირთვას იძენენ არა მარტო საბაკალავრო პროგრამების დონეზე, არამედ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დიზაინის შემთხვევებშიც. სწორედ კვლევის უნარ-ჩვევების შექმნა და შემდეგში მათი დახვეწა მნიშვნელოვანია მაგისტრანტისთვის, რომელსაც ელის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და ნაკლებ მოსალოდნელია, მან თავი გაართვას მას კვლევის უნარ-ჩვევების შექმნის გარეშე. გარდა ამისა, მაგისტრანტის მიერ კვლევის უნარ-ჩვევების ათვისება და გამოყენება უკვე არის საფუძველი, რომ მან შეიძლება შემდეგ საფეხურზე (სადოქტორო პროგრამაზე) გადასვლაზე იფიქროს. დღეს მსოფლიო საგანმანათლებლო გარემო ნამდვილადაა დაინტერესებული, მოიზიდოს წარმატებული სტუდენტები სამაგისტრო თუ სადოქტორო სასწავლო პროგრამებზე. ამაზე მეტყველებს ის გრანტები, სტიპენდიები და კვლევითი სამუშაოები, რომლებიც წარმატებული სტუდენტებისთვისაა შეთავაზებული მსოფლიოს უნივერსიტეტების მიერ, მაგრამ კვლევისათვის მოუმზადებელი კონტინგენტისათვის დაფინანსების ეს წყაროები მიუწვდომელია. სწორედ ეს ფაქტორი ერთ-ერთი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განვითარებადი ქვეყნების (როგორცაა საქართველო) საგანმანათლებლო სისტემამ და უმაღლესმა სასწავლებლებმა დახვეწონ სასწავლო პროგრამები ამ მიმართულებით.

ყურადღება მინდა გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ ეკონომიკურ განათლებაში კურიკულუმის დიზაინის სრულყოფა, რომლის ტრანსფორმაცია 90-იანი წლებიდან დაიწყო და უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა 2005 წლიდან, როდესაც საქართველო ბოლონიის საგანმანათლებლო პროცესებში ჩაერთო, ისევ მოდიფიკაციას განიცდის და ეს ნორმალურია, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სასწავლო პროგრამის გასაუმჯობესებლად და არა პირიქით. სპეციალისტის ფორმირება არ უნდა კნინდებოდეს სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციით. მაგალითისათვის უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს უმრავლესი უნივერსიტეტისათვის და მათ შორის გორის სასწავლო უნივერსიტეტისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი:

- საბაკალავრო სწავლების დონეზე ისწავლება მათემატიკა, მათემატიკური სტატისტიკა და ალბათობა და სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში (უკეთეს შემთხვევაში);
- კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, ბაკალავრი უნდა ეზიაროს კვლევის არსს, მის ბუნებას და საბაკალავრო ნაშრომში, ალბათ, უნდა ასახოს „კვლევის გამოყენების ბუნება“, მაგრამ თუ მას არ ექნება ამ „ბუნების“ ინსტრუმენტი, ბუნებრივია, მიზანი მიუღწეველი იქნება და მის მიერ ნასწავლი დისციპლინები (მათემატიკა, მათემატიკური სტატისტიკა, სტატისტიკა) - გამოუყენებელი და დავიწყებული.
- სამაგისტრო სწავლების დონეზე კიდევ უარესი სიტუაციაა. კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, მაგისტრი კვლევის პრინციპს უნდა ფლობდეს, რადგან მან სამაგისტრო თეზისი, რომელიც კვლევის შედეგს წარმოადგენს, ხარისხის დაცვისათვის უნდა წარადგინოს და ეს ნაშრომი უნდა დაიცვას. ლოგიკას მოკლებულია ის აზრი, რომ მაგისტრი ამას გააკეთებს, თუ მის სასწავლო პროგრამაში არ იყო კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი.

წლების განმავლობაში ზემოთ აღნიშნული დისციპლინების დატოვება სასწავლო პროგრამებს მიღმა არ უნდა ნიშნავდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინსვლის ხელის შეწყობას და მომავალი, კონკურენტუნარიანი თაობის მომზადებას კიდევ უფრო მომთხოვნი საბაზრო ეკონომიკისათვის. ეს არის პრობლემა, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტების უმრავლესობას ეხება და უგულვებელყოფილია, ნამდვილად იწვევს გაუგებრობას. რატომ? რითია განპირობებული და ხომ არ გვიანდება ეკონომიკური საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება საქართველოში?

პრობლემა და მისი მოგვარების მცდელობა.

ჯერ კიდევ ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის შემდეგ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ამჟამად გორის სასწავლო უნივერსიტეტის დონეებზე მრავალჯერ იყო მცდელობა

ოფიციალური ახსნა-განმარტებებისა, საგანმანათლებლო პროექტების დამუშავების საფუძველზე კვლევის მეთოდებისა და კვლევის მეთოდების დიზაინის, ეკონომეტრიკის/კვლევის მეთოდების ჩართვისა სასწავლო პროგრამებში, მაგრამ უშედეგოდ. სწორედ ამიტომ, ავტორის მიზანი 1997 –2002 წლებში, ფაქტობრივად, ამ ბაზის სრულყოფა იყო. ეს ბაზა, თითქმის სრულყოფილი, დღეისათვის ასე გამოიყურება:

- ეკონომეტრიკის სასწავლო ცენტრი;
- ეკონომეტრიკის სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასი;
- ეკონომეტრიკის სალექციო კურსი;
- ეკონომეტრიკა პრაქტიკაში (დამხმარე სახელმძღვანელო პრაქტიკული მეცადინეობისათვის);
- პროგრამული უზრუნველყოფა (STATA 5.0, STATA 9.0, STATA 11.0 განახლებული 2010 წლის საგრანტო პროექტის ჩარჩოებში [2])

ქრონოლოგიის დაცვით პრობლემის მოგვარების ასეთი შედეგი გვაქვს:
1997-2010 წ.წ.

#	თარიღი, პროექტის #	პროექტის დასახელება	პროექტის შედეგი	ფინანსური მხარდაჭერი
1	10/10/98-18/10/98 HESP [3]	სამგზავრო გრანტი. მიმღები ორგანიზაცია: მოსკოვის ახალი ეკონომიკური სკოლა	სასწავლო პროგრამის მომზადება: ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები; ეკონომეტრიკა	უმაღლესი განათლების დახმარების პროგრამა
2	1997-1998 C97 – 1036 [4]	ლექციების კურსის მომზადება ეკონომეტრიკაში; უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის გამდიდრება თანამედროვე ეკ. ლიტერატურით	1. მომზადდა ლექციების კურსი ეკონომეტრიკაში I; 2. გამდიდრდა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი თანამედ. ეკ. ლიტ-ით	ევრაზიის ფონდი
3	OSGF/HESP/06/98 [5]	ეკონომეტრიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების კვლევა და ანალიზი	მომზადდა დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო	ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“; უმ. განათლების დახმარების პროგრამა
4	8/2/2001- 5/06/01 OSGF/ HESP/06/00 [6]	ეკონომეტრიკის სალექციო კურსი II -ის მომზადება ,	მომზადდა ეკონომეტრიკის სალექციო კურსი	ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“; უმ. განათლების დახმარების პროგრამა
5	TEMPUS- Contract N CD_JEP-21058-2000–2002 [7]	ფინანსებისა და საბანკო საქმის სწავლების რეფორმებისათვის	მეთოდური სასწავლო მასალების მომზადება ფინანსებსა, საბანკო საქმესა და ეკონომეტრიკაში	ევროკომისია
6	05/01/2009-05/01/2011 HESP/ISET [8]	ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების ხელოვნება	პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება	ღია საზოგადოების ინსტიტუტი
7	1/12/2010– 1/04/2011 [2]	დისტანციური სწავლების ცენტრის შექმნა ელექტრონული სასწავლო კურსებით	მომზადდა 5 სასწავლო კურსი და მათ შორის: „კვლევის მეთოდები ბიზნესსა და ეკონომიკაში“ (შესავალი კურსი); „კვლევის მეთოდები ბიზნესსა და ეკონომიკაში“ (პრაქტიკული კურსი);	აშშ-ს საელჩო საქართველოში

ეს ჩამონათვალი ნამდვილად არის კვლევის მეთოდების და კვლევის დიზაინის სწავლებისათვის მაქსიმუმი არა მარტო საქართველოს ეკონომიკური სასწავლო გარემოსათვის. ეს გარემო გორის უნივერსიტეტისათვის გაუგებარი აღმოჩნდა 1997–2010 წლების განმავლობაში. შესაძლებელია, ეს სიტუაცია გამოწვეულია ორი ფაქტორით:

- ეკონომიკის სპეციალობის მასწავლებლებისათვის ეკონომეტრიკა გაუგებარ დისციპლინად დარჩა, რადგან იმ პერიოდში, როდესაც ისინი სპეციალობას იღებდნენ, ეკონომეტრიკა ეკონომიკურ ფაკულტეტებზე არ ისწავლებოდა;
- ეკონომიკის სპეციალობის მასწავლებლებმა ვერ გაითავისეს კვლევის მეთოდებისა და კვლევის დიზაინის არსი და მათი დანიშნულება საბაზრო ეკონომიკის პირობებში (შეიძლება ისევ პირველი ფაქტორის არსებობის გამო).

კიდევ უფრო საინტერესო მდგომარეობაშია თამაშთა თეორია, რომელიც სტრატეგიების გამოთვლებს აფორმირებს და ეკონომეტრიკასთან ერთად, ეკონომიკური გადაწყვეტილებების ხელოვნებაში წამყვან როლს თამაშობს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გორის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის მესვეურების მოსაზრებები კვლევის მეთოდების სწავლების შესახებ წლების განმავლობაში: „სხვა უნივერსიტეტებს არ აქვთ“ (ძირითადად, მხედველობაში ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი (თსუ) აქვთ მხედველობაში, თუმცა თსუ–ს ეკონომეტრიკა მაინც აქვს და არა მარტო თსუ–ს).

ეკონომეტრიკის სწავლებასთან მიმართებაში ეს საკითხი საკმაოდ ნათლად განვიხილეთ 2007 წელს შავი ზღვის აუზის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ”ახალი ტრენდები უმაღლეს განათლებაში” [9] ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მოქმედ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომეტრიკის სწავლებისათვის სათანადო დონეზე უკვე ყველა პირობა იყო შექმნილი (სასწავლო ცენტრი, სალექციო კურსით, კომპიუტერული კლასით, პროგრამული უზრუნველყოფებით, ლიტერატურით) და მაინც, ეკონომეტრიკა ხან მოექცეოდა სასწავლო პროგრამაში, ხან არა! მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა!

2008 წელს, 25-27 ივნისს, აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით გორის უნივერსიტეტში ჩატარდა ვორკშოპი [10]: “განათლების რეფორმების კვალდაკვალ: უმაღლესი ეკონომიკური და პროფესიული განათლების დასახმარებლად“. საქართველოს უნივერსიტეტებიდან ამ ვორკშოპში მონაწილეობდნენ: გორის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი “გორგასალი”, არასამთავრობო ორგანიზაცია „საინფორმაციო და ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების კვლევის ცენტრი“. ვორკშოპის მუშაობის შედეგი იყო ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ვარიანტის დამუშავება და საქართველოს უნივერსიტეტებისათვის შეთავაზება.

2009 წელს კიდევ ერთხელ იყო განხილული და პარალელი გავლებული ბოლონის პროცესში ჩართული უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების სასწავლო პროგრამების: კვლევის მეთოდების, ოპტიმიზაციის მეთოდების (მათ შორის თამაშთა თეორიის) სწავლების შეუსაბამობა ევროპისა და აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებთან [1] .

რა ხდება დღეს უნივერსიტეტებში საქართველოს საზღვრებს გარეთ და რამდენად თავსებადია მათი სასწავლო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტების პროგრამასთან?

განვიხილავ „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამების სწავლებაში კვლევის მეთოდების/ეკონომეტრიკის/კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას ევროპისა და აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტების მიერ. დავიწყებ ჰარვარდის უნივერსიტეტით. ბიზნესის ადმინისტრირების 2 წლიანი სამაგისტრო კურსი. პირველივე სემესტრში ფინანსები I-ის სწავლება მოიცავს [11]:

- კორპორაციული ფინანსების პრინციპებისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების საფუძვლებს;
- თანამედროვე ფინანსური ბაზრებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციებს;
- ანალიზის სტანდარტულ ტექნიკას, ფულადი ნაკადების შეფასებასა და რისკის ანალიზს.

სწორედ მესამე ნაწილი – ანალიზის სტანდარტული ტექნიკა, ფულადი ნაკადების შეფასება და რისკის ანალიზია დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან, რადგან თეორიული საფუძველი საბაკალავრო დონეზე სტუდენტს მიღებული აქვს (უნდა ჰქონდეს მიღებული), ბუნებრივია კითხვა: რა საშუალებებით შეიძლება ფულადი ნაკადების შეფასება და რისკის ანალიზი პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე? ეს პროგრამული უზრუნველყოფა (STATA 5.0, STATA 11.0 გორის სასწავლო უნივერსიტეტს კი აქვს, თუმცა გამოყენებაში ნაკლებად არის).

მეორე წელს, გრძელდება რა ფინანსების (ფინანსები II) სწავლება, ის ფოკუსირებულია მეჩუკერული გადაწყვეტილებების მიღებაზე [12]. მასალა დაყოფილია 4 ბლოკად და საინტერესოა, რომ ამ ბლოკებისათვის ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტების ცოდნაა გათვალისწინებული, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფასწარმოქმნის მოდელები, რასაც წარმატებით განიხილავს

ფინანსური ბაზრების ეკონომეტრიკა. ბუნებრივია, რომ მისი საფუძვლები საბაკალავრო დონეზე უკვე ათვისებულია სტუდენტის მიერ. მაგრამ, როგორც ჩვენი სტუდენტები ამბობენ, „ჩვენ ჰარვარდი არ ვართ“.

თუ ოქსფორდის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გადავხედავთ, ფინანსების (ფინანსები I, სემესტრი I) მოდულის შინაარსიდან გამომდინარეობს მოდულის სწავლების ძირითადი მიზანი:

1. რისკების შეფასება და ფინანსური კრიტერიუმების ანალიზი მყარი საბიუჯეტო გადაწყვეტილების მისაღებად;
2. ძირითადი აქტივების ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენება;
3. გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნების დახვეწა.

ამ საკითხების მოწესრიგება ფინანსური ბაზრების ეკონომეტრიკის პრეროგატივაა!

თამაშთა თეორიის როლი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის და ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ფორმირებაში გამოიხატება იმ რესურსებით, რითაც თამაშთა თეორია უზრუნველყოფს ბიზნეს-პროფესიონალებს, თეორიული არგუმენტაცია გამოიყენონ საქმიანი და კონკურენტუნარიანი გადაწყვეტილებების მიღებისას. თამაშთა თეორიის გამოყენების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია (ეკონომიკა, ბიზნესი, ფინანსები, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვა), თუმცა განვიხილავთ მისი გამოყენების პოტენციალს ბიზნესის მართვაში როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე. ამ მიმართულებებით საინტერესოა ის სპეციალური თემები, რომლებიც გათვლილია წონასწორობის პრინციპზე და დაფუძნებულია სტრატეგიის რაციონალურობაზე. ცხრილის მიხედვით შეიძლება კარგად დავინახოთ ეს შედეგი [13].

საგანმანათლებლო დონე	კურსის დასახელება	უნივერსიტეტის დასახელება	დეპარტამენტი, პროფესორი
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორიის შესავალი <u>Introduction to Game Theory</u>	პიტსბურგის უნივერსიტეტი	ეკონომიკის დეპარტამენტი <u>John Duffy</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	<u>Introduction to Game Theory</u>	ჰარვარდის უნივერსიტეტი	ეკონომიკის დეპარტამენტი <u>Markus Mobius</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორია (<u>Game Theory</u>)	კოლუმბიის უნივერსიტეტი	ეკონომიკის დეპარტამენტი <u>Levent Koçkesen</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორია <u>Game Theory</u>	კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს ანჯელესი	ეკონომიკის დეპარტამენტი <u>David Levine</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორია <u>Game Theory</u>	ჩიკაგოს უნივერსიტეტი	პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი <u>Luis Medina</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორიის შესავალი ეკონომიკის აპლიკაციით <u>An Introduction to Game Theory with economics Applications</u>	ტემპლის უნივერსიტეტი	ეკონომიკის დეპარტამენტი <u>Andrew Buck</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორია <u>Game Theory</u>	კარნეგი მელონის უნივერსიტეტი Carnegie Mellon University	წარმოების ადმინისტრირების სკოლა <u>Xinming Liu</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორია <u>Game Theory</u>	ლონდონი, უნივერსიტეტი კოლეჯი	ეკონომიკის დეპარტამენტი <u>Francesco Squintani</u>
ბიზნესის მართვა (ბაკალავრი)	თამაშთა თეორია <u>Game Theory</u>	კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი	<u>Yuval Peres</u> სტატისტიკის დეპარტამენტი

ცხრილი 2-ში მოცემულია სამაგისტრო დონეზე თამაშთა თეორიის სწავლება თამაშთა თეორიის შესავლისა ან ამ თეორიიდან ცალკეული თემების სწავლება უნივერსიტეტების მიხედვით.
<http://www.gametheory.net/lectures/lectures.pl?Level=MBA&highlight=MBA>

ცხრილი 2

საგანმანათლებლო-ბლო დონე	კურსის დასახელება	უნივერსიტეტის დასახელება	დეპარტამენტი, პროფესორი	შენიშვნა
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი	თამაშთა თეორია და ბიზნეს სტრატეგიები <u>Game Theory & Business Strategy</u>	ვანდერბილტის უნივერსიტეტი	მენეჯმენტის მართვის სკოლა <u>Mike Shor</u>	ვალდებულებები აუქციონები
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი	კონკურენტუნარიანი და კოოპერატიული სტრატეგია <u>Competitive & Cooperative Strategies</u>	იელის უნივერსიტეტი	მენეჯმენტის სკოლა <u>Barry Nalebuff</u>	
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი	სტრატეგიული თამაშთა თეორია მენეჯერებისათვის <u>Strategic Game Theory for Managers</u>	ავსტრალიის მენეჯმენტის სკოლა	ეკონომიკის კლასტერი <u>Robert Marks</u>	აუქციონები
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი	თამაშთა თეორიის გამოყენება ფინანსებში <u>Applying Game Theory to Finance (ppt)</u>	მასაჩუსეტის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი	მენეჯმენტის სკოლა <u>David McAdams</u>	ფინანსები
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი	<u>Game Theory Approaches to Bargaining, Conflict, and Negotiation</u>	კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი	ბიზნეს სკოლა <u>John Morgan</u>	სოციალური სწავლება Social learning
ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი	თამაშთა თეორია მენეჯერებისათვის <u>Game Theory for Managers</u>	მასაჩუსეტის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი	მენეჯმენტის სკოლა <u>David McAdams</u>	

ლიტერატურა:

- [1] რუიზან მექვაბიძე. „საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ საქართველოში: ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების სწავლება ეკონომიკურ განათლებაში“. გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2009;
- [2] S. Tsojniashvili, Creation of Distance Learning Centre at GU, U.S. EMBASSY IN TBILISI, GEORGIA, Democracy Outreach/Alumni Grants Program, 2010;
- [3] Ruizan Mekvabidze, The program on Econometrics. Travel, Host University: Moscow New Economic School 10/10/98-18/10/98, Project Financed by HESP;
- [4] Ruizan Mekvabidze, Analysis of the Literature on Econometrics, Enhunce the Library of Gori State University with Moderh Economic Literature, 1997-1998, C97 – 1036, Project Financed by Eurasia Foundation
- [5] რუიზან მექვაბიძე, ეკონომეტრიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების კვლევა და ანალიზი, OSGF/HESP/06/98
- [6] რუიზან მექვაბიძე, ეკონომეტრიკის სალექციო კურსის მომზადება , II. 8/2/2001- 5/06/01, OSGF/HESP/06/00
- [7] ფინანსებისა და საბანკო საქმის სწავლების რეფორმებისათვის. TEMPUS- Contract N CD_JEP-21058-2000–2002
- [8] The Art of Economic Decision Making, 05/01/2009-05/01/2011, Participant of the project financed by HESP/SET
- [9] R. Mekvabidze, P. Mekvabidze. Curricula, Syllabi Design and Teaching Method for the Module of “Quantitative Economic Methods and Models”, International Black Sea University 4th International Silk Road Symposia “New Trends in Higher Education, 4-6 May, 2007, Tbilisi
- [10] რუიზან მექვაბიძე, საქართველოში ეკონომიკური განათლების რეფორმების კვალდაკვალ: თანამედროვე კურიკულუმების დიზაინის ტრანსფორმაციის სრულყოფისათვის., ვორკშოფი დაფინანსებული აშშ-ს საელჩოს მიერ „ეკონომიკური და პროფესიული განათლების დასახმარებლად“, გორის უნივერსიტეტი, 2008

- [11] რუიზან მექვაბიძე, საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ საქართველოში: ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების სწავლება ეკონომიკურ განათლებაში, გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, 2009
- [12] <http://www.hbs.edu/mba/academics/term1.html>
- [13] <http://www.hbs.edu/mba/academics/term2.html>
- [14] <http://ibs.edu.ge/Icerik.aspx?ID=188&Page1=122&Page2=Faculties%20and%20Schools>
- [15] http://gtu.edu.ge/Faculties/HTF/magistratura/INTERN_EKONOMIKA_gegma.pdf
- [16] http://gtu.edu.ge/Faculties/HTF/magistratura/AUDITI_gegma.pdf
- [17] <http://www.sbs.ox.ac.uk/degrees/mba/Pages/outline.aspx>

რეზიუმე

ნაშრომი ეხება ეკონომიკური განათლების პრობლემას საქართველოს უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან მიმართებაში. კერძოდ, მათ არათავსებადობასთან საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად, რაც გამოწვეულია სასწავლო პროგრამებში კვლევის მეთოდებისა და მოდელების/ეკონომეტრიკის/თამაშთა თეორიის დისციპლინების თანმიმდევრული სწავლების გაუთვალისწინებლობით. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინის დახვეწის მიმართულება, კერძოდ:

- ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების ანალიზი;
- სასწავლო დისციპლინების თანმიმდევრულობის დაცვა;
- კონკრეტული სპეციალობისათვის კონკრეტული სილაბუსის მომზადება კონკურენტუნარიანი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

FOLLOWING EDUCATIONAL REFORMS IN GEORGIA: RESEARCH METHODS TEACHING IN THE PROGRAMS FOR PREPARING OF ECONOMIC PROFILE SPECIALISTS

Ruizan Mekvabidze, Academic Doctor

RESUME

In this article is considered the problem that takes place in the teaching programs of Georgian Universities. Particularly, there is considered inconsistency of this program with the preparing a competitive specialists of economic profiles. The reason of this problem is connected with the ignoring that disciplines as are: research methods in business and economics, econometrics, game theory. There is considered the possibility the suggestion of the programmes design, especially:

- to analyze the European and USA universities study programs;
- to choose the real sequence of teaching disciplines;
- to prepare a concrete syllabi for the concrete specialty according to the aim of the competitive market demand.

კორპორაციული ინფორმაციული სისტემები და ბიზნეს გადაწყვეტილებები საწარმოს მართვაში

თინათინ მშვიდლობაძე, ასოცირებული პროფესორი

კორპორაციული ინფორმაციული სისტემები მმართველობითი იდეოლოგიაა, რომელიც აერთიანებს დაწესებულების ბიზნეს-სტრატეგიას და უახლეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. კორპორაციული ინფორმაციული სისტემების ძირითადი ამოცანაა დაწესებულების ფუნქციონირებისა და განვითარების მხარდაჭერა.

ორგანიზაციას გააჩნია სტრატეგიულ დონეზე - შესრულების მხარდაჭერის სისტემები **Executive Support Systems (ESS)**; მართვის დონეზე – **Management Information Systems (MIS)**, მმართველი ინფორმაციული სისტემები გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის სისტემები **Decision Support Systems (DSS)**; ცოდნის დონეზე – ცოდნის სისტემები **Knowledge Work Systems (KWS)**, საქმეთწარმოების ავტომატიზებული სისტემები – **Office Automation Systems (OAS)**; ექსპლუატაციურ დონეზე – მოთხოვნების დიალოგური დამუშავების სისტემები **Transaction Processing Systems (TPS)**. ამრიგად, ტიპური სისტემები ორგანიზაციებს ემსახურებიან იმისთვის, რომ დაეხმარონ მუშაკებს ან მენეჯერებს ყოველ დონეზე გაყიდვების, მარკეტინგის, წარმოების, ფინანსების, საბუღალტრო და ადამიანური რესურსების აღრიცხვის ფუნქციების რეალიზაციაში.

განვიხილოთ თითოეული ზემოთხსენებული ინფორმაციული სისტემის ტიპი [1].

მოთხოვნების დიალოგური დამუშავების სისტემა (TPS) - არის კომპიუტერული სისტემა, რომელიც ასრულებს და გამოთვლის რუტინულ ტრანზაქციებს, რომელიც აუცილებელია ბიზნესის განხორციელებისათვის. ასეთი ტიპის სისტემები შეიძლება იყოს გამოყენებული საწარმოო ბრძანებებისა და პროცესების თვალყურისათვის გაყიდვებისა და მარკეტინგის სფეროში. **KWS**-სისტემები სამეცნიერო და საინჟინრო ტიპის სამუშაო სადგურებზე, ასევე ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილებზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნას და გარანტიას იძლევა იმისა, რომ მოხდება ახალი ცოდნის და ტექნიკური გამოცდილების ინტეგრირება ბიზნესში. თავის მხრივ, **OAS** – საქმეთა წარმოების ავტომატიზაციის სისტემები – არის კომპიუტერზე ტექსტის დამუშავების ტიპის სისტემები, ელექტრონული ფოსტის და კალენდრის, გამოსახულების შექმნის სისტემები და საქმიანობის დაგეგმვის სისტემები.

საქმეთწარმოების ავტომატიზაციის სისტემები OAS – არის ტექნოლოგიის ინფორმაციული დანართი, რომელიც შემუშავებულია იმისთვის, რომ გაიზარდოს ოფისში მონაცემთა დამუშავების მუშაკების შრომის წარმადობა.


მართვის ინფორმაციული სისტემები MIS - ემსახურება ორგანიზაციის მართვის დონეს, უზრუნველყოფს მენეჯერებს მოხსენებებით, ზოგ შემთხვევაში ორგანიზაციის მუშაობის მიმდინარე და წინა აღრიცხვებთან ინტერაქტიული მუშაობის რეჟიმით. ჩვეულებრივ, ამ ტიპის სისტემები ორიენტირებულია ორგანიზაციის შიგა შედეგებზე. **MIS** პირველ რიგში ემსახურება დაგეგმვის, მართვის და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციებს მართვის დონეზე. მათი საშუალებით შესაძლებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: რეალიზაციის მართვა, ინვენტარის კონტროლი, ყოველწლიური ბიუჯეტის, კაპიტალდაზანდებების და გადაადგილების (ადამიანურ რესურსებში) ანალიზი.

გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერის სისტემები DSS ეხმარება მმართველს გადაწყვეტილების მიღებაში მონაცემების, რთული ანალიტიკური მოდელების და მომხმარებლებისთვის მოსახერხებელი პროგრამული უზრუნველყოფის გაერთიანებით ერთიან მძლავრ სისტემაში, რომელიც მხარს უჭერს არასტრუქტურირებადი, ან ნაკლებად სტრუქტურირებადი გადაწყვეტილების მიღებას. **DSS** -ის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა – ახორციელებს მარტივ ურთიერთქმედებას სისტემის მომხმარებლებს, მონაცემთა ბაზას და ეტალონურ ვარიანტებს შორის. იგი მართავს მოდელების შექმნას, შენახვას და აღდგენას. აერთიანებს მათ **DSS** მონაცემთა ბაზაში. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს გრაფიკულ, გამოყენებისთვის მარტივ, მომხმარებლის მოქნილ ინტერფეისს, რომელიც მხარს უჭერს მომხმარებელსა და **DSS** -ს შორის დიალოგს. **DSS** -ის მომხმარებლები არიან მმართველები ან მენეჯერები, რომლებსაც ხშირად გააჩნიათ კომპიუტერთან მუშაობის მცირე გამოცდილება ან საერთოდ არ გააჩნიათ იგი, ამიტომ ინტერფეისი უნდა იყოს მეგობრული [2].

SAP ინფორმაციული სისტემის არქიტექტურა (ნახ.1). დღეისათვის ორგანიზაციების უმრავლესობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი ბიზნეს გადაწყვეტილების დანერგვას, რომელშიც ინტეგრირებულია და რომლის ძირითად რგოლსაც წარმოადგენს ERP (Enterprise Resource Planning – ბიზნეს რესურსების

დაგეგმვა) სისტემა [3]. ბაზრის დინამიკური განვითარების პირობებში მართვის ინფორმაციული სისტემის სასიცოცხლო ციკლი მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო მოთხოვნები ბიზნეს გადაწყვეტების ფუნქციონალური შესაძლებლობების მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება. ამიტომ ყოველწლიურად იხვეწება და იქმნება ახალი კონცეფციები და პროგრამული პროდუქტები.

მსოფლიოში კომპლექსური ბიზნეს გადაწყვეტილებების შემუშავების უდავო ლიდერებია კომპანია SAP , Microsoft Dynamics AX და Oracle E-Business Suite . ისინი ბაზარს თავაზობს ბიზნეს სამომხმარებლო პროგრამებს, აყალიბებს სტანდარტებს მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.



ნახ.1. SAP-ის კლასიკური არქიტექტურა

SAP (System Analysis and Program Development) წარმოადგენს სამეწარმეო გადაწყვეტების მიღების ერთერთ ყველაზე მოწინავე და უნივერსალურ პაკეტს [4]. იგი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ფართოდ გამოიყენება. ამ კომპანიის 30-მდე პროდუქტი და ტექნოლოგია წარმოადგენს მსოფლიოს მსხვილი კორპორატიული საწარმოების უმრავლესობის მართვის მთავარ ინსტრუმენტს. ეს პროდუქტებია R/3 (SAP ERP), mySAP ERP, Business Warehouse, Advanced Planner and Optimizer, Customer Relationship Management, Enterprise Portal და სხვა. შესაძლებელია ყოველი პროდუქტის დაყოფა მოდულებად – ფუნქციონალურ ერთეულებად, რომლებიც ასრულებს კონკრეტულ ფუნქციას ერთიან სისტემაში. ასე მაგალითად, SAP R/3 და მისი შემდგომი განვითარებული ვერსია SAP ERP შედგება ისეთი მოდულებისაგან, როგორცაა Financials (ფინანსები), Sales & Distribution (გაყიდვები და დისტრიბუცია), Materials Management (მატერიალური ნაკადების მართვა), Warehouse Management (სასაწყობო მეურნეობის მართვა) და ა.შ. თითოეული ამ მოდულით შესაძლებელია როგორც ბიზნესის ეფექტური მართვა, ასევე ცალკეული ფუნქციონალური სფეროებისა, რომლებზეც პასუხს აგებს კომპანიის შესაბამისი განყოფილებები. მეორეს მხრივ ცალკეული მოდულებისაგან შესაძლებელია SAP - კომპონენტის, სამომხმარებლო პროგრამის ან პროდუქტის ფორმირება. მრავალი ბიზნეს პროცესისათვის საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მოდულის ერთ კომპონენტად გაერთიანება. მაგალითად, ECC -ის დახმარებით შესაძლებელია რთული ბიზნეს პროცესის ფორმირება. მაგალითად, „შეკვეთა-გადახდა“ (order-cash), ასევე მარტივი პროცესის – „კრედიტების შემოწმება“ (credit-cash), მაშინ როდესაც სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციებისათვის ეს საკმარისი არ არის.

SAP -ის არქიტექტურა საშუალებას იძლევა მომხმარებლის პროგრამის შესრულების ან ანგარიშების შედგენისას განაწილდეს დატვირთვა რამდენიმე კომპიუტერს შორის (front-end) - კლიენტები, რომლებსაც SAP -ში პრეზენტაციის სერვერებს (presentation servers) უწოდებენ.

მონაცემთა ასახვის ეს კლიენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია ქსელის საშუალებით. SAP - სისტემა ისეა დაპროექტებული, რომ მონაცემთა ასახვის დონე, მომსახურე პროგრამების ლოგიკა და მონაცემთა მართვა უნდა იყოს ერთმანეთისაგან გაყოფილი, როგორც ფიზიკურად ისე ლოგიკურად.

ბიზნეს გადაწყვეტილებები SAP -ში. ბიზნეს პროცესების განვითარების მიმართულებასა და შემოსავლების მაქსიმალურ ზრდაზე სრული წარმოდგენის მიხედვად სულ უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ბიზნეს პროცესების გაფართოება, როგორცაა „შეკვეთა- გადახდა“ (order-cash), რადგან ის მოიცავს თითქმის ყველა კომპონენტს. ე.წ. „ბიზნეს პროცესები, საერთო ყველა სამომხმარებლო პროგრამისათვის შეიძლება დაიწყოს ECC -ს ან SAP’s Enterprise Portal -ის (ორგანიზაციის პორტალი) წვდომით, შემდეგ მართვა გადასცეს ისეთ კომპონენტს, როგორცაა SAP’s Customer Relationship management (CRM,

კლიენტებთან ურთიერთობების მართვა). ამ უკანასკნელი პროდუქტით განისაზღვრება კლიენტების მიერ განხორციელებული შესყიდვების ტენდენცია. CRM-ის ბიზნეს ლოგიკით შესაძლებელია არსებითად ბიზნეს პროცესების მართვა ან მათზე გარკვეული მიმართულებით გავლენის მოხდენა. შემდეგი სისტემა – SAP's Advanced Planner and Optimizer (APO, გაფართოებული დაგეგმვა და ოპტიმიზაცია) – გამოიყენება პოტენციური შეკვეთების ჯაჭვის დაგეგმვის პროცესის კონტროლისათვის, შემოსავლების ოპტიმიზაციის განსაზღვრისათვის, რადგან სისტემის დანიშნულება კლიენტების მოთხოვნისა და ორგანიზაციის შესაძლებლობათა დაბალანსებაა. და ბოლოს – „მონაცემთა საცავი“ ((SAP's Business Warehouse, BW), საიდანაც შესაძლებელია საჭირო ფინანსურ პირობებზე ინფორმაციის მიღება. ამ ინფორმაციის ანალიზის შემდეგ მართვა გადაეცემა ECC -ის ან Enterprise Portal -ს, რომლის მიერაც კონტროლდება ჩანაწერები მონაცემთა ბაზაში;

ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობებიდან გამომდინარე SAP -ის პროდუქტები დღეისათვის აკმაყოფილებს მცირე და დიდი ბიზნესის ყველა მოთხოვნებს, აძლევს რა მათ შესაძლებლობებს წარმართოს ბიზნესით ბიზნესი. გარდა ამისა, ყოველი ორგანიზაცია საჭიროებს თავისი საწარმოო და მატერიალური მარაგების მართვას, გაყიდვების გენერირებასა და კონტროლს, მომსახურებას, შემოსავლების მაქსიმალურად ზრდას, მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაციას და სხვა. SAP -ი და მისი კონკურენტები Oracle და Microsoft, რომლებიც აწარმოებს ორგანიზაციებისათვის პროგრამულ უზრუნველყოფებს და იძლევა ამ შესაძლებლობებს დიდი მასშტაბით, ახდენენ რა მრავალი სხვადასხვანაირად რეალიზებადი ფუნქციების ინტეგრირებას. ეს აძლევს კომპანიებს შესაძლებლობას თვალყური ადევნონ ბიზნესის მართვის პროცესს და განსაზღვრონ, როგორ გახადონ ისინი უფრო ეკონომიური, ოპერატიული და შემოსავლიანი.

ლიტერატურა:

1. Технологии и системы информационного корпоративного управления. С.В. Сочнев, Г.С.Хулап. Издательство "Москва-2002", 2001.
2. Управление процессами. Методы управления предприятием с использованием информационных технологий. Липунцов Ю.П., Москва, Издательство "Компания АйТи", 2003.
3. Angappa Gunasekaran. Techniques and Tools for the Design and Implementation of Enterprise Information Systems. University of Massachusetts-Dartmouth, USA. IGI PublIshInG. 2008. ISBN 978-1-59904-826-0 (hardcover), ISBN 978-1-59904-829-1 (e-book).
4. www.sap.com

რეზიუმე

განხილულია კორპორაციული ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაციის საკითხი. ზოგადად დახასიათებულია კორპორაციის მართვის დონეები, ინფორმაციული სისტემები, რომლებიც გამოიყენება კორპორაციის მართვაში, მათი დანიშნულება.

მოცემულია EPR სისტემების ერთ-ერთი ლიდერის, SAP არქიტექტურა, ძირითადი კომპონენტები და ორგანიზაციულ მართვაში მის ბაზაზე ბიზნეს გადაწყვეტების რეალიზაციის საშუალებები.

CORPORATION INFORMATION SYSTEMS AND BUSINESS-DECISION IN ENTERPRISE RESOURCE PLANNING

Tinatin Mshvidobadze, Associate Professor

Summary

In the give article is discussed question of classification of corporative information systems. In this connection there are characterizes levels of management corporation, information systems, which are used for management in corporation, and their purpose.

It's shown architecture SAP, (one of leaders of EPR systems) its basic components and means of realization business-decision on the basis of SAP in enterprise resource planning are considered.

საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგიური ასპექტები

მზია რამიშვილი, ასოცირებული პროფესორი

საქმიანი ურთიერთობის პროცესში პარტნიორის აზრებისა და ჩანაფიქრის სწორად გაგება, მაღალი და დამაჯერებელი სიზუსტით ამოცნობა, მისი დამოკიდებულებების ახსნა უამრავი წესის დახმარებით არის შესაძლებელი. საუბრის პროცესში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ იქნა გაგებული პარტნიორის მიერ ჩვენი სიტყვები. ხშირად შესაძლებელი ხდება თანამოსაუბრის პასუხებით გავიგოთ მისი ჩანაფიქრი, თუმცა არც თუ იშვიათად იგი არა არის გულწრფელი, სიტყვაძუნწი და ურეაქციოა. სწორედ ასეთ სიტუაციებში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს სხეულის ენა-ჟესტები, პოზა, მიმიკა და სხეულის მოძრაობა.

ჟესტები და მიმიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ურთიერთობის პროცესში. სპეციალური კვლევებით დადგენილია, რომ სიტყვების საშუალებით ხდება მხოლოდ ინფორმაციის 7%-ის გადაცემა, ინტონაციისა და ხმის ტონალობის საშუალებით ვლენულობით ინფორმაციის 38%-ს, ხოლო მიმიკებისა და ჟესტების საშუალებით ხდება ინფორმაციის 55%-ის მიღება. სიტყვების საშუალებით მიღებული ინფორმაცია არის 1/3, ხოლო დანარჩენი არავერბალურ სიგნალებზე მოდის.

არავერბალური არხები მნიშვნელოვანწილად გამოიყენება პირადი ურთიერთობების “გამოსავლენად”. მაგ., ადამიანს შეუძლია მიაპყროს გამჭოლი მზერა და აგრძნობინოს საკუთარი დამოკიდებულება ისე, რომ ხმა არ ამოიღოს.

სხეულის ენის უტყუარობა იმით აიხსნება, რომ მათი დიდი ნაწილის გამოვლინება სპონტანურ ხასიათს ატარებს და რთულია გონებით მისი გაკონტროლება. როდესაც ვიცით სხეულის ენის გამოვლინებების არსი, შესაძლებელი ხდება იმაზე მეტის გაგება ვიდრე თანამოსაუბრეს სურდა, ეთქვა. ჟესტებზე დაკვირვებით შესაძლებლობა გვეძლევა სიტყვით ნათქვამი შესაბამისი ჟესტებით, პოზითა და მიმიკებით გავამყაროთ და ნათქვამი უფრო დამაჯერებელი გავხადოთ.

ადამიანები ხშირად გაუთვითცნობიერებლად ვგრძნობთ ამა თუ იმ ჟესტების აზრს. მაგალითად, ადამიანი საუბრობს და ვგრძნობთ რომ ყველაფერი ისე არ არის. საქმე ის არის რომ მისი სხეულის ენით განსხვავებულ ინფორმაციას ვლენულობთ, რაც არ შეესაბამება სიტყვებით გადმოცემულის არსს.

საქმიანი შეხვედრებისას მნიშვნელოვანია შევძლოთ საკუთარი ჟესტებისა და მიმიკების მართვა და ამავდროულად სწორად “წავიკითხოთ” პარტნიორის რეაქციები.

არავერბალური ურთიერთობის ელემენტები მნიშვნელოვანია გაცნობის პირველ წუთებში. იგი არის საფუძველი ურთიერთობის გაგრძელების, კონსტრუქციული ურთიერთობის, ახალი იდეებისა და წინადადებების ჩამოყალიბების.

საქმიანი წრის წარმომადგენლები სხეულის ენის საშუალებით ახდენენ ადამიანთა ქცევის პროგნოზირებას. სხეულის ენის საიდუმლოების ახსნა ექვემდებარება შესწავლას, თუმცა გარკვეული ცოდნის დაგროვება გამოცდილებითაც არის შესაძლებელი.

საქმიანი შეხვედრებისას მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნას ქალთა უნარი, ისინი გაცილებით ზუსტად ახერხებენ საკუთარი გრძნობების გადმოცემას სხეულის ენით და ასევე ზუსტად აღიქვამენ სხვათა გრძნობებს, მამაკაცებთან შედარებით. ასევე მაღალია აღქმის უნარი იმ მამაკაცებში, რომლებიც მუშაობენ ფსიქოლოგებთან, მასწავლებლებთან და მსახიობებთან.

დადგენილია, რომ მამაკაცები ზუსტად აღიქვამენ მამაკაცების სხეულის ენას და ქალები – ქალებისას. ასევე მაღალია აღქმის უნარი ერთი პროფესიის და საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლებს შორის. განსაკუთრებით იოლია ადამიანის სხეულის ენის გაგება, როდესაც ახდენ ემპათიის ხელოვნების გამოყენებას.

საქმიანი ურთიერთობისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არც თუ იშვიათად ადამიანებს აქვთ სხეულის მოძრაობის განსაკუთრებული ჩვევა, რომელიც ართულებს მათ გაგებას. მაგ., არიან ადამიანები, რომლებიც მუდმივად ფეხი ფეხზე გადადებულნი სხედან, ამდენად ეს პოზა არაფერს მეტყველებს მის შინაგან განწყობილებაზე.

სხეულის ენის გაგება რთულია ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებშიც. მაგ. ადამიანი რომელსაც ცუდად ესმის, შესაძლოა ხშირად აბრუნებდეს თავს თანამოსაუბრისგან, რათა ყური

მიუგდოს საუბარს, ამდენად თავის დაზღვევის მიზნით სასურველია მოხდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე ერთდროული დაკვირვება.

სხეულის ენაში არ არსებობს წვრილმანები. ეგრეთწოდებული “წვრილმანი” ნაკლებად შესამჩნევი და თითქმის შეუმჩნეველი გამოვლინებები, ჟესტები, რომელთა კონტროლი შეუძლებელია ხშირად გაცილებით მეტი ინფორმაციის მატარებლები არიან. მაგ., თანამოსაუბრე ავლენს საუბრისას ინტერესს და თანხმობის ნიშნად გიკრავთ თავს, ფეხები კი კარისაკენ აქვს მიბრუნებული, ეს ნიშნავს, რომ იგი ფაქტიურად არ გისმენთ, მაგრამ ცდილობს თქვენი საუბრით დაინტერესებულ ადამიანად მოგაჩვენოთ თავი.

საქმიანი ურთიერთობისას მნიშვნელოვანია ნებისმიერი საკითხის განხილვა მოხდეს პირადი კონტაქტით და არა ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით, ვინაიდან მრავლისმთქმელია ადამიანის თვალები, და ტელეფონი ამის საშუალებას არ იძლევა, რა შეუძლია გვითხრას თვალებმა? მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ლევ ტოლსტოიმ აღწერა თვალის მოძრაობის და გამომეტყველების 85 და ლიმილის 97 ვარიანტი. თვალების საშუალებით გადმოიცემა ყველაზე ზუსტი და ღია სიგნალები იმ კომუნიკაციური საშუალებებიდან, რომელიც ადამიანს გააჩნია. ამიტომ საუბრის პროცესში მნიშვნელოვანია მოახდინოთ როგორც საკუთარი თვალების, ისე თანამოსაუბრის მხერის კონტროლი (193). იმისათვის, რომ თანამოსაუბრესთან დაამყაროთ კარგი ურთიერთობა, თქვენი თვალები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ურთიერთობის საერთო დროის 60-70%. არ არის გასაკვირი, რომ თანამოსაუბრე, რომელიც ხშირად გარიდებთ თვალს (ურთიერთობის დროის 2/3) ნდობით ვერ ისარგებლებს.

თუ გამოცდილი ლიდერი დიდი ძალისხმევით ახერხებს აკონტროლოს საკუთარი ჟესტები და მიმიკები, თითქმის შეუძლებელია შენიღბო საკუთარი თვალებით წამოსული ემოციები და ინფორმაცია.

როდესაც ადამიანს უხარია მისდაუნებურად თვალის გუგა ნორმალურთან შედარებით 4-ჯერ ფართოვდება, ხოლო როდესაც ადამიანი ბრაზობს და ცუდ განწყობაზეა მისი თვალის გუგები შესაბამისად ვიწროვდება. არ შეიძლება დაკვირვებულ თვალს ამგვარი ცვლილება გამოეპაროს.

გამოხედვა მრავლისმთქმელია და შესაბამისად არსებობს გარკვეული კლასიფიკაცია: საქმიანი გამოხედვა, სოციალური და ინტიმური. საქმიანი მხერისას წარმოიდგინეთ, რომ თანამოსაუბრის თვალებს შორის არის სამკუთხედი და ნუ მოამორებთ თვალს ამ წარმოსახვაში არსებულ ფიგურას, ამით სხვა თუ არაფერი, შეძლებთ აკონტროლოთ საუბარი. რაც მთავარია თქვენი მხერა არ უნდა იყოს თანამოსაუბრის თვალების ქვევით.

სოციალური მხერისას თქვენი თვალები თანამოსაუბრის თვალების ქვევით არის მიმართული და იქმნება პირობები სოციალურ დონეზე ურთიერთობების. მხერა ამ დროს კონცენტრირდება წარმოსახვაში არსებულ სამკუთხედზე, რომელიც განთავსებულია თვალებსა და პირს შორის.

ინტიმური მხერისას თანამოსაუბრის თვალები მიმართულია თვალებიდან ნიკაპის მიმართულებით და კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისას მხერა გადადის გულის მიმართულებით.

ჩვენ მეტად ვაკვირდებით იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ახლობლები არიან და რომლებითაც მოხიბლულები ვართ. ხანგრძლივმა მხერამ შესაძლოა გათქვას ადამიანის გრძნობები. ცნობილია, რომ ქალები გაცილებით დიდხანს უყურებენ მათ, ვისაც ისინი მოსწონთ და კაცები პირიქით, მეტად უყურებენ იმ ქალებს, რომლებიც მათ მოსწონთ.

კარგად ესმოდა ქართველ მოსახლეს ვაჟა-ფშაველას ადამიანის სულისა და სხეულის ენა და სწორედ ამიტომ შესძლო ზუსტად გადმოეცა თვალებით გამჟღავნებული ქალის გულისნადები:

“ქალავ, ის მიყვარს მე შენში,
თავს რომ დაჰკიდებ მეღადა,
პირდაპირ მხერას ვერ ბედავ,
ვაჟთ მხერას იმჩნევ წყენადა.”

ადამიანები ერთმანეთს უყურებენ 30-60% მთელი ურთიერთობის პერიოდში. თუ მხერის ხანგრძლივობა აღნიშნულ პროცენტზე მეტია მაშინ თანამოსაუბრე გაცილებით მეტად არის დაინტერესებული პიროვნებით, ვიდრე მისი საუბრის თემით.

ურთიერთობისას ადამიანები მეტწილად უყურებენ ერთმანეთს თვალებში, მაგრამ ეს ხანგრძლივობა ერთჯერადი მხერისას არ არის 10 წამზე მეტი. მიუხედავად იმისა რომ 10 წამი არც ისე დიდი დროა, ეს პერიოდიც კი მცირდება საუბრის პროცესში და მით უფრო სწრაფად თუ უინტერესო ხდება საუბარი.

დაქინებული მზერა ადამიანებში იწვევს პროტესტს, რამეთუ იგი აღიქმება როგორც პირადი გრძნობების ხელყოფა. უფრო მეტიც, კიდევ უფრო დაქინებული მზერა მტრობადაც კი აღიქმება.

თუ მოსაუბრე ხან მიაპყრობს მზერას მსმენელს და ხან თვალს არიდებს, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საუბარი ჯერ არ დაუმთავრებია. საუბრის დასასრულს მოსაუბრე მსმენელს თვალეში შესცქერის, თითქოს ეუბნება „მე დავასრულე ჩემი სათქმელი და გისმენ...“

უმეტეს შემთხვევაში თვალეების უნებლიე მოძრაობით შესაძლებელია ამოვიკითხოთ თანამოსაუბრე.

თვალეებთან ერთად სისტემურად უნდა მოხდეს ადამიანის ტუჩებსა და ღიმილზე დაკვირვებაც, რას გვამცნობს ადამიანის ტუჩები და ღიმილი?

ადამიანის ღიმილსა და ტუჩებს ბევრის თქმა შეუძლია მისი მდგომარეობისა და განწყობის შესახებ.

თუ მჭიდროდ მომუჭული ტუჩები მიანიშნებს, რომ ადამიანი ღრმად არის ჩაფიქრებული, მობრეცილი ტუჩები ეჭვისა და საკაზმის მანიშნებელია.

ღიმილი, როგორც წესი, გამოხატავს მეგობრობას, სითბოსა და გულდობრისა. მაგრამ მისი ახსნისას დასკვნების გაკეთებისას საჭიროა ფრთხილი დამოკიდებულება. ღიმილი ხელმძღვანელების მხრიდან შესაძლოა აღქმული იყოს უარყოფითად და შესაძლოა ამ ღიმილის მიღმა იმალებოდეს ნიღაბში მყოფი ადამიანი.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ როდესაც ღიმილი ბუნებრივია, ადგილი აქვს თვალის კუნთის შევიწროებას და აწეულია ქვედა ქუთუთო, ხოლო საქმიანი ღიმილისას იღიმებიან მხოლოდ ტუჩებით.

არსებობს უშუალო კავშირი ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობასა და ღიმილს შორის. როდესაც გული წუხს და განწყობა უარყოფითია ღიმილი მწუხარებისაა, ხოლო როდესაც გულს უხარია, ღიმილიც ბედნიერია. სულიერი სიმშვიდე ყოველთვის აისახება ღიმილში.

ადამიანები კეთილად აღიქვამენ ღიმილს, რომელიც გამოხატავს მეგობრობას, თანადგომას. მომღიმარი ადამიანი იწვევს გარშემომყოფთა ყურადღებას.

ფართოდ არის აღიარებული რომ ღიმილი შესაძლოა სამკურნალო საშუალებადაც მოგვევლინოს, ამიტომ საჭიროა მაშინაც კი გაიღიმოთ როდესაც გულს არ ეღიმება.

დადგენილია, რომ ცუდი განწყობის მიუხედავად შეეცდებით რამოდენიმეჯერ გაიღიმოთ, აუცილებლად იგრძნობთ სულიერი მდგომარეობის შემსუბუქებას და თუ კი განწყობა ამაღლებული გაქვთ, იგი უნდა გაუნაწილოთ გარშემო მყოფთ.

საქმიანი ურთიერთობისას თვალეებზე ღიმილსა და ტუჩებზე დაკვირვების პარალელურად მნიშვნელოვანია ადამიანის ხმის ტონალობაზე დაკვირვებაც. დიპლომატიური წრის წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ თუ ადამიანს ენა აძლევს საშუალებას, არ გამოხატოს თავისი აზრები, ადამიანის ხმა ახდენს ამ აზრების გამოაშკარავებას. თუმცა ამისათვის საჭიროა, შეგეძლოს მოსმენა. გამოცდილი ადამიანი ადვილად ამჩნევს, რომელი კუთხის შვილი ხართ და რა ასაკის ბრძანდებით. არსებობენ ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი ხმით დაადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხასიათი და ტემპერამენტი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დაჯილდოებულია უნიკალური ხმით, ელფერს მას თავად ადამიანები ანიჭებენ.

ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი მკვეთრად შეცვალონ ხმის სიმაღლე, როგორც წესი დამაჯერებლები, კომუნიკაბელური, კომპეტენტური და გაცილებით სასიამოვნო მოსასმენნი არიან, ვიდრე ადამიანები, რომლებიც მონოტონურად საუბრობენ. მოსაზრება, რომ საუბრისას იოლად ამოსაცნობია მწუხარება და რთულია ნერვოზისა და ეჭვიანობის ამოცნობა, არ ვეთანხმები.

არც თუ მცირე ინფორმაციას იძლევა ადამიანის ხმის ტონი და სიძლიერე. ზოგიერთი გრძნობები, როგორც არის ენთუზიაზმი, სიხარული, უნდობლობა, ჩვეულებრივ მომატებული ხმის ტონალობით გამოითქმევა, ისე როგორც შიში შეგრძნებისას, მაგრამ პირველ შემთხვევაში უფრო ფართო დიაპაზონის ტონალობაა და ხმაც ძლიერია. ისეთი გრძნობები, როგორც არის მწუხარება, დარდი და დაღლილობა, ჩვეულებრივ გადმოიცემა რბილად და ყოველი ფრაზის შემდეგ ინტონაციის შემცირებით.

ადამიანები საუბრობენ სწრაფად, როდესაც ისინი აღშფოთებულნი ან აღელვებულნი არიან პირადი სიძნელების გამო. როცა ადამიანი ცდილობს, დაგვარწმუნოს საკუთარ სიმართლეში, ჩვეულებრივზე სწრაფად საუბრობს. ჩვეულებრივზე ნელა საუბარი მიანიშნებს დარდს, მწუხარებასა და დაღლილობაზე. როდესაც საუბრის დროს ხშირია ცდომილებები, ადგილი აქვს სიტყვებს გამეორებას და არასწორ შერჩევას, ადამიანები თავისდაუნებურად ამჟღავნებენ საკუთარ გრძნობებს.

სიტყვების შერჩევა ადამიანებს უჭირთ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არ არის დარწმუნებული საკუთარ სიტყვებში, ან ცდილობს თანამოსაუბრის გაკვირვებას. უმეტეს წილად საუბრისას დაშვებული ხშირი შეცდომები მიანიშნებს, რომ თანამოსაუბრე დედას და ცდილობს მოგვაცუოს. შემთხვევითი არ არის, რომ გამოცდის წინ ნერვიულობისას ხშირად ხმაში ხრინწი გამოერევათ სტუდენტებს, ნერვიულობისას შესაძლოა ხმა იმდენად შეიცვალოს, რომ საკუთარმა დედამაც კი ვერ გიცნოთ.

რამდენადაც ხმის ტონალობა დამოკიდებული სხეულის სხვადასხვა ორგანოების მუშაობაზე, შესაბამისად ხმაში აისახება ამ ორგანოთა მდგომარეობაც. ადამიანში არსებული ემოციები ცვლიან სუნთქვის სიხშირეს. შიში და სტრესი ახდენს ხორხის პარალიზებას. შემთხვევითი არ არის, რომ ადამიანები შიშის ხარისხს ტონალობის ზრდით აფასებენ „ისე კიოდა, მთელმა სოფელმა გაიგონაო“ არა მხოლოდ ემოციური მდგომარეობა მოქმედებს სუნთქვის სიხშირეზე, არამედ სუნთქვით შესაძლებელია ემოციური მდგომარეობის კონტროლიც. მძიმე ემოციური მდგომარეობისას რეკომენდირებულია ღრმად ჩაისუნთქოთ და ამოისუნთქოთ ფართოდ გაღებული პირით. თუმცა სუნთქვის ხარისხი შესაძლოა შეიცვალოს ჰაერის უკმარისობითაც.

საუბრის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ დავადგინოთ მართალს ამბობს თუ არა თანამოსაუბრე. ყურადღებიანმა მსმენელმა შესაძლოა უბრალო ნიუანსით იგრძნოს არის თუ არა იგი სიცრუის მსხვერპლი, მაგრამ ამ ხელოვნებას ყველა ვერ სწვდება, არადა არავის არ სურს იყოს მოტყუებული.

ამ პრობლემის მოგვარებას ახერხებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ტელეფონის ყურმილზე სპეციალური აპარატის დამონტაჟებით შესაძლებელია მოსაუბრის ემოციური მდგომარეობის გაგება. ინდიკატორზე სპეციალური ციფრების ცვლილებით შესაძლოა დადგინდეს, რომელ სიტყვაზე ცრუობთ. აღნიშნული აპარატი უკვე გაყიდვაშია ინგლისში.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ რომელიმე ერთი ჟესტითა და მანერით დასკვნების გაკეთება შეუძლებელია და ზრდის შეცდომების ალბათობას, სამწუხაროდ არც რაიმე რეცეპტი არსებობს, რომელიც კონკრეტულ სიტუაციას მოერგება, ამიტომ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

- არ გააკეთოთ ნაადრევი დასკვნა რაიმე ერთი მოძრაობის შეფასებით, დაელოდეთ, ვიდრე თანამოსაუბრისაგან არ მიიღებთ სერიოზულ და დამაჯერებელ სიგნალებს;
- მიაქციეთ ყურადღება წვრილმანებს;
- არ ენდოთ პირველ შთაბეჭდილებას.

არსებობს გამონათვქამი, რომ „ადამიანებს ხვდებიან ჩაცმულობის მიხედვით და აცილებენ გონების მიხედვით“. ეს საუკუნეების გამოვლილი სიბრძნეა. ბუნებრივია ჩნდება კითხვა რამდენად მნიშვნელოვანია პირველი შთაბეჭდილება?

ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ნახევრად მყარი აზრი ადამიანის შესახებ ყალიბდება პირველ წუთებში. შემდგომი საუბრის ანალიზი ამყარებს პირველ შთაბეჭდილებას. დადგენილია, რომ რაოდენ დიდხანსაც არ უნდა გაგრძელდეს საუბარი, დადებითი ან უარყოფითი შეხედულება ადამიანის შესახებ ყალიბდება პირველი 3-4 წუთის მანძილზე.

ამის შემდეგ საუბრის გაგრძელება და დასმული კითხვები დამოკიდებულია შექმნილ შთაბეჭდილებაზე. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერიოზულად მოემზადოს ადამიანი პირველი შეხვედრისათვის როგორც ვიზუალურად, ასევე ჩამოაყალიბოს საუბრის სტრუქტურა და გადახედოს განსახილველ საკითხებს, მოამზადოს პროფესიონალური კითხვები და გაიგოს ცოტა რამ თანამოსაუბრის მახასიათებელი თვისებების შესახებ.

ლიტერატურა:

1. Шейиов В.П. „Искусство управлять людьми,“ Москва, 2005
2. Дэниел Гоулман, Эмоциональное лидерство. Искусство управления людьми на основе эмоционального интеллекта, 1996

რეზიუმე

ნაშრომში „საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგიური ასპექტები“ განხილულია პარტნიორის აზრებისა და ჩანაფიქრების სწორად გაგება, მაღალი და დამაჯერებელი სიზუსტით ამოცნობა. ჟესტები და მიმიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ურთიერთობის პროცესში. არავერბალური არხები მნიშვნელოვნად გამოიყენება პირადი ურთიერთობების გამოსავლენად. ადამიანს შეუძლია მიაპყროს გამჭოლი მხერვა და აგრძნობინოს საკუთარი დამოკიდებულება ისე, რომ ხმა არ ამოიღოს. ნაშრომი აქტუალურია როგორც პედაგოგიური სისტემების, ისე სწავლების ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

THE PSYCHOLOGICAL ASPECTS OF BUSINESS COMMUNICATION

Mzia Ramishvili, Associate Professor

SUMMARY

The article „psychological aspects of business communication“ concerns the correct interpretation of partners' thoughts and intentions in the process of business communication using gestures and mimics. The article explains the reliability and persuasiveness of body language, as the manifestation of majority bears spontaneous character and is difficult to control mentally.

It also explains the importance of looking at eyes, smile and lips during business communication, also the secrecy of human voice tonality. The representatives of diplomatic circles often say that if the human language enables not to express own thoughts, the human voice exposes these thoughts.

It is important to understand, that it is impossible to conclude by one gesture and manner that increases the probability of mistakes. Unfortunately, there is no recipe, which will fit the specific situation, that's why there several recommendations given in the article, taking into consideration of which will bring success during business communications.

ბირთვული ენერჯის გამოყენების ტენდენციები და ეკონომიკური ასპექტები

გელა შაქარაშვილი, სრული პროფესორი

ენერჯის მოხმარების ისტორიაში ნახშირწყალბადოვან რესურსებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ურანის ათვისების პერიოდს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ატომური ენერჯის საწყისებს ანუ ბირთვული ენერჯის გამოყენების პერიოდს პირველი ატომური ბომბის შექმნას უკავშირდებიან. ამ მოკლე ისტორიის მანძილზე ბირთვული ენერჯის მოხმარების მნიშვნელობას თითქმის სრულად ანულირებს ის უბედური შემთხვევები და კატასტროფები, რაც გამოწვეულია საბრძოლო ქობინების გამოყენებისა და ატომური რეაქტორების დაზიანებებისგან მიღებული შედეგები. მოცემული საკითხის სრულყოფილი შესწავლისა და გამოყენების რეგულირებისათვის 1957 წლის 29 ივლისს დაარსდა საერთაშორისო ორგანიზაცია: ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო IAEA, (International Atomic Energy Agency). ორგანიზაციის და სხვა მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებით, მომავალში ყველა ენერჯის წყარო ბუნებით ატომური იქნებოდა. ატომური ენერჯის აღმოჩენას პირველად ცეცხლის გამოყენების ტოლფასად აღიარებდნენ და დიდ პერსპექტივებს ამყარებდნენ მასზე, რაც, შესაძლოა, ასეც იყოს მომავალში, მაგრამ ამ ეტაპზე ის ჯერ კიდევ დავის საგნად რჩება.

ურანის ატომის გახლეჩვის და ნეიტრონების ჯაჭვური რეაქციის შედეგად კვლავ ატომების დაშლის შესახებ კვლევა 1871 წლიდან იღებს სათავეს, მას ახორციელებდნენ ერნესტ რეზერფორდი, ახალი ზელანდიელი წარმოშობის ინგლისელი ფიზიკოსი, ბირთვული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მსოფლიოს ყველა სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერტ

აინშტაინი, მაგრამ სრულყოფილი სახით დადგენილ იქნა გერმანელი მეცნიერების განის და შტრასმანის მიერ 1938 წლის დეკემბერში, მათ დაამტკიცეს, რომ ურანის ბირთვის გახლეჩის შედეგად მიღებული ენერგია 1.000.000.000-ჯერ (მილიარდი) მეტია, ვიდრე ბენზონის წვის შედეგად მიღებული ენერგია და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ატომური ენერგიის პრაქტიკაში გამოყენების კვლევითი სამუშაოების განვითარება. ვინაიდან ეს პერიოდი უკავშირდება მეორე მსოფლიო ომს, ბირთვული ენერგიის გამოყენება დაიწყო საბრძოლო იარაღის შექმნის მიზნით, მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ინტენსიურად გააქტიურდა სხვა მიმართულებებითაც ატომური ენერგიის გამოყენება და ხიროსიმას დაბომბვის ცხრა წლის შემდგომ მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური აშენდა 1954 წლის 27 ივნისს ქ. ობინსკში (მოსკოვის მახლობლად). ექსპერიმენტული ბირთვული რეაქტორიდან მიიღეს 100 ვატი, რამაც საფუძველი დაუდო ატომური ელექტროსადგურების სრულ განვითარებას. უცხოეთში სამრეწველო დანიშნულების პირველი ატომური ელექტროსადგური აშუშავდა ინგლისში 1956 წელს (კოლდერ-ჰოლში), ერთი წლის შემდეგ – აშშ-ში (მიპინგპორტში). ამ პერიოდის შემდგომ, ბირთვულ ენერგეტიკაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია რუსეთის ფედერაციამ, 2010 წელს რუსეთის ბირთვული ელექტროსადგურების მირ მიღებულ იქნა 170,1 მლრდ. კვტ / სთ, რაც რუსეთის საერთო ენერგეტიკული ბალანსის დაახლოებით 16%-ია და პერსპექტივაში 2030 წლისათვის 4-ჯერ გაზრდაა პროგნოზირებული, რის საფუძველსაც მათი მარაგები და ტექნიკური პოტენციალი იძლევა. 2006 წლის მონაცემებით, რუსეთის საბადოებში ურანის მოცულობა 615 ათას ტონას შეადგენდა. 2010 წლის მარტში რუსეთმა დაასრულა 10 ატომური რეაქტორის მშენებლობა და ამჟამად მიმდინარეობს მცურავი ატომური ელექტროსადგურების პროექტების განხორციელება.

ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხები აქტუალურია აგრეთვე დიდ ბრიტანეთში, ამ ეტაპზე ინგლისში ბირთვული ენერგიის შედეგად მიღებული ელენერგია მოსახლეობის მოთხოვნის 13%-ს აკმაყოფილებს. 2010 წელს ინგლისის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ახალი ენერგოპროექტები, რომელთა მიხედვითაც 2050 წლისთვის ქვეყანაში 10 ატომური ელექტროსადგურის აშენება იგეგმებოდა, პროექტი 83,5 მილიარდი დოლარის ათვისებას ითვალისწინებდა და პირველი ატომური ელექტროსადგურის ექსპლუატაციას 2018 წლისთვის პროგნოზირებდნენ, რის შედეგადაც 2025 წლისთვის ატომური ენერგია მოსახლეობის მოთხოვნის 25%-ს დააკმაყოფილებდა. ამგვარ მიდგომას განაპირობებდა 2008 წელს ქვანახშირის საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურების და მოძველებული ატომური ელექტროსადგურების დახურვის შედეგად მოსალოდნელი ენერგოკრიზისი. მოცემული საკითხები დიდი ბრიტანეთისათვის დღესაც აქტუალურია და მის განახლებაზე მიმდინარეობს მსჯელობა.

განსხვავებული ენერგოპოლიტიკის მატარებელია გერმანიის ხელისუფლება. მათი მოსაზრებით, ატომური ელექტროსადგურების უმრავლესობა 2021 წლამდე დაიხურება. ბირთვულ ელექტროსადგურებს ჩაენაცვლება გაზის ელექტროსადგურები და სხვა ალტერნატიული საწვავის ელსადგურები. ამჟამად გერმანიის ენერგობალანსში რუსეთის გაზის წილი 32%-ს შეადგენს და სამომავლოდაც გერმანიის ენერგოპოლიტიკის ორიენტირები რუსეთის ფედერაციისკენაა მიმართული. ევროპაში ბირთვული ენერგიის შედეგად გამოიმუშავებული ელენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში გაზის მოხმარება წელიწადში 700 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება და რუსეთს მხოლოდ 30-35%-ით უზრუნველყოფა შეეძლება. წლიური მიწოდება 140-150 მილიარდი კუბური მეტრიდან 210 კუბურ მეტრამდე, ანუ 35-40%-ით გაიზრდება, მაგრამ წარმატებული სახელმწიფოების უმეტესობა (დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია) მაინც სხვა ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფას მიიჩნევენ სამომავლოდ.

ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებში უარყოფითი ტენდენციები ჭარბობს შვედეთულ შტატებში. ჩერნობილის და ფოკუშიმის კატასტროფების შემდგომ აშშ-ს ხელისუფლებაში, ასევე სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტებში ვერ გამოიკვეთა ბირთვული ენერგოპოლიტიკის სამომავლო ცალსახა მიმართულებები, ვინაიდან ჯერ კიდევ 1970 წელს, ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, ქვეყანაში ურანის მოხმარება ბირთვულ ელექტროსადგურებზე მოიცავდა ტექნიკურ ნაკლოვანებებს და ელენერგიის ღირებულება (0,4-0,45 ცენტი/კილოვატსაათი), ჰესებზე გამოიმუშავებულ ელენერგიის ღირებულებას 2.5-3-ჯერ აჭარბებდა. აღნიშნულის მიუხედავად, ამ ეტაპზე აშშ-ში 104 ბირთვული რეაქტორი ფუნქციონირებს და ელენერგიის მოთხოვნის დაახლოებით 20% აკმაყოფილებს, ხოლო სხვა ქვეყნების ბირთვული ელენერგიის მოხმარების სტრუქტურა, 2010 წლის მიხედვით, მთლიანი ელექტროენერგიის ბალანსში პროცენტულად შემდეგია:

1. საფრანგეთის 74,1
2. სლოვაკეთის 51,8
3. ბელგიის 51,1
4. უკრაინის 48,1
5. უნგრეთი 42,0
6. სომხეთის 39,4
7. შვედეთის 38,1
8. შვეიცარიის 38,0
9. სლოვენის 37,4
10. ჩეხეთის 33,2
11. ბულგარეთის 33,0
12. კორეის 32,2
13. იაპონიის 29,2
14. ფინეთის 27,5
15. გერმანიის 27,3

დღეს მსოფლიოში ბირთვული ენერჯის გამოყენებისათვის გაცხოველებული კვლევითი სამუშაოები მიმართულია ახალი თანამედროვე ტიპის რეაქტორების შექმნისაკენ, ინოვაციური კონსტრუქციების კონცეფციაში აღინიშნება: მობილურობა, კომპაქტურობა, სიმძლავრის გაზრდა, უსაფრთხოება და სხვა, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ ეტაპზე, ადგილზე საშუალო დონის ატომურ ელექტროსადგურზე რეაქტორის აგების და სადგურის სრული ექსპლუატაციისათვის 9 მილიარდ აშშ. დოლარზე მეტია საჭირო და, ექსპერტების შეფასებით, ისეთი კომპაქტური ბირთვული რეაქტორების ექსპლუატაცია, რომლების გადატანაც არ შექმნის პრობლემებს, ღარიბი და განვითარებადი ქვეყნების ენერგომომარაგების პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს.

ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ბირთვული საწვავის, ძირითადად, ურანის კონცენტრატის ექსპორტიორია კანადა, ავსტრალია, ნიგერია, ბრაზილია და აშშ., ხოლო საბადოებში არსებული და თეორიული მარაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსეთს, უკრაინას, საფრანგეთს, გერმანიას, ყაზახეთს და სხვა. მარაგების მიხედვით თანმიმდევრობა შემდეგია:

1. ავსტრალია 1.074.000 ტ.
 2. ყაზახეთი 622.000 ტ.
 3. კანადა 439.000 ტ.
 4. სამხ. აფრიკა 298.000 ტ.
 5. ნამიბია 213.000 ტ.
 6. რუსეთი 158.000 ტ.
 7. ბრაზილია 143.000 ტ.
 8. აშშ 102.000 ტ.
 9. უზბეკეთი 93.000 ტ.
- სულ: 3.142.000 ტ

თანამედროვე მდგომარეობით (ივნისი 2011წ.), მსოფლიოს 29 ქვეყანაში ფუნქციონირებს 440-მდე ბირთვული რეაქტორი, 15 ქვეყანაში მიმდინარეობს 64 ახალი რეაქტორის მშენებლობა, ხოლო ფუნქციონირებად ატომურ ელ. სადგურებზე 2011 წლის დასაწყისისათვის ჯამური სიმძლავრე 350 GW/h (გიგა/ვატსათი) შეადგენდა.

ბირთვული ენერჯის გამოყენება ენერგეტიკაში მეტად პერსპექტიულია და გამომუშავებული ენერჯის მიხედვით არსებობს სხვადასხვა ტიპის სადგურები, მაგალითად, ატომური ელექტროსადგური – გამოიმუშავებს მხოლოდ ელექტროენერჯიას. ატომური თბოელექტროცენტრალი – გამოიმუშავებს როგორც ელექტროენერჯიას, ასევე თბურ ენერჯიას, ხოლო თბომომარაგების ატომური ელექტროსადგური – გამოიმუშავებს მხოლოდ თბურ ენერჯიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადგურებზე აპრობირებულია ენერჯის მიღების ორი სახის სისტემა, თერმობირთვული სინთეზის და ატომის გახლეჩვის. ბირთვული ელექტროსადგურები განსხვავდებიან აგრეთვე ტექნიკური ხასიათითაც, არსებობს თბურრეაქტორიანი და სწრაფრეაქტორიანი. პირველში ბირთვულ სათბობად ბუნებრივ ან გამდიდრებულ ურანს იყენებენ, მეორეში - პლუტონიუმს. ატომური ენერჯის გამოყენების შესახებ საკითხები დაისვა აგრეთვე მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, მათ შორის მანქანათმშენებლობაში, საავტომობილო, საავიაციო და გემსაშენ ინდუსტრიაში, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს 1958 წელს

ფორდის (FORD) მიერ შექმნილი პირველი ბირთვული ავტომობილი. 1957 რუსეთმა წარმოადგინა როგორც საბრძოლო ჯავშნიანი საბრძოლო ტრანსპორტი, ისე მუხლუხობიან ტრანსპორტზე აგებული მიკროთვითმავალი ატომური ელექტროსადგური, ხოლო 1960 წელს ტ-10-ის ბაზაზე შექმნეს ახალი საბრძოლო ტანკი. შექმნილია აგრეთვე მცურავი აეს-ის ახალი პროექტი, რომლის დასრულება 2013 წლისათვის იგეგმება. ბირთვული საჰაერო ხომალდების და რაკეტული სისტემების შექმნის შესახებ 1952 წლიდან დაიწყო რუსეთმა მუშაობა და დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, პრობლემას სამგზავრო თვითმფრინავის საკითხი წარმოადგენს. ვინაიდან საწვავის გამოსხივების გამო რთულდებოდა სათანადო კონსტრუქციის აგება, ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლობა მოითხოვდა მფრინავი აპარატის მოცულობის და მასალათევადობის პარამეტრების სათანადოდ დაცვას, ამ მიმართებით რუსული პროექტით ხომალდი 250 ტონამდე იწონიდა, ხოლო აშშ-ს მიერ შექმნილი ხომალდის, ბოინგ-747 S-5A -ს წონამ 450 ტონას გადააჭარბა. მოცემულ ხომალდებში 220 გრამი ბირთვული საწვავი იყო საჭირო 10 საათის ფრენის შემთხვევაში. ნაკლებად პრობლემატურია მცურავი საშუალებების აგება და წარმატებულადაც განახორციელა ატომური ყინულმჭრელი და წყალქვეშა გემების პროექტები როგორც რუსეთმა, ისე მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ: აშშ, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, კორეა და სხვა. სარაკეტო სისტემების, კერძოდ, კოსმოსური ხომალდების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ კვლევები სამოცდაათიანი წლებიდან იღებს სათავეს და დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ექსპერტთა შეფასებით, ატომური ენერჯის (ბირთვული რეაქტორი) გამოყენება კოსმონავტიკაში მეცნიერული ფანტასტიკას ემსგავსება და ამ მიმართებით არსებული ინოვაციები დღემდე არ არის აპრობირებული, მაგრამ ბირთვული ენერჯის პარამეტრებიდან გამომდინარე, მტკიცდება, რომ კოსმოსურ სივრცეში ბირთვული ძრავებით აღჭურვილი საფრენი ხომალდები მნიშვნელოვნად შეამცირებდა მოძრაობის დროს, მაგალითისათვის – მთვარემდე 4-საათი, მარსის პლანეტამდე 49-საათი და პლანეტა ვენერამდე 26-საათი სრულიად საკმარისი იქნებოდა.

ბირთვული ენერჯის პერსპექტივების მიუხედავად, არ ცხრება კამათი რეაქტორების მშენებლობის შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, პლანეტის რადიაციული დაბინძურების შედეგები გაცილებით წამგებიანია, ვიდრე ამ დარგის განვითარების პოზიტივები, მით უმეტეს, კაცობრიობის ისტორიაში ბირთვული ენერჯია შევიდა, როგორც მასიური განადგურების ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1961 წელს სსრკ-ში სემიპალატინსკის პოლიგონზე 400 კილოტონის სიმძლავრის წყალბადის ბომბის აფეთქება. აფეთქების შედეგად წარმოშობილი „სოკოს“ მთლიანი სიგრძე 45 კილომეტრის მანძილზე გაიშალა და ზენიტში მისმა დიამეტრმა 13 კილომეტრი შეადგინა, ხოლო აფეთქების ადგილიდან 1 კილომეტრის სიღრმის და 3 კილომეტრის დიამეტრის ფართობიდან 80 მილიონი ტონა გრუნტი აორთქლდა. ამ აფეთქების სიმძლავრე იყო თანამედროვე 40 ათასი (ჯამური) ავიაბომბის ეკვივალენტური და განადგურების თვალსაზრისით 300 ხიროსიმას აღემატებოდა. ხიროსიმას აფეთქების შედეგად, უშუალოდ დაბომბვის და შემდგომ მასთან დაკავშირებული გარემოებების გამო დაიღუპა 140 000 ადამიანი, ე.ი. სემიპალატინსკის პოლიგონზე 400 კილოტონიანი წყალბადის ბომბის აფეთქებას შეეძლო გაენადგურებინა 42 მილიონი ადამიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია მეცნიერ-ექსპერტთა დამოკიდებულება ბირთვული ენერჯის მიმართ, ნეგატიურ დამოკიდებულებას ამძაფრებს აგრეთვე ატომური ელექტროსადგურების ავარია-კატასტროფები:

- ინგლისი, უინდსკალის აეს-ი 1957 წ.
- აშშ, აიადო SL-1 აესი 1961 წ.
- შვეიცარია, ლიუისტენსის აეს-ი 1969 წ.
- საფრანგეთი, "წმინდა ლორენის" აეს-ი 1969 წ.
- აშშ, ალაბამა, ბროუზს ფერის აეს-ი 1975 წ.
- აშშ, ტრიმაილენდის აეს-ი 1979 წ.
- უკრაინა, ჩერნობილის აეს-ი 1986 წ.
- იაპონია, ფოკუშიმას აეს-ი 2011 წ.

ზემოაღნიშნული კატასტროფების საბოლოო დასკვნები, თუ როგორ აისახება სამომავლოდ და რა ზიანს მოუტანს კაცობრიობას, ჯერ კიდევ დაუზუსტებელია და ამ მომენტისთვის პრაქტიკულად გაუქმებულია ყველა აეს-ი, რომელმაც განიცადა ავარია, თითქმის ყველა ახალი რეაქტორის პროექტის მსვლელობაც შეჩერებულია ან გაყინვის პროცესშია. განსაკუთრებით მწვავე რეაქცია გამოიწვია მსოფლიოში ჩერნობილის და ფოკუშიმას კატასტროფებმა, რასაც მოსახლეობის საჯარო და მასიური გამოსვლები მოჰყვა როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ბირთვული ენერგეტიკის შესახებ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, დღემდე ამოუცნობია მისი გამოყენების სამომავლო ტენდენციები და რას მოიტანს კაცობრიობის განვითარების მანძილზე – დადებით პერსპექტივებს თუ პირიქით. ეს კვლევისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნაზე დამოკიდებული, მაგრამ უდავოა, რომ ატომური ენერჯის გამოყენება ბოლო მნიშვნელოვანი მიღწევაა ენერგოუზრუნველყოფის საქმეში და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს 25-30 წელიწადში ადამიანის ყოველდღიური სამეურნეო საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკაშიც ასახოს. მით უმეტეს არსებობს ტექნოლოგიების განვითარების პროგრესის ისეთი პრეცედენტები, როგორცაა მანქანათმშენებლობის, ტელეკომუნიკაციის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერული და სხვა ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი პროგრესი.

ლიტერატურა:

1. ჯ. მებონია, ატომური ფიზიკა, თსუ, 2002;
2. გ. ჯობაძე, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა და დასახივების უსაფრთხოება, თბ., 1972;
3. მ. ნოდია, ატომი და მისი ენერჯია, თბ., 1946;
4. ვ. გომელაური, ატომური ენერჯია როგორც ელექტროენერჯის წყარო: ატომური ელექტროსადგურები, თბ., 1956;
5. ჯემსი ალენი, ატომური ენერჯია და საზოგადოება, თბ., 1951;
6. ტ. გუნჯუა, ატომური ენერჯია და მისი გამოყენება მშვიდობიანი მიზნით, თბ., 1957;
7. ტ. ჭურღულია, ატომური ენერჯია და მისი გამოყენების ზოგიერთი საკითხები, სოხუმი, 1957;
8. ა. პეტროსიანცი, ატომური ენერგეტიკა როგორც ახალი ფაქტორი ელექტროენერჯის წარმოებაში, თბ., 1965;

ინტერნეტ რესურსები:

<http://www.world-nuclear.org>

<http://www.eia.gov>

<http://www.nei.org>

<http://www.ias.unu.edu>

<http://www.onemine.org>

www.energy.eu

<http://www.iea.org>

<http://www.iaea.org>

რეზიუმე

სამეცნიერო კვლევაში – „ბირთვული ენერჯის გამოყენების ტენდენციები და ეკონომიკური ასპექტები“ წარმოდგენილია ატომური ენერჯის გამოყენების მნიშვნელობები და მასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები. თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ გლობალურ აქტუალურ საკითხთა შორის ბირთვულ ტექნოლოგიებს უდიდესი ყურადღება ეთმობა, ატომური ენერჯის გამოყენებას თან სდევს ავარიები და კატასტროფები, რომლებიც იწვევს ცოცხალი ორგანიზმების მომაკვდინებელ დაავადებებს, მკვეთრად აბინძურებს გარემოს და არღვევს პლანეტის ეკოსისტემებს. აღნიშნულის მიუხედავად, კაცობრიობა ვერ უარყოფს ბირთვული ენერჯის პერსპექტივას და მის მოხმარებას. ფაქტია, რომ ის არსებობს ჩვენს სამყაროში, იგი პლანეტის კუთვნილებაა და იმას, რაც ფიზიკურ კანონზომიერებებს ექვემდებარება, ადამიანი გვერდს ვერ აუვლის.

კვლევის ძირითადი მიმართულებაა ბირთვული ენერჯის გამოყენების ეკონომიკური ასპექტების გაანალიზება და მნიშვნელობების დადგენის მიუხედავად, ბირთვული ენერგეტიკის ეკონომიკის შესწავლის ინტერესის სტიმულირება და კვლევების განვითარების ხელშეწყობა.

TRENDS OF CONSUMPTION NUCLEAR ENERGY AND IT'S ECONOMIC ASPECTS
Gela Shakarashvili, Full Professor
RESUME

The research work – “Trends of consumption Nuclear energy and its economic aspects” Represented values of consumption Nuclear energy and related issues. in the global topical issues of modern times Nuclear technology have greatest attention. To time use reactor of Nuclear often is breakdowns and disasters that cause deadly diseases in living organisms, significantly damage the environment and ecosystems of the planet. Despite it is, the mankind could not deny the prospect of Nuclear energy and its consumption, this is a fact that exists in our World, It belongs to our planet and is subject to the rules of physics, people can not avoid.

The research direction is a consumption Nuclear energy and analyze its economic aspects and search defining values, to stimulate interest in the study economy of Nuclear energy and research development.

ლიკვიდობის ზუსტი შეფასების კრიტერიუმები კომერციულ ბანკებში

თეა ხორგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ხალიანა ჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი

ბანკის ლიკვიდობის ზუსტი შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბანკის მენეჯმენტის კომპეტენტურობასა და ბანკში დანერგილი საინფორმაციო და კონტროლის სისტემის ადეკვატურობაზე. აუცილებელია რეგულარულად იმართებოდეს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სხდომები და კომერციული ბანკის მენეჯმენტმა განიხილოს აღნიშნული კომიტეტის მიერ მომზადებული ინფორმაცია და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ასევე, ლიკვიდობის ოპტიმალური მართვისათვის აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის მიღება და მასზე ოპერატიული რეაგირება. კერძოდ, ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად უნდა იქნეს გაანალიზებული შემდეგი საკითხები:

- ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა და მისი დახასიათება. დეპოზიტების კლასიფიკაცია, სტრუქტურული შემადგენლობა და დაჯგუფება ვადიანობისა და სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით. აუცილებელია შეფასდეს ბანკის მიმდინარე ვალდებულებების დინამიკა და ცვლილების გამომწვევი მიზეზები;
- ბანკის კლიენტურა, მისი ქცევის თავისებურებები და მათი დაჯგუფება და თითოეული ჯგუფის ხვედრითი წილის განსაზღვრა მთლიან დეპოზიტებში;
- ბანკის ნასესხები სახსრების სტრუქტურა და მისი დახასიათება. მათი სტრუქტურული შემადგენლობა და ვადიანობა;
- ბანკის აქტივ-პასივების მართვის ანალიზი და შეფასება; “გეპის” ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს კუმულატიურ დისბალანსზე, რადგან აქტივ-პასივების მხოლოდ პროცენტული თანაფარდობის ანალიზი არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას ბანკში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ;
- ლიკვიდობის ანალიზისას, მიშენლოვანია ასევე, გარესაბალანსო ვალდებულებების შეფასება შესაბამისი რისკების გათვალისწინებით;
- ბანკის ლიკვიდობის ნორმატივების დაცვის ანალიზი. რამდენად სტაბილურია ეს კოეფიციენტები, ხომ არ ხდება ლიკვიდობის კოეფიციენტების დაცვა ხელოვნური მანიპულაციებით. აგრეთვე უნდა შეფასდეს ბანკის უნარი და შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში მოიპოვოს დამატებითი ფულადი სახსრები;
- ბანკის პოტენციური ლიკვიდობის რისკის შეფასებისას აუცილებელია მოხდეს შემდეგი კოეფიციენტების ცვლილებების ტენდენციის ანალიზი:

1. სესხები/დეპოზიტები;
2. ლიკვიდური აქტივები/დეპოზიტები;
3. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
4. ლიკვიდური აქტივები/მთლიან ვალდებულებები;
5. დეპოზიტების ზრდა სესხების ზრდასთან მიმართებაში.

• საზედამხედველო ორგანოს მიერ დაწესებული მინიმალური სტანდარტი განხილულ უნდა იქნას, როგორც მხოლოდ აბსოლუტური მინიმუმი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბანკის ლიკვიდობის პოზიციასზე გავლენას ახდენს და განიცდის ისეთი მაჩვენებლების გავლენას. კერძოდ:

- ჭარბი კაპიტალის მქონე ბანკებს უფრო ადვილად მიუწვდებათ ხელი ნასესხებ სახსრებზე და ამგვარად უკეთესი პოზიცია აქვთ გაუთვალისწინებელი გადინების დასაძლევად, ვიდრე ბანკებს, რომელთაც სუსტი პოზიცია აქვთ. ამასთან, როგორც ფულადი სახსრების მუდმივი წყარო, კაპიტალი გაცილებით სტაბილურია, ვიდრე ფულადი სახსრების სხვა წყაროები;
- დაბალი მოგება, რომელიც განპირობებულია უარყოფითი წმინდა საპროცენტო შემოსავლით ან ჭარბი ადმინისტრაციული ხარჯებით, ასევე შეამცირებს ბანკის ფულად სახსრებს;
- მაქსიმალური ლიკვიდობა მიიღწევა ნაშთების მაქსიმიაზაციაში სალაროში და საკორესპონდენტო ანგარიშებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ბანკის მოგება მინიმალურია. მოგების მაქსიმიაზაცია მოითხოვს არა სახსრების შენახვას, არამედ მათ გამოყენებას კრედიტების სახით, ამისათვის კი აუცილებელია სალაროში ნაღდი ფულის და საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. თავის მხრივ მოგების მაქსიმიაზაცია საფრთხეს უქმნის ბანკს თავისი ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებაში.

კომერციულმა ბანკმა ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად უნდა უზრუნველყოს ბალანსის ისეთი სტრუქტურის ფორმირება, როცა აქტივები თავისდროულად გარდაიქმნება ფულად საშუალებებად (ისე, რომ არ მცირდება მისი ღირებულება) პასივების მოთხოვნის კვალობაზე. თემში წარმოდგენილი ლიკვიდობის მართვის მეთოდებიდან უმრავლესობა ბანკის ლიკვიდობის ძირითადი მახასიათებლების ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას არ იძლევა, ხოლო მათი გამოყენების ეფექტიანობა უპირველესად, ბანკების საქმიანობის ეროვნული პირობების გათვალისწინების სისრულეზეა დამოკიდებული, რადგან კრედიტების და დეპოზიტების მახასიათებლები (ვადიანობა, ლიკვიდურობა, გამოთხოვისადმი მიდრეკილება და სხვა) საქართველოში და უცხოეთში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

ლიკვიდობის ანალიზისას აუცილებელია ზუსტად დადგინდეს ბანკის საბალანსო უწყისში აღრიცხული ლიკვიდური აქტივების ოდენობა და გამოთვლილ იქნას ლიკვიდური აქტივების ვალდებულებებთან ფარდობის კოეფიციენტი. ა) თუ ეს კოეფიციენტი მაღალია, ვიდრე საშუალო მაჩვენებელი, ბანკის მენეჯმენტმა უნდა გადაწყვიტოს აპირებს თუ არა შეინარჩუნოს ლიკვიდობის მაღალი დონე, თუ იგი განპირობებულია სესხების მომგებიანი გაცემის ან ინვესტირების შესაძლებლობების დროებითი ნაკლებობის გამო; ბ) თუ ეს კოეფიციენტი ჯგუფის საშუალო კოეფიციენტზე დაბალია, ლიკვიდობის მართვის სამსახურმა უნდა დააყენოს საკითხი პოტენციური საფრთხის შესახებ; გ) ამის შემდეგ უნდა გამოითვალოს ბანკის სხვა აქტივების ოდენობა, რომელიც შედარებით ნაკლებად ლიკვიდურია, მარგამ რომლის გაყიდვაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი გახდეს.

ლიკვიდობის მონიტორინგის შემდეგი სტატია ვალდებულებების ანალიზია. აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები, რომელთა ანალიზიც უნდა მოხდეს:

1. მოკლევადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში. თუ ეს მაჩვენებელი მაღალია, ბანკმა უნდა განახლოს ეს ვალდებულებები ან ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მათ დასაფარად;
2. სამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ბანკების დეპოზიტების ხვედრითი წილი მთლიან დეპოზიტებში. ეს სახსრები შეიძლება არ იყოს სტაბილური, როგორც ფულადი სახსრების წყარო.
3. კლიენტთა დეპოზიტების საშუალო სიდიდე, რომლის გამოსათვლელად დეპოზიტების მთლიანი მოცულობა უნდა შეფარდდეს სადეპოზიტო ანგარიშების რაოდენობაზე. მსხვილი დეპოზიტები ფულადი სახსრების ნაკლებად სტაბილური წყაროა, ვიდრე მცირე დეპოზიტები.
4. მოთხოვნამდე დეპოზიტების საშუალო დონის მუდმივი კონტროლი, ვინაიდან მისი სტაბილური დონე ბანკის ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა.

კომერციული ბანკების ლიკვიდობის შესანარჩუნებლად საზედამხედველო ორგანოს საშუალებების არსენალი საკმაოდ ფართოა, დაწყებული სხვადასხვა ნორმატივებით, დამთავრებული სხვადასხვა სახის კრედიტების გაცემით. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 10 აპრილის #95 ბრძანებით დამტკიცებული “კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების წესის” თანახმად, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ლიკვიდობის შემდეგი კოეფიციენტი:

ლკ (საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი) – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30 პროცენტისა.

საქართველოში ფუნქციონირებს კომერციული ბანკები, რომელთა ვალდებულებებშიც დიდი მოცულობით არის კონცენტრირებული უცხოეთის საბანკო და საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტები. ასეთი ბანკები სრულიად სამართლიანად გამოხატავენ უკმაყოფილებას ლიკვიდური აქტივების მთლიან ვალდებულებებთან თანაფარდობის ნორმატივთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ბანკის მიერ მოზიდული გრძელვადიანი მიზნობრივი რესურსის 30%-ის ლიკვიდურ აქტივებში განთავსება უარყოფითად მოქმედებს ბანკის შემოსავლების ხარისხზე. აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია საზედამხედველო ორგანოების მიერ.

ჩამოთვლილი ეკონომიკური ნორმატივების გარდა ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორები.

ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან მიმართებაში გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია ბანკის ლიკვიდობის პოზიცია მოსალოდნელი ვალდებულებების გასტუმრების უზრუნველსაყოფად.

საკრედიტო პორტფელის მოცულობის მთლიან აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ბანკის საკრედიტო პორტფელის სიდიდის ადეკვატურობას. ძალიან დიდმა ან პატარა საკრედიტო პორტფელმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე. CAMEL-ის რეიტინგული სისტემის მიხედვით აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა რეკომენდებულია მერყეობდეს 50% - 65%-ის ფარგლებში, ხოლო ბანკის დეპოზიტების მთლიან აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი _ 65%-90%-ის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, საბანკო სისტემის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად მონეტარული ხელისუფლების ზომებთან ერთად აუცილებელია ლიკვიდობის მართვის ხარისხის გაუმჯობესება. ეს შეეხება, როგორც შიდა კონტროლის სრულყოფის საკითხს, ასევე ლიკვიდობის მართვის საკუთარი მოდელების შემუშავებასა და გამოყენებას.

ლიკვიდობის მართვის ეფექტური სისტემის არსებობა საკრედიტო ორგანიზაციებისა და მთლიანობაში საბანკო სისტემის დონეზე, ქმნის სისტემური საბანკო კრიზისების თავიდან აცილებისა და საბანკო სისტემის დინამიკურად ფუნქციონირების წინაპირობებს.

გაღრმავებული გლობალური ფინანსური კრიზისი ამჟამად უკვე პირდაპირ გავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე. საქართველო ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, მით უმეტეს, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისის ჩვენს ქვეყანაში აგვისტოს თვეში განვითარებული მოვლენებიც ემატება.

საკრედიტო ბუმს თან სდევდა საბანკო რისკების გაძლიერება. დეპოზიტებისა და კრედიტების ვადიანობის აშკარა შეუსაბამობის, უცხოეთიდან მოზიდული შედარებით იაფი და გრძელვადიანი საკრედიტო რესურსებით მასობრივმა გადაფარვამ გაამძაფრა ლიკვიდურობის რისკი. გლობალური ფინანსური კრიზისის გაღრმავების პირობებში ქართულმა ბანკებმა ვეღარ შეძლეს უცხოეთიდან საჭირო ოდენობის საკრედიტო რესურსების მობილიზება. რამაც, საბოლოო ჯამში, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.

რუსეთის სამხედრო აგრესიამ მყისიერად გაართულა საბანკო სექტორში არსებული ვითარება. თავდაპირველად მეანაბრეების მნიშვნელოვანი ნაწილი ბანკებს მიაწყდა და თავის ანაბრები გაიტანა. მართალია, მოგვიანებით პანიკა ჩაცხრა, მაგრამ ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 17 პროცენტზე მეტი სისტემიდან მაინც გავიდა. თანხობრივად საომარი მოქმედებების შემდგომ მოსახლეობამ და იურიდიულმა პირებმა ჯამში 400 მილიონი ლარი გაიტანეს, მთლიანობაში კი კომერციული ბანკების აქტივები აგვისტოს თვეში 700 მლნ ლარით შემცირდა. რაც შეეხება სექტემბრის თვეს, ფიზიკურ პირთა დეპოზიტებმა 2 მლნ ლარით დაიკლო. 2008 წლის იანვრიდან სექტემბრამდე მთლიანად საბანკო სექტორმა 37 მლნ ლარის ზარალი განიცადა.

ამ ფონზე საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტი გამოიკვეთა, რომელიც ნაწილობრივ გაანეიტრალა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა რეფინანსირების ოპერაციებმა და

კომერციული ბანკების მიმართ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმის არსებითმა დაწევამ. სიტუაციის დროებით განმუხტვას ხელი შეუწყო აგრეთვე კომერციული ბანკებისათვის დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელოვანმა შემცირებამ. ლიკვიდობის დეფიციტის ერთგვარი შერბილება 2008 წლის ბოლოსთვის სრულებითაც არ ნიშნავს ამ პრობლემის გადაწყვეტას; მართალია ბანკები თავიანთ მიმდინარე ვალდებულებებს ასე თუ ისე უმკლავდებიან, მაგრამ ამ ვითარების მდგრადობა საეჭვოა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბანკები საკრედიტო განაკვეთებს ძალზე მაღალ დონეზე ინარჩუნებენ და მაქსიმალურად შეამცირეს საკრედიტო დაბანდებები. საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა და დონორმა ქვეყნებმა 2008-2010 წლებში საქართველოს დახმარების პაკეტის ფარგლებში საბანკო სექტორის რეაბილიტაციისთვის თითქმის 853 მილიონი აშშ დოლარი გამოყვეს, რომელსაც ქართული ბანკები, როგორც საკრედიტო ხაზებისა და საგარანტიო მხარდაჭერის, ისე კაპიტალში მონაწილეობის გზით მიიღებენ.

რუსული აგრესიის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების აღდგენაში საბანკო სექტორის განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მთავრობის, ეროვნული ბანკისა და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან შეთანხმებით, საბანკო სექტორის რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება, რომელს აუცილებლობასაც ბევრი წამყვანი ეკონომისტი აყენებს.

სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით ფინანსური ზედამხედველობის სააგენტომ უმოკლეს ვადებში უნდა დაასრულოს მოქმედი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის და ვალდებულებების ობიექტური შეფასება და ბანკების შესაბამისი პოზიციონირება, რომლის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ბანკების ფინანსური დახმარების მიზანშეწონილობა და მასშტაბები.

რეფინანსირება ისეთმა ბანკებმა უნდა მიიღონ, რომელთაც მხოლოდ მიმდინარე ლიკვიდობის პრობლემა აქვთ და საშუალოვადიან პერსპექტივაში სტაბილურ ზრდას შეძლებენ. ის ბანკები კი, რომელთაც აქვთ გადაულახავი ფინანსური სიძნელეები, დაუყოვნებლივ უნდა დაექვემდებარონ რეკაპიტალიზაციის მკაცრ მოთხოვნებს, რაც მათში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას ან კიდევ, უფრო სტაბილურ ბანკთან შერწყმას გულისხმობს. საბანკო დაწესებულებების რესურსების დანაწევრების და მათ მიერ არასაბანკო რისკების გაზიარების თავიდან აცილების მიზნით ბანკებს შეეზღუდებათ პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობის მიღება სადაზღვევო კომპანიების და არასაფინანსო სექტორის სხვადასხვა კომპანიების კაპიტალში.

საბანკო დაწესებულებათა მიმართ ნდობის აღდგენის მიზნით საჭიროა ახლო მომავალში ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საბანკო დაწესებულებათა ბანკროტობის შემთხვევაში მენაბრეთა ინტერესების გარკვეულ დაცვას უზრუნველყოფს. კანონპროექტს დეპოზიტების დაზღვევის შესახებ, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ იქნა შემუშავებული, თავის დროზე მსვლელობა არ მიეცა. გარკვეული კორექტირების შეტანის შემდეგ, აღნიშნული კანონპროექტი კვლავ შეიძლება წარდგენილ იქნას პარლამენტში განსახილველად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიშები 2008, 2009, 2010 წწ.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2004, 2008, 2009, 2010 წწ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი 2007, 2008, 2009, 2010 წწ.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. საბანკო ბიულეტენი 2007, 2008, 2009, 2010 წწ.

ინტერნეტ მისამართები:

1. <http://www.nbg.gov.ge/>
2. <http://www.mof.ge/>
3. <http://www.statistics.ge/>
4. <http://www.parliament.ge/>
5. www.pbo.ge
6. www.cse.ge
7. www.geplac.org

რეზიუმე

ფინანსური სტაბილურობა გადამწყვეტი ფაქტორია ეკონომიკის ზრდის ტემპების გრძელვადიანი შენარჩუნებისათვის. ძლიერი საბანკო სისტემა – ფინანსური სტაბილურობის განმსაზღვრელი პირობაა.

სწორედ საფინანსო - საკრედიტო სისტემის ლიკვიდური და გადახდისუნარიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

საბანკო საქმიანობაში ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფა აუცილებელი პირობაა ბანკების ფინქციონირების ეფექტურობის ამაღლების მისაღწევად, რაც განაპირობებს შესასწავლი პრობლემის აქტუალურობას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირების პრობლემების ანალიზი, ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესების გზების განსაზღვრა. საქართველოს საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის გზები. ბანკების ლიკვიდობის რეგულირების კონცეფციის განსაზღვრა, ლიკვიდობის მართვაში პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება, ასევე კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის პროცესის სრულყოფა. კვლევის მეცნიერული სიახლე გამოიხატება იმაში, რომ განხილულია ბანკების ლიკვიდობის რეგულირების ეკონომიკური ნორმატივები საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. გამოკვლეულია ლიკვიდობის რეგულირების გაუმჯობესების გზები; ახსნილია ლიკვიდობის რეგულირების მეთოდოლოგიური საფუძველი, დასაბუთებულია მისი სრულყოფის აუცილებლობა.

დადებითი და უარყოფითი შედეგების შეჯერების შედეგად მოცემულია პერსპექტივაში კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის რეგულირების გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებები.

THE EXACT EVALUATION CRITERIA OF LIQUIDITY IN COMMERCIAL BANKS

Tea Khorguashvili, Associate professor

Khaliana Chitadze, Associate professor

RESUME

Financial stability is a decisive factor for maintenance of long-term economic growth. Powerful bank system is determinant for financial condition.

Precisely, one of the principal tasks of Georgian National Bank is to provide liquidity and payment functions of credit-financial system.

To improve liquidity regulation is basic condition for banks to achieve increased effectiveness function. For this reason, topical problem is greatly actual.

The topic of investigated subject is to analyse regulation of liquidity in commercial banks and to determine ways to improve and run the liquidity.

The object of investigation is to insure terms and conditions for normal functioning of Georgian banking system and solve problems concerned with it.

The purpose of investigations is to define conceptions of liquidity regulation, to solve management problems and improve it in banking system. The scientific approach of this problem is to envisage foreign banks experience for economic normative in liquidity regulation. There is studied the ways for improving, explained the basic methods of liquidity regulation, and certified its improvement.

The estimation of positive and negative results show concrete offers for farther improving of liquidity regulation in commercial banks.

ლინგვისტიკა
Linguistics

„Die Haus- und Magisterarbeiten sind in der herkömmlichen Rechtschreibung abzugeben. Die neue Rechtschreibung ist irreführend und wirkt bei Germanisten disqualifizierend.“¹

„Die Leiden der jungen Wörter“²
Die neue Rechtschreibreform
Die neue Rechtschreibreform in Zahlen und Fakten

Giorgi Kobachidse, Fachkraft für Auslandsbeziehungen

„Vorspiel

Wir schreiben das Jahr 2005. In der vierten Klasse einer Grundschule werden die Diktathefte zurückgegeben. Ein Mädchen, dessen Leistungen neuerdings zu wünschen übriglassen, weil es wohl etwas zu viel Zeit mit Lesen verbringt, starrt mit düsterer Miene auf die vielen roten Anstreichungen. Sie hatte geschrieben:

Da stand der Bettler in seinem selbstgemachten Kleid staunend vor all dem Zierat. Er tat dem König sehr leid.

Drei Fehler in zwei Zeilen! Das ist das Zünglein an der Waage. Leider können die Lehrerinnen keine Empfehlung für den Übertritt ins Gymnasium aussprechen, denn irgendwo muß ja die Grenze gezogen werden. Ein Lebensweg entscheidet sich an dieser Weichenstellung, nur weil das belese Kind ein paar Wörter falsch – nämlich richtig – geschrieben hat.“³

Eine Reform wird geboren

Die im Jahr 1980 geschaffene Internationale Arbeitskreis für Orthographie schloß 1994 seine Arbeit nach neun Tagungen ab und stellte in Wien das Ergebnis seiner Arbeit vor – den Entwurf einer Rechtschreibreform. Nun wurde das Thema politisiert, um „die Zustimmung der jeweils höheren Amtsebene zu erlangen. Der Fachbeamte berichtete dem Amtschef, der Amtschef dem Minister, der Minister dem Ministerpräsidenten, wobei mit wachsender Entfernung von der Ebene der Fachleute und Sachverständigen nur noch Rechtfertigungsvokabeln weitergereicht wurden.“⁴ Es folgten Debatten zwischen Parteien und politischen Kreisen. Schließlich, am 1. Juli 1996 wurde in dieser „internen Pseudodebatte“⁵ eine Einigkeit erzielt. Nun war der Weg frei, die vor anderthalb Jahren in Wien getroffenen Einbarungen „umzusetzen“ und die neue Rechtschreibung in die Schulen einzuführen.⁶

Von Jahr zu Jahr wurde deutlich, wie fehlerhaft die neue Rechtschreibung tatsächlich war und das „in einem so überraschenden Ausmaß, daß es auf die Dauer keinesfalls vernachlässigt werden konnte.“⁷ Die Reformer gründeten am 25.03.1997 eine zwischenstaatliche Kommission und kamen zu Erkenntnis, daß „wesentliche Änderungen „unumgänglich notwendig“ seien.“⁸ Dafür war es jedoch zu spät. Am 01.08.1998 trat die Reform in Kraft.⁹

Am 1. August 2005 wurde die neue Rechtschreibung in 14 von 16 Bundesländern verbindlich eingeführt. Ausnahmen waren Bayern und Nordrhein-Westfalen. Dort unterrichtete man zwar nach den neuen Rechtschreibregeln, akzeptierte man aber bis zum 1. August 2006 auch die alte Regel.¹⁰

„Die Sprache gehört dem Volk“¹¹

¹ Aushang an der Bürotür von Prof. Dr. Theodor Ickler an der Friedrich-Alexander Universität Erlangen-Nürnberg.

² Hans Weigel: Die Leiden der jungen Wörter. Ein Antiwörterbuch; Deutscher Taschenbuchverlag; 1989.

³ Siehe Theodor Ickler: „Die sogenannte Rechtschreibreform – ein Schildbürgerstreich“; Leibniz-Verlag St. Goar; 1997.

⁴ Siehe Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibniz-Verlag St. Goar; 2004.

⁵ Siehe Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibniz-Verlag St. Goar; 2004.

⁶ Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibniz-Verlag St. Goar; 2004.

⁷ Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibniz-Verlag St. Goar; 2004.

⁸ Siehe Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibniz-Verlag St. Goar; 2004.

⁹ Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibniz-Verlag St. Goar; 2004.

¹⁰ http://de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996


Einer der Reformer, Prof. Dieter Neriussagte der „Ostsse-Zeitung“ am 24.05.2003 im Interview: „Letztendlich entscheidet das Volk über die neue Rechtschreibung“.¹² Schon die Behauptung, daß das Volk über die Reform entscheide, ist reiner Zynismus, denn das Volk ist nie gefragt worden. Was es aber über die neue Rechtschreibung denkt, belegen die folgenden Umfragen:

Umfrage von 7-8. 2000 – „die Schreibreform zurücknehmen?“ lauteten die Antworten wie folgt:

- **78%** sind **gegen** die Reform und möchten sie abgeschafft sehen.
- **15,7%** sind **für** die Reform.
- **3%** möchten eine **Reform der Reform**
- **3,2%** sind sich **unschlüssig** oder halten die alte wie die neue Regelung für **gleich gut**.¹³

Ebenso im Jahr 2000 wurde eine Umfrage von der Hamburger Zeitung „Die Woche“ durchgeführt. Die Ergebnisse waren ähnlich: 68% der befragten waren der Meinung, die 1996 beschlossenen neuen Regeln sollen zurückgenommen werden; 27% der Befragten waren für die neue Rechtschreibung. Die Mehrheit der Deutschen, nämlich 75% seien in der täglichen Praxis ohnehin bei der alten Rechtschreibung geblieben. Nur 22% gaben an, sie verwenden die neuen Rechtschreibregeln.¹⁴

Auch das Institut für Demoskopie Allensbach führte mehrere repräsentative Umfragen durch. Die Ergebnisse waren deutlich – Deutschland ist gegen die neue Rechtschreibung:



Grafik 1

Umfragen 1997-2005: Sind Sie für oder gegen die Rechtschreibreform?¹⁵

Ein Durcheinander bei Medien

Zum Welttag des Buches, am 23. April 2004, legte die Zeitung „Deutsche Sprachwelt“, die seit dem Jahr 2000 erschien, eine „Resolution zur Rücknahme der Rechtschreibreform“¹⁶ vor. Unterschrieben wurde sie bis zum Juli 2005 von von „einer Vielzahl bekannter Autoren, Persönlichkeiten, Verlage, Organisationen, Schulen und Verbände.“¹⁷

Am 6. August 2004 erklärten die Verlage Axel-Springer-Verlag, Spiegel sowie die „Süddeutsche Zeitung“ ihre Absicht, zur traditionellen Schreibweise zurückkehren zu wollen. Dies hatte wieder eine heftige Diskussion als Folge. Wenige Tage danach verkündete noch eine große Zeitung, „Rheinische Merkur“, ebenfalls zu der alten Rechtschreibung zurückkehren zu wollen.

Am 6. Oktober 2004 gab die „Süddeutsche Zeitung“ bekannt, daß sie, entgegen ihrer früheren Ankündigung, doch nicht zur alten Rechtschreibung zurückkehren werde.

Im Juli 2005 erklärten mehrere Medien, die zuvor zur alten Rechtschreibung zurückgekehrt waren (unter anderem die „Frankfurter Allgemeine Zeitung“, „Die Welt“), weiterhin die alte Rechtschreibung verwenden zu wollen.

¹¹ These des Deutschen Bundestages vom 26.3.1998 bei Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibnitz-Verlag St. Goar; 2004.

¹² Siehe Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibnitz-Verlag St. Goar; 2004.

¹³ Quelle: <http://www.schriftdeutsch.de/orth-umf.htm>

¹⁴ Quelle: <http://www.spiegel.de/kultur/gesellschaft/0,1518,87579,00.html>

¹⁵ Quelle: <http://de.statista.com/statistik/daten/studie/28655/umfrage/meinung-zur-rechtschreibreform/>

¹⁶ http://de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996

¹⁷ http://de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996

Ein großer Teil der Zeitungen und Zeitschriften erscheinen mittlerweile in einer Variante der Rechtschreibung mit einer eigenen Hausorthographie.

Die „Frankfurter Allgemeine Zeitung“ führte zusammen mit der „Frankfurter Allgemeinen Sonntagszeitung“ am 1. Januar 2007 eine eigene Hausorthographie ein. „Der Spiegel“ und die „Süddeutsche Zeitung“ führten die traditionelle Schreibweise schrittweise wieder ein. „Der Spiegel“ schreibt jedoch seit dem 2. Januar 2006 wieder nach den reformierten Regel. Die „Jüdische Allgemeine“, „Forschung & Lehre“, „inamo“, „Junge Welt“, „Junge Freiheit“ und „konkret“ erscheinen weiter in der alten Rechtschreibung.¹⁸

Kurze Bilanz der sogenannten Rechtschreibreform

Nach einigen Jahren kann man schon über die Folgen der neuen Rechtschreibung sprechen. Ich werde versuchen, sie hier aufzulisten:

1. Zerstörung der orthographischen Einheit

vielleicht die wichtigste Folge der neuen Rechtschreibung ist nicht einfach zu erkennen: die Rechtschreibung, die zurzeit in den deutschen Schulen unterrichtet wird, verwendet kaum jemand ausserhalb der Schule. Weder Medien noch Reformer selbst wenden die neue Kommaregelung an. Nur in den Schul- und Kinderbüchern werden nach der neuen Regelung die Kommas weggelassen. „Das bedeutet: Eine ganze Generation von Schülern lernt nicht mehr, die Kommas so zu setzen, wie es die Sprachgemeinschaft für richtig hält. Dieser Schaden ist auch in Jahren kaum wiedergutzumachen.“¹⁹

Hier Beispiele aus umgestellten Kinder- und Schulbüchern:

Wir treffen uns gegen fünf Uhr bei ihr um alles wegen heute Nacht zu besprechen.

(Andreas Steinhöfel: Beschützer der Diebe. dtv 1998, S. 156)

Einige baten mich in ihr Haus zu kommen um nach einer kranken Alten, einem Kind

oder einem Knecht zu schauen (Hans-Dieter Stöver: Die Akte Varus. dtv 1997, S. 288)²⁰

2. Minderwertigkeit der Neuschreibung

Es gibt grammatisch falsche Schreibweisen, die zwingende Folgen der neuen Rechtschreibung sind. Die sind, vor allem, durch Groß- und Getrenntschreibung verursacht: *so Leid es mir tut, wie Recht du doch hattest, das bei weitem nichts Sagenste, am Schwindel erregendsten* usw.

Aus der Sache kann nichts werden – so Leid (!) es mir für dich tut. (Michael Ende: Wunschsunsch, Thienemann 1997, S. 91)

wie Recht der Präsident hat (ZEIT 10.6.1999)

Der Fall ist so Besorgnis erregend, dass ... (Nürnberger Nachrichten 14.10.1999)

... Handlungen und Gedanken, die dann sehr Zeit raubend werden (ebd. 15.10.1999)²¹

In vielen Fällen ist es unmöglich, den Sinn des Gesagten zu verstehen:

Wie sich schon früher die Menschenaffen und die Menschenvorfahren auseinander entwickelt hatten ...(Geschichtsbuch 1, Cornelsen 1997, S. 16; in Wirklichkeit geht es darum, daß sich Affen und Menschen nicht *auseinander entwickelten* – die einen aus den anderen –, sondern *auseinanderentwickelten* – in verschiedene Richtungen!)

(Der Nobelpreis für Günter Grass) war wohl verdient ... (Joachim Kaiser in der Süddeutschen Zeitung vom 1.10.99; gemeint ist *wohlverdient!*)²²

Hier noch Beispiele mit humoristischen Kommentaren, wie man den Sinn missverstehen kann:

Frau tot gefahren und geflüchtet" (Münchner AZ vom 02.01.2001).

(Aha. Die Frau, die gefahren ist, war tot, und dann ist sie auch noch geflüchtet?)

"Er hat ihre Arbeit schlecht gemacht."

(Ja, hätte sie mal ihre Arbeit selber gemacht, dann wäre die Arbeit wohl gut geworden.)²³

Eigentlich würde es genügen, die im April 1998 von 600 deutschen Sprach- und Literaturwissenschaftlern unterschriebene Erklärung zu zitieren: Die sogenannte Rechtschreibreform „entspricht nicht dem Stand sprachwissenschaftlicher Forschung.“²⁴

3. Erschwerung des Schreibens

Die „Erleichterung“ des richtigen Schreibens war das oberste Ziel der Reformer. Die Neuregelung ist aber viel umfangreicher und wesentlich schwerer zu erlernen, als bisher. Sie ist so schwer durchzuschauen, daß

¹⁸ de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996

¹⁹ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²⁰ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²¹ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²² Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²³ Quelle: http://www.rosentreter.de/html_seiten/rsr.html#rsrganzoben

²⁴ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

anscheinend sogar die Professionellen Orthographen damit nicht zurechtgekommen sind. Die Folge ist eine erstaunliche Zahl von Fehlern in sämtlichen Zeitungen, Lehrwerken, Kinderbüchern usw. „Auch in der Schule werden jetzt mehr Rechtschreibfehler gemacht, allerdings streichen die Lehrer kaum noch an, weil sie selbst verunsichert sind und außerdem angewiesen wurden, die bisherigen und sämtliche – auch untereinander widersprüchlichen – neuen Schreibungen gleichermaßen gelten zu lassen.“²⁵

Hier zwei Beispiele, die die Kompliziertheit der neuen Regel belegen:

a) Regel: Substantivierte Adjektive werden groß geschrieben: *des Weiteren, des Öfteren*

Ausnahme: nach Präpositionen ohne Artikel klein: *bei weitem, seit kurzem ...*

Ausnahme von der Ausnahme: *in Folgendem, auf Deutsch, in Grau ...*

Ausnahme von der Ausnahme von der Ausnahme: *grau in grau, schwarz auf weiß ...*

b) die ungemein schwierige neue Kommaregelung:

Hier fällt es schwer, zu schweigen. (Komma nach hinweisendem *es* obligatorisch!)

Hier gilt es den Mund zu halten. (Kein Komma nach nicht-hinweisendem *es* nötig!)

Bisher wurden diese beiden Sätze gerade umgekehrt kommatiert.²⁶

Auch bei der Getrennt- und Zusammenschreibung wurden die Regel wesentlich erschwert:

bekannt machen (aber kundmachen)

gleichstellen (aber besser stellen)

halb nackt, halb offen (aber halbrund, halbtrocken).²⁷

4. Die Reform der Reform

Wegen der schweren Fehler ist die Rechtschreibreform bereits zwei mal „umreformiert“ worden. Dementsprechend sind die Reformkosten schon drei mal angefallen. Die ungefähr 10 Millionen umgestellten Wörterbücher sind mittlerweile unbrauchbar. Als im März 1999 die zweite Auflage des Bertelsmann-Wörterbuch erschien, sagte ein Verlagssprecher: „Damit haben wir ein Wörterbuch, das dem Amtlichen Gebrauch der nächsten zwei, drei Jahre entspricht.“²⁸ Ich denke, da ist kein Kommentar nötig.

5. Kosten

Die Reform kostet mehrere Milliarden DM. Allein die Umstellung der Schulbücher kostete etwa 300 Millionen Mark zusätzlich. Kleinere Verlage gehen wegen der Reform zugrunde, aber auch größere haben Schwierigkeiten. Das ist aber noch nicht alles, denn die Reform „unausweichliche nachbesserungen, d.h. weitere Reformen nach sich zieht“²⁹, die wiederum mit weiteren Kosten verbunden sind.

6. Die deutsche Sprache gerät weiter ins Abseits

Die neue Rechtschreibung beeinträchtigt die deutsche Sprach- und Kulturarbeit auf mehrfacher Weise: Zum einen fehlen den Deutschlernenden und deutschen Auslandsabteilungen Finanzmittel, die erforderlichen neuen Lehrmaterialien anzuschaffen. Zum anderen hat im Ausland schon eine Nachricht über die Rechtschreibung eine Irritation ausgelöst. Hinzu kommt heilloses Durcheinander in den umgestellten Orthographischen Werken. „Wie soll ein ausländischer Studienbewerber oder ein Deutschler verstehen, wenn ihnen die Schreibweisen als Fehler angestrichen werden, die sie in der gesamten seriösen Literatur finden und die auch zum Beispiel der deutsche Bundespräsident nach eigenem Bekunden weiterhin verwendet? Aber genau so müssen die Goethe-Institute und Auslandsschulen laut Anweisung verfahren!“³⁰

Ich habe hier versucht einige Daten und Fakten sowie Ergebnisse einiger Umfragen aufzulisten. Ich werde in dieser Arbeit darauf verzichten, die unzähligen Probleme der neuen Rechtschreibung näher zu diskutieren. Man kann problemlos unzählige Beispiele nennen, die die Sinnlosigkeit der neuen Rechtschreibung beweisen. Ebenso werde ich hier verzichten, die Zukunft der neuen Regelung näher anzugehen. Meiner Meinung nach ist es unheimlich schwierig, aber immer noch nicht zu spät, die Änderungen rückgängig zu machen. Das Ziel dieser Arbeit sollte vielmehr sein, die Interesse unter meinen Kollegen hierzulande an der neuen Rechtschreibung zu wecken, denn ich habe den Eindruck, viele Germanisten haben sich nie richtig mit dem Thema befasst.

Verwendete Quellen:

Aushang an der Bürotür von Prof. Dr. Theodor Ickler an der Friedrich-Alexander Universität Erlangen-Nürnberg.

Theodor Ickler: „Die sogenannte Rechtschreibreform – ein Schildbürgerstreich“, Leibniz-Verlag St. Goar; 1997.

²⁵ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²⁶ Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²⁷ Quelle: http://www.rosentreter.de/html_seiten/rsr.html#rsrganzoben

²⁸ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

²⁹ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

³⁰ Siehe Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);

Theodor Ickler: „Rechtschreibreform in der Sackgasse“; Leibnitz-Verlag St. Goar; 2004.
Theodor Ickler: Kurze Bilanz der neuen Rechtschreibung (Internetversion);
http://de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996
<http://www.schriftdeutsch.de/orth-umf.htm>
<http://www.spiegel.de/kultur/gesellschaft/0,1518,87579,00.html>
<http://de.statista.com/statistik/daten/studie/28655/umfrage/meinung-zur-rechtschreibreform/>
http://de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996
http://de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996
de.wikipedia.org/wiki/Rechtschreibreform_von_1996
http://www.rosentreters.de/html_seiten/rsr.html#rsrganzoben

**„ახალგაზრდა სიტყვების ვნებანი“
გიორგი კობახიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
რეზიუმე**

„ახალგაზრდა სიტყვების ვნებანი“ - გოეთეს ცნობილი ნაწარმოების პერიფრაზი ყველაზე კარგად გამოხატავს გერმანიაში ახალი მართლწერის შემოღების შემდეგ შექმნილ სიტუაციას. ჯერ კიდევ 1980 წელს შექმნილმა ინტერნაციონალურმა სამუშაო ჯგუფმა 1994 წელს წარმადგინა თავისი თოთხმეტწლიანი მუშაობის შედეგი - მართლწერის რეფორმირების პროექტი. 1998 წელს უკვე რეფორმირებული მართლწერა ძალაში შევიდა. ახალი მართლწერის უპირველესი შედეგები: უკმაყოფილო ხალხი და ქაოსი ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებში.

ნაშრომის მიზანია მოკლედ წარმოაჩინოს მართლწერის რეფორმირების უარყოფითი მხარეები და შედეგები. ავტორის მიზანია, აგრეთვე, დააფიქროს ქართველი კოლეგები ამ რეფორმის აკარგინაობაზე.

**THE SORROWS OF YOUNG WORDS
Giorgi Kobakhidze, Specialist of International Relations
RESUME**

“The Sorrows of Young Words” - the paraphrase of Goethe’s well-known work expresses the situation formed in Germany after establishing the new spelling rules there. The international working group, which was formed in 1980, presented the result of its fourteen-year work - the project of spelling reform. And In 1998 the reformed spelling entered into force. The primary results of new spelling rules were dissatisfied people and the chaos in publishing houses.

This paper aims to show the disadvantages and results of the spelling reform briefly. The Author’s purpose is to get the Georgian colleagues thought about the positive and negative parts of this reform.

ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში

მარიამ კობერიძე, ასოცირებული პროფესორი

ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. იგი ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას, განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, საგამოთქმო ერთეულებით, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას ასახავენ. „ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარის სწრაფი ცვალებადობა აიხსნება მათი მნიშვნელობების უშუალო კავშირით გარეენობრივ სინამდვილესთან; ლექსემათა სიმრავლეში თვალსაჩინოდ აისახება ის გარდაქმნები, რომლებიც სამყაროში ხდება“ (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 347).

ყოველ ენას, მათ შორის ქართულ ენასაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები: სიტყვაწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება. „ლექსიკური სისტემა ღიაა, შეღწევადია, შეიცავს განუსაზღვრელი რაოდენობის ელემენტებს. ახალი რეაქციების გაჩენასთან ერთად ლექსიკურ - ერთეულთა ინვენტარი ივსება. ამავე დროს ზოგიერთი ლექსემა გამოდის საყოველთაო

ხმარებიდან; ამის აღნუსხვა შეუძლებელია, ამიტომ ზუსტად ვერ დავადგენთ ამა თუ იმ ენაში არსებულ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობას (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 348).

ამაში გვარწმუნებს ქართული ლექსიკის განხილვა-შეჯერება დისკრიპტიულ და დიაქრონულ განვითარებაში (ლლონტი, 1988, გვ. 5).

ყოველ ენობრივ სისტემაში ნიშნები, მათ შორის - ლექსიკური ერთეულები ერთმანეთთან პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებებს ამყარებენ. ლექსიკონი შეიძლება წარმოვიდგინოთ მიკროსისტემებისაგან (ქვესისტემებისაგან) და ლექსემათა სხვადასხვა დაჯგუფებისაგან შემდგარ სისტემად. ასეთი დაჯგუფებები გამოიყოფა ექსტრალინგვისტურ და წმინდა ლინგვისტურ საფუძველზე: ისინი დაკავშირებულია ლექსემებს შორის არსებულ სინტაგმატურ და პარადიგმატულ მიმართებებთან. ცალკე განიხილება ლექსემათა ისეთი გაერთიანებები, რომელთაც ველის (ჯგუფების) სტრუქტურა აქვთ, რადგან მათი გამოყოფა სპეციფიკურ მიმართებებს ემყარება (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 352).

ლექსიკურ ერთეულთა უფრო ვრცელი გაერთიანებაა სემანტიკური ველები. ერთსა და იმავე სემანტიკურ ველში ერთიანდება სხვადასხვა სტრუქტურული კლასების წევრი ლექსემების მნიშვნელობები.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებად დაყოფა ლექსიკონის სტრუქტურის უნივერსალური თვისებაა. ლექსიკა ცვალებადია ველის ფარგლებში, ეს ცვლილებები თვით ველებს არ აუქმებენ, მხოლოდ ცვლიან მათ შემადგენლობას.

ავტოგრაფიული ნუსხები, რომელსაც ემყარება სულხან-საბას ლექსიკონი, საინტერესოა არა მხოლოდ საბას მუშაობის პროცესის თვალის მისადევნებლად თავიდან ბოლომდე, არამედ საინტერესოა იმითაც, რომ მათში საბას შენიშვნების სახით დაცულია მასალა ლექსიკონთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გასარკვევად.

ლექსიკონში სიტყვები დაჯგუფებულია ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ე. წ. ბუდეების მიხედვით. ლექსემებს შორის დერივაციულ კავშირებს ემყარება დერივაციული ბუდეების გამოყოფა. თითოეულ ბუდეში შედის განსხვავებული დერივაციული აფიქსებისა და საერთო ძირის მქონე ლექსიკური ერთეულები. ასეთი დაჯგუფებები წარმოვიდგება „დერივაციული პარადიგმების სახით“ (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 351).

დერივაციულ პარადიგმებს წარმოადგენს: მაგ.: „**ბარგი** - საკმარი საზიდარი; „**ბარგიანი** - სახმარ-საზიდარიანი“ (საბა, 1991, გვ. 33). „**ბასრი** - ფოლადი რკინა; **ბასრობა** - გადამეტებული განკიცხვა“ (საბა, 1991, გვ. 100). „**ბედი** -სახელი არის მეფეთა სიმადლისა და გლახაკთა სიმდაბლისა“; „**ბედობა** - ბედის პოვნა; ბედნიერი - ბედის მქონებელი“ (საბა, 1991, გვ. 101). „**ბურნა** - ღვინის ქინქლა“; „**ბურნაკი** იგივე ქინქლა“ (საბა, 1991, გვ. 100). „**ეშმაკი**: ნაეშმაკარი, ნაეშმაკევი, საეშმაკო, სიეშმაკე“ (საბა, 1991, გვ. 248).

სულხან-საბას ლექსიკონში **სიტუაციის ცნებას** უკავშირდება ლექსიკურ ერთეულთა **სიტუაციური ჯგუფების** გამოყოფა. იმის გამო, რომ სიტუაციები მეტად მრავალფეროვანია, სიტუაციური ჯგუფები ჭრელია, შესაძლებელია გამოხატავდეს რაიმე მოქმედებას. ისინი ხშირად შემთხვევითი ლექსემების გაერთიანებას წარმოადგენს. მაგ., „**თიბვა** : მთიბა, მთიბელი, სათიბელი, სათიბი, სთიბავს, უთიბავდა“ (საბა, 1993, გვ. 477). „**ბეჭედი**: ალბეჭედა, ბოლობეჭედა, დაბეჭედა, დაბეჭდული, იბეჭდება, ნაბეჭდი, ქრისტეს-ბეჭედა“ (საბა, 1991, გვ. 233); „**ბერტყა**: განბერტყა, ნაბერტყი“ (საბა, 1991, გვ. 102). „**ცონვა**-„**დაზარება**“; **ცონინ**, **მცონარება**, **უცონველი**“ (საბა, 1993, გვ. 181). „**მცირე**: ისულმცირა, მომცრო, სიმცირე, სულმცირე, უმცირესი, უმცროსი“ (საბა, 1991, გვ. 546). „**ალერსი**: მაალერსა, მოალერსე, მუალერსე, ნალერსალი, საალერსოდ, სიტყუა“ (საბა, 1991, გვ.46).

სიტუაციის ასახავს სიმთვრალის გამომხატველი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი: **მთვრალი** - პირველისა შესავალთა კაცთა სიმთვრალისთა ეწოდებთან **ბრუჟობა** და მასზედ მეტსა - **მთვრალობა**; და თუ ვისმე **სიმთვრალე** გარდაერია, ეწოდება **ლექა**, და თუცა სიმთვრალე განიაგდა და მრავალხან სვა, **ღრეული** ეწოდების, ვინათგან ხანს მსმელი ღვინისა მიერ -გახადის მთვრალი; **ანკანაკება** არს ზედაზე ნადიმი და სიმთვრალე“ (საბა, 1991, გვ. 477).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **გვარობით-სახეობითი** მიმართებები ვლინდება ლექსემათა (უმთავრესად - არსებითი სახელების) **თემატურ** (იდეოგრაფიულ, ცნებით) **ჯგუფში**, რომლებიც ექსტრალინგვისტურ საფუძველზე გამოიყოფა (მათი წევრები სემანტიკურად მონათესავე ლექსემებს არ წარმოადგენენ). ლექსიკონში თემატიკური ჯგუფები გამოხატავენ ადამინის სხეულის ნაწილებს, ოთხფეხის, თევზის, მძრომელის, ფრინველის, მწერების სახეობებს, ხისა და ბალახის ჯიშებს, ადგილთა სახელწოდებებს, საბრძოლო და სამუშაო იარაღებს.

ასეთი ლექსიკური ჯგუფები ქმნიან **თემატიკურ რკალებს**. თემატიკური რკალები სემანტიკურად ერთიანდებიან რაღაც ნიშნის მიხედვით. მაგ.: „**თევზი: გრძელთევზი, ვითევზეთ, ზოდიაქო, მეთევზე, მეთევზური, მელნის თევზი, ძაღლთევზი**“ (საბა, 1991, გვ. 285). „**ბალახი: ბალბა, გულ-ფილტვს ბალახი, კაპოეტი ბალახი, საბალახე, შავბალახა, ხებალახა**“ (საბა, 1991, გვ. 92). „**ოთხფერკი: ზროხა, ჯარი, ფური, კბო, ზვარაკი, ჟოჟარაკი, ბოჩოლა, მოცედი**“ (საბა, 1993, გვ. 347). „**ცხოვარი: ვერძი, ნერბი, კრავი, ტარიგი, ბატკანი, შიშაგი, აზმანი, ჭედილი, ერკემალი, უგი**“ (საბა, 1993, გვ. 347).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება **მრავალსახელთა** (საბასთან იგი სინონიმის მნიშვნელობითაა), **თანამოსახელთა** (ომონიმთა) და **სახელნართაულთა** (პარონიმთა) ჯგუფები. (ბაკურაძე, 1998, გვ.8).

ლექსიკური სინონიმები ერთი და იმავე დისტრიბუციული კლასის ისეთი ლექსემებია, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობებს საკმარისად დიდი საერთო ნაწილი აქვთ; ისინი მსგავსი ან იდენტური სისტემებით აღიწერება (სინონიმებს ხშირად განსაზღვრავენ როგორც საერთო საგნობრივი მიმართების, ანუ ერთი და იმავე დენოტატის მქონე ლექსემებს, ერთი და იმავე ფაქტის სხვადასხვა სახელწოდებას) (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003, გვ. 365).

საბას ლექსიკონში მრავალსახელთა (სინონიმთა) ასეთი ჯგუფები გამოიყოფა: „**საზუდაშე - ქარახსი, ამპოლი, სტომანი**“ (ფრან.) (საბა, 1993, გვ. 53); „**ამპარტავანი- ზეჰარი**“ (საბა, 1991, გვ. 53); „**სულელი- მოროს** (ბერძ.), **ლელუსელი**“ (საბა, 1993, გვ. 115); „**ნარდი-სუმბული** „სუმბული არაბთა ენაა, ქართულად ნარდი ჰქვია, ყვავილია სუნელი“ (საბა, 1993, გვ. 578); „**სურდო-კატარა**“ (საბა, 1993, გვ. 117); „**კოჭლი - მკელობელი**“ (საბა, 1991, გვ. 387); „**კოჭობი - კვანწია** „მცირე ქოთან“ (საბა, 1991, გვ. 381); „**ლამაზი: კეკლევი, კეკელა, მწყაზარი, სანდომიანი, სახნიარი, ჰაეროვანი**“ (საბა, 1991, გვ. 404); „**არმური - ნისლი**“ (საბა, 1991, გვ. 65); „**ამდენი - ამტოლი**“ (საბა, 1991, გვ. 51); „**ამოსრუტნა - ამოწოვნა**“ (საბა, 1991, გვ.52); „**მრუდი-ელამი, გვლარძნილი, ოღროზდრო, ღვლარჭნილი, რადი**“ (საბა, 1991, გვ. 520); „**ნავი - ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა ნავთა, ხოლო მცირესა ნავსა ეწოდების ნუსა და მისსა უდიდესსა ვარცილი**“- **კიბანო, კარაპა, არჭაპა, კარაფითა, ჭუმალდი, კარაფითა, ოჩხომელი, ოლეჭკანდერი, კატარლი**“ (საბა, 1991, გვ. 559); „**ნაზუქი - „სხვათა ენიდამ შემოდებულა, რომელსა ქართულად ნატიფი ეწოდების, მრავალსახელნი არიან: კოლვირდი, ხაოანი, ღალანოს, ზანდარი, ლელენგო, ფოფხი, პლაკუნტი, კუპატი, ქადა, ხაჭაპური**“ (საბა, 1991, გვ. 581).

ომონიმები ანუ თანამოსახელე წყვილები „სხვადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული, ხშირად შემთხვევითია მათი მსგავსი გახმოვანება, თუმცა ზოგჯერ ერთგვარი ნათესაობაც აერთებთ“ (ღლონტი, 1988, გვ. 59). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ლექსიკური ომონიმია (საკუთრივ ომონიმია) გვაქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც **ჟღერადობითა და გრაფიკულად ერთმანეთს ემთხვევა ორი ლექსემა**.

ლექსიკური ომონიმია სრულია, ომონიმების ფუძეები ერთსა და იმავე სტრუქტურულ კლასს (მეტყველების ნაწილს) განეკუთვნება: „**რქა - არს პირუტყვთა ნაბამი**“; **რქა - ეწოდების ვენაჰის ლერწა**“; „**რქა - ეწოდების, რომელსა ჭამდა უძღები(ს) შვილი**“; „**რქა - ეწოდების ხილსა ერთსა, ლობიოსა ჰგავს**“ (საბა, 1991, გვ. 15). „**სხმა- ხელთ მრავლად ბმა; სხმა - შვილთ ყოლა; სხმა - წყალთ დასხმა; სხმა - საკუხთა და წამოსასხამ წამოსხმა**“ (საბა, 1991, გვ. 126). „**აკსნა - გამოთარგმანება**“; „**აკსნა - დაბმულის აშვება**“ (საბა, 1991, გვ. 86). **ბაგა - „პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი**“; „**ბაგა ეწოდების სახლთა შინა მოდაბლო სარკმელთა; ბაგად ითქმის ახალი ვენაჰი**“ (საბა, 1991, გვ. 88).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ცალკე დაჯგუფებას ქმნის პარონიმთა (სახელნართაულთა) ჯგუფები, როდესაც სიტყვა ბგერითი აგებულებით ნაწილობრივ ემსგავსება ერთმანეთს. მაგ.: **ნერგი - „ხე და ბალახი დარგული**“ ; **ნერჩი - „ქვეშე კერძი, ფსკერი**“ (საბა, 1991, გვ. 590); **ნიჟარა - „ხამწკა**“; **ნიჟარი - „ფარფური, ჭიქა**“ (საბა, 1991, გვ. 593); **ნიშატი - „ესე არს ბუნებით ძალი, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდებენ**“; **ნიში - „ნიშანთ ნაწილი**“ (საბა, 1991, გვ. 595). **ნუში- „ხე**“; **ნუშა - „ნავთ უმცირესი**“ (საბა, 1991, გვ. 599). **ოგი - „გასაფენი**“; **ოგრა - „ბრინჯით შეზავებული თხილი**“ (საბა, 1991, გვ. 601); **ნუგზარი - „სპარსთა ენაა**“; **ნუამი - „ქნარი**“ (საბა, 1991, 599). **ტაბლა - „ბერძ. ნარდის ფიცარი**“; **ტაბლი - „სენისაგან რა მუცელში წყალი შეიქმნების, რომელთა ბერძნულად ტო(პ)ვანის ეწოდების**“ (საბა, 1991, გვ. 136).

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ ბუდეების მიხედვით გამოიყოფა დერივაციული, სიტუაციური, თემატური, მრავალსახელთა (სინონიმური), თანამოსახელთა (ომონიმური) და სახელნართაულთა (პარონიმური) ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები (ველები) . ასეთი დაჯგუფების წყარო არის არა მარტო სიტყვაწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება , არამედ ძველი ფილოსოფიური აზრი, უშუალოდ კი, ლექსიკონში დადასტურებული ამ ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ არსენისეული თარგმანი.

ლიტერატურა:

1. ბაკურაძე, 1998 - ლ. ბაკურაძე, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბილისი, 1998.
2. გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003 - თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თბილისი, 2003.
3. საბა, 1991- სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, თბილისი, 1991.
4. საბა, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, თბილისი, 1993.
5. ღლონტი, 1988 - ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1988.

რეზიუმე

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებად დაყოფა ლექსიკონის სტრუქტურის უნივერსალური თვისებაა. ასეთი დაჯგუფებები გამოიყოფა ექსტრალინგვისტურ და წმინდა ლინგვისტურ საფუძველზე.

ლექსიკონში სიტყვები დაჯგუფებულია ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით ე. წ. ბუდეების მიხედვით. ლექსემებს შორის დერივაციულ კავშირებს ემყარება დერივაციული ბუდეების გამოყოფა. თითოეულ ბუდეში შედის განსხვავებული დერივაციული აფიქსებისა და საერთო ძირის მქონე ლექსიკური ერთეულები.

სულხან-საბას ლექსიკონში სიტუაციის ცნებას უკავშირდება ლექსიკურ ერთეულთა სიტუაციური ჯგუფების გამოყოფა. იმის გამო, რომ სიტუაციები მეტად მრავალფეროვანია, სიტუაციური ჯგუფები ჭრელია, შესაძლებელია გამოხატავდეს რაიმე მოქმედებას..

ლექსიკონში გვარობით-სახეობითი მიმართებები ვლინდება ლექსემათა (უმთავრესად – არსებითი სახელების) თემატურ (იდეოგრაფიულ, ცნებით) ჯგუფში, რომლებიც ექსტრალინგვისტურ საფუძველზე გამოიყოფა (მათი წევრები სემანტიკურად მონათესავე ლექსემებს არ წარმოადგენენ).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება სინონიმთა, ომონიმთა და პარონიმთა ჯგუფები.

SEMANTIC –LEXICAL GROUPS IN “GEORGIAN DICTIONARY” BY SULKHAN-SABA ORBELIANI

Mariam Koberidze, Associate Professor

RESUME

The fission into lexical-semantic groups in the dictionary by Sulkhan –Saba Orbeliani is the universal feature of dictionary structure. Such groups are accentuated on extra linguistic and pure linguistic bases.

In the dictionary, the words are grouped according to linguistic viewpoint as so-called nests. The emission of derivative nests is based on the derivative connections between the lexemes. Each nest contains the lexical units of different derivative affixes and the common roots.

In the dictionary the concept of situation is connected with the emission of situational groups of lexical units. Because of having variety of the situations, the situational groups are different possibly expressing any actions.

In the dictionary, related types are expressed in the thematic groups (ideographic, conceptual groups) of lexemes (mainly nouns), which are accentuated on the linguistic bases. (Their members are not semantically related lexemes).

In the dictionary by Sulkhan Saba Orbeliani we see the groups of synonyms and homonyms.

ქართული ანთროპონიმული მოდელის ერთი ტიპისათვის

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ქართული საისტორიო დოკუმენტებით, წარწერებით, ხელნაწერებით არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ ქართული გვარ-სახელები საუკუნეების წინათ არის წარმოქმნილი. წარმოვადგენთ ზემო ქართლის გვარ-სახელებს, რომლებიც არ განსხვავდებიან საერთო ქართული გვარების წარმოების ყალიბისაგან. ისინი - ელ სუფიქსით ნაწარმოები ფეოდალური გვარებია. ნიკო ბერძენიშვილის დაკვირვებით მერვე საუკუნეში და შემდგომ ინდივიდის გვარ-სახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ იმ პუნქტის მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თავიანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ. ამისი მაგალითია ზემო ქართლის გვარები: ტბელი, ყანჩაელი, კორინთელი, სხვილოსელი, ფხვენელი, მაჩაბელი, თიხრეველი, წორბელი და სხვები, რომელთა წარმომადგენლები საუკუნეების განმავლობაში ჩანან ისტორიის ასპარეზზე. -ელ სუფიქსიანი გვარების გაჩენა ფეოდალური სახლის შიგნით და შემდგომ მისი განვითარება ძველის რღვევისა და ახლების წარმოქმნის მაჩვენებელია. ამისი დასტურია ლაპიდარული წარწერები. მდინარე ლეხურის ზემო წელზე 864 წლის არმაზის ეკლესიის სამხრეთის კედელზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, სადაც გვარი -ელ სუფიქსით არის გაფორმებული: „მე გიორგი არმაზელმა მამასახლისმან დავიწყე წმინდაი ეკლესიაი ქრონიკონსა პდ ხელმწიფობასა გიორგისა“ (ლაპიდარული წარწერები I). ხოლო შემდგომ ერედვის 906 წლის ლაპიდარულ წარწერაში გვხვდება -ელ და -ძე სუფიქსიანი გვარები: „...ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, სანატრელისა ყუარყუარესა, ჯუართა მისითა, განზრახვითა ნიქოზელისა მე თევდორე თავლასძემან დავდე სამირკველი წელნი იყუნეს ხვი, ქრონიკონსა რკვ...“ (ლაპიდარული წარწერები, 172).

-ელ სუფიქსიანი გვარებიდან შემდგომ -ძე სუფიქსიანმა გვარებმა ფონეტიკური სახე იცვალა და აბაზას ძე - აბაზაძე ზემო ქართლში პირველად ნახსენებია 1297 წელს. ფალავანდისშვილი - ფალავანდიშვილი 1260 წელს, თულასშვილი - თულაძეები 1287-88 წლებში, აბაშიძეების გვარი 1488 წელს და სხვა.

მეჯუდის ხეობის სოფელ ბიეთის მეათე საუკუნის ასომთავრულ წარწერაში გვარების ორთოგრაფია უკვე დახვეწილია. აქ იკითხება: ქრისტე მეუფეო ყოველთაო ადიდე ერისთავთ-ერისთავი იოვანე ძე ბაკურ ყანჩაელისა, უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა“ (წარწერები, გვ. 193).

ისევ მეჯუდის ხეობის სოფელ ჭალისუბნის ასომთავრულ წარწერაში გვხვდება -ელ და -ძე სუფიქსიანი გვარები: „დაგიწერეთ ჩუენ ზაზი და თუთმან კოლონკელი და ფხუნელაისძის პირით და მისი ცოლისათა მოგეცით კოიტორი მამულობით“ (146) და სხვა.

ქართული გვარების სიძველეზე მიუთითებს ასევე „ტბეთის სულთა მატთანე“, რომელიც XII-XVII საუკუნეების მანძილზე დაწერილი მოსახსენებლების დიდი ნუსხაა. ტბეთის საყდარი ცნობილი ისტორიული ძეგლია, რომელიც შავშეთში მდებარეობს. იქიდან მიგრირებულებმა თურქთა აგრესიის შედეგად სხვა ადგილებთან ერთად ზემო ქართლსაც შეაფარეს თავი. ასე გაჩნდა თავხელეთი - თავხელიძე, დოლიეთი - დოლიშვილი, მელაძე, წიქარიძე, დვალიშვილი, ოთონისძე და სხვები, რომლებიც ძირითადად ტოპონიმიკური გვარებია.

დიდი ლიახვის ხეობაში XII საუკუნის თირის მონასტრის ასომთავრული წარწერა გვაუწყებს, რომ თავხელიძეები უკვე წარჩინებული პირები არიან და დიდი მამულის მფლობელები. „თავხელისძეთა სიაოშ და რატი ასათხელა და მაჩაბელი. შემდგომ ამისა თავხელიძე მაჩაბლები ორი გვარით მოიხსენიებიან მთელ რიგ ისტორიულ საბუთებში. საერთოდ, ყურადღებას იქცევს ორი და სამწევრიანი გვარ-სახელები. მაჩაბლების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ორწევრიანი გვარ-სახელების გაჩენას ხელს უწყობდა ფეოდალური ოჯახების გაყრა. გაყრის შემდეგ შთამომავლობას უჩნდება დამატებითი პატრონიმული სახელი. XVIII საუკუნის ლიახვის ხეობის დავთარში რევაზი ჩაწერილია მაჩაბელ-ოტიაშვილად, ბარძიმი მაჩაბელ-ბადურაშვილად არის ჩაწერილი. ასევე დავითი მაჩაბელ-ალხაზიშვილია. ძმები ავთანდილი და რევაზი მაჩაბელ-ბედელაშვილები არიან. ასევე ცნობილია მაჩაბელ-ბორტიშვილი და სხვები.

ჩანს, რომ პატრონიმული გვარ-სახელის არსებითი ნიშანი მისი ნაკლებსტაბილურობაა. მაჩაბელთა სხვადასხვა თაობა დღეს გვარად ძველს ან ახალს ატარებს. თავიანთი წარმომავლობა კი კარგად იციან. გვარ-სახელების წარმოქმნა საქართველოში სხვადასხვა და მათ შორის სოციალური მიზეზებით იყო

განპირობებული. განვითარებული და მწიგნობრული ქართული სამეფო და ფეოდალური სისტემა მოითხოვდა მემკვიდრეობითი სახელის (გვარ-სახელის) არსებობას. მამული, ქონება პირზე მემკვიდრეობით გადადიოდა, ამიტომ საჭირო იყო მემკვიდრეობითი სახელი სოციალური ურთიერთობის გასაადვილებლად. ყოველივე ამას კი საკუთარ სახელთა სისტემა განსაზღვრავდა.

ანთროპონიმია ადამიანთა სახელდების ერთობლიობაა, რომელიც სახელს, მამის სახელს, გვარ-სახელსა და მეტსახელს მოიცავს. თითოეული მათგანი გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში წარმოიქმნა და მიიღო საწარმოებელი აფიქსი. ანთროპონიმი სიტყვაა და ენის, ლინგვისტურ კანონებს ემორჩილება.

ქართულ სინამდვილეში ანთროპონიმული მოდელი იცვლებოდა ისტორიული ვითარების შესაბამისად. ზემოთ ხსენებული ორწევრიანი მოდელი ფაქტია, მაგრამ გვაქვს სამწევრიანი მოდელიც, რომელიც გვხვდება ლაპიდარულ წარწერებში და ხელნაწერებში.

ცხინვალის დასავლეთით ბორცისჯვრის მეათე საუკუნის ეკლესიის ასომთავრული წარწერა გვაუწყებს: „ესე ბალაჰვარი მე ტბელმან პატრიკმან ძემან ქავთარისამან დავდეგ სალოცველად სულისა ჩემისა“... აქ ჯერ გვარია დასახელებული ტბელი შემდეგ სახელი (პატრიკი ან წოდება) და ბოლოს მამის სახელი ქავთარის ძე (ცნობილი ისტორიული პირი).

1348 წელს წყალობის სიგელი გვამცნობს: „მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი ლარგველისა შვილი წითლოსან“. ქსნის ხეობის 1774-81 წლების სტატისტიკური აღწერა ამ მხრივ ბევრ ისტორიულ მასალას გვამცნობს. აქ ასობით პირი, მთელი რიგი სოფლები აღწერილია სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით - გვარ-სახელი+მამის სახელი+სახელი.

მაგალითად: ჭურთის ხევს დორეული ოქროპირის შვილი ნინია.

დორეული პაპუნას შვილი ღთისია და კაცია.

დორეული თარიმანის შვილი ბერი და გოგია (ჯავახიშვილი, 187-188)

გავახს: ბუთხუზი ქოროღლის შვილი ნადირა, გოგია და ბერი.

ბუთხუზი პაპუნას შვილი ბერი, გოგია და შერმაზან.

კაჭიური ბალიასშვილი სვიმონ და ბერი და სხვა.

აღწერაში ზოგან ორწევრიანი მოდელით არის წარმოდგენილი.

შვილზე დაბოლოებული გვარების უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის ს ელემენტი. მაგალითად: შერმადინი მელის შვილი, შერმადინი გიორგის შვილი, ქენქაძე გამიხარდის შვილი, წიბტაური ოქროპირის შვილი, პავლიაანთ ბერის შვილი და სხვა. ჩანს, რომ ამ დროისათვის (XVIII ს.) აღწერის მასალებში, შვილზე და -ურ-ზე დაბოლოებულ გვარებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ნათესაობითში დასმული სახელის შინაარსობრივი წარმოდგენა და აღნიშნული იყო ესა თუ ის პირი (შვილი) ვისი ჩამომავალი იყო.

ზემოხსენებული აღწერების ადრე 1736 წლის 15 აგვისტოს მეფე ალექსანდრე სიგელს უბოძებს მაჩაბლებს: „ჩუენ ღვთივ აღმატებულმა, ზეცით გვირგვინოსანმა ქართლისა და კახეთის მკყრობელმა მეფე ალექსანდრემ წყალობის ნიშანი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულსა და წესიერად ნამსახურს მაჩაბელს ბაადურის შვილს ბორტის შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჯავის ხეობა, კოდა და კოშკის ჭალა“ (დოკუმენტები, 255). თავისი მხრივ, მაჩაბლებიც ნასყიდობის წიგნს აძლევენ იოვანე ქსნის ერისთავს და ავტორი არის ქობულისშვილი მაჩაბელი ზაალ, ზაზა, ზურაბი და ოთარი. აქაც ზემოხსენებულ სამწევრა მოდელთან გვაქვს საქმე.

ახალი საგვარეულოების განშტოებები საფუძველი გახდა ახალი გვარების წარმოქმნისა ჩვენს სინამდვილეში. ლ საფუძველი კიდევ შეიძლება ყოფილიყო სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სფერო და რაც მთავარია სახეზე გვაქვს ჩვენი წინაპრების გვარ-სახელები, რომლებსაც უნდა გავუფრთხილდეთ და შემოვუნახოთ შთამომავლობას.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ამოიღო მთელი რიგი დოკუმენტებიდან მამის სახელი, როგორც არაქართული მოვლენა, რაც რუსი შოვინისტებისაგან არის თავსმოხვეული. საჭიროა ტრადიციის აღდგენა, რასაც ქართველობა სრულიად სამართლიანად მოითხოვს.

ლიტერატურა:

ლაპიდარული წარწერები, I, V-X ს.ს., შეადგინა და გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 168.

ლაპიდარული წარწერები, იქვე.

ჯავახიშვილი ივ. - ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, დემოგრაფიული ძეგლები, თბ., 1967.

დოკუმენტები, - დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII ს.ს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

თოფჩიშვილი, - რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები, თბ., 1997.
ჭუმბურიძე, - ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1998.
ტბეთის, - ტბეთის სულთა მატთანე, თბ., 1977. თ. ენუქიძის გამოცემა.

რეზიუმე

ქართული გვარ-სახელები საუკუნეების წინათ არის წარმოქმნილი, რასაც გვიდასტურებს წარწერები, ხელნაწერები, საისტორიო დოკუმენტები. ზემო ქართლის გვარ-სახელები არ განსხვავდება საერთო ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოების ყალიბისაგან. თავდაპირველად წარმოიშვა -ელ სუფიქსიანი გვარები, რომელთა შესახებ არაერთი საისტორიო წყარო გვიდასტურებს, დავასახელებთ ზოგიერთს. არმაზის 864 წლის ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს, რომ იგი ააგო არმაზ-ელ-მამასახლისმა.

ერედვის 906 წლის ასომთავრულ წარწერაში კი გვხვდება -ძე და -ელ სუფიქსიანი გვარები. ასეთივე წარმოება გვხვდება მეჯულის ხეობის ბიეთისა და ჭალისუბნის ასომთავრულ წარწერებში.

შემდგომ საუკუნეებში ქართულ სინანამდვილეში წარმოიშვა ორწევრიანი გვარ-სახელები. ამ ფორმით გვხვდება: მაჩაბელ-ოტიაშვილი, მაჩაბელ-ბადურიშვილი, მაჩაბელ-ალხაზიშვილი, მაჩაბელ-ბორტიშვილი და სხვები.

1774-81 წლების ქსნის საერისთაოს ორი სტატისტიკური აღწერა უნიკალური ძეგლია, სადაც მოცემულია ქსნის ხეობის მოსახლეობის გვარ-სახელები. აქ გვხვდება სამწევრიანი გვარ-სახელები + მამის სახელი + სახელი. მაგალითად: ჭურთისხევეს დორეული ოქროპირის შვილი ნინია, დორეული პაპუნას შვილი ღთისია და კაცია, ბუთხუზი პაპუნასშვილი ბერი, გიორგი და შერმაზან და სხვა.

„აღწერაში“ შვილზე დაბოლოებულ გვარებს უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის ს ელემენტი. მაგალითად: შერმადინი გელის შვილი, ქენქამე გამიხარდის შვილი, პავლიანთ ბერის შვილი, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ შვილზე და -ურ-ზე დაბოლოებულ გვარებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ნათესაობითი დასმული სახელის შინაარსობრივი წარმოდგენა და აღნიშნული იყო ესა თუ ის პირი ვისი ჩამომავალი იყო.

გვართა განშტოებები საფუძველი გახდა ახალი გვარების წარმოქმნისა, რისი საფუძველიც შეიძლება ყოფილიყო სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სფერო.

ONE TYPE OF GEORGIAN ANTROPONIMIC MODEL

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

Georgian surname were originated many centuries ago which can be confirmed by various documents, records. The surnames of Zemo Kartli, don't differ greatly from common Georgian surnames. At first names with al suffixes were created which can be seen in many historical materials for example writings made in Armaz Fortress in 864 says that it was built by Armazian official. Writings made in Eredvi in 906 shows that the surnames were ended in -dze or al suffixes. The same can be said about the writings remained in Mejuda and Chalisubani.

In later period the names with two components are often used such as Machabeli Otias shvili, Machabeli Baduris shvili, Machabeli Alkhazis shvili and so on.

Two statistic records of Ksani County of 1774-81 are unique materials where the surnames of the population of that county are given. There can be seen surnames with three components a surname, a name and father's name. For example Doreuli Ninia Okropiris shvili, Doreuli Gvtisia Papunashvili and others.

In this record the names ending in shvili the elements of possessive case -s are preserved. For example Shermadini Gelis shvili, Kenkadze Gamikhardis shvili etc, which shows that surnames ending in er or shvili described the content of the name itself as well as it referred to a person's background that is whose son or daughter a certain person was later the division of surnames caused the creation of new ones which can be explained by social and economic conditions.

**ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ლექსიკურ-სემანტიკური ველი
ქართულსა და გერმანულ ენებში
(შეპირისპირებითი ანალიზი)**

ნინო ოქროპირიძე, სრული პროფესორი


მრავალი ლინგვისტი დაეთანხმება ბ. უორფის მოსაზრებას, რომ ყოველ ენას თავისი „ფილოსოფია“ აქვს და რომ, ჩვენ ვანაწევრებთ გარესამყაროს სინამდვილეს ჩვენი მშობლიური ენის და მიხედვით. ამ დებულების უტყუარი დადასტურებაა ადამიანთა მიერ სამყაროს შემეცნების მრავალფეროვნება, სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი აზროვნების კატეგორიები, რაც მოითხოვს ენობრივი გამოხატულების სხვადასხვა ფორმებს.

ნებისმიერი ენის სემანტიკური სტრუქტურა - ლ. ვაისგერბერისეული ენობრივი ტერმინით, რომ ვისარგებლოთ, არის სამყაროს ენობრივი „მსოფლხატი“ (Weltansicht) ანუ გარემოს თავისებური ეროვნული აღქმის სურათი. „ყოველი ენა გარკვეული მსოფლალქმის, ანუ სამყაროს გარკვეული ხედვის მატარებლად გვევლინება. ყოველი ენა არის ხატი გარე თუ შიდა სამყაროს თავისებური - ენის შემქმნელი, ერის თვალთახედვის გამოხატველი სემანტიკისა, წარმოდგენილი ცალკეული სტრუქტურებითა და მიკროსტრუქტურებით, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ამ ენის შინაარსულ აგებულებას“ (3, 142).

ენის ლექსიკური სისტემა არ წარმოადგენს ნომენკლატურას, საგანთა უბრალო ჩამონათვალს. ყოველ ენაში წარმოდგენილია გარესამყაროს საგანთა თავისებური კლასიფიკაცია. ამ საკლასიფიკაციო სისტემებს შორის მსგავსებაც დიდია, მაგრამ მათ შორის განსხვავებებიც აღინიშნება. ამიტომაც სხვადასხვა ენაში წარმოდგენილი საკლასიფიკაციო სისტემები ერთი უნივერსალური სისტემის სხვადასხვა ვარიანტებია და ის საერთო, რაც ვარიანტებს შორის არსებობს, არის სწორედ უნივერსალური მოდელი სამყაროსი, რომელიც ენებში ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების სახით რეალიზდება. ამ მტკიცების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია ის განსაცვიფრებელი სხვაობა ფერთა დასახელებების რაოდენობაში, რაც სხვადასხვა, არამონათესავე ენებში დასტურდება.

სხვადასხვა დარგის მეცნიერები მრავალი საუკუნის მანძილზე ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ფერის საიდუმლოს, რაც ჩვენ მხედველობითი შეგრძნებების მეშვეობით გვეძლევა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის გამოვლენა ქართულსა და გერმანულ ენებში. მოცემულია ცდა ფერთან დაკავშირებული სიტყვების დაჯგუფებისა ცალკეულ თემატურ ჯგუფებში მათი საერთო სემანტიკური ნიშნების მიხედვით. კვლევა ძირითადად ემყარება „სემანტიკური ველის“ მეთოდს, რომლის მიხედვითაც სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობანი ერთიან ლექსიკურ სისტემაში განიხილება არა იზოლირებულად, არამედ მათ ურთიერთმიმართებაში ერთგვაროვან, სემანტიკურად ახლო მდგომ ცნებათა წრეში. ენობრივი ფაქტების კვლევის ამ მეთოდის გამოყენების მეშვეობით ენის მთელი ლექსიკა წარმოგვიდგება გარკვეული სტრუქტურის სახით, რომელიც ერთ-ერთი მკვლევარის მოსწრებელი შედარებით ფუტკრის სკაში განლაგებულ ფიჭის უჯრედებს წააგავს. (6, 37).



არამონათესავე ენების შეპირისპირების საჭიროება დღეს საყოველთაოდ აღიარებულია. ამდენად ფერის გამოხატვის საშუალებათა შედარება-შეპირისპირებით კვლევით შესაძლებელი გახდება მთელი რიგი ტიპოლოგიური კანონზომიერებების დადგენა და ამ ენების მატარებელი კოლექტივის წევრთა მსოფლხედვის თავისებურებებში ჩაწვდომა.

გარდა ამისა, სიტყვათა სემანტიკის განსაზღვრისათვის დასადგენია ურთიერთმიმართებები თვით მნიშვნელობებს შორის ერთიანი სისტემის ფარგლებში. ეს კი გულისხმობს ღირებულების ცნებას, რომლის გააზრებაც შესაძლებელია მხოლოდ სხვა ენის ღირებულებათა სისტემასთან შედარებით. ამდენად, შედარება ამ შემთხვევაში იქნება არა კონკრეტული ენის მასალის ილუსტრაციის საშუალება, არამედ ერთი ენის სემანტიკური სტრუქტურის ცხადყოფის ხერხი მეორე ენის საშუალებით. ამიტომაც ენათა შედარება აუცილებლობას იძენს ზოგადლინგვისტური პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისითაც.

ფერები ორ ჯგუფად იყოფა - ქრომატულ და აქრომატულ ფერებად. აქრომატულ ფერებს განეკუთვნებიან: თეთრი, შავი და რუხი. დანარჩენი ფერები ქრომატულ ფერებს მიეკუთვნება. მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ქართული და გერმანული ენები ძირეული სიტყვებით - ლექსიკური კონსტანტებით გამოხატავენ შემდეგ სპექტრალურ ფერებს: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი. შესაბამისად გერმანულ ენაში აქრომატული ფერებია schwarz, grau, weiß, სპექტრალური rot, gelb, grün, blau, orange, violett. გერმანულ ენას არ გააჩნია ლურჯი და ცისფერი ფერების ნიუანსების განმასხვავებელი ძირეული სიტყვები. ამას იგი აღწერით გზით ან კომპოზიტების მეშვეობით გადმოგვცემს: hellblau, dunkelblau და სხვ. რაც შეეხება ნაირგვარი შეფერილობის (ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს რიცხვი 1300-ს უახლოვდება) გადმოცემის ენობრივ საშუალებებს, აქ გამოვლინდა როგორც საერთო, რომელიც ამ ორ ენას ახასიათებს, ისე სპეციფიკური, რაც ნაციონალურ თავისებურებას წარმოადგენს ფერთა აღქმაში.

ორივე ენაში ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ის ჯგუფი, სადაც ფერი უკავშირდება რეალური სამყაროს, საგნის ან მოვლენის ფერს. ქართულ ენაში ამ მიმართებით აღინიშნება მცენარეების, ცხოველების, ფრინველების, მეტალების, კვების პროდუქტების, სასმელების და სხვ. საგნების დამახასიათებელი ფერები.

1. მცენარეები: იასამნისფერი, ვარდისფერი, იისფერი, მიხაკისფერი, მაცვლისფერი, თამბაქოსფერი, ჟოლოსფერი, ბალახისფერი, შინდისფერი, ხორბლისფერი, ბროწეულისფერი, ჭარხლისფერი, სტაფილოსფერი, ალუბლისფერი...

2. ცხოველები: თაგვისფერი, მგლისფერი, კურდღლისფერი, ხვლიკისფერი, სპილოსძვლისფერი...

3. ფრინველები: მტრედისფერი, იადონისფერი, ყორნისფერი, ხობხისფერი...

4. ძვირფასი ქვები, მეტალები, მინერალები: ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ლალისფერი, ვირუზისფერი, გიშრისფერი, ზურმუხტისფერი, მარჯნისფერი, მოწისფერი, რკინისფერი, ბრინჯაოსფერი, ქვიშისფერი, ფიქალისფერი, მიწისფერი...

5. კვების პროდუქტები, სასმელები: თაფლისფერი, შაქრისფერი, შოკოლადისფერი, კაკაოსფერი, რძისფერი, ჩაისფერი, ღვინისფერი, ყავისფერი...

6. სხვადასხვა საგნებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ფერები: ლაჟვარდისფერი, ცეცხლისფერი, თოვლისფერი, სისხლისფერი, ნაცრისფერი, ზღვისფერი, ბოთლისფერი... ამგვარი ფერის აღმნიშვნელი სიტყვები წარმოების მიხედვით კომპოზიტური ხასიათისა არიან, თუმცა შეიძლება ეს კომპოზიტები „ფერის გარეშე შეგვხვდეს, მაგრამ ისინი მაინც ფერის აღმნიშვნელები არიან. „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“, „მარჯნის ტუჩები“, „გიშრის თვალები“, „ლაჟვარდი ცა“ და სხვ. ზოგჯერ ისინი ფერის აღმნიშვნელ ძირეულ სიტყვებთანაც იხმარებიან ამ ფერის ნიუანსის გაძლიერების მიზნით.

ენახოთ ერთი ნაწყვეტი მხატვრული ნაწარმოებიდან, რომელშიც ფერთა სიუხვე ამალღებულ ემოციურ განწყობას ქმნის: „ნაპრალის ყავისფერსა და სველ გვერდებზე მწვანე და შავი ვარსკვლავისებური გვიმრანაირები გადაშლილიყო. ნიავი აფრიალებდა მოწითალო მარღვებიან მწვანე ფოთლებს. იქვე მახლობლად წითელ მითოლიას გველის სურო და მარჯანზე უფრო წითელი, სისხლისფერი ინდური წიწაკა იზრდებოდა... ცეცხლისფერფრთიანი კარდინალები ბუჩქებიდან მოძვრებოდნენ, ზურმუხტვით მწვანე თუთიყუშები ლატანიერებიდან ძირს მოფრინავდნენ...“ (ბ. დე სენ-პიერი, პოლი და ვირჟინი, თარგ. იროდიონ ქაჭვარაძისა, თბ. 1987, გვ. 343).

თანამედროვე ქართულ ენაში ფორმისა და წარმოების მიხედვით ფერის აღმნიშვნელი სიტყვების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. ესენია: 1. მარტივფუძიანი ზედსართავები: წითელი, თეთრი, ყვითელი, რუხი, რომელთათვისაც ფერის მნიშვნელობა ერთადერთია ან მთავარია.

2. წარმოქმნილფუძიანები: ა) ოდენსუფიქსური წარმოებისა: წითური, ლაჟვარდოვანი, მეწამული, ზურმუხტოვანი და სხვ. ბ) პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისა: მოწითალო, მოსპილენძისფერო, მოთეთრო, მოყვითალო... ეს ე.წ. ოდნაობის გამომხატველი ზედსართავებია.

3. რთულფუძიანი ზედსართავები: ა) კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ არსებით სახელს სრული დაბოლოებით, მეორე კი არის სიტყვა ფერი:

ალისფერი, შინდისფერი, ატმისფერი და სხვ. ბ) ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: ქათქათა, ღაჟღაჟა, ჭახჭახა და სხვ. გ) ტოლადმერწყმული ფუძეების მქონე კომპოზიტები: შავ-თეთრი, თეთრ-ყირმიზი, შავ-ყვითელი, წითელ-ყვითელი, რაც არა მხოლოდ ფერების ნარევს, არამედ საერთოდ ჭრელს, აჭრელებულს გამოხატავს. ქართულში გავრცელებულია აგრეთვე რთული სიტყვები, რომლის პირველ კომპონენტს ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი სიტყვა წარმოადგენს: მოვარდისფრო-წითელი, მოცისფრო-ლურჯი, მოყავისფრო-მოწითალო, თუმცა ამ ტიპის წარმოებანი ნაკლებად იშვიათია მეტყველებაში.

4. ორსიტყვიანი ზედსართავები: მუქი ლურჯი, ღია წითელი, ბაცი ლურჯი, ხასხასა მწვანე, ქათქათა თეთრი, ჭახჭახა წითელი. ხშირად ორსიტყვიან ზედსართავებს ემატება სიტყვა ფერი და ისინი ამრიგად კომპოზიტად იქცევიან: სპილოს ძვლისფერი, კვერცხის გულისფერი, ზღვის ტალღისფერი და სხვ.

რა ვითარებაა გერმანულ ენაში ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკური ველების და სტრუქტურული ჯგუფების მიხედვით?

რეალური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების სფეროსთან დაკავშირებულ ფერთა სემანტიკური ჯგუფები თითქოსდა თანხვედრილია ქართულ ენაში ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა სემანტიკურ მიკროველში დაჯგუფების პრინციპებთან, თუმცა ზოგიერთ მომენტში მათ შორის მკვეთრი განსხვავებაც შეიმჩნევა.

გერმანულ ენაში რეალური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების სფეროსთან დაკავშირებული ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ჯგუფები შემდგენიარად კლასიფიცირდება:

(საილუსტრაციო მაგალითები გარდა ჩვენს მიერ მოძიებული სალექსიკონო მასალისა, მოტანილი ვეაქვს Els Oksaar-ის სტატიიდან „Über die Farbenbezeichnungen im Deutsch der Gegenwart“ (7. 212).

1. ცხოველები, ფრინველები, თევზები: bibelbraun, braunbärenbraun, Elefantengrau, flamingorosa, fuchsrot, kamelhaar, mausgrau, rabenschwarz, taubenblau, lachsrosa...
2. მცენარეები: agave, arvengrün, azaleenrot, blütenweiß, flieder, grasgrün, lilienrot, lindgrün, maisgelb, teerote, veilchenblau, waldgrün, weizengelb...
3. ხილი, კენკრა, ნაყოფი: apfelgrün, aprikose, bananengelb, brombeerrot, kirschrot, mandelgrün, orangerot, paprikarot, pflaumenblau, tomatenrot, zitronengelb...
4. ძვირფასი ქვები, მეტალები, მინერალები: amethislila, antrazitgrau, asphaltgrau, kohlschwarz, kohlenrot, opalblau, perlgrau, rubinrot, schiefergrau, steingrau, topas, türkisblau, ziegelrot, bronzebraun, goldbraun, goldgelb, kupferrot...
5. წელიწადის დრონი, დღის მონაკვეთები: Herbstgrün, maigrün, mitternachtblau, nachtblau...
6. ციური სხეულები, ცეცხლი, ყინული, თოვლი: azurblau, eisblau, feuerrot, himmelblau, horizontblau, mondweiß, schlohweiß, schneeweiß, sonnengelb, wolkengrau.

7. ცალკე შევჩერდებით ფერის გამომხატველ სიტყვების იმ განსაკუთრებულ სპეციფიკურ ჯგუფზე, რომელსაც ანალოგი ვერ დავუძებნეთ ვერც ქართულსა და ასევე ვერც ერთ ჩვენთვის მისაწვდომი ენების ფერთა ლექსიკაში. ეს არის ფერის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებსაც საფუძვლად დასდებია.

1. ადამიანის საქმიანობა;
2. გამოჩენილ პიროვნებათა საკუთარი სახელები და მათი სამოსის ფერი;
3. გეოგრაფიული სახელები - ქვეყნების, მდინარეების სახელწოდებები;
4. ხალხების, რასების სახელები და სხვ.

admiralblau, babyblau, bischofsblau, dresdenblau, jagdgrün, kalifrot, kardinalrot, königsblau, negerbraun, Nilgrün, persiablau, russichgrün, saharasand, tizianrot...

გარემო სინამდვილის რა რეალიებია ჩადებული ფერთა, ამ, ერთი შეხედვით, უჩვეულო დასახელებებში? babyblau=blau wie das blau für Babykleidung. bischofslila=lila wie die Amtskleidung der bischöfe. tizianrot=wie auf Gemälden Tizians.

ზოგჯერ საგანთა და ფერთა შედარება უფრო შორს მიდის და ძნელია საწყისი მომენტის განსაზღვრა. მაგ: grüngift, jagdgrün, fliegerblau აქ შინაფორმა გამჭვირვალეა = Ffliegeruniformblau - ფერი მფრინავის ფორმის; მაგრამ jagdgrün არ ნიშნავს მწვანე ნადირობას; ასევე განმარტებული Königsblau; ეს ფერი შემოვიდა და დამკვიდრდა შემდგომ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეოთხემეტეს ჩაცმულობის ფერის აღსანიშნავად (7, 213-214).

ზემომოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა უმრავლესობა კომპოზიტიური ხასიათისაა, ისინი იწარმოებიან ძირეული ფერის აღმნიშვნელი სიტყვებით rot, grün, ყველაზე მცირე რიცხვი მოდის weiß და schwarz სიტყვებზე. ეს ე.წ. „უფერული ფერები“ სავსებით განსაზღვრულ სიდიდეებად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათთან - lich სუფიქსიანი წარმოებანი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ აბსტრაქტულ ფერის აღმნიშვნელ სიტყვებთან.

კომპოზიტთა სტრუქტურა ასეთია:

1. არსებითი სახელი + ფერის აღმნიშვნელი სიტყვა.

ა) ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ძირეული სიტყვა: ziegelrot, horizontrot, himmelblau, maisgelb,

ბ) ფერის აღმნიშვნელი სიტყვა შერეული ფერის გამომხატველი სიტყვა: kaffeebraun, mandelrosa.

გ) ფერის აღმნიშვნელი სიტყვა გარკვეულ საგნებთანაა დაკავშირებული: teeb blond, semmel blond, goldfalb.

2. ზედსართავი სახელი + ფერის აღმნიშვნელი სიტყვა.

ა) ზედსართავი სახელი ნაწარმოებია გეოგრაფიული ადგილისა, ან ქვეყნის სახელწოდებიდან: russischgrün, dresdenblau, Adriablau.

ბ) ზედსართავი სახელი ახდენს ფერის მოდიფიკაციას: zartgrün, hellblond, rosigweiß.

3. არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი + ფერის აღმნიშვნელი სიტყვა: patinahellgrün.

4. ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი + ფერის აღმნიშვნელი სიტყვა: dunkelhimmelblau

5. ფერის აღმნიშვნელი + ფერის აღმნიშვნელი სიტყვა: gelbgrün, blaurot, blaurotweiß.

6. სიტყვები, რომლებიც მნიშვნელობის ცვლილების შედეგად ფერის აღმნიშვნელებად იქცნენ: Eierschale, Bernstein gold.

7. lich - სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები: hellblaulich, gelblichgrün.

8. კომპოზიტები, რომელთა კომპონენტია სიტყვები: farben, farbig, tabakfarben, olivfarbig.

როგორც ქართულსა, ასევე გერმანულ ენაში გამოიყოფა ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი, რომელშიც შედიან ე.წ. Gegenstandsgebundene Wörter – რაც სიტყვა-სიტყვით „საგანთან მიბმულ“ სიტყვებს ნიშნავს. ეს ფერთა აღმნიშვნელი ის სიტყვებია, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ საგნისა და მოვლენისთვის არის დამახასიათებელი. ქართულ ენაში ასეთი სიტყვებია ლურჯა, ქურანი, ზერდაგი, წითელა, ქერა, შავგვრემანი, წითური, მურა, ჭაღარა და სხვ.

აქედან პირველი ოთხი ცხენის ფერის აღმნიშვნელი სახელებია:

„ლურჯა“ - მოლურჯო რუხი ფერის ცხენი, „ქურანი“ - წაბლისფერი ცხენი, „ზერდაგი“ - ჩალისფერი, მოყვითალო ცხენი, „წითელა“ - წითელი ფერის ცხენი, გვხვდება აგრეთვე სიტყვა „თეთრონი“, რომელიც ხალხურ პროზაში თეთრი რაშის აღმნიშვნელია (1. 34).

ადამიანის სახისა და თმა-ბალანის ფერზე მიუთითებენ სიტყვები: „წითური“ - დაჟღაჟა სახიანი, „შავგვრემანი“ - მოშავო სახის მქონე ადამიანი, „სვილისფერი“ - მკრთალი, გაფითრებული სახის მქონე. მხოლოდ ადამიანის თმის ფერის დამახასიათებელია სიტყვები „ქერა“, „ჭაღარა“ და „თავთუხისფერი“.

გერმანულ ენაში მხოლოდ გარკვეულ საგნებთან დაკავშირებული ფერის აღმნიშვნელ სიტყვათა რაოდენობა უფრო მცირეა. ეს სიტყვებია:

blond – gewöhnlich von der Haarfarbe.

Brünett – ist an die haar und hauptfarbe des Menschen gebunden und bedeutet dunkelhaarig und dunkelhautig.

Falb – kennzeichnet als graugelb, besonders die Füllfarbe von Pferden.

Azur – enthält zwei Bedeutungen: 1. Die blaue Farbe des Himmels das Himmelblau. 2. Der blaue Himmel (7, 210).

განალიზებული მასალა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ გერმანულ ენას გააჩნია ფერთა აღმნიშვნელ სიტყვათა საკმაოდ რთული სისტემა, და რომ მასში უფრო დიფერენცირებულად გადმოიციმა ფერთა ნიუანსები, მაგრამ ამავე დროს ქართული ენის ლექსიკაც საკმაოდ ნაირფეროვანი და სპეციფიკურია. ქართული ენის გამომხატველი მთელი რიგი საშუალებანი გერმანული ენის საშუალებებთან თანხვედრილი არ არის.

ლიტერატურა:

1. კვარაცხელია გ., ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ვაჟა-ფშაველას ლექსიკაში, თანამედროვე და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ. IV, თბ. 1974;

2. მირიანაშვილი ნ., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ქართულსა და რუსულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბ. 1983;
3. რამიშვილი გ., ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბ. 1978.
4. Фрумкина Р.М, Цвет, Смысл Сходство, М. «Наука», 1984;
5. Ludvig K.D, Die Farbe in lexikographischer Sicht, Deutsch als Fremdsprache, 4/1969.
6. Minina N, Semantische Felder, M. 1973.
7. Oksaar E, Über die Farbenbezeichnungen im Deutsch der Gegenwart, „Muttersprache“, Heft 7-8, 1961.

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია ფერის აღმნიშვნელი ლექსიკის გამოვლენა ქართულსა და გერმანულ ენებში. მოცემულია ცდა ფერთან დაკავშირებული სიტყვების დაჯგუფებისა ცალკეულ თემატურ ჯგუფებში მათი საერთო სემანტიკური ნიშნადობის მიხედვით.

ნაშრომში დადგენილია სხვადასხვა ფერის ნიუანსების გამომხატველ სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები ორივე ენაში, მიღებულია დასკვნა, რომ გერმანულ ენას გააჩნია ფერთა აღმნიშვნელ სიტყვათა საკმაოდ რთული სისტემა. მასში უფრო დიფერენცირებულია ფერთა ნიუანსების გამა, მაგრამ ქართული ენის ფერთა ლექსიკაც საკმაოდ ნაირფეროვანი და სპეციფიკურია.

მასში ფერის გამომხატველი მთელი რიგი საშუალებანი გერმანულ ენასთან თანმხვედრილი არ არის.

LEXICO-SEMANTIC FIELD OF COLOUR IN THE GEORGIAN AND GERMAN LANGUAGES

Nino Okropiridze, Full Professor

SUMMARY

The aim of the work is to compare some lexical phenomena of the names of colours in the Georgian and German Languages.

The work shows the different lexico-semantic groups of words that express various colour nuances. These words belong to the different groups of things of actual reality: 1. Animals and birds. 2. Plants, berries and flowers. 3. Precious stones. 4. Geographical names. 5. Personal names. 6. Heavenly bodies and others.

The conclusion of the work is that the German language has a more complex range of colour symbols than the Georgian language; nonetheless, the vocabulary of colour of the Georgian language is diverse and elastic as well.

მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ და მისი ქართული თარგმანი

ელენე ხოჯევანიშვილი, სრული პროფესორი

„ოსტატი და მარგარიტა“ ბულგაკოვის საუკეთესო ნაწარმოებია. მასში განხილულ კაცობრიობის ბედთან დაკავშირებულ საკითხთა აქტუალურობიდან გამომდინარე, იგი სცილდება ერთი რომანის ფარგლებს და მწერლის მთელი შემოქმედების შემაჯამებელია. სიცოცხლის ბოლოს დაწერილ ამ რომანს მაღალ შეფასებას აძლევდა თავად ავტორი: „ოსტატის შემდეგ რაღა უნდა დამეწერა?!“ – უთქვამს მას.

ცნობილი ქართველი კლასიკოსი, გურამ დოჩანაშვილი წერს, რომ „მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადი სიბრძნეები და გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიაწოდოს მკითხველს“.

„ოსტატსა და მარგარიტას“ განსაკუთრებულ ხიბლს სწორედ სიუჟეტში მოხერხებულად ჩართული ბიბლიური პასაჟები და პერსონაჟები სძენს, რომელთა მიღმა მკითხველის მიერ დანახული

უადრესად მრავლისმეტყველი რელიგიური კოდები უამრავ კითხვას ჰზადებს და ღრმად ჩააფიქრებს ადამიანებს.

რომანი ქართულად ორჯერ ითარგმნა. პირველად 1969 წელს გივი კვიციანიშვილის, ხოლო შემდეგ მზია გელაშვილის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ეს თარგმანები მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის და საერთოდ, მთარგმნელობითი სკოლის მნიშვნელოვანი შენამენია, რადგან ქართულ ლიტერატურას და ქართულ თეატრალურ სცენას (ცნობილია, რომ საქართველოში რამდენჯერმე განხორციელდა ამ რომანის ინსცენირება: დაიდგა მარჯანიშვილის და გრიბოედოვის სახელობის თეატრებში, შეიქმნა სატელევიზიო სპექტაკლი). მათი სახით შეემატა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, უადრესად საინტერესო როგორც იდეურ-მინაარსობრივი, ასევე მხატვრული თვალსაზრისითაც.

ჩვენთვის მიუღებელია ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შემოქმედებითი ენერჯის რაციონალურად გამოყენების მიზნით, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის გაუმართლებელია ერთი და იმავე ნაწარმოების რამდენჯერმე თარგმნა. ჩვენი აზრით, უკვე ნათარგმნის ხელმეორედ თარგმნა მთარგმნელობითი პროცესის განვითარებას უწყობს ხელს და ყოველი კარგად შესრულებული თარგმანი ახალი დიალოგია კულტურათა შორის.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მხატვრული ნაწარმოების ერთი ენობრივი სამყაროდან მეორეში გადასვლა, მისი დეკონსტრუქცია, ურთულესი შემოქმედებითი პროცესია. „თარგმანება ენათა საღვთო უნარია“.³¹ ჩვენ შევეცადეთ, გაგვეკვია, რამდენად სრულყოფილად მოხერხდა ბულგაკოვის აღნიშნული ნაწარმოების თარგმნა, თარგმანის მეთოდთა მოდიფიცირება, ორიგინალში გამოყენებულ პოეტურ საშუალებებთან მიახლოება და დედნის ასახვა თარგმანში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბულგაკოვს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ენისადმი, რაც ნათლად იგრძნობა ერთის მხრივ საკუთარი მეტყველებით გამორჩეული პერსონაჟების ხატვისას, მეორეს მხრივ კი რომანში უცხო ენების განსაკუთრებული სტილისტური დატვირთვით გამოყენებაში. კერძოდ, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, სხვადასხვა პერსონაჟები უცხო ენებს – არამეულს, ლათინურსა და ბერძნულს იყენებენ. ენათა ასეთი განაწილება დროისა და ადგილისთვის დამახასიათებელ დამაჯერებელ კოლორიტულ სურათს ქმნის.³²

რომანში გარკვეული სტილისტური დატვირთვა აქვს ბიბლიასთან მიმართებით საკუთარ სახელთა არატრადიციული ფორმების გამოყენებებსაც.³³ ბულგაკოვი რომ იესოს ნაცვლად იეშუას ირჩევს, ამით ჩვენს წინაშე წარმოდგება არა ლეგენდარული ქრისტე, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის სახელიც ჯერ სიმბოლოდ არ ქცეულა.³⁴

მწერლის განსაკუთრებული მიმართება ენისადმი გამოსჭვივის ასევე ვოლანდის მეტყველებაში, რომელიც სხვადასხვა აქცენტით მეტყველებს, ხან კარგად, ხან უარესად. ამ შემთხვევაში მწერალი ყურადღებას მიაპყრობს მეტყველებას, როგორც ასეთს, და არა შინაარსს, რაც ერჟი ფარინოს აზრით, შემდეგ ეფექტს იძლევა: „Во первых, он задерживает внимание слушателя на самой речи, отвлекает от содержания, делает ее менее прозрачной для содержания. Во вторых, на первый план он выдвигает конкретную этническую языковую систему..... с акцентом нельзя „говорить вообще“.“³⁵

ნაწარმოებში სწორედ ენას ენიჭება გადამწყვეტი როლი სატირული სცენების შექმნაშიც, როცა მწერალი კილავს საზოგადოებრივ შეუსაბამობებს. მაგ: ვოლანდს ჯაშუშად სწორედ მისი ენობრივი ქცევის გამო მიიჩნევენ, ექიმ სტრავინსკის კი პილატეს იმ მიზეზით ამსგავსებენ, რომ „ლათინურადაც პილატესავით ლაპარაკობს“.

მისტიფიკაციის შთაბეჭდილებასაც, რაც „ოსტატი და მარგარიტას“ ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშანთაგანია,³⁶ ასევე ვოლანდის მიერ რუსული ენის ფლობის ხარისხის სწრაფი ცვლა აძლიერებს. ბულგაკოვისათვის გმირის ხასიათის, შინაგანი ბუნების გამოსავლენად უმნიშვნელოვანესია

³¹ I კორინთ. 12, 10.

³² Эльбаум, Генрих, Анализ иудейских глав „Мастер и Маргариты“ М. Булгакова, 1981, გვ. 10.

³³ იოაკიმ ენვალი, ბულგაკოვის ენები, ანუ უცხო ენები მ. ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტაში“. „საუნჯე“, 1988, №3. გვ. 299-304.

³⁴ Альтшулер, А. М., Булгаков –прозаик, „Литературная газета“, 7. II, 1968

³⁵ ერჟი ფარინო, Язык в языке (Несколько наблюдении над полиглотизмом в „Мастере и Маргарите“) Wiener Slawistischer Almanach, Band, 14, 1984.

³⁶ Wright, A. Colin, Mikhail Bulgakov, Life and Interpretations, 1978.

პერსონაჟთა მეტყველება, მისი ენობრივი პორტრეტის შექმნა და ამისათვის მწერალი უხვად იყენებს ენობრივ საშუალებებს. ყოველივე ამის ფონზე, განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ ხერხდება ორიგინალის კოლორიტის შენარჩუნება და მისი ტრანსფორმირება ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანში.

ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიხმობთ: როგორც აღვნიშნეთ, საუბრის მანერით „ოსტატსა და მარგარიტას“ განსაკუთრებულად ვოლანდი გამოირჩევა. მისი ხან უაქცენტო, ხან კი აქცენტისანი, მაგრამ გამართული მეტყველება, მოულოდნელად დამახინჯებული ფრაზით იცვლება: „He понимай... русский говорить.“³⁷ მთარგმნელზე ბევრად იყო დამოკიდებული, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალზე როგორ გაამახვილებდა ყურადღებას, მისი დაკარგვა გააუფერულებდა მისტიფიკაციის შთაბეჭდილებას, რის შექმნაშიც სწორედ ვოლანდის მეტყველება ასრულებს გარკვეულ როლს. უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელმა ისე კარგად აუღო ალლო ავტორის ჩანაფიქრს და ქართულ თარგმანში ისე ბუნებრივად და მოხდენილად შეურჩია აღნიშნულ ფრაზას შესატყვისი - „მე რუსული არ ლაპარაკობს...“³⁸ რომ ორიგინალზე არანაკლებ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნაწარმოებს ერთგვარ რეფრენად სდევს პილატეს მოსასხამის აღმწერი ფრაზა, რომელიც განსაკუთრებულ ექსპრესიას სძენს თხრობას და მკითხველზე წარუშლელ ემოციურ ზეგავლენას ახდენს: „Белый плащ с кровавым подбоем“ („М. и М“., 24) და Траурный плащ, подбитый огненной материей („М. и М“., 201). ვფიქრობთ, რომ ადეკვატური ექსპრესიის შემცველი სიტყვებით ამ „აქსესუარის“ თარგმნა მეტად მნიშვნელოვანია ავტორისეული განწყობილების სწორად გამოხატვისა და შენარჩუნებისათვის და ეს ქართულ თარგმანში შესანიშნავად იქნა გადმოტანილი: „მეწამულსარჩულიანი თეთრი მოსასხამი“ („ო. და მ“., 19) და „ცეცხლისფერსარჩულიანი შავი მოსასხამი“ („ო. და მ“., 235) საინტერესოა, რომ ამ ნაწარმოების მეორე მთარგმნელს – მ. გელაშვილს, არანაკლებ შთამბეჭდავად აქვს ნათარგმნი იგივე ფრაზა - „სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამი“.

(მიხეილ ბულგაკოვი, „ოსტატი და მარგარიტა“, თბ., 2011, გვ. 18. თარგმანი მზია გელაშვილისა).

დედნის და თარგმანის შედარება და ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მთარგმნელი კარგად იყენებს ქართული ენობრივი სამყაროს შესაძლებლობებს და სხვადასხვა მხატვრული ხერხის მოხდენილად გამოყენებით აღწევს ორიგინალში არსებული სამყაროს, რეალების, ავტორისეული ღირებულებების შთამბეჭდავად გადმოცემას. თქმულის ნათელსაყოფად კვლავ მაგალითებს მოვიხმობთ:

На все сто! подтвердил тот, любя выражаться вычурно и фигурально. („М. и М“., 17). მთელი სულით და გულით! – უპასუხა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის მოყვარულმა ბეზდომნიმ („ო. და მ“., 11). Он начисто разрушил все пять доказательств („М. и М“., 18). მან ძირფესვიანად გაანადგურა ხუთივე საბუთი („ო. და მ“., 12). Берлиоз с великим вниманием слушал неприятный рассказ („М. и М“., 19). ბერლიოზი უადრესი გულისყურით უსმენდა ლაპარაკს ... („ო. და მ“., 14). Какая-то нелепая постановка вопроса („М. и М“., 20). რას ჩმახავს? („ო. და მ“., 15). Не обиделся и првесело рассмеялся („М. и М“., 21). არ სწყენია და გულიანად, მხიარულად გაიცინა („ო. და მ“., 16). Нехороший день („М. и М“., 24). უგვანი დღე („ო. და მ“., 19). Нет некоего спасения („М. и М“., 24). უსაშველოა („ო. და მ“., 20). Я один в мире („М. и М“., 27). უთვისტომო ვარ („ო. და მ“., 23). Теперь ни вдоха, ни шороха не доносилось до его ушей („М. и М“., 44). ახლა ჩამიჩუმდი აღარსად ისმოდა („ო. და მ“., 44). Город умер („М. и М“., 44). ქალაქი აღიფხვრა („ო. და მ“., 44). Но промахнулся и ровно ничего не поймал („М. и М“., 53). მაგრამ ვერ მოიხელთა და ხახამშრალი დარჩა („ო. და მ“., 55). Вот пример настоящей удачливости („М. и М“., 76). აი, ქუდბედიანობის ნამდვილი ნიმუში („ო. და მ“., 82). Нехорошая квартира („М. и М“., 77). ნავსი ბინა („ო. და მ“., 84). Красноватый отблеск („М. и М“., 121). მოწითალო ათინათი („ო. და მ“., 137). Задыхаясь, побежал („М. и М“., 157). გულამოვარდნილმა გადაირბინა („ო. და მ“., 182). Вскричал он огорченно („М. и М“., 167). შესძახა გულნატკენმა („ო. და მ“., 193). Уже было ночь („М. и М“., 211). უკვე ღამე ჩამოწოლილიყო („ო. და მ“., 249). Тревожные мысли начали мучить его („М. и М“., 19). გონებას საგანგაშო აზრები უღრღნიდა („ო. და მ“., 14). Тут литераторы подумали разное („М. и М“., 21). ლიტერატორებს თავში სულ სხვადასხვა აზრმა გაურბინა („ო. და მ“., 15) Оба больные глаза тяжело глядели на арестанта („М. и М“., 27). ორივე მტკივანი თვალი დუნედ უმზერდა პატიმარს („ო. და მ“., 23). Фальшиво – ласково говорил Берлиоз („М. и М“., 49). ცალყბად დაუყვავა ბერლიოზმა („ო. და მ“., 50). Был красен („М. и М“.,

³⁷ Михаил Булгаков, „Мастер и Маргарита“, М. 1988, стр. 52. (ქვემოთ ყველგან მითითებული იქნება ეს გამოცემა, შემოკლებით: „М. и М“).

³⁸ მიხეილ ბულგაკოვი, „ოსტატი და მარგარიტა“, თბ., 1992, გვ. 54. (თარგმანი გ. კვიციანიშვილისა. ქვემოთ ყველგან მითითებული იქნება ეს გამოცემა, შემოკლებით: „ო. და მ“).

71). სახე **კამოკარხლებოდა** („ო. და მ“, 77). Прокрался мимо него на цыпочках. („М. и М“, 157). **ფეხაკრეფით** ჩაუარა გვერდზე. („ო. და მ“, 182).

თარგმანში გამოყენებული აღნიშნული სიტყვები თუ სიტყვათა ჯგუფები განსაკუთრებული ფსიქოლოგიურ–ფილოსოფიური კოდების მატარებელი არიან. მათი სათანადოდ გამოყენება კონტექსტში მნიშვნელოვნად აძლიერებენ გრძნობით ტონს და შესაბამისად დიდ ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე.

კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის თარგმანს განსაკუთრებული გემოვნებით შერჩეულ ფრაზეოლოგიზმთა უხვი გამოყენება. ისინი ხშირად გვხვდება იქ. ა) სადაც დედანშიც იდიომატური გამოთქმა: Так как она **висит на волоске** („М. и М“, 31). რადგან შენი **სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია** („ო. და მ“, 28). Глаза его **подёрнулись** сумрачной **дымкой** („М. и М“, 93) **თვალეში მიენისლა**. („ო. და მ“, 103). Перед глазами у него **плавали** какие-то **пятна** („М. и М“, 103) **თვალეში** მუქი ლაქები **ებლანდებოდა** („ო. და მ“, 115). Почувствовал **холод под ложечкой** („М. и М“, 52). **გულის კოვზთან** სიცივე იგრძნო („ო. და მ“, 54). Пилат **усмехнулся** **одною щекой** („М. и М“, 24). პილატემ **ცალკბად გაიგინა** („ო. და მ“, 24). Что **ты** слишком **замкнут** („М. и М“, 30). რომ ძალზე **გულჩახვეული** ხარ („ო. და მ“, 26). **Заходил за разум** („М. и М“, 150). **ტვინი ეღრძო** („ო. და მ“, 173). Римского окатило **ледяной волной** („М. и М“, 180). სიცივემ **ძვალსა და რბილში დაურბინა** („ო. და მ“, 180). Что он **отогрел на груди змею** („М. и М“, 71). **უბეში გველი მჯდომია** („ო. და მ“, 77). Последний **шум сдуло** с толпы („М. и М“, 44). **სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა** („ო. და მ“, 43). **Головную** Стёпину **кашу** трудно даже передать („М. и М“, 83). რა **დომხალი ტრიალებდა** სტიოპას **თავში**, ენით არ გამოითქმის („ო. და მ“, 91). **Проходил по стене мороз** („М. и М“, 150). **სისხლი ეყინებოდა** („ო. და მ“, 174). და ბ). ხშირად თარგმანში იდიომი თუ ფრაზეოლოგიზმი გვხვდება მაშინაც, როცა ის დედანში არ არის. მთარგმნელი ამ დროს გარკვეულ სიტყვებს იჩენს, მაგრამ ამავე დროს მოზომილი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ იმაში ვლინდება, რომ სრულად ინარჩუნებს ორიგინალის განწყობას და ინტონაციას, რითაც დიდ ინტერესს აღძრავს მკითხველში: Он стал жесток и черств („М. и М“, 32). გამძვინვარდა და **გული გაუქვავდა** („ო. და მ“, 29). Продолжал иноземец, не смущаясь изумлением Берлиоза и обращаясь к поэту („М. и М“, 18). განაგრძობდა უცხოელი, პოეტს შესცქეროდა და ბერლიოზის გაოცებას **აინუნშიც არ აგდებდა** („ო. და მ“, 13). Поэт говорил и косился, следя, чтобы неизвестный не удрал („М. и М“, 22). პოეტი თან ჩურჩულებდა, თან ცალი **თვალი** უცხოელისკენ **ეჭირა**, არ გაიპაროს („ო. და მ“, 17). И пришлось оставаться ужинать („М. и М“, 63). მეტი **რალა ჩარა ჰქონდათ** („ო. და მ“, 67). То есть кому хотите сказать („М. и М“, 83). **ენა ვის მოუბრუნდება** („ო. და მ“, 91). Вот пример настоящей удачливости („М. и М“, 76) აი, **ქუდბედიანობის** ნამდვილი ნიმუში („ო. და მ“, 82).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თარგმანში ვხვდებით დიალექტიზმებსა და არქაულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც კარგად არის მისადაგებული დედანში გამოყენებულ შესაბამის ფორმებთან: თავზე დაფხრეწილი ყვითელი **კოთხო** - **ქუდი** ეხურა. („ო. და მ“, 134) (კოთხო - კუთხ. გურ. ჩანახის მსგავსი ხის ჭურჭელი. ქ.ე.გ.ლ. ტ. IV, თბ., 1955, 1260). თავზე **არახჩინი** ეხურა („ო. და მ“, 83) (არახჩინი – თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი. ქ.ე.გ.ლ. ტ. IX, თბ., 1950, 552)... გაიფიქრა და ხელი **წირთხლს** ჩასჭიდა („ო. და მ.,” 93) (წირთხლი - კარის ან ფანჯრის ჩარჩოს ერთი გვერდი. ქ.ე.გ.ლ. ტ. VIII, თბ., 1964, 1138). ლითონის **კაწაპს** იშველიებდა („ო. და მ“, 147) (კაწაპი- „წულის ჩაცმისათვის საადვილო სასხლეტი“-სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, 362). მეზადის ფარდულში **ჩულზე** მიეგდო და ასე იწვა პარასკევ დილამდე („ო. და მ.,” 203) (ჩული - ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი – ბალზურა. ქ.ე.გ.ლ., ტ. VIII, თბ., 1964, 541). ეს სიტყვებიც, რა თქმა უნდა, ასევე გარკვეული სტილისტური ელფერის შექმნას ემსახურება.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, უკვე დასახელებულიც საკმარისია, მთარგმნელის სანაქებოდ, იმის სათქმელად, რომ მან ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობების ოსტატურად გამოყენებით მოახერხა ქართულ ენაზე „ოსტატი და მარგარიტას“ - ამ ურთულესი ლიტერატურულ–რელიგიურ, ფსიქოლოგიურ–ფილოსოფიური ნაწარმოების ამეტყველება, თანაც ისე, რომ ავტორისეული შეხედულებანი არანაკლებ დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ასახა.

ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ნაწარმოების განხილული თარგმანი კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ არსებობს ენის ესთეტიკური ფუნქციის ისეთი გამოვლენა, რომლის ადეკვატის შექმნა ქართულ ენაზე არ შეიძლებოდა.

ლიტერატურა:

1. ბულგაკოვი მიხეილ, „ოსტატი და მარგარიტა“, თბ., 1992. (თარგმანი გ. კიკილაშვილისა).
2. ენვალი იოაკიმ, ბულგაკოვის ენები, ანუ უცხო ენები მ. ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტაში“, „საუნჯე“, 1988, #3.
3. I კორინთ. 12, 10.
4. ონიანი ალექსანდრე, ქართული იდიომები, თბ., 1966.
5. სახოკია თედო, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
6. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991.
7. ფარინო ერჟი, Язык в языке (Несколько наблюдений над полиглотизмом в „Мастере и Маргарите“) Wiener Slawistischer Almanach, Band, 14, 1984.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I – VIII; თბ., 1950 – 1964.
9. Альтшулер, А. М., Булгаков –прозаик, „Литературная газета“, 7.II, 1968.
10. Булгаков Михаил, „Мастер и Маргарита“, М. 1988.
11. Эльбаум, Генрих, Анализ иудейских глав „Мастер и Маргариты“ М. Булгакова, 1981.
12. Wright, A. Colin, Mikhail Bulgakov, Life and Interpretations, 1978.

რეზიუმე

„ოსტატი და მარგარიტა“ ბულგაკოვის საუკეთესო ნაწარმოებია. მასში განხილულ კაცობრიობის ბედთან დაკავშირებულ საკითხთა აქტუალურობიდან გამომდინარე, იგი სცილდება ერთი რომანის ფარგლებს და მწერლის მთელი შემოქმედების შემაჯამებელია.

„ოსტატსა და მარგარიტას“ განსაკუთრებულ ხიზლს სძენს სიუჟეტში ჩართული პასაჟები და პერსონაჟები, რომელთა მიღმა დანახული მრავლისმეტყველი რელიგიური კოდები უამრავ კითხვას ჰბადებს და ღრმად ჩააფიქრებს ადამიანებს.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბულგაკოვს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ენისადმი, რაც ნათლად იგრძნობა, ერთის მხრივ საკუთარი მეტყველებით გამორჩეული პერსონაჟების ხატვისას, მეორეს მხრივ კი რომანში უცხო ენების განსაკუთრებული სტილისტური დატვირთვით გამოყენებაში. სწორედ ენისადმი მწერლის ორიგინალური მიმართების ფონზე განვიხილავთ, თუ როგორ ხერხდება დედნის კოლორიტის შენარჩუნება და მისი ტრანსფორმირება გივი კიკილაშვილის მიერ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანში.

სხვადასხვა ტიპის მაგალითთა შეჯერება გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მთარგმნელი კარგად იყენებს ქართული ენობრივი სამყაროს შესაძლებლობებს და სხვადასხვა მხატვრული ხერხის გამოყენებით აღწევს ორიგინალში არსებული სამყაროს რეალიების, ავტორისეული ღირებულებების შთამბეჭდავად გადმოცემს.

მთარგმნელის მიერ ოსტატურად გამოყენებული ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური კოდების მატარებელი სიტყვები, გემოვნებით შერჩეული ფრაზეოლოგიზმები, დიალექტური თუ არქაული ლექსიკა კარგადაა მისადაგებული ორიგინალში გამოყენებულ ფორმებთან და ავტორისეული შეხედულებანი არანაკლები დამაჯერებლობითაა ასახული.

ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ნაწარმოების განხილული თარგმანი კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ არსებობს ენის ესთეტიკური ფუნქციის გამოვლენა, რომლის ადეკვატის შექმნა ქართულ ენაზე არ შეიძლება.

**“THE MASTER AND MARGARITA” BY MIKHAIL BULGAKOV AND ITS GEORGIAN
TRANSLATION**

Elene Khojevanishvili, Full Professor

SUMMARY

“Master and Margaret” is the best creation of Bulgakov. It gains more significance than one novel concerning with its actuality of problems related to the faith of humanity and sums up the writer’s entire creation.

Biblical characters and episodes involving in the plot confer the novel its specific charm and expressive religious codes beneath them arise lots of questions and make human beings fall to thinking. It is worth paying attention to Bulgakov’s special attitude to the language which on the one hand lies in private speech while creating the characters and on the other hand in using of foreign languages with specific stylistic loading.

We tried to discuss how the colouring of the original text is preserved and transformed in the Georgian translation by Givi Kikilashvili on the bases of the facts mentioned above.

Comparing examples of different type with one another makes it clear that the translator perfectly uses the abilities of Georgian lingual world and with the help of stylistic devices successes to express the existing world in the original, realities and the author’s values adroitly and expressively.

Words carrying psychologic-philosophical codes, tastefully selected phraseologisms, dialectal or archaic lexicology are absolutely appropriate to the forms used in the original and the author’s opinions are convincingly expressed as well.

The translation of one of the most important literary creation of our time confirms once more that creating Georgian adequates to manifestation of aesthetic function of the language is available.

ლიტერატურა
Literature

**კავკასიის კულტურული სამყარო და ნიზამი განჯევის სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური
მოდელი**

თამარ გოგოლაძე, სრული პროფესორი

კავკასიის კულტურული გარემოცვა საუკუნეთა მანძილზე და, განსაკუთრებით XII საუკუნეში, საქართველოს გაძლიერება-აყვავების ეპოქაში, მეტად მრავალფეროვანია. იგი ამ სივრცეში დაბადებულ-მოღვაწე პოეტთა თუ შემოქმედთათვის, როგორც დასავლურ (ზიზანტია), ისე აღმოსავლურ (არაბეთი, ირანი, თურქეთი) კულტურებთან ურთიერთობაში ყალიბდება. საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ორი პროვინცია – შარვანი და არანი, რომლებიც წარმოადგენდნენ ირანული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან ცენტრებს, დავით აღმაშენებლის დროიდან ექცვიან ქართველთა პოლიტიკური გავლენის სფეროში.

სწორედ შარვანშაჰების კარზე ცხოვრობდა პოეტი ნიზამი განჯევი (1141-1209 წ.წ.). როგორც „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანის“ ავტორი გვამცნობს, „ნიზამი, რომელსაც მფარველობდა აღსართან II, ორჯერ ჩამოსულა საქართველოში. ერთ-ერთი საზეიმო დარბაზობის დროს გამართულა საჯარო ლიტერატურული შეჯიბრება, რომელზედაც საასპარეზოდ გამოსულან ქართველი და ირანელი პოეტები“. [1,6]. ირანული პოეზიის გამოჩენილი კლასიკოსთა – ფირდოუსის, ხაკანი, ნიზამის და სხვათა – ციტირებას არაიშვიათად მიმართავდნენ ქართულ ისტორიულ თუ მხატვრულ ტექსტებში. მეცნიერთა ვარაუდით, ჯერ კიდევ XII საუკუნეში უნდა ეთარგმნათ ქართულ ენაზე ნიზამის „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“. ამავდროულად ქართული კულტურის ტრადიციები, თავის მხრივ, კეთილ

ზემოქმედებას ახდენდა ირანულ პოეზიაზე. სპეციალისტების აზრით, ნიზამი, რომელიც, ეტყობა, ვლობდა ქართულ ენას, „ისკანდერ-ნამეს“ შექმნის დროს იყენებდაო ქართულ მასალებს.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ: „თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებსა და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსელთა სულიერ ერთობას ქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა.“ [2,306].

სწორედ განსხვავებული რელიგიურ აღმსარებლობასთან მეზობლობაში ჩამოყალიბდა ნიზამის უმშვენიერესი პოეზია, რომლის მთავარი ლაიტმოტივი, გმირობა-ფალავნობასთან ერთად, სიყვარულია.

ამ დროისათვის დასავლეთში სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელი ძირითადად კურტუაზული ხაზით ვითარდება. შუა საუკუნეებში სიყვარული ამამაღლებელი, ღირსების საქმეა და არაა აკრძალული. როგორც დენი დე რუჟმონი აღნიშნავს („სიყვარული და დასავლეთი“), კურტუაზული სიყვარული წარმოადგენს ხორციელი სიყვარულის იდეალიზაციას, ხოლო მას საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, ქალისადმი თავყვანისცემის ლირიკული გამოხატულება ტრუბადურთა პოეზიის სახით, მეორე მხრივ, ამ დროისათვის გავრცელებული ერეტიკული მიმართულება, რელიგიაში – კატარიზმი, რომლის ფესვები მცირე აზიის მანიქველთა და დალმაცია-ბულგარეთის ღვთისმოყვარულთა ეკლესიებში უნდა ვეძიოთ, რაც, თავის მხრივ, ირანის დუალიზმიდან უნდა მომდინარეობდესო [3,55].

აღმოსავლური გაგებით, იბან-სინა (ავიციენა) თავის ტრაქტატში „სიყვარულზე უმაღლესი შეიხისა, მისი სული განათლდეს“ წერს: „Как разумная, так и животная душа-последняя по причине близости к первой – всегда любит то, что строино, гармонично и соразмерно...“ [4,561]. ავიციენასთვის გონიერ არსებათა სიყვარული ბუნებაზე მაღლა მდგომი იდეის შთაგონებით არის გამოწვეული და, ამდენად, რაც მას მოსდევს, უშუალოდ ჰარმონიასა და ურთიერთშეწყობას გულისხმობს. ამასვე იზიარებს შოთა რუსთაველიც, რომელიც დიონისე არეოპაგელის მოძღვრებიდან გამომდინარე, „ღმერთისაგან ემანაციისა და ისევ „ერთში“ მოქცევის პროცესი იერარქიულ საფეხურებს შორის „საღმრთო ტრიაფილების“ ანუ სიყვარულის ძალით მიიღწევა. სიყვარულით ზეადსვლა, მიბადვა არის საწყისი უმაღლესი გონისადმი ღვთაებრივი რწმენისა, რაც საყოველთაო ჰარმონიის საფუძველია.

თუ ისლამადელი ტრადიცია სიყვარულში შედარებით თავისუფალია, მუსლიმანურ სამყაროში იგი მხოლოდ ხორციელი განცდის დაკმაყოფილებით მის შეზღუდვას განაპირობებდა და უარყოფდა წინამორბედ თეზას: სიყვარული ან სიკვდილი.

წინამორბედი პოეტებიდან იბნ-ხაზმი (994-1064წ.წ.) და ფირდოუსი (934/35-1020/1027) ნიზამისათვის ერთგვარი წყაროა სიყვარულის მისეული ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელის ჩამოსაყალიბებლად. იბნ-ხაზმისათვის სიყვარული დამყარებულია ურთიერთსწრაფვაზე, სულთა ერთობაზე, რომელიც თანაბრად ნაწილდება შეყვარებულებს შორის, მიაგავს მაგნიტსა და რკინას შორის მიზიდულობას და ასაბუთებს, სასიყვარულო კავშირი თვით მუჰამედის ცნებიდანააო გამომდინარე, მართლმორწმუნეთა გულები სცნობენ ერთმანეთსო. ფირდოუსი ძირითადად ყურადღებას უფრო სიუჟეტურ ქარგასა და გმირობა-ფალავნობაზე ამახვილებს. ალბათ, ამიტომ, „ხოსროვსა და შირინზე“ მუშაობისას ნიზამი ერთგვარ უკმაყოფილებასაც გამოხატავს ფირდოუსის დამოკიდებულებაზე სიყვარულისადმი: „ნიზამი ამას თავად გვამცნობს: ფირდოუსიმ პოემაში სიყვარული უკუაგდო, უარყო. ლაპარაკია იმაზე, რომ ამბავში ყოფილა სიყვარული და იგი არ აუსახავთ, უკუუგდიათ. ჩანს, ხოსროვისა და შირინის რამდენიმე თქმულებიდან, რომლებიც ნიზამისათვის ყოფილა ცნობილი, არცერთი არ ყოფილა ისეთი, რომელშიც მათი სიყვარული არ ყოფილიყოს ასახული.“ [5,7]. ამიტომ ნიზამი ერთგვარ საყვედურს გამოთქვამს: ბრძენს, რომელსაც ეს ამბავი უთქვამს, სიყვარულისა და მიჯნურობის ეპიზოდები ამოუგდიათ. როცა მისმა სიცოცხლემ სამოც წელს მიაღწია და ახალგაზრდობის მშვილდიდან დაუვარდა ისარი, რაღა დრო იყო სიყვარულის სიმღერისაო.

ალბათ, ამიტომ და სწორედ ამიტომ პოემის „ხოსროვი და შირინის“ შესავალში ნიზამი ურთავს ერთგვარ ტრაქტატს „რამდენიმე სიტყვა სიყვარულის შესახებ“.

„ხოსროვსა და შირინზე“ მუშაობდა ნიზამს უწარმოებია 1180-81 წლებში და, როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, იგი ამ პოემით გვევლინება ჩამოყალიბებულ ხელოვანად. ნიზამი, აშკარაა, კარგად გაცნობია პოემის წყაროებს, განსაკუთრებით ფირდოუსის „მეფეთა წიგნს“, მაგრამ მისი პოემა მაინც სხვა ხაზით მიდის: სიყვარულის ყოვლისმომცველი ძალა აქ მთელი თავისი დიდებულებით იკვეთება.

ანალიზისათვის ჩვენ მივმართეთ „ხოსროვისა და შირინის“ დავით კობიძისა და ამბაკო ჭელიძისეულ თარგმანებს. ამ უკანასკნელს კი თავის მხრივ გამოუყენებია ორიგინალის დასთავარდისეული რედაქცია, მეორე გამოცემა, თეირანი, 1954.

თარგმანის შესავალში მაგალი თოდუა გვაცნობს იმ წყაროებს, რომლებიც არსებობდა ნიზამი განჯევამდე. ესაა ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფილქტე სიმოკატა (VI-VII ს.ს.), თეოფანე (IX ს.),

სომხური ქრონიკები, არაბ ჯაჰიზი, აბუ ჯაფარ მუჰამედ იბნა ჯარირ ატტაბარი (IXს.), ბალამი (Xს.), ფირდოუსი და აუცილებლად ზეპირსიტყვიერებით შემორჩენილი ლეგენდები. ნიზამის პოემის ხელნაწერი ქ. ბარდაში უნახავს, დაუთვალე რეზია ხოსროვისა და შირინის ისტორიაში მოხსენიებული ადგილები და გადაუწყვეტია არა ფირდოუსის ნათქვამის გამეორება, არამედ იმის, რაც მას სიყვარულის შესახებ დარჩაო უთქმელი. მაგრამ ძირითად წყარო მაინც „შაჰ-ნამე“ უნდა იყოს, რასაც თვით ნიზამი ახსენებს პოემაში. ანუ როგორც მ. თოდუა შენიშნავს, „ხოსროვი და შირინის“ ამბავი, მისი ყველა დეტალიც კი ნიზამის ფანტაზიის ნაყოფი შეიძლება არ იყოს, ნასესხები ჰქონდეს. ჩონჩხი სხვისი, ხოლო ხორცი ნიზამის მიერ შესხმული.“ [5,7] ჩვენი მიზანი არაა პოემის ანალიზი ან მისი წყაროების შესახებ მსჯელობა, მთავარია, როგორი სიყვარული წარმოადგინა მან ამ პოემაში და როგორია მისი ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელი.

აშკარაა, ნიზამისათვის წინამორბედი სიყვარულის მხატვრული განსახოვნებისათვის სიუჟეტურ ქარგასთან ერთად ისლამამდელი ეპოქის მოდელიც უნდა ყოფილიყო ნაცნობი. მაგრამ მთავარი ერთია: აქაც პოეტმა მეტად ორიგინალურად გადაჭრა მისი არსი პოეზიაში გამოთქმული ტრაქტატის გვერდით პოემის შესავალშივე.

როგორც მ. თოდუა შენიშნავს, „...არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ორი პოემის „ლეილი და მაჯნუნი“ და „ხოსროვი და შირანი“ მამოძრავებელი ძალა სიყვარულია პირველის – პლატონური, მეორისა – ხორციელი, მიწიერი)“. [5,7]

უძღვოდა თუ არა მსგავსი ტრაქტატი ნიზამამდე რომელიმე ავტორის ნაწარმოებს, ეს ჩვენთვის ჯერ კიდევ კვლევის საგანია, თუმცა აქვე აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი ნაწილი, რომელიც მიჯნურობას ეძღვნება.

ნიზამისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე არაერთი ნაშრომი არსებობს (ვ. კეკელიძე, დ. კობიძე, ა. ბარამიძე, ალ. გვახარია), მაგრამ როგორც თავად დ. კობიძე აღნიშნავს, საკმარისი არაა, იგი მონოგრაფიულად უნდა იქნეს შესწავლილი.

თვით დ. კობიძეს უთარგმნია „ხოსროვი და შირინიდან“ ნიზამის შეხედულება მიჯნურობაზე. ა. ჭელიძისეული თარგმანი რამდენადმე განსხვავდება ზემოდასახელებული თარგმანისაგან, მაგრამ, რამდენადაც მისი ორიგინალში გაცნობის საშუალება ვერ გვეძლევა, ვეცდებით სწორედ თარგმანით წარმოვადგინოთ ნიზამის ძირითადი თეზა სიყვარულთან დაკავშირებით.

ნიზამისათვის ამქვეყნად მთავარი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია, რომელიც ერთნაირად უკავშირებს ერთმანეთს სულიერ და უსულო სამყაროს, რამდენადაც თავდაპირველი საწყისიდან ცისა და დედამიწის ერთობიდან, მოდის:

„ცას ტრფობის გარდა, მისაპყრობი თვალის არა აქვს!
ქვეყანას ტრფობა თუ არ უძევს, წყალი არა აქვს“. [5,59]

აქედან გამომდინარე:

„სიყვარულია ქვეყანაზე ყველაფრის ფუძე“. [5,61]

ნიზამის აზრით, ჭამა და ძილი არაა არსებობის ძირითადი გზა. იდეალი უსულო თუ სულიერი სამყაროსათვის სიყვარულსა და ურთიერთლტოლვაშია. მაგრამ რომელ სიყვარულზე მსჯელობს ასე პოეტი? თავად პოემა ჰარმონიულ სიყვარულს უმდერის, ხოსროვისა და შირინის მარადიულ სიყვარულს, მაგრამ მათ გვერდით ავტორს ცალმხრივი სიყვარულით შეპყრობილი პერსონაჟიც შემოჰყავს – ფარჰადის სახით.

აქ ნიზამი ცდილობს ზოროასტრიზმის ძირითადი მიზანიც, ცეცხლისადმი თავყანისცემა, სიყვარულის ძალით, მიზიდულობის ძალით ახსნას. დ. კობიძის თარგმანში იგი ასე წარმოგვიდგება:

„ცეცხლთან რომ სხედან ის გებრები დღითა და ღამით,
ცეცხლს სცემენ თავყანს მზის ტრფობითა და სიყვარულით.

ვის სიყვარულის ჯადოქრობა არ გაეგება,

იგი ვერასდროს მოიპოვებს შვებას და ღზენას“. [6,294].

ა. ჭელიძის თარგმანში:

„თვითონ გებრები თავის წინაშე ცეცხლს რომ
ანთებენ

მზის ტრფობის გამო აღგზნებულნი ცეცხლს
აღმერთებენ“. [5,60].

აშკარაა პირველ თარგმანში გამოკვეთილია აზრი, რომ თუ სიყვარული არ იციან თვითონ გებრებმა, ვერ მოიპოვებენ შვებას და ღზენას, ჭელიძის თარგმანით მხოლოდ ახსნილია რატომ სცემენ თავყანს გებრები ცეცხლს – მზის ტრფობით.

დ. კობიძის თარგმანი, ვფიქრობთ, უფრო გარკვეულად ხსნის სიყვარულის ძალის ყოვლისმომცველობას. მაზდებანებს თუ სიყვარულის ჯადოქრობა არ ესმით, უაზრო იქნება მათი თაყვანისცემა მზის ანალოგიით ცეცხლისადმი. ბუნების კანონიდანაა გამომდინარე სიყვარული – აცხადებს ნიზამი და აქედან იგი ზნეობრივია, მისაღები, აუცილებელი.

მისი შედეგები კი ჰგავს აყვავებულ დედამიწას, რომელიც ცასთან მიჯნურობით დაკავშირების გარეშე, გადახმებოდა, სიცოცხლის განცდაც არ ექნებოდა ადამიანს, მაგრამ აქ მხოლოდ წმინდა სიყვარულზეა საუბარი:

„ნუ იქნეს მისგან გამოვიდეს რამე სიწამხდრე“ (დ.კ.).

„ნუ ქნას, რომ დარჩეს ამისაგან რამე უშვერი“ (ა.ჭ).

მამ ნიზამისათვის სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელი ასე წარმოგვიდგება:

1. სიყვარული ზეციდანაა მოვლენილი;
2. სიყვარული ბუნების კანონია;
3. სიყვარული ზნეობრივია;
4. სიყვარული მშვენიერია და სიცოცხლის ძალის მიმცემი;

ავტორი, სწორედ პოემით „ხოსროვი და შირინი“ ცდილობს „სიყვარულით ამ ამბავს შეუკრას წელი“ და „სასიყვარულოდ მოიწვიოს ქვეყანა მთელი.“

ნიზამისეული განსაზღვრა - წანამძღვარი სიყვარულზე, რომელიც პოემა „ხოსროვი და შირინის“ შესავალშია წარმოდგენილი, ჭეშმარიტად კრედა სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური არსის შესაცნობად, რაც მის მიმზადებელთან, ამირ ხოსრო დეპლევთან (1299 წელს უნდა დაეწეროს პოემა), რომლის თარგმანმა ჩვენამდე XVIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი პროზაული ნაწარმოების სახით მოაღწია, არ გამოიკვეთება და თითქმის დაკარგულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, თავად სიუჟეტს.

ლიტერატურა:

1. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ქართლის ცხოვრება“, II, 1959;
2. ი. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, II, 1965;
3. Дени де Ружмон «Любовь и Запад», ж. «Новое обозрение», Москва, 1998, №3(31);
4. Ибн-Сина «Трактат о любви верховного шейха, да светится душа его», из антологии «Мир и Эрос», Москва, изд. Полит. Лит. 1991;
5. ნ. განჯელი, „ხოსროვი და შირინი“, თბილისი, 1959;
6. დ. კობიძე, „სპარსული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი, 1975.

რეზიუმე

კავკასიის კულტურული გარემოცვა საუკუნეთა მანძილზე და, განსაკუთრებით XII საუკუნეში, საქართველოს გაძლიერება-აყვავების ეპოქაში, მეტად მრავალფეროვანია. იგი ამ სივრცეში დაბადებულ-მოღვაწე პოეტთა თუ შემოქმედთათვის, როგორც დასავლურ (ბიზანტია), ისე აღმოსავლურ (არაბეთი, ირანი, თურქეთი) კულტურებთან ურთიერთობაში ყალიბდება. საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ორი პროვინცია – შარვანი და არანი, რომლებიც წარმოადგენდნენ ირანული კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან ცენტრებს, დავით აღმაშენებლის დროიდან ექცვიან ქართველთა პოლიტიკური გავლენის სფეროში. სწორედ შარვანშაჰების კარზე ცხოვრობდა პოეტი ნიზამი განჯევი (1141-1209წ.წ.).

განსხვავებული რელიგიურ აღმსარებლობასთან მეზობლობაში ჩამოყალიბდა ნიზამის უმშვენიერესი პოეზია, რომლის მთავარი ლაიტმოტივი, გმირობა-ფალავნობასთან ერთად, სიყვარულია. რაც კარგად მოსჩანს მისი პოემის „ხოსროვისა და შირინის“ შესავალში, რომელიც ერთგვარ სიყვარულზე დაწერილ ტრაქტატად წარმოგვიდგება.

ნიზამისათვის ამქვეყნად მთავარი მამომრავებელი ძალა სიყვარულია, რომელიც ერთნაირად უკავშირებს ერთმანეთს სულიერ და უსულო სამყაროს, რამდენადაც თავდაპირველი საწყისიდან ცისა და დედამიწის ერთობიდან, მოდის.

მისი სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელი ასე წარმოგვიდგება.

1. სიყვარული ზეციდანაა მოვლენილი; 2. სიყვარული ბუნების კანონია;

3. სიყვარული ზნეობრივია; 4. სიყვარული მშვენიერია და სიცოცხლის ძალის მიმცემი;

ავტორი, სწორედ პოემით „ხოსროვი და შირინი“ ცდილობს, „სიყვარულით ამ ამბავს შეუკრას წელი“ და „სასიყვარულოდ მოიწვიოს ქვეყანა მთელი.“

ნიჰამისეული განსაზღვრა - წანამძღვარი სიყვარულზე, რომელიც პოემა „ხოსროვი და შირინის“ შესავალშია წარმოდგენილი, ჭეშმარიტად კრედაა სიყვარულის ზნეობრივ-ესთეტიკური არსის შესაცნობად, რაც მის მიმბაძველთან ამირ ხოსრო დეპლევთან (1299 წელს უნდა დაეწეროს პოემა), რომლის თარგმანმა ჩვენამდე XVIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი პროზაული ნაწარმოების სახით მოაღწია, არ გამოიკვეთება და თითქმის დაკარგულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, თავად სიუჟეტს.

THE CULTURAL WORLD OF THE CAUCASUS AND NIZAMI GANJEVI'S MORAL-ESTHETIC ASPECTS OF LOVE

Tamar Gogoladze, Full Professor
RESUME

The cultural surrounding of the Caucasus had been too various for centuries and exceptionally in the XII century-the epoch of renaissance of Georgia. For the poets or the creators born in this space it is formed in intercultural relations as with western (Byzantium) as with eastern (Arabia, Iran, Turkey). The two provinces –Sharvan and Aran-located in the neighborhood of Georgia on the territory of Azerbaijan represent important centers of Culture and literature. Since the times of Davit Aghmashenebeli these centers have become under the political influence of Georgia. The poet Nizami Ganjevi (1141-1209) lived with the Sharvanshahs.

Nizami's wonderful poetry was formed just in neighborhood with different religious confessors the main leitmotiv of his poetry is love together with heroic motives. This is clearly shown in his poem “Khosrov and Shirin” which is presented as a kind of treatise written about love.

The motive power in the world for Nizami is love which gets living and inanimate world closer as it comes from the unit of the very first beginning-the sky and the earth.

So, the moral –esthetic model for Nizami is as follows:

1. Love comes from above the sky;
2. Love is a law of nature;
3. Love is moral;
4. Love is wonderful and is the motive power for life;

The author just by the poem “Khosrov and Shirin” tries “to invite the whole world to love”.

The definition by Nizami-prerequisite on love which is presented in the introduction of the poem “Khosrov and Shirin” is the real credo for knowing the moral-esthetic essence of love which is lost in the work of Amir Khosro Deplev (he may have written the poem in 1299) the translation of which reached us at the beginning of the XVIII century as prose. There Nizami's purposefulness is not clearly shown and almost lost if we do not take into consideration the plot itself.

ზოგი რამ დარიანული ლექსების ავტორის შესახებ

ზურაბ ოქროპირიძე, მოწვეული სპეციალისტი

ცნობილია, ხშირად ახალი გამოკვლევა და შეხედულება ძნელად მკვიდრდება საზოგადოებაში. მტკივნეულად აღვიქვამთ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ ათეულ წლობით ჩამოყალიბებულ დასკვნებში, თეორიებში რაიმე ცვლილებების შეტანას. ცხადია, უცნობი ფაქტები, მოვლენები მკვლევარის ფრთხილ მიდგომას მოითხოვს, მაგრამ იგი მეცნიერულ სიჯიუტეში არ უნდა გადავიდეს და ჭეშმარიტების დადგენას ხელი არ უნდა შეუშალოს. გასული საუკუნის მიწურულს ქართული ლიტერატურული საზოგადოება საკვირველი აღმოჩენის (ასე შეაფასა ის მკვლევართა ნაწილმა) მოწმე გახდა. პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა მანამდე უცნობი საარქივო მასალების (როგორც საოჯახო, ისე სახელმწიფო), ცნობილ მწერალ-მოდგაწეთა ჩანაწერების, მოგონებების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ ელენე დარიანი (ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი), პოეზიის საკითხებში ღრმად ჩახედული უცნაური და ტრაგიკული ბედის ცისფერყანწელი პოეტი ქალბატონი რეალური პიროვნებაა და იგია დარიანული ლექსების ავტორი.

საარქივო მასალების (რომლის ერთი ნაწილიც აღმოჩნდა პატარმეულში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში) მიხედვით ელენე ბაქრაძე მჭიდროდაა დაკავშირებული პატარა ლიახვის ხეობის ულამაზეს სოფელ ერედვთან. დედამისი ქართლელი (ერედველი) თავადის – ილიკო ფავლენიშვილის ქალიშვილია. დაბადებულა იგი 1897 წლის დეკემბერში. დაახლოებით შვიდ წლამდე ერედვში იზრდებოდა (შემდეგშიც არაერთგზის სტუმრობდა ლიახვის ხეობას). მემუარისტი დიდი სიყვარულითა და ოსტატობით აღწერს თავის დედულეთს, პაპის, მშობლების ცხოვრების ეპიზოდებს, ერედველ გლეხკაცობას. ისინი თავისი მოთხრობების, ნოველების გმირებად აქცია, რომელთა ნაწილი გამოქვეყნდა („მნათობი“ 1934წ. N7–8), ნაწილი კი მის მდიდარ, სასწაულებრივად გადარჩენილ არქივშია შემონახული.

1912 წლის ზაფხულის ერთ უცნაურ ღამეს საჩხერეში ნათესავებთან სტუმრობის დროს 15 წლის ელენე გაიცნობს მასზე 3–4 წლით უფროს ყმაწვილს პავლე იაშვილს. ეს შეხვედრა მისი ცხოვრების ბედისწერად, მწვავე სიყვარულის „ცისფერ ყვავილად გადაიშლება“ [2,4], რომელიც ურთულეს კატაკლიზმებს გადაჰყრის, დარიანად აქცევს და დღემდე ლეგენდის საბურველში გახვევს მის პიროვნებას. მშობლები არად აგდებენ ელენეს სიყვარულს და ძალდატანებით ათხოვებენ გოგი ბერიშვილზე, ცნობილ აგრონომზე, რომელიც იმ წლებში ლიახვის ხეობის სოფ. მერეთში მუშაობდა. აქ დაიწერა ელენეს ლექსები: „ჩასარბენი“ (მერეთში არის ციხე, რომელსაც ჩასარბენ ციხეს უწოდებენ ადგილობრივები. ეს ლექსი ავტორმა მიუძღვნა ისტორიკოს სიმონ ჯანაშიას), დარიანული ციკლის ერთ-ერთი ლექსის „ცისფერი ქოლგის“, რომელიც ამ სათაურით გამოქვეყნდა 1922 წლის ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (N7), ვარიანტი. იგი განსხვავდება როგორც აღნიშნულ ჟურნალში, ისე 1959 წელს პაოლოს ლექსთა კრებულში დაბეჭდილი ვარიანტისაგან.

ნამალადევი ქორწინება უნაყოფო გამოდგა. ელენეს ფიქრი პაოლოსკენ იყო მიმართული. რამდენიმე წელიწადში გოგი ბერიშვილი გარდაიცვალა. 20-იან წლებში ელენე დარიანი ბაქრაძისა და ბერიშვილის გვართაც აქვეყნებდა ლექსებს. ამან აფიქრებინა მკვლევარებს, რომ იგი სხვა პიროვნება იყო და არა ელენე დარიანი. პოეტი ქალის არქივმა სრულად შემოგვინახა მისი და პაოლოს ცეცხლოვანი სიყვარულის ისტორიის ამსახველი წერილები და ლექსები, რომელიც გიორგი ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ლიტერატურული გაზეთების ფურცლებზე და წიგნში „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“, ამიტომ მას აღარ შეეხებოდა, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ისინი თავისი ღრმა განცდებით მსოფლიო სატრფიალო-ეპისტოლური ჟანრის მხატვრულ ნიმუშებს უტოლდება.

სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოსულ ამ უნიკალურ მასალას რომ თავი დავანებოთ, ეს გამოკვლევა თუნდაც იმად ღირდა, რომ ბოლოსდაბოლოს გაირკვა ქართული ლირიკული პოეზიის შედეგის „სონეტი ელის“ (1915წ.) ადრესატის, ელენე დარიანის ვინაობა:

**„სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი ელლი,
შენ სულს გადავსცე... მაგონდება სოფელი შორი...
იყავი ნაზი ისე, როგორც ტყის ნიამორი.“**

საინტერესოა, ხომ არ უკავშირდება ელენეს პოეტური სახე „ტყის ნიამორი“ შემდეგში „ცისფერყანწელთა“ ჟურნალის სახელწოდებას „მეოცნებე ნიამორები“? როგორც გიორგი ჯავახიშვილი წერს, „ცისფერყანწელთა“ წრეში 1915 წლიდან დაიბადა მშვენიერი ელის – ქართველი ქალის კულტი,

რომელსაც არ მოჰკლებია ჩვენი და უცხოელი პოეტების მიძღვნა-ექსპრომტები. მაინც ვინ იყო ელენე დარიანი? მითი, არარსებული და უბრალოდ პაოლო იაშვილის მისტიური ნიჭის გამოვლენა, თუ რეალური პიროვნება, რომელიც თავისი საოცრად ინტიმური ლექს-დღიურების გამო გაურბოდა საზოგადოების რისხვას და ჩრდილში დგომას ამჯობინებდა. ცნობილია, რომ 1915 წლის გაზეტ „მეგობარში“ პირველად პაოლო იაშვილმა გამოაქვეყნა ელენე ბაქრაძის ლექსები დარიანის ფსევდონიმით. თამამმა ეროტიკამ დიდი სკანდალი გამოიწვია ქუთაისში. მკითხველი აღშფოთებას ვერ მალავდა. აკი წერდა ერთ-ერთ წერილში პაოლო ელენეს: ელენე დარიანის ლექსებმა გამოიწვია აღშფოთების მთელი ქარიშხალი... საზოგადოების მეტი პროვოცირებისათვის პაოლო იაშვილმა ერთ-ერთ სადამოხე წაიკითხა ელენეს ლექსები. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუწყებოდა: „პ. იაშვილმა წაიკითხა ქართველი ქალის ელენე დარიანის ლექსები... ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდაო...“ [7, 1915, N40]. „ელენე დარიანი საშიშია, წერდა გაზეთი „სამშობლო“, ის ჩვენს პოეზიას არაფერს მატებს“ [8, 1916, N 376]. პოეტ ქალს, რომელმაც „ურცხვი“ ლექსები დაწერა ყველგან ეძებდნენ. საზოგადოების დიდმა ნაწილმა დარიანულ პოეზიას ომი გამოუცხადა. პაოლომ, პოეზიის ჭეშმარიტმა რაინდმა ღირსეულად დაიცვა თავისი ელლი მოსალოდნელი რისხვა-აგრესიისაგან, საკუთარ ფრთებქვეშ შეიფარა საყვარელი ადამიანი და დარიანული ლირიკა, თავად დაიბრალა დარიანობა მკითხველის, პრესის მხრიდან არაერთი შეურაცყოფის ფასად. მიუხედავად ამისა, ხალხი არ ცხრებოდა, ეჭვობდნენ, რომ პაოლოს უკან ქალი იმალებოდა. ამას ადასტურებს ელენესადმი ბიძის, იაზონის წერილი, სადაც შეფარვით აგრძნობინებს შენა ხარ ელენე დარიანიო. „...ელენე დარიანი შენ არ მგონიხარ, მაგრამ თუ იმის შესახებ ვრცლად მოგწერე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიდაცა არის, შენი კარგი ნაცნობი უნდა იყოს... ალბათ შენ იფიქრე, თითქოს შენ გთვლიდი ამ ლექსების ავტორად...“ [1, 29].

სამწუხაროდ, პოეტი ქალის არქივის მზის სინათლეზე გამოტანა და ჭეშმარიტებისკენ გადადგმული ნაბიჯები მკვლევართა ნაწილმა პაოლო იაშვილის პირად შეურაცყოფად მიიღო. ვფიქრობთ, პაოლოს სახელს ამით არაფერი აკლდება, პირიქით, უფრო ლამაზი შტრიხებით ივსება მემბოხე პოეტის ბიოგრაფია და ის უხერხული ტვირთიც ეხსნება, რომელიც თითქმის საუკუნეა წმინდა ქალურ ეროტიკულ განცდებთან აკავშირებდა ჭეშმარიტად ვაჟკაცური ბუნების მგოსანს და მამულიშვილს.

ელენე ბაქრაძის მოგონებები ნათელს ჰფენს ასევე ფსევდონიმის – „დარიანის“ და „ცისფერი ყანწების“ სახელწოდების შექმნის ისტორიას. როგორც მემუარისტი წერს „პაოლოს დორიან გრეი შევარქვი, მან დორიანი მიწოდა. დროთა განმავლობაში შემიცვალა დარიანად, რადგან მოსწონდა კეთილხმოვანების გამო“ [1, 31]. ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტიდან“ აღებული სახელი „დორიანი“ დარიანად – მათ საერთო სახელად იქცა. როგორც ქალბატონი შარლოტა კვანტალიანი წერს გიორგი ჯავახიშვილის წიგნის წინასიტყვაობი, „დარიანობა“ მათი არშემდგარი ქორწინების სიმბოლო იყო... რა უნდა იყოს იმაზე ბუნებრივი, რომ ორ შეყვარებულ პოეტს, რომლებიც ბედისწერამ არ დააქორწინა, შვილების ნაცვლად საერთო ლექსები „ჰყავდეთ“. ამგვარი მისტიფიკაცია უფრო ბუნებრივიცაა და მშვენიერიც“ [1, 6].

1915 წლის ზაფხულის ერთ ღამეს აკაკის მშობლიურ სავანეში პაოლოს და მის ამფსონებს სუფრა გაუშლიათ. „ცისფერყანწელების“ მუზა ასე იგონებს ამ შეხვედრას: „დიასახლისმა სუფრაზე პატარა, თეთრი ყანწები მოიტანა. პაოლომ აავსო ყანწი და ასწია მაღლა. ცისფრად ცვამოეყო ჰაერში თეთრი ღვინით ავსებული ყანწი... ვუმზერდი პაოლოს და წყნარად წარმოვთქვი: „ცისფერი ყანწი“! პაოლოც დააკვირდა და უეცრად წამოიძახა: „ევრიკა, ელლი, ცისფერი ყანწი“. ელენე დარიანის თქმით „ პაოლო ვეღარ ისვენებდა, ისწრაფვოდა, ელოდა აფეთქებას, რომ კოცონად ავარდნილიყო ქართულ პოეზიაში...“ [2,13]. რას არ შევხვდებით ელენე დარიანის არქივში: როგორ შეხვდა ტიციანთან ერთად იგი რევოლუციას მოსკოვში, როგორ სტუმრობდა მას გალაქტიონი, რომელიც მოიხიბლა „განათლებული დიასახლისის“ მეტყველებით... როგორ შეება პაოლო ეტლში ცხენის მაგივრად და მთელი ქუჩა შემოატარა საოცნებო ელლი...

ბევრი რამ მოხდა ელენესა და პაოლოს ცხოვრებაში. დროთა განმავლობაში თითქმის მათმა სიყვარულმაც დაკარგა სიცხოველე, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე გულგრილნი არ ყოფილან ერთმანეთის მიმართ. რჩებოდნენ მეგობრებად მაშინაც კი, როცა პაოლომ ცოლი შეირთო, დაქვრივებული ელენე კი შალვა ქართველიშვილზე (ამის შემდგომ უფრო მეტად ქართველიშვილის გვართ იწერება), ივანე მაჩაბლის ვაჟზე, ცნობილ იურისტზე გათხოვდა მეორედ. დარიანების საიდუმლოს კი მტკიცედ ინახავდნენ, რადგან დაოჯახებულნი იყვნენ ორივე და ოჯახურ უსიამოვნებას უფრთხოდნენ, ამავე დროს შალვა ქართველიშვილი პაოლოს, საერთოდ „ცისფერყანწელთა“ მეგობარი იყო (ამ გამოკვლევამ ბიძგი მისცა კიდევ ერთი ბურუსით მოცული ამბავის, ვანო მაჩაბლისა და მისი პირველი ცოლ-შვილის ლიზა და შალვა ქართველიშვილების ისტორიის შესწავლას). თანდათან მტკიცდებოდა ელენე დარიანის

მითი. საიდუმლოს გულდასმით ინახავდნენ ელენესი და პაოლოს მეგობრები. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ეს ამბავი მძიმედ გადააქვთ ორივეს, ვედარ უძლებენ „მალულობას“. უდიდესი შინაგანი განცდაა გადმოცემული ელენეს 1923 წელს დაწერილ ლექსში „პაოლოს მოლოდინში“ (ინახება ელენე დარიანის არქივში, პირველად გამოაქვეყნა გიორგი ჯავახიშვილმა) „ცისფერყანწელი“ პოეტესა ისე წუხს თავის ლექსებზე, როგორც დედა გასხვისებულ შვილზე :

„...სიტყვის ნადიმზე მე არა ვარ უარყოფილი,
მაგრამ მომბეზრდა მალულობა, ფარული დარდი...
ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე,
დიდი მოთმენა მოვიახლე და შევითვისე...“

პაოლოც გრძნობს ელლის გულისტკივილს და სხვა დროს ლექსითვე ამშვიდებს. მან, იცის, რომ ლექსი მგოსნის სულიერი შვილია და მათ ხშირად ენატრებათ ერთმანეთი:

„შენი ლექსები მე მაბარია,
როგორც ბავშვობის წმინდა კრებული
მაგრამ მოწყენით ხშირად არიან
შენი ალერსის დანატრებულნი“ [1,157]

ამ ყველაფრის შემდეგ ბუნებრივად ჩნდება კითხვა – პაოლოს სიცოცხლეში რომ გამოეცა თავისი ლექსების კრებული შეიტანდა თუ არა მასში ელენე დარიანის ლექს-დღიურებს? ცხადია, არა. პაოლოს არ დასცალდა საიდუმლოს გამხელა. 1937-მა შეიწირა იგიც და ელენეს მეუღლეც – შალვა. ელენე შავებში გამოეწყო. დარიანობის თემაც გაურკვეველი ვადით გადაიდო. გაუგებრობის ახალი ტალღა პაოლოს რეაბილიტაციის შემდეგ შალვა დემეტრაძის მიერ პოეტის კრებულის გამოცემამ წარმოქმნა. ელენე ბაქრაძის არქივში დაცულია სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (გარდაიცვალა 1979 წელს) შექმნილი ასეთი წერილი: „...ლექსები ელენე დარიანის ფსევდონიმით ყველა ჩემია. როდესაც შალვა დემეტრაძე პაოლოს კრებულს ადგენდა, ამის შესახებ შევასხენე...“ ქალბატონი ელენეს არც ამ და შემდეგ მცდელობებს (მხედველობაში გვაქვს ირაკლი აბაშიძის სახელზე შექმნილი წერილი) დაერწმუნებინა საზოგადოება თავის დარიანობაში შედეგი არ მოჰყოლია. იკარგება არქივის სერიოზული ნაწილიც. თუმცა დროის მსახვრალ ხელს გადარჩენილი მასალებიც მრავლისმთქმელია ჭეშმარიტების დასადგენად. ობიექტურმა მკვლევარმა არ შეიძლება გულგრილად შეხედოს ცნობილი პოეტის მარიჯანისა და ელენე დარიანის მიმოწერას, ელენეს ლექსს „წერილი მარიჯანს“:

„...შენთვის საჩუქრად არ მაქვს დაირი
არც ოქროს გედი მომიწვევია
მხოლოდ მე მახსოვს შენი დარდები
ჩემთვის წყლულები შეგიხვევია.
მე სხვანაირი მეწვია ბედი
ის არ იკლებდა ჩემით გართობას
თბილ თანაგრძნობით აღარ მოხვედი
არ შემოგჩივლე მეც მარტოობა.
დღეს ჩვენი ხალხი გათბობს გვირგვინით
წელთა გუგუნნი შუბლზე განათებს,
იყავ დღეგრძელი, ჩემს გულისტკივილს
სულ სხვა თაობა გაასამართლებს.“

ამ ლექსში ერთადაა წარსულის და აწმყოს ტკივილები და იმედიც, რომ მომავალი თაობები დაადგენენ ჭეშმარიტებას. მისი კითხვისას უნებურად გვახსენდება დარიანული ლირიკის შედევი – „წერილი ანა ახმატოვას“. რეალური, სამოცს მიღწეული ელენე ქართველიშვილი, 34 წლის შემდეგაც დაესესხება ცისფეროცნებიან ციურ ლეგენდას ელენე დარიანს პოეტური სახე-ფრაზეოლოგიზმებით:

„მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი...“ (წერილი ანა ახმატოვას)
„მე სხვანაირი მეწვია ბედი“ (წერილი მარიჯანს)
„შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი“ (წერილი ანა ახმატოვას)
„შენთვის საჩუქრად არ მაქვს დაირი
არც ოქროს გედი მომიწვევია...“
(წერილი მარიჯანს)

პოეტი „დაირას და ოქროს გედს“ ანა ახმატოვას „ჩუქნის“ 1922 წელს. ასეთი პარალელები კიდევ მრავლად გვხვდება ელენე დარიანის გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ლექსებში, მათ შორის ცნობილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილ ლექსსა და დარიანულ „პი- რამიდებს“ შორის.

მრავალმხრივი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ელენე ბაქრაძე-დარიანს ქართველ მწერალ-მოდერნიზმთან: კ. გამსახურდიასთან, ტ. ტაბიძესთან, გრ. რობაქიძესთან, გ. ლეონიძესთან, ი. მეგრელიძესთან (სწორედ ამ უკანასკნელის და აკადემიკოს შოთა მიძიგურის დაჟინებული თხოვნით დაუწერია ელენე დარიანს თავისი მემუარები) და სხვებთან. ირკვევა, რომ 20-იან წლებში ელენე დარიანს გაუყვია ყველა თავისი სამკაული და ფული გადაუცია კონსტანტინე გამსახურდიასთვის სამკურნალოდ. არქივში აღმოჩენილი დიდი მწერლის წერილები ახალი შტრიხებით ავსებს მის ცხოვრებას. 1926 წელს, სოლოვკის კუნძულებზე გადასახლებული მწერალი თავის დობილს წერს: „... ეს წელი ჩემთვის იყო ყველაზე კომმარული ჩემს ცხოვრებაში, რამდენჯერ გავედი საზღვარგარეთ და მე სიკვდილის გემო შევიგრძენი... ჯერაც საავადმყოფოში ვარ, რამდენჯერმე მოწმე გავხდი საშინელი გაორებისა. ასეთი მდგომარეობა აღვწერე ჩემს მოთხრობაში „ტაბუ“... ველოდები შენს სონეტებს, წერს კონსტანტინე ელენე დარიანს, მხოლოდ თუ შეიძლება, მიეცი კარგი სათაურები... შენ ისეთი გამბედავი ხარ, რომ დამფუძნებელი იქნები ქალური ლირიკისა...“ [1,46]. მკითხველს ბევრ ფიქრებს აღუძრავს ზემოხსენებული წერილის ეს ნაწყვეტი.

ელენე დარიანის დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება ჩანს მის ერთ-ერთ დღიურში, სადაც ვკითხულობთ: „... მარიკა ბარათაშვილი საინტერესო მოღვაწეა ლიტერატურაში, როგორც ქალი, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე. მარიჯანი, ჩემი კარგი მარიჯანი, მას ხელი შეუწყო ბევრმა რამემ და სათანადო ნიჭმაც... მე უბედური, აღზრდილი მეტად დახვეწილ პოეზიაზე, ძნელია სხვაც ვიგრძნო, გარდა ანა კალანდაძისა.“ [1,56] საინტერესო შეფასებაა, როცა ეს იწერებოდა, ანა კალანდაძე ახალი გამოსული იყო სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ ელენეს პოეტურ თვალს არ გამოჰპარვია მისი უპირატესობა სხვებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ელენეს დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. 1923 წელს იგი წერს ლექსს „15-ს“ – მიძღვნილს დახვერტილი მამულიშვილებისადმი. ელენეს სიტყვებით, „გოგლას ძალიან მოეწონა ეს ლექსი, მაგრამ მისი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა“ [1,51]. 1920 წელს ბათუმი ოფიციალურად გადმოეცა საქართველოს, ცისფერყანწელებმა პოეზიის საღამო ჩაატარეს იქ. ელენე დარიანი გადმოგვცემს: „... ინგლისის წარმომადგენელმა წაიკითხა მემორანდუმი... ნელი მოძრაობა ზევიტკენ დაიწყო ჩვენმა სამფეროვანმა დროშამ... საშინელმა კანკალმა ამიტანა... ჩვენ გავხდით ბათუმის ბატონ-პატრონი... იმ წუთში მე შემეძლო სრულიად თავისუფლად შემეწირა სიცოცხლე სამშობლოსთვის... მე ვამაყობდი და საქართველო იმ წუთებში ინგლისზე ძლიერი წარმომედგინა“ [1,110].

და მაინც, პაოლო ათეული წლების შემდეგაც ცოცხლობს ელენე დარიანში. მათი სიყვარულის ამსახველი დარიანული ციკლის გარდა უამრავი ლექსი, მოგონებაა დაცული მის მრავლისმთქმელ არქივში. აი, ერთ-ერთი გვიანდელი ლექსიც (ნაწყვეტი), რომელიც პაოლოს ტრაგიკული აღსასრულის შემდგომ იწერება:

„...რა ვქნა, რომ შენი სახე ნათელი,
ჯალათის ხელმა ვერ ამოშალა,
და ქვეყნის მსხვერპლი აურაცხელი,
შენს მაღალ შუბლზე გადამეშალა...“

მეტად დასაფასებელია პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის მცდელობა კუთვნილი ადგილი დაიკავოს ქართული მწერლობის ისტორიაში „ქალური ლირიკის დამფუძნებელმა“ „ცისფერყანწელმა“ პოეტმა ქალმა ელენე დარიანმა. ვერ დავეთანხმებით მკვლევარების – ქალბატონების ლალი ავალიანისა და ზეინაზ ლომჯარიას ბრალდებას, თითქოს ეს აღმოჩენა „უსაფუძვლო და უსაბუთოა“ [3, 2007, N12].

ის, რომ ქალბატონი ელენე ბაქრაძე ნამდვილად ელენე დარიანია ჩვენთან საუბარში არაერთხელ დაადასტურა ქალბატონმა ნიტა ტაბიძემ: ელენე დარიანი რეალური პიროვნებაა და იგია დარიანული ლექსების ავტორი, ელენესა და პაოლოს გულების ყველაზე დიდი მესაიდუმლე მია ვალერიანი იყო- განაცხადა დიდი პოეტის ქალიშვილმა. „ჩემი ტანჯული ელენე უშუალოდ“ – ასე მოიხსენია ცნობილმა მსახიობმა ქალბატონმა დოდო ჭიჭინაძემ ელენე ბაქრაძე. მისივე თქმით, იგი ხანდახან იტყოდა ხოლმე, მე ვარო ელენე დარიანი და აუცრემლდებოდაო თვალები. კონსერვატორიაში ქალბატონი ელენეს ყოფილი სტუდენტების, ქართული მუსიკალური სამყაროს ავტორიტეტების ბატონების გივი მუნჯიშვილისა და ავქსენტო მეგრელიძის დახასიათებით, იგი იყო უკეთილშობილესი, განათლებული პიროვნება. ჩანაწერებიდან ჩანს მისი მორიდებული ხასიათი, რაც მისი „გაუჩინარების“ ერთ-ერთ მიზეზად გვესახება: „მუდამ სურვილი მქონდა ჩრდილში დავრჩენილიყავი... რაღაც უცნაურ სირცხვილის გრძნობას განვიცდიდი, მე ბევრის გაკეთება შემეძლო...“

ელენე დარიანის ცხოვრება ესაა ტრაგედია, რომლის გათამაშებაც დაიწყო XX საუკუნის ათიან წლებში და აგერაა ერთი საუკუნე გრძელდება. ტრაგედიის უცვლელი გმირები პაოლო და ელენე დარიანები არიან, ხოლო მათ ირგვლივ მყოფი პერსონაჟები თაობების მიხედვით იცვლებიან, რომელთაც არა და არ სურთ ტრაგედიის კვანძის გახსნა, იდუმალებით მოცული ისტორიის გარკვევა.

ლიტერატურა:

1. გ. ჯავახიშვილი, „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“, 2001;
2. გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი, ელენე დარიანის არქივი;
3. „ლიტერატურული პალიტრა“, N12, 2007;
4. ზ. ლომჯარია, ელენე დარიანი (პაოლო იაშვილი) ლექსები, 2000;
5. „ცისფერი ყანწები“, 1915;
6. „მეოცნებე ნიამორები“, N7, 1922;
7. „თეატრი და ცხოვრება“, N40, 1915;
8. „სამშობლო“, N376, 1916;
9. „ლიტერატურული საქართველო“, N34–35, 1997.

რეზიუმე

მეოცე საუკუნის ათიან წლებში ქუთაისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში („ცისფერი ყანწები“, „მეგობარი“) სხვა პოეტებთან ერთად იბეჭდებოდა ელენე დარიანის მაღალმხატვრული, თამამი ეროტიკული ლექსები, რომელთაც სალიტერატურო სადამოებზე კითხულობდა პაოლო იაშვილი. საზოგადოების დიდი ნაწილი გმობდა „ურცხვ“ ლექსებს, ისინი ეჭვობდნენ, რომ პაოლოს უკან პოეტი ქალი იდგა. შემდგომში ელენე დარიანი არარსებულ პოეტად, პაოლო იაშვილის ფსევდონიმად, დარიანული ლექსები კი მისი შემოქმედების ნაწილად აღიარეს. 90-იან წლებში მკვლევარმა გიორგი ჯავახიშვილმა მიაკვლია ელენე დარიანის უცნობ არქივს. ახალი საარქივო მასალის მიხედვით ელენე დარიანი (იგივე ბაქრადე – ბერიშვილი – ქართველიშვილი) რეალური პიროვნება, უნიჭიერესი პოეტი ქალია, რომელზეც გამიჯნურებული იყო პაოლო იაშვილი. დარიანული ლექსების ავტორი ელენეა. დარიანი კი მისი ფსევდონიმია, პაოლოსგან შერქმეული. ამ შეხედულებას არ იზიარებს მკვლევართა ერთი ნაწილი. ვფიქრობთ, გამოკვლევა შთამბეჭდავია და მეცნიერთა ობიექტურ მიდგომას მოითხოვს, რათა ჭეშმარიტება იქნას დადგენილი.

SOME THINGS ABOUT THE AUTHOR OF DARIANULI POETRIES

Zurab Okropiridze, Specialist by contract

RESUME

In the 10s years 20th century in magazines (“Tsisperi Kantsebi”, “Megobari”) published in Kutaisi with other poets were also printed Elene Dariani’s high featured, free erotic poetries, which Paolo Iashvili was reading on literary evenings. The great part of society condemned “shameless” poetries; they doubted that back to Paolo there was a poetess. Afterward Elene Dariani was recognized as non-existence poetess, as pseudonym of Paolo Iashvili and Darianuli poetries as part of his creation. In the 90s years researcher Giorgi Javakhishvili discovered unknown archive of Elene Dariani. According to the new archival materials Elene Dariani (the same Bakradze – Berishvili – Kartvelishvili) is a real person, the most talented poetess, with whom Paolo Iashvili was in love. The author of Darianuli poetries is Elene. Darian is her pseudonym, was called by Paolo. One part of researchers does not agree this opinion. We think that the research is impressive and requests objective reproach from scientists, for the truth will be established.

დადებითი გმირის პრობლემატიკა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე (1957-1963)

თამარ სიღამონიძე, მოწვეული სპეციალისტი

ჟურნალ „ცისკრის“ გამოსვლისთანავე /1957/ ესთეტიკური რევიზია მის ფურცლებზე შეეხო ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების მეტად ფართო სპექტრს: თემატიკის, ტიპურობის, გმირის, ლიტერატურის მიმართულების, პარტიულობისა და ხალხურობის, ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურისა და ამალღებულის პრობლემებს. გამოქვეყნდა არაერთი წერილი, რომელთა ავტორები მოითხოვდნენ დესიუჟეტიზაციას, დეჰეროიზაციას, ბრძოლას უცხადებდნენ „დიდთემიანობას“. ჟურნალში საინტერესო წერილები მიემდგვნა უსიუჟეტო მოთხრობას ამ პერიოდის ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაში, ასოციაციურ აზროვნებასა და კომპოზიციურ სიახლეებს.

ვინც თვალს ადევნებდა სამოციანი წლების ჟურნალ „ცისკარს“ და მისი ერთგული მკითხველი იყო, არ შეიძლებოდა, არ შეენიშნა ერთი სიახლე - სინამდვილესთან მჭიდრო კონტაქტი და ხალხის ცხოვრებით ღრმად დაინტერესება.

დადებითი გმირის მეცნიერული შესწავლა არსებითად XX საუკუნეში იწყება. მართალია, ფასეული გამონათქვამები დადებითი იდეალის გამოხატველი პერსონაჟების შესახებ ადრეულ საუკუნეებშიც არსებობდა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ სისტემური ხასიათი.

„გმირს“ საზოგადოებამ იმთავითვე დააკისრა ზნეობრივი პრობლემების გადაწყვეტის მისია. მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რასაც ის ამკვიდრებდა ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი. ამიტომ „გმირული“ მჟღავნებოდა, ერთი მხრივ, თავგანწირვითა და მსხვერპლშეწირვით, მეორე მხრივ - ზნეობრივი მაგალითის მიცემით.

ნებისმიერი გმირი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟს წარმოადგენს, მაგრამ ყველა პერსონაჟი არ არის „გმირი“. ტერმინ გმირით აღინიშნება ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი, „მთავარი მოვლენის მატარებელი“ (მ. ბახტინი), რომლის საშუალებითაც ხშირ შემთხვევაში გადმოცემულია ავტორისათვის მნიშვნელოვანი თვალსაზრისი არსებულ სინამდვილეზე, სხვა პერსონაჟებზე და ა.შ.

საინტერესოა დადებითი გმირის მიმართება ისეთ ტერმინებთან, როგორებიცაა: პერსონაჟი, ხასიათი, ლიტერატურული ნაწარმოების გმირი, იდეალური გმირი, ლირიკული გმირი და ა.შ.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში V საუკუნიდან მოყოლებული, ჰეგელის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მეტწილად „მსახურების ჰეროიკის“ გამოვლენას ვხვდებით, ანუ, როდესაც გმირს ამომრავებს სამშობლოს სამსახურის, ქვეყნის გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის სურვილი, თუმცა ვაჟა-ფშაველამ „მსახურების ჰეროიკასთან“ ერთად („ბახტრიონი“), შემოგვთავაზა „ზნეობრივი ჰეროიკის“ მაგალითებიც (ალუდა, ჯოყოლა, მინდია).

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, დადებითი გმირის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: მწერლის დადებითი გმირი არის ლიტერატურული ნაწარმოების ისეთი პერსონაჟი, რომელშიც უშუალოდ განსახიზვნებულია მწერლის საზოგადოებრივი და ესთეტიკური იდეალები, რაც სავსებით ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ყოველი პერსონაჟი, რომელიც არ არის უარყოფითი თვისებების მქონე, შეიძლება ჩაითვალოს მწერლის დადებით გმირად (1; 209).

ამგვარად, დროის, სოციალურ-პოლიტიკური სისტემების, პოლიტიკური კატაკლიზმების შესაბამისად იცვლება წარმოდგენა გმირულ ხასიათსა და დადებით გმირზე. ყოველ ეპოქას თავისი ზნეობრივი იდეალი გააჩნია, რომელიც დროის კვალდაკვალ იცვლება, ხოლო ზნეობრივი გმირი მას უნდა შეესატყვისებოდეს. ამიტომაც, „დადებითი გმირის“ საყოველთაოდ აღიარებული, უნივერსალური განმარტება დღესაც არ არსებობს და არც შეიძლება, რომ არსებობდეს (2; 132).

დადებითი გმირის პრობლემის ცალკე გამოყოფით, საშუალება გვეძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამ მნიშვნელოვან საკითხს და თვალი გავადევნოთ დადებითი გმირის ასახვა-შექმნის პროცესს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გასული საუკუნის 50-60-იან წლებში.

ვფიქრობთ, ეს პრობლემა ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ 1950-იან წლების მეორე ნახევრიდან გაიმართა ფართო დისკუსია ჟურნალის ფურცლებზე და გამოიკა არაერთი ნაშრომი დადებითი გმირის რაობაზე.

ეს პრობლემა ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს. ხსენებულ წლებში ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას საგანგებო შესწავლის საგნად არ გაუხდია ეს საკითხი. მხოლოდ

ზემოთხსენებული დისკუსიის დროს დაიწერა რამდენიმე სტატია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურაში იყო გარკვეული ცდები დადებითი გმირის ასახვისა.

დადებითი გმირის ადრინდელი ინტერპრეტაცია უარყო საბჭოთა მწერლების II საკავშირო ყრილობამ. იმ წლებში, როგორც ვიცით, გაბატონებული იყო მცდარი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ლიტერატურას უპირატესად იდეალური გმირის სახეები უნდა შეეკმნა. ამით საბჭოთა ლიტერატურას დადებითი გმირი დაჰყავდა იდეალური გმირის კატეგორიამდე.

როგორც აღვნიშნეთ, დადებითი გმირის ცნება არ არის მუდმივი კატეგორია, რომელიც არ იცვლის თავის შინაარსს ისტორიულად, პირიქით, ის იცვლება ეპოქის შესაბამისად. ა. გურვიჩის აზრით, XIX საუკუნის ლიტერატურას არ ჰყოლია დადებითი გმირი. ის აღნიშნავდა: „დადებითი გმირი იმდენადაა დადებითი, რამდენადაც ის თავისი მოქმედებით გამოსადეგია მიბამვის მაგალითად“ (6; 157).

გ. გვერდწითელი წერილში „დადებითი გმირის ცნების დაზუსტებისათვის“ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიიჩნევს ზუსტად გაირკვეს დადებითი გმირის როლი ესთეტიკური იდეალის დამკვიდრების საქმეში. აქვე აღიარებს, რომ დადებითი გმირი არ არის ერთადერთი გამომხატველი ესთეტიკური იდეალისა. მისი აზრით, მშვენიერი ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ერთის მხრივ, და მშვენიერი ცხოვრებაში, მეორე მხრივ, შორს არის იგივეობისაგან (3; 112).

ყველაზე უფრო გავრცელებული განსაზღვრებით, გმირის დადებითობა უკავშირდებოდა მის აქტიურ პოზიციას ეპოქის პროგრესული ტენდენციის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ასეთმა ფორმულირებამ საერთო აღიარება ჰპოვა და, ვინც კი ამ საკითხს შეჰხებია, სხვადასხვა ვარიანტით იმეორებდა მას. დადებითი გმირის ეს განსაზღვრა მოიცავდა მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და მონუმენტურ მხატვრულ სახეებს.

დადებითი გმირის ასეთი დახასიათება არ იყო ამომწურავი და მას გავრცობა სჭირდებოდა. ამასთანავე ლიტერატურამ შექმნა იმ ადამიანთა სახეები, რომელთათვისაც ახალი ცხოვრების მიღება დაკავშირებული იყო უდიდეს შინაგან განცდებთან, ზოგჯერ კი შეგნებისა და ფსიქიკის საფუძვლიან ცვლასთან.

დადებითი გმირის დაკავშირება მხოლოდ პროგრესული ტენდენციისათვის ბრძოლასთან მათ განზე რიყავს. ზოგიერთი კრიტიკოსი ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად დადებით გმირებს რამდენიმე კატეგორიად ყოფს. ერთნი ყოფენ მათ უბრალოდ დადებითებად, სრულ დადებითებად, მიახლოებით იდეალურებად და იდეალურებად; მეორენი - დადებით პერსონაჟებად და დადებით გმირებად. ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ „მაღალი რანგის დადებითი გმირის“ ცნების შემოტანაც განიზრახა.

კრიტიკოსი გ. გვერდწითელი ყოველგვარ მსგავს ცდას დადებითი გმირის ცნების ხელოვნური დიფერენცირებისა, ფუჭად და უსარგებლოდ მიიჩნევს. მისი აზრით, სრულიად ზედმეტია ლიტერატურული გმირების საყოველთაოდ აღიარებული დაყოფის-დადებითად და უარყოფითებად - გართულების ცდა (3; 117).

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საჭიროა უფრო ფართო განსაზღვრა დადებითი გმირის ცნებისა.

როდესაც კრიტიკოსი თავის მოვალეობად მიიჩნევს არა საფუძვლიან მხატვრულ ანალიზს, არამედ დადებითი გმირის მზა იარაღის მიკერებას ლიტერატურული სახისადმი, მაშინ ხშირად გმირი არ თავსდება არც დადებითისა და არც უარყოფითის ჩარჩოებში და რჩება რაღაც „შუალედურ“ მდგომარეობაში. სამართლიანად აღნიშნავდა თავის წერილში გ. გვერდწითელი, რომ როდესაც ქართული პროზის დადებით გმირზე იწყება საუბარი, გვადის არავინ იხსენიებსო.

ლ. ქიაჩელი დიდი სიყვარულითა და განსაცვიფრებელი იუმორით ხატავს ნაცარქექიას შორეული შთამომავლის-გვადის მეორედ დაბადების სურათებს. მაშინაც კი, როდესაც უქნარა გვადის დასაძრახ მხარეებს ამხელს, მწერალი გვარწმუნებს, რომ გვადი სულის სიღრმეში წმინდა ბუნების მატარებელია. განსაკუთრებული სიცხადით ჩანს ეს მის დამოკიდებულებაში მცირეწლოვანი შვილებისადმი. გვადის მიერ ძველი ცხოვრებისაგან მიღებული მავნე ჩვევების უკუგდება, განვითარების პერსპექტივა, სრულ უფლებას აძლევს გ. გვერდწითელს მიიჩნიოს იგი დადებით ტიპად და დასაშვებად მიაჩნია, მოიხსენიებოდეს იგი დადებითი გმირების საუკეთესო სახეთა შორის.

ქურნალ „ცისკრის“ 1959 წლის მესამე ნომერში კრიტიკოსი გ. გვერდწითელი წერდა: „ლიტერატურული გმირის დადებითობა და უარყოფითობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაირკვეს, როდესაც იგი განხილულ იქნება მის განვითარებაში, გაირკვევა მისი პოზიცია ცხოვრების მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, გათვალისწინებული იქნება, თუ რა ადამიანური თვისებების გამო ირჩევს იგი ამა თუ იმ სწორსა თუ არასწორ გზას“ (5; 104).

უდავოდ, გვადის ბუნებაში ბევრ ადამიანურ ღირსებას ვხედავთ, მას გააჩნია ადამიანური სისუსტეებიც და მოვალეობის განცდაც. გვადი ბიგვას პიროვნებაში ნაწარმოების პირველივე სტრიქონებიდანვე თავს იჩენს ორი ბუნება: უარყოფითი და დადებითი, რომლებიც ხშირად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ყურადსაღებია რ. თვარამის წერილი „ახალგაზრდა პროზაიკოსები“, რომელშიც ავტორი თავის შეხედულებებს გვიზიარებს 1960 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ მოთხრობების კრებულზე, რომელსაც დიდი ინტერესი აღუძრავს მკითხველთა შორის. კრიტიკოსს მართებულად შეუნიშნავს (7;102), რომ მაშინდელ ახალგაზრდა შემოქმედთა უმეტეს ნაწილს საგრძნობლად იტაცებდა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს შეცნობისა და მასთან თავიანთი მიმართების გარკვევის საკითხი. ამავე დროს, დადებითი გმირის პრობლემა კვლავ იქცა დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტად.

მაგალითად, გ. რჩელიშვილს არ სწამდა სიკვდილის ემოციურად შეგრძნება. მისი იდეალი ძლიერი, თავდაჭერილი, სიტყვაძუნწი პიროვნებაა - საკუთარ განცდათა ნამდვილი უფალი. ავტორი სიკვდილზე გასამარჯვებლად აუცილებლად მიიჩნევდა მისთვის დიდი ადამიანური ღირსების - ჭირთა თმენის დაპირისპირებას. ასეთია ალფრედ კურელა („სიკვდილი მთებში“), რომლის მეუღლე ცხენიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

„---ჰო,--თქვა გურამმა,--ჯერ შატლით წასულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.

„---მაგ „რომ“-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული , მაგ „რომ“-ების უზარმაზარი ჯაჭვი შეიძლება გაკეთდეს. ასე რომ ჩავყვეთ, მივალთ იქამდე, „რომ“ საერთოდ არ დაბადებულიყო, არც მოკვდებოდა.“

ო. იოსელიანი სხვანაირად მიუდგა ამავე პრობლემას. მისი ლევანა ვერ იზიარებს ალფრედ კურელას ფილოსოფიას, რომელიც ამბობდა: „ჩვენ ასე გავზარდეთ შვილები: მოკვდა ესე იგი მოკვდა“. პრობლემის ამგვარად დასმა ახალი არ იყო, სიახლეს აქ ქმნიდა სტილი, რომლითაც ავტორები ხსნიდნენ თავიანთი გმირის ფსიქიკას.

რ. თვარამე მითითებულ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გმირის ძიებამ ზოგი ახალგაზრდა მწერალი მთისკენ წაიყვანა, რაც ჩვენს პროზაში ახალ და ფსიქოლოგიურად ძალზე საინტერესო ეტაპს წარმოადგენდა. პიროვნება მხოლოდ თავისი თავის ამარა უნდა წარმდგარიყო უსასრულობისა და სტიქიური ძალების წინაშე. ამ გამოცდას უნდა განესაზღვრა მისი პიროვნული შესაძლებლობანი, მისი სისუსტე თუ სიძლიერე. სწორედ ეს იყო კათარზისი, რომლის შემდეგ გაცილებით მეტი ფასი ენიჭებოდა ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებში მოპოვებულ გამარჯვებებს. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ისინი უპირისპირდებოდნენ ქართული ლიტერატურის იმ გმირებს, რომლებიც სწორედ მთას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ერთი სხვაობით: მათ აღარ აინტერესებდათ ბუნებასთან პიროვნების შერწყმა-არშერწყმის პრობლემა, მათი მიზანი იყო პირვანდელ ბუნებას უკვე ძალზე დაშორებული თანამედროვე ინტელიგენტის, რთული ფსიქიკის მქონე ადამიანის გამოცდა მთიან გარემოში. გ. გეგეშიძის, მ. ელიოზიშვილის, გ. რჩელიშვილის, თ. ნატროშვილის და სხვა პროზაიკოსების ქმნილებებში განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა გმირის პრობლემის გამო წუხილი. ეს არ იყო შემთხვევითი ამბავი. გმირის პრობლემა იმდროინდელ ქართულ მწერლობაში ერთობ მწვავედ იდგა.

რ. თვარამის მტკიცებით, მკითხველს არაფრად აინტერესებს ლოზუნგებით მეტყველი ყალბი გმირი. ასეთი გმირები კლავენ ლიტერატურას, რადგან მათში არ არის უმთავრესი---ადამიანის შინაგანი სამყარო. ჩვეულებრივი ადამიანი, კონკრეტული პიროვნება, მისი ემოციები, ფიქრები, მისი ცხოვრება---აი რა არის მწერლობის საგანი, მაგრამ ზოგიერთმა პროზაიკოსმა ჩვეულებრივი ადამიანის ცნება ყალბად გაიგო (7;103).

დადებითი გმირის საკითხს კრიტიკულ რეალიზმსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ რომანტიზმში საინტერესო წერილი უძღვნა ოთარ ჯინორიამ 1957 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში. ავტორი წერდა: „ნამდვილი რეალიზმის გმირი არის ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქის მოწინავე წარმომადგენელი--ფაუსტური პიროვნება, რომელიც უკვე მიღწეულით, განხორციელებულით კი არ კმაყოფილდება, არამედ სწორედ განჭვრეტილი მომავლის პერსპექტივით ცხოვრობს. ის არის პროგრესული ადამიანი, მიმდინარე დღის საღი პრაქტიკოსი და ხვალინდელ დღეებზე მგზნებარე მეოცნებე, რომელიც თავის ხასიათსა და მოქმედებაში განუყრელად აერთებს მკაცრ სიფხიზლეს რეალისტიკას და გაბედულ აღმაფრენას რომანტიკოსისას“ (8;78).

ზემოთქმულიდან დასტურდება, რომ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურას ჰყავდა თავისი დადებითი გმირი. XIX საუკუნის კრიტიკულ-რეალისტურმა ლიტერატურამ არათუ ასახა

დადებითი გმირები, არამედ ამ საუკუნის მწერლობის ცალკეულ წარმომადგენლებთან ვხვდებით შეხედულებათა გარკვეულ სისტემას დადებითი გმირის თაობაზე.

დისკუსია მხატვრულ ლიტერატურაში დადებითი გმირის შესახებ მიმდინარეობდა საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის წინა პერიოდში. მწვავე კამათი გაიმართა ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის. ერთი მხარე არა მარტო იცავდა დადებითი გმირის სახის შექმნის კანონზომიერებას, არამედ საკითხი არსებითად განსაკუთრებული სახეების შექმნის აუცილებლობამდე დაჰყავდა, ლიტერატურის სრულფასოვან გმირებად მხოლოდ იდეალურ გმირებს მიიჩნევდა.

მეორე მხარე კი, პირიქით, ებრძოდა მხოლოდ იდეალური გმირების შექმნის ტენდენციას და ფაქტიურად დადებითი გმირების წინააღმდეგ გამოდიოდა და პრინციპულად მოითხოვდა წინააღმდეგობებით სავსე მხატვრული სახეების შექმნას. ამ უკანასკნელთა აზრით, მხოლოდ იმ გმირებს შეეძლოთ ჰქონოდათ გავლენა მკითხველზე, რომლებიც თანდათან თავს დააღწევდნენ მათთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს.

ორივე მოკამათე მხარის საერთო ნაკლი ის იყო, რომ ისინი ნებით თუ უნებლიედ მოითხოვდნენ გარკვეული სქემების დადგენას დადებითი გმირის სახის შესაქმნელად. ჭეშმარიტი ლიტერატურა და ხელოვნება კი არავითარ სქემებსა და რეცეპტებს არ ემორჩილება.

დასკვნა:

ნაშრომში გვსურდა შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა აზრთა ის სხვადასხვაობანი და დროის კონიუნქტურა, რომლებიც დომინირებდნენ დადებითი გმირის პრობლემის ირგვლივ. ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად დადებითი გმირის ვიწრო ჩარჩოებში მოქცევა.

ნაშრომი შემოიფარგლება ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი რამდენიმე სტატიით, თუმცა დადებითი გმირის საკითხს არაერთი წერილი მიემდგნა, რომელთა ავტორებიც ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ დასმული საკითხის პრობლემატურობაში: გ. გვერდწითელი - უკანასკნელი წლების ქართული მხატვრული პროზა და დადებითი გმირის პრობლემა(1958, №12); დიმიტრი თუხარელი- დადებითი გმირის შესახებ ქართულ საბჭოთა პროზაში(1959, №8); გ. ნატროშვილი - მწერლის ჭეშმარიტი გზა(1958; №8); ო. პაჭკორია - „შუადღის“ ილუზიები(1962; №12).

ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა ყველა წერილზე ყურადღების შეჩერება, რასაც, იმედია, შემდგომ კვლევაში განვახორციელებთ.

საჭიროდ მიგვაჩნია, სისტემაში მოყვანა ამ პრობლემის ირგვლივ დაგროვილი მასალისა, რაც სათანადო ანალიზით გამოჰყოფდა პოზიტიურსა და ნეგატიურს ამ საკითხში და მოგვეცემა ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებების სინთეზურ სურათს.

რასაკვირველია, ნაშრომში იქნება სადავო საკითხებიც, ურომლისოდაც შეუძლებელია დაიწეროს თუნდაც მცირე მოცულობის გამოკვლევა ისეთ პრობლემურ და საკვანძო საკითხზე, როგორიცაა ლიტერატურისათვის დადებითი გმირის საკითხის არსი.

ლიტერატურა:

1. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1995, გვ. 209.
2. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008, გვ.132.
3. გვერდწითელი გ., დადებითი გმირის ცნების დაზუსტებისათვის, ჟ. „ცისკარი“, 1957, №3, გვ.112; 117.
4. გვერდწითელი გ., „კოლხეთის ცისკრის“ გმირები. ჟ. „ცისკარი“, 1958, №2; გვ.122..
5. გვერდწითელი გ., ლეო ქიაჩელი და მისი გმირები, ჟ. „ცისკარი“, 1959, №3; გვ. 104.
6. გურვიჩი ა., დადებითი მაგალითის ძალა, ჟ. „Новый мир“, 1951, №9; გვ.157.
7. თვარაძე რ., ახალგაზრდა პროზაიკოსები, ჟ. „ცისკარი“, 1961, №1; გვ. 102; 103.
8. ჯინორია ო., დადებითი გმირის საკითხისათვის კრიტიკულ რეალიზმსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ რომანტიზმში, ჟ. „ცისკარი“, 1957, №2, გვ.78.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ჟურნალ „ცისკარში“ 1957-1963 წლებში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, რომელთა მიზანი ქართულ მწერლობაში დადებითი გმირის ძიების პრობლემატიკა იყო. ჩვენ შევეცადეთ ობიექტური შეფასება მიგვეცა ცალკეული ლიტერატურათმცოდნეების კრიტიკული ნააზრევისათვის და წარმოგვეჩინა აზრთა ის სხვადასხვაობანი და დროის კონიუნქტურა, რომლებიც დომინირებდა დადებითი გმირის პრობლემის ირგვლივ.

THE PROBLEMS OF POSITIVE CHARACTER IN THE JOURNAL “TSISKARI” (1957-1963)

Tamar Sidamonidze, Specialist by contract

RESUME

The critical letters published in the journal “Tsiskari” in 1957-1963 are discussed in this article. The aims of these letters were finding the problems of the positive characters in the Georgian Literature. We tried to give the objective assessment to the critical thoughts of separate literature experts. We also wanted to show the different opinions and conjuncture, which were dominating round the positive character’s problems.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების „მთვარის მოტაცება“ და „დიონისოს ღიმილი“ სწავლების ზოგიერთი პერიპეტია

მარინა გერცვაძე, სრული პროფესორი

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სრულყოფილი სახელმძღვანელო არ არსებობს. თანამედროვე სასწავლო პროცესში განსაზღვრული როლი სილაბუსს ეკუთვნის, სადაც მოთხოვნაა როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებზე. წინა წლებში ვცადეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და კრიტიკული წერილების კრებული ისე შევადგინეთ, რომ მასში შეტანილ ყოველ წერილში XX საუკუნეში მოღვაწე მწერლების შემოქმედება შეფასებულიყო XXI-ე საუკუნის გადასახედიდან. როგორი შეიძლება იყოს XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო? ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად ძიებაა საჭირო. ამ ძიების გზაზე ვცდებით შევადგინოთ პრაქტიკული მეცადინეობის მოდელი, კ. გამსახურდიას ორი რომანის „მთვარის მოტაცება“ და „დიონისოს ღიმილის“ მაგალითზე.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ჩართულია ბოლონის პროცესში, სადაც კრედიტების მინიჭებით ხდება სტუდენტის მიერ საგნის ათვისების შეფასება. კრედიტების მინიჭებისას საათების გარკვეული რაოდენობა უჭირავს დამოუკიდებელ სამუშაოს, პრაქტიკულ მეცადინეობას, ლაბორატორიულ სამუშაოს, შევეცდებით შევადგინოთ ზოგადი მოდელი როგორ უნდა იმუშაოს სტუდენტმა ლექციის შემდგომ ამ ორი რომანის მაგალითზე.

დღეს, როცა არ არსებობს ცენზურა და მწერალს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, დაუპირისპირდეს ოფიციოზს, ძნელია სტუდენტებს თვალნათლივ დაანახო ის რთული პერიოდი, როცა კონსტანტინე გამსახურდია ქმნიდა თავის შედეგებს. როგორ უნდა ავხსნათ, რომ 1973 წელს გამოცემული ატომეულის წინასიტყვაობაში კრიტიკოსი ბესო ჟღენტის თვით ისეთ ნაწარმოებებშიც კი როგორცაა „დიონისოს ღიმილი“, „ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ლილი“, „ზარები გრიგალში“ ხედავს ანარეკლის ახალი ეპოქის სუნთქვას. მას მიაჩნია, რომ ეს ყველა ნაწარმოები მხოლოდ იმიტომ შექმნა ავტორმა, რომ ნათლად ეჩვენებინა „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წარმოშობილი ახალი სოციალური ატმოსფერო“, თუმცა ავტორს ნაკლად უთვლის იმას, რომ მის ყურადღებას „დამარხცხებული და განადგურებული ძალების უკანასკნელ ნაშიერთა მახინჯი გამოვლინებანი იპყრობენ და არა ახალი სინამდვილის, ახალი ნათელი სამყაროს მამულებელ ადამიანთა სულიერი მშვენება და ძალა“ [2, 352]. 1925 და 1933 წლებში დაწერილ „დიონისოს ღიმილის“ ორ ბოლოსიტყვაობაში კ. გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავს – სავარსამიმე განწირული აზნაურების უკანასკნელი მოჰიკანიაო. ამის მიუხედავად თხრობაც

პირველ პირშია და მთავარ გმირსაც კონსტანტინე ჰქვია სახელად. ამით, ალბათ, ავტორმა ხაზი გაუსვა მისი და რომანის გმირის ბიოგრაფიულ და სულიერ მსგავსებას. კონსტანტინე გამსახურდიამ კარგად იცოდა, რომ კრიტიკა 1932 წლამდე განუკითხავად აიგივებდა გმირისა და ავტორის ფსიქოლოგიას, აზროვნებას და ზნეობას. ამისდა მიუხედავად იმდენად დიდი ადგილი უჭირავს „დიონისოს ღიმილს“ მის შემოქმედებაში, რომ სამჯერ აღადგინა და იმ სოფლად რომანის დარდი არ გაიყოლა. 1936 წელს ის თამამად წერს, „მე არ ვეთანხმები ბესო ჟღენტს... თითქოს ახალი ადამიანი იყოს მარტო კომკავშირელი, კოლმეურნე, დამკვერელი ან სტახანოველი; ის თავადი, რომელსაც წაართვეს სათავადო ადგილ-მამული... მეწისქვილე, რომელსაც წაართვეს წისქვილი... ის მეწისქვილე კი არ არის, თვითონაც არ იცის რა არის; ანდა მღვდელი, რომელსაც სამრევლო წაართვეს... ჩემი თაობის კაცს ძალიან გაუძნელდება ამ ახალი ადამიანის მოცემა“ [3, 47].

ბესო ჟღენტი კვლავ ჯიუტად იმეორებს, რომ კ. გამსახურდიამ გადალახა ურთულესი მიზეზებით სავსე მტკივნეული პერიოდი და 30-იანი წლების დამდეგისთვის საბოლოოდ დაადგა „საიმედო გზას, რომელიც ორგანულად შეერთო და დაუკავშირდა სოციალისტური კულტურის განვითარების მაგისტრალურ გეზს“ [2, 355]. ყველამ კარგად იცოდა, რომ კ. გამსახურდია ამ მაგისტრალური გეზის ერთგული არასოდეს ყოფილა, ბესო ჟღენტი კი „მთვარის მოტაცების“ შექმნას უკავშირებს იმ პერიოდს, როცა „ინტელიგენცია ერთსულოვნად ირაზმებოდა სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებისა და კომუნისტური პარტიის გარშემო და იწყებოდა სოციალისტური რეალიზმის მშენებლობის დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა“ [2, 14]. სოციალისტური კრიტიკის მთავარ იდეოლოგს სურს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ამ რომანით კ. გამსახურდიამ „პირველად გამოხატა და მხატვრულად დაასაბუთა ბნელეთისა და მონობის სამყაროსთან შეჭიდებული ახალი, ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი ცხოვრების გარდაუვალი გამარჯვების კანონზომიერება, წრფელად და მთელის გულით უმღერა ქვეყნად სოციალური თანასწორობის, თავისუფლების და სამართლიანობის დიდი ნათელის განუყოფლად დამკვიდრებას“ [2, 14]. ამ საკმაოდ მოზრდილ ციტატაში რამდენი სიტყვაა, იმდენი სიცრუეა, რადგან რომანში წინა პლანზე სწორედ ძველი ცხოვრებაა წამოწეული და ეს ავტორს კარგადაც გამოსდის, რადგან მიაჩნია, რომ გვანჯ აფაქიმეს და ტარიელ შარვაშიძეს 15-20 საუკუნის ტრადიცია უმაგრებს ზურგს, არზაყანს – არაფერი. თუმცა ზოგიერთ წერილში ჩანს ის შიში, რაც თან ახლავს არზაყანის სახით კომუნისტის სახის ჩვენებას. მწერალმა კარგად იცის, რომ მას აუარებელი მტერი ჰყავს, რომ შეიძლება ეს „ახალი კაცი“ უფრო „სუფთად“ გამოიყვანო, რომ შლეგი უნდა იყვე, რომ ათიათასიან კომკავშირელს პირში უთხრა თქვენც ისეთივე საზიზღრები ხართო. მაგრამ ეს არის მისი ბედისწერა, წეროს ის, რასაც განიცდის. „ბედისწერაა არა ის, რაც ადამიანს შეემთხვა, არამედ იგია ბედისწერა, რასაც ადამიანი საკუთარ სულში ატარებს“ [3, 35].

ელგუჯა მადრამეს მიაჩნია, რომ კონსტანტინე გამსახურდია იყო თავის მიერ შექმნილ გმირთა ნამდვილი ასლი და, თუმცა ბევრი გვსმენია მის პრინციპულობაზე, მაინც აიძულეს შეეცვალა „მთვარის მოტაცების“ ფინალი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ავ. ბაქრაძე იგონებს, რომ როდესაც ლექციაზე განიხილა შვილის მიერ მამის მოკვლის პრობლემა, არზაყან ზვამბაიას მაგალითი მოიშველია. ლექციის ბოლოს ერთმა სტუდენტმა მორიდებით ჩასჩურჩულა ყურში – თქვენ შეგეშალათ, არზაყანი არ კლავს მამასო. ლექტორი მსჯელობდა რომანის პირველი გამოცემით, სტუდენტს კი 1947 წლის შემდგომი გამოცემა წაეკითხა. ორივე მართალი ვიყავითო, უხარია აკაკი ბაქრაძეს, რომელიც ამ შენიშვნას მწარე სიმართლით ამთავრებს: რომანში ეს აქტი მწერალს შეაცვლევინეს, ამ შეცვლას თავის მიზანი და ამოცანა ჰქონდა: „კომუნისტები თანდათანობით მიხვდნენ, რომ კომკავშირელი, რომელიც მამას სასიკვდილოდ იმეტებს, საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენს“ [1, 24].

თვითონ კ. გამსახურდია „დიონისოს ღიმილის“ წინასიტყვაობაში ასე მსჯელობს: „ვინც უკანასკნელი ფორმის მანქანიდან ჩამოსვლის შემდეგ ბელეტრისტულ... ნაწარმოებში ცვლილებას შეიტანს, უეჭველია, მას ხელნაწერში კარგად ვერ მოუთავებია სათქმელი და საუწყებელი“ [3, 22]. თუ რა აკლდა რომანს და რა ჰქონდა მწერალს სათქმელი, ამას მხოლოდ პირველ ცოლთან, რებეკა ვაშაძესთან მიწერილ წერილში ამხელს. წერილი 2011 წლის მაისის თვეში გამოაქვეყნა თიურა ვაშაძემ: „მინდა ტრილოგიად ვაქციო სავარსამიდის ეპოპეა, მაგრამ პირობები? 9 თვეა მშიერ-მწყურვალი ვწერ დღე და ღამე“ [6, 3].

ამას ერთვოდა დევნა, დაწერილი რომანების პასუხად მხოლოდ გინება და მტრობა. „მეც ხომ ამირანი არა ვარ, დავიღალე. ჰონორარს არ აძლევენ, საზღვარგარეთ წასვლისა და ჟურნალის ან გაზეთის გამოცემის ნებას არ აძლევენ. “პირზე ბოქლომი მაქვს, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს... ათასწილად მირჩვენია ციხეში ვყავდეთ“ [6, 3]. ასეთ პირობებში იწერება მისი საუკეთესო რომანები. ამიტომ ახსოვს ელგუჯა

მალრადეს ის მუდამ დარდიანი. ახსოვს და თვით გოლგოთას მიმავალი მწუხარე სახის განკაცებული ქრისტე სწორედ ისეთად ყავს წარმოდგენილი, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იყო.

სერგი ჭილაია მოგვიანებით გამოცემულ „ოცწლეულში“ ცდილობს შეავსოს ის ხარვეზები, რომელიც მის XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაშია, თუმცა აქაც ცენზურას უხდის ხარკს და ზოგჯერ თანაბარ სიბრტყეზე აყენებს ორივე პერსონაჟს - არზაყანსაც და თარაშსაც. მას მიაჩნია, რომ არზაყან ზვამბაია იდეურად გაუზარადა, მთლიანი, მონოლითური პიროვნებაა, ამაყი, თავისთავში მეტად დარწმუნებული და წერს „ეს კომუნისტის მეტად თავისებური და საინტერესო სახეა მთელ ქართულ მწერლობაში“.[9, 52] ალბათ, მართლა ცენზურისათვის არის ხარკის გადახდა, თორემ განა შეიძლება დავუშვათ, რომ ასე ეჯერა სერგი ჭილაიას? მისი აზრით, თარაშიც მხოლოდ იმიტომია სიმპათიური, რომ ძველი საქართველოს ახალ საქართველოსთან კავშირი სურს. ისე კი, კლასობრივად დაპირისპირებულ საქართველოს ბრძოლაში თარაში განზე დგას ან ეწინააღმდეგება მძაფრ კლასობრივ ბრძოლას, რომ თარაშს მხოლოდ თანაუგრძობს მწერალი, ეცოდება ის, როგორც ძველი თაობიდან ახალში ვერ გადმოსული, ზედმეტი ადამიანი სწორედ ამ სიბრალულის გამო გამოხატაო ის სულ სხვა პათოსით, განსხვავებით სხვა პერსონაჟებისაგან, რომელთაც ს. ჭილაია „მტრული კლასის წარმომადგენლებს“ უწოდებს. ამავე დროს ვერ უარყოფს, რომ თარაშ ემხვარი და კონსტანტინე სავარსამიძე „ტყუპი მძებრით“ ჰგვანან ერთმანეთს. ჩვენ კი კარგად ვიცით, რომ კ. გამსახურდია თავს აიგივებს კონსტანტინე სავარსამიძესთან, თუმცა წერს „მის ყველა ცოდვას მე ნუ მაკიდებთ, მე ჩემებიც მეყოფაო“.[3, 12]

როდესაც კონსტანტინე გამსახურდია ირჩევდა ამ რომანის ფორმას, კარგად იცოდა, რომ XIX საუკუნის სიტყვაკაზმულ მწერლობას კულტურული რომანის ტრადიცია არ დაუტოვებია. კონსტანტინე გამსახურდიას მიაჩნია, რომ მან ამ რომანით მოძებნა სინთეზური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის და რომ „დიონისოს ღიმილი“ მრავალი წლის ფორმალურ ძიებათა და მიღწევათა ნაყოფია. სწორედ ეს იყო გამოკვლევისას რომანის მთავარი ნაკლი და სწორედ ამით არის ის დაუფასებელი დღეს ჩვენთვის. „მე ავირჩიე ურთულესი ფორმა რომანი ცამეტი ქებისაგან და 52 ნოველისაგან შედგება. გენეტურად იგი დასავლურ რომანიდან გამოდის“ [3, 12]. მაგრამ რომანის მთავარ ღირსებად მაინც ის მიაჩნია, რომ მან პირველმა სცადა ქალაქური ყოფის ასახვა და „ქართული რომანის პერსონაჟების გალერეაში პირველად შემოვიყვანე დიდი სულიერი კულტურის მატარებელი გმირი“ [3, 14]. საუბედუროდ, წლების განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემაში რომანი „დიონისოს ღიმილი“ არ განიხილებოდა.

რაც შეეხება „მთავრის მოტაცებას“, რომანი მწერალმა 1926 წელს დაიწყო. ეს იყო „დიონისოს ღიმილის“ შემდეგ ჩამომდგარი პაუზის დრო. შემდეგ აღარ გაუგრძელებია, რადგან მისთვის ვეღარ მოუცლია. მუშაობას აგრძელებს 1932 წლის შემდეგ, როცა გამოვიდა სკკპ 23 აპრილის დადგენილება, რომლის შემდეგაც, როგორც თვითონ ყვება, „მე ისევ აღვიჭურვე იმედებით“.

1931 წლამდე მწერალი განუწყვეტილად აგროვებდა მასალებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ინვენტარს; მისი აზრით საჭირო იყო ლიტერატურაში თქმულიყო, თუ რა მოხდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. რომანმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რაზეც გამსახურდია პირობას დებს: „რომანში მე მაქვს გადაჭარბება, რომელსაც თუ მოვახერხებ, გამოვასწორებ შემდეგ გამოცემაში“ [2, 84].

რომანი დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ერთ მხარეს მიაჩნია, რომ თარაშ ემხვარი ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის „ერთადერთი სრულყოფილი სახეა ფიქრიანი ინტელიგენტისა“ [5, 92], მეორე მხარე სრულად ვერ აფასებს და ცდილობს თარაშის ტრაგედია ახსნას მისი დრომოჭმული იდეებით და ამ ნიადაგზე ახალი სინამდვილისადმი შეუგუებლობით. ამ მიდგომით შეუმჩნეველი რჩებოდა ის პლასტები და განზომილებანი, რომელიც დღეს აშკარად იკითხება რომანში და რომელიც განსაზღვრავს რომანის ტრაგედიას – თუნდაც უთანხმოება მამა-შვილს – არზაყან და კაც ზვამბაიას შორის, რომელიც ეპოქის წინააღმდეგობებს ასახავს და როგორც აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, არ არის ცხოვრებისადმი დამოკიდებულების რაიმე ფორმა, რაშიც მამა-შვილი ერთმანეთს ეთანხმებოდეს.

დაპირისპირებაა არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემხვარს შორისაც. განსხვავებულია და შეუძლებელია ცხოვრებისადმი და სინამდვილისადმი მათი დამოკიდებულების შერიგება. ისინი მარადიულ მტრებად რჩებიან. თარაშის „გაფაქიზებული და მრავალფეროვანი სული მარადიულ წუხილს განიცდის, არზაყანის მთლიანი და პრიმიტიული სული კი მშვიდია და მტკიცედ მიაბიჯებს მიწისკენ“ [2, 58]. როგორ მოახერხებენ ეს განსხვავებული სულები მორიგებას, მათ შორის მუდამ იქნება მტრობა.

ასეთი კომენტარების შემდეგ ვაძლევთ შემდეგი სახის სამუშაოებს.

1. პრაქტიკული მეცადინეობა - თარაშ ემხვარი - რომანტიკული ტრადიციები.

გ ე გ მ ა

- ა) თარაშ ემხვარის გარეგნობა - როგორ ჯდება ის ტრადიციული, რომანტიკული გმირის ჩარჩოში;
- ბ) თარაშ ემხვარის ადგილი რომანის სხვა პერსონაჟებს შორის;
- გ) თარაშ ემხვარის სიყვარულის ისტორია; თარაშისა და თამარის რომანტიკული სიუჟეტები რომანში;
- დ) დაპირისპირება თარაშ ემხვარსა და არზაყან ზვამბაიას შორის. მათი ბედის მსგავსების და განსხვავების ძირითადი კრიტერიუმები;
- ე) თარაშ ემხვარის პიროვნების გარომანტიკულება რომანის ეპილოგში;
- ვ) რა შეიძლება ითქვას რეალისტურ ტრადიციებზე რომანში „მთვარის მოტაცება“.

დაიწერება რეფერატი თემაზე

„კონსტანტინე გამსახურდია ქართულ ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელი რომანში „მთვარის მოტაცება“

სიახლე და ტრადიცია რომანში

მემამულის სახლ-კარი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ და „მთვარის მოტაცებაში“.

საშინაო ლაბორატორიული სამუშაო

1. შეადარეთ თარაშ ემხვარის და კონსტანტინე სავარსამიძის პორტრეტები.
2. შეადარეთ არჩიხალდ მეკემის და ვამეხის ძმობა გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „გველის პერანგი“ და არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემხვარის „ძმობა“, როგორ ხატავს ამას კ. გამსახურდია და როგორ – გ. რობაქიძე.
3. როგორ ამთავრებს სიცოცხლეს თარაშ ემხვარი რომანის ეპილოგში. მოძებნეთ მის სიკვდილში რომანტიკული მოტივები.

მომზადეთ კონსპექტი - მოხსენება თემაზე: არზაყან ზვამბაიას სახის თანამედროვე გაცნობიერება დავით თევზაძის ნაშრომში „კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა“ და აკ. ბაქრაძის წერილში „მთვარის მოტაცება - ეპოქის სიკვდილი“

ამრიგად, თუმცა დიდია მცდელობა კონსტანტინე გამსახურდია წარმოადგინონ იმ მწერლად, რომელიც მტკიცედ დგას სოციალისტური კულტურის განვითარების მაგისტრალურ ხაზზე, ყოველი ცდა ამაოა. რომანების ანალიზიც ამ კუთხით გატარდება. კონსტანტინე გამსახურდია არ შეიძლება ერთი რომელიმე მიმართულების თუ მიმდინარეობის ფარგლებში მოვათავსოთ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის არის განმსაზღვრელი და თუ რომელი მიმდინარეობაა განმსაზღვრელი მის შემოქმედებაში ეს ცალკე სტატიის თემაა.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკაკი - მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990;
2. გამსახურდია კონსტანტინე - თხზ. ტ. 8, თბ., 1985;
3. გამსახურდია კ. ოცტომეული, ტ. 2, თბ., 1992;
4. გამსახურდია ზვიად, წერილები, ესსეები, თბ., 1991;
5. თევზაძე დ. კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1996;
6. ლიტერატურული პალიტრა, #5, 2011;
7. მადრაძე ელგუჯა, ორტომეული, თბ., 1983;
8. სარია ზეინაზ - კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება და ექსპრესიონიზმი, თბ., 2009;
9. ჭილაია ს. ოცწლეული (1921-45) თბ., 1986.

რეზიუმე

დღეს, როცა არ არსებობს ცენზურა და მწერალს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, დაუპირისპირდეს ოფიციოზს, ძნელია სტუდენტებს თვალნათლივ დაანახო ის რთული პერიოდი, როცა კონსტანტინე გამსახურდია ქმნიდა თავის შედეგებს.

კონსტანტინე გამსახურდია არ შეიძლება ერთი რომელიმე მიმართულების თუ მიმდინარეობის ფარგლებში მოვათავსოთ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის არის განმსაზღვრელი, თუმცა დიდია მცდელობა კონსტანტინე გამსახურდია წარმოადგინონ იმ მწერლად, რომელიც მტკიცედ დგას სოციალისტური კულტურის განვითარების მაგისტრალურ ხაზზე.

SOME TEACHING ASPECTS OF THE NOVELS “STEALING THE MOON” AND “DIONYSUS’ SMILE” BY KONSTANTINE GAMSAKHURDIA

Marina Tsertsvadze, Full Professor
RESUME

Today, when there is no censorship and a writer can express his or her opinion freely it is difficult to show students that difficult period when Konstantine Gamsakhurdia was creating his masterpieces.

Konstantine Gamsakhurdia can not be placed within the frames of only one direction or trend; one of them is always determinative; there is a great attempt to present Konstantine Gamsakhurdia as such writer, who stands firmly on the development line of socialist culture.

ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ ДИСКУССИОННОЙ КУЛЬТУРЫ СТУДЕНТОВ ПРИ ОБУЧЕНИИ ИСТОРИИ РУССКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

*ნატელა ხინჩაგაშვილი, პროფ.
ელენა ხირსელი, приглашённый специалист*

Одной из задач литературного образования сегодня является совершенствование умений анализа и интерпретации литературного произведения как художественного целого в его историко-литературной обусловленности и культурном контексте. Выработка новых стратегий образования и воспитания, учитывающих необходимость перестройки системы ценностей - это сегодня, пожалуй, наиболее сложная, но и наиболее важная задача. Она недостаточно осмыслена, поэтому существенна сама её постановка, требующая критического анализа уже привычных и наработанных подходов.

Наиболее полно использовать и развивать интеллектуальные особенности студентов позволяют семинарские занятия. Их цель состоит в том, чтобы сделать теоретические обобщения изученного материала, выделить основные положения, показать связь внутри темы и между темами, провести систематизацию знаний. Семинары – важная форма выработки у студентов самостоятельности, активности, умения работать с литературой, творчески мыслить и действовать. Одним из видов семинара является семинар-диспут, основанный на дискуссии.

Формирование у студентов дискуссионной культуры является актуальным направлением работы в современном вузе. Это связано с тем, что дискуссия помогает студентам более эффективно усваивать программный материал, так как они его «добывают» самостоятельно, решая в процессе обсуждения познавательные задачи.

Проанализировав доступную нам учебную, научную и методическую литературу, мы увидели, что проблема формирования дискуссионной культуры студентов в современной теории и методике обучения в целом не разработана. В частности, мы не увидели конкретных методических рекомендаций, указаний по проведению занятий в форме дискуссии. Задачей нашего исследования является разработка и апробирование приемов формирования дискуссионной культуры на практических занятиях по истории русской литературы.

В изученной нами литературе мы не обнаружили понятия «дискуссионная культура студентов». На наш взгляд, это связано с тем, что в современной науке не существует однозначного определения понятия «дискуссия»: так, Л.Г. Павлова рассматривает дискуссию как – «публичный спор, целью которого является выяснение и сопоставление разных точек зрения, поиск, выявление истинного мнения, нахождение правильного решения спорного вопроса». [3,6]; О.М. Казарцева говорит, что «дискуссия – устное коммуникативное взаимодействие группы студентов, которое организуется для обмена мнениями, связанными с изученными предметами» [1,162]; В.И. Максимов отмечает, что «дискуссия – это вид спора, в рамках которого рассматривается, исследуется, обсуждается какая – либо проблема с целью достичь взаимоприемлемого, а по возможности и общезначимого её решения. Как правило, участниками дискуссии являются лица, которые обладают необходимыми знаниями по обсуждаемым вопросам». [2,118]

Как видим, во всех приведенных выше определениях общим является то, что дискуссия – это спор – исследование, способ познания. Таким образом, дискуссионная культура может быть, на наш взгляд, определена как совокупность определённых коммуникативных умений:

- умения учащихся придерживаться избранной темы и основного вопроса обсуждения. На протяжении всей дискуссии этот вопрос (основной тезис дискуссии) должен находиться в поле зрения участников и оставаться неизменным;

- умения слушать и слышать. Участники должны высказываться по очереди и иметь равные права объема высказывания. В официальных дискуссиях, например, научных или деловых, объём выступлений планируется заранее и доводится до сведения всех участников;

- умения убеждать друг друга, приводя весомые аргументы, факты, высказывать суждения, делать умозаключения;

- умения заметить логические ошибки и противодействовать уловкам, то есть, проанализировав выступление партнёра, надо быстро соотнести его точку зрения с собственной, после чего аргументировано определить свою позицию;

- умения терпимо относиться к коллегам и не переходить на личности.

Основным средством формирования дискуссионной культуры на ПЗ является проведение учебных занятий в форме дискуссии, а также систематическое использование дискуссионных приемов. Этот тип ПЗ тоже олицетворяет собой одну из особенностей переживаемого сегодня времени: признание важности и полезности обсуждений. Диспут - это спор, полемика. Если к какой-то проблеме могут быть принципиально разные подходы или о ней существуют противоположные мнения, то она может стать темой ПЗ - диспута. Главная ценность этого занятия состоит в том, что в нем формируется диалектическое мышление студентов. Но такие ПЗ позволяют решать и многие другие педагогические задачи:

- они вовлекают в непринужденный, живой разговор студентов и этим помогают избежать формализма в знаниях;

- учат высказывать свое мнение и обосновывать его;

- приучают к диалогу, т.е. обучают вникать в доводы оппонента, обнаруживать в них слабые места, задавать вопросы, помогающие вскрывать неверные утверждения, искать и спокойно приводить контрдоводы, а это все важно для студентов в современных условиях свободы слова и плюрализма мнений;

- чтобы участвовать в диспуте, нужно знать фактический материал темы, и поэтому к ПЗ-диспуту студент повторяет пройденное и читает дополнительную литературу;

- ПЗ – диспуты активно способствуют превращению знаний в убеждения.

ПЗ - диспуты сегодня довольно активно входят в практику вуза. Сложность их организации состоит в том, что педагогу нужно иметь достаточную эрудицию, чтобы поддерживать спор и направлять его в нужное русло. Мы долгое время любую информацию воспринимали как истину и привыкли к этому, у нас не выработаны критический подход и культура диалога, наконец, мы не умеем правильно формулировать темы диспута. По этим причинам попытка организовать ПЗ-диспут оканчивается чаще всего проведением занятия с традиционными сообщениями.

Мы предлагаем апробированную схему проведения дискуссии на ПЗ по истории русской литературы. Она универсальна и может подходить практически к любой теме программы.

Для подготовки к ПЗ студенты знакомятся с рекомендуемой литературой (названа ниже) и сами находят дополнительную, т.е. такую, в которой освещаются положительные и отрицательные аспекты обсуждаемого вопроса. Участников дискуссии делят заранее на две противоборствующие группы. Первая подбирает примеры, факты и аргументы, свидетельствующие о плюсах обсуждаемого факта. Вторая ведет отбор фактов и аргументов, доказывающих негативные аспекты. Кроме того, каждая группа готовит 1-2 «каверзных» вопроса своим оппонентам, таких, чтобы пришлось искать новые доказательства в защиту своей точки зрения.

Для ведения ПЗ можно выбрать и другую схему. Сначала выступает участник из первой группы, потом в диалог вступают студенты из второй группы. Они задают друг другу вопросы, выслушивают ответы, соглашаются или спорят, приходят к общему мнению. В конце занятия преподаватель подводит итог дискуссии. Он может дать задание для домашней самостоятельной работы, например, написать эссе, используя материалы дискуссии.

Мы считаем, что при организации ПЗ в форме дискуссии необходимо использовать такие наглядные материалы, как памятки, в которых даны нормы поведения участников дискуссии. Например, в памятке с нормами поведения участников дискуссии, на наш взгляд, необходимо указать следующие правила поведения в ходе дискуссионного обсуждения. Все участники обязаны:

- внимательно слушать и стараться понять собеседника;

- описывать явления, процессы, события; доступно объяснять;

- правильно формулировать и задавать вопросы, контрвопросы, доказывать;

- быть независимыми и оригинальными в суждениях и выводах;

- аргументировано критиковать;
- уметь опровергать, отстаивать свою позицию, обобщать и делать выводы;
- высказывать оценочные суждения и обязательно соблюдать этику спора.

В памятке с критериями оценки дискуссии мы апробировали следующие параметры деятельности участников дискуссионного обсуждения:

- обязательное достижение поставленной цели;
- получение новых знаний;
- удовлетворенность результатами дискуссии;
- правильность, логичность изложения мысли;
- использование приемов доказательства и опровержения;
- проявление активности и инициативности при обмене мнениями, соблюдение правил и регламента дискуссии.

За ходом ПЗ следит преподаватель, при этом он должен воздерживаться от собственных суждений, ему необходимо уточнять, пояснять высказывания студентов с помощью вопросов, перефразирования; преподаватель не может игнорировать ни одного их вопроса и ответа, он следит за тем, чтобы у участников дискуссии было время для обдумывания ответов, наблюдает за соблюдением правил ведения дискуссии.

Правила ведения дискуссии предусматривают организованные выступления, когда каждый участник может выступать только с разрешения ведущего дискуссии. В обсуждении следует предоставить каждому участнику возможность высказаться; каждое мнение, позиция каждого участника должны быть внимательно рассмотрены.

Полезно рекомендовать студентам буквально для заучивания общепринятые фразы - помощники для выступающих в ходе дискуссии, такие, например, как: *Мы утверждаем, что... Мы согласны с высказыванием... Этот тезис подтверждается... В качестве аргумента, подкрепляющего нашу позицию, мы могли привести следующий пример... Мы согласны с высказыванием... Хотелось бы добавить... Рассмотрев приведенный предыдущим оратором пример, мы заметили, что... Из вашего выступления можно заключить... В ходе нашей дискуссии... Правильно ли мы вас понимаем...? В ходе своего выступления вы высказали мнение, что... Отвечая на ваш вопрос... Вы действительно утверждаете, что...? Почему вы считаете, что ...?*

Форму дискуссии можно использовать и на лекции. В отличие от лекции-беседы здесь преподаватель при изложении лекционного материала не только использует ответы студентов на свои вопросы, но и организует свободный обмен мнениями в интервалах между логическими разделами. В лекции – беседе дискуссия – это взаимодействие преподавателя и студентов, свободный обмен мнениями, идеями и взглядами по исследуемому вопросу. Это оживляет учебный процесс, активизирует познавательную деятельность аудитории и, что очень важно, позволяет преподавателю управлять коллективным мнением группы, использовать его в целях убеждения, преодоления негативных установок и ошибочных мнений некоторых студентов. Эффект достигается только при правильном подборе вопросов для дискуссии и умелом, целенаправленном управлении ею.

Так же можно предложить студентам проанализировать и обсудить конкретные ситуации, материал. По ходу лекции-дискуссии преподаватель приводит отдельные примеры в виде ситуаций или кратко сформулированных проблем и предлагает студентам коротко обсудить, затем краткий анализ, выводы и лекция продолжается.

Положительным в дискуссии является, то, что студенты согласятся с точкой зрения преподавателя с большой охотой, скорее в ходе дискуссии, нежели во время беседы, когда преподаватель лишь указывает на необходимость принять его позицию по обсуждаемому вопросу. Данный метод позволяет преподавателю видеть, насколько эффективно студенты используют полученные знания в ходе дискуссии.

Отрицательное же то, что студенты могут неправильно определять для себя область изучения или не уметь успешно обсуждать возникающие проблемы. Поэтому в целом занятие может оказаться запутанным. Студенты в этом случае могут укрепиться в собственном мнении, а не изменить его. Выбор вопросов для активизации слушателей и темы для обсуждения, составляется самим преподавателем в зависимости от конкретных дидактических задач, которые преподаватель ставит перед собой для данной аудитории.

Разновидностью лекции – беседы является лекция с разбором конкретных ситуаций. Эта форма лекции похожа на лекцию-дискуссию, однако, на обсуждение преподаватель ставит не вопросы, а конкретную ситуацию. Обычно, такая ситуация представляется устно или в очень короткой видеозаписи, диафильме. Поэтому изложение ее должно быть очень кратким, но содержать достаточную информацию для оценки характерного явления и обсуждения.

Студенты анализируют и обсуждают эти микроситуации и обсуждают их сообща, всей аудиторией. Преподаватель старается активизировать участие в обсуждении отдельными вопросами, обращенными к отдельным студентам, представляет различные мнения, чтобы развить дискуссию, стремясь направить ее в нужное направление. Затем, опираясь на правильные высказывания и анализируя неправильные, ненавязчиво, но убедительно подводит студентов к коллективному выводу или обобщению.

Иногда обсуждение ситуации используется в качестве преамбулы к последующей части лекции для того, чтобы заинтересовать аудиторию, заострить внимание на отдельных проблемах, подготовить к творческому восприятию изучаемого материала. Чтобы сосредоточить внимание, ситуация подбирается достаточно характерная и острая. Однако это может потребовать слишком много учебного времени на ее обсуждение. Так, например, приведя ситуацию, студенты могут начать приводить примеры подобных ситуаций из собственного опыта, и дискуссия постепенно может уйти в сторону. Хотя это весьма полезно, но основным содержанием занятия является лекционный материал, и преподаватель вынужден останавливать дискуссию. Вот почему подбор и изложение таких ситуаций должны осуществляться с учетом конкретных рассматриваемых вопросов. Кроме того, у преподавателя должна остаться возможность перенести дискуссию на специально планируемое занятие, считая свою задачу – заинтересовать студентов – выполненной.

В ходе нашего исследования мы делаем вывод, что дискуссия – это достаточно эффективный метод, с помощью которого студентами усваиваются знания, формируются важные коммуникативные умения.

С применением дискуссии на лекциях - и ПЗ - дискуссиях студенты не только учатся грамотно и обоснованно выражать свои мысли, но и становятся компетентными в вопросах общения. Исследуя проблему, они глубже вникают в неё, избегая поверхностного изучения. Апробирование материалов исследования на практике показывает, что дискуссия заинтересовывает студентов, способствует формированию приоритетных коммуникативных качеств: наличия большого запаса слов, образности и правильности речи, точного восприятия устного слова и передачи идей партнеров своими словами; умения выделять из услышанного существо дела; корректной постановки вопросов; краткости и точности формулировок ответов на вопросы партнеров; логичности построения и изложения высказывания; связности изложения мыслей.

ЛИТЕРАТУРА:

1. Казарцева О.М. Культура речевого общения: теория и практика обучения. Учебное пособие. М.1998
2. Максимов В.И. Русский язык и культура речи. М. 2002
3. Павлова Л.Г. Спор, дискуссия, полемика. М.1991
4. <http://www.google.com/search>

სტუდენტთა სადისკუსიო კულტურის ფორმირების თავისებურებანი რუსული ლიტერატურის ისტორიის სწავლებისას

**ნათელა ხინჩაგაშვილი, სრული პროფესორი
ელენე ხირსელი, მოწვეული სპეციალისტი**

რეზიუმე

უმადლესი სასწავლებლის მუშაობის ერთერთი აქტუალური მიმართულებაა სტუდენტის სადისკუსიო კულტურის ფორმირება, რომელიც ხელს უწყობს მას პროგრამული მასალის ეფექტურ ათვისებაში.

თანამედროვე სწავლების თეორიასა და მეთოდოლოგიაში სადისკუსიო კულტურის ფორმირების პრობლემა მთლიანობაში შემუშავებული არ არის. ჩვენი კვლევის ამოცანაა სადისკუსიო კულტურის ფორმირების ხერხების შემუშავების თავისებურებანი რუსული ლიტერატურის ისტორიის სწავლებისას.

ჩვენი კვლევის მასალების აპრობაცია პრაქტიკაში გვიჩვენა, რომ დისკუსიან როგორც სწავლების მეთოდი, ხელს უწყობს პრიორიტეტულ საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბებას: ზეპირი სიტყვის ზუსტ აღქმასა და გადმოცემას, კითხვების კორექტულ დასმას, ლაკონური პასუხების ჩამოყალიბებას და აზრის ლოგიკურ აგებასა და გადმოცემას.

**FORMATION PECULIARITIES OF STUDENTS DISCUSSION CULTURE
IN TEACHING THE HISTORY OF RUSSIAN LITERATURE**

Natela Khinchagashvili, Full Professor

Elene Khirseli, Specialist by contract

RESUME

One of the actual directions in high schools is the discussion culture formation in students. This contributes the effective learning of program materials.

The discussion culture problems are not developed in modern teaching theories and methods. The aim of our work is to form the methods of discussion culture in the teaching process of Russian literature history.

The approbation of our research materials in practice showed that discussion promotes the formation of communicative skills.

რელიგიური თემატიკის ზოგიერთი ასპექტი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

გიორგი ხორბალაძე, მოწვეული სპეციალისტი

ქართული ლიტერატურა თავისი ისტორიითა და შინაარსით, მისი მდიდარი წარსულია და გენიალური ავტორების სიმრავლის მიუხედავად, ერთგვარი პარადოქსული ნიშნის უდავო მატარებელია - ლიტერატურის კრიტიკოსებიც და მკითხველი საზოგადოებაც რატომღაც პანიკური შიშით უფრთხის, მისი დამსახურების მიუხედავად, ცოცხალი ავტორის აღიარებას. მეტიც, შემდგომაც კი, თითქოს ვინმეს ნორმატიული აქტით დაედგინოს, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის გასვლას უცდიან, რომ „შესაბამისი“ დრო შეურჩიონ ჭეშმარიტ მამულიშვილთა სათანადო დაფასებასა და პატივის მიცემას. არადა რისთვის არის ეს ლოდინი საჭირო, რა რისკს ვუფრთხოდით და რას ველოდებით, რომ გვკითხონ, კაცი არ არსებობს მოპასუხე.

ამ ფონზე ზოგ მწერალს შეიძლება სიკვდილი ენატრებოდეს, რადგან თავადაც შესანიშნავად უწყის, რომ მის კუთვნილ შეფასებასა და დაფასებას სიცოცხლეში არ დაასწრებენ, არ აღირსებენ. არადა შემოქმედის რუტინული შრომის, შემოქმედებითი წვისა და საზოგადო სადარდებლის თვითგვემამდე გასიგრძეგანების ყველაზე სოლიდური საზღაური ხომ სწორედ სათანადო შეფასება-დაფასებაშია. თუმცა ეს არაფრით არ შეიძლება პატივმოყვარეობის საზომით გაიზომოს, ან პიროვნული ამბიციის დაუკმაყოფილებლობა იქნეს აღქმული. ესაა საზოგადოებისათვის ხმის მიუწვდომლობის სრულიად თავისებური სევდა, დარდი იმაზე, რომ მისი ჩივილი, მის მიერ ჩამოკრული განგამის ზარი მსმენელამდე ვერ აღწევს, მიზნობრივად ვერ მიემართება და რჩება ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა, ამით კი, უპირველესად, ისევ მისი სათაყვანებელი სამშობლოსა და საზოგადოების ინტერესებისთვის მსხვერპლად შეწირვის პროცესი ყოვანდება, მსხვერპლად შეწირვა, რა თქმა უნდა არაპირდაპირი გაგებით, თუმცა ამ პროცესის სრული შემეცნებითა და გათავისებით, ვინაიდან ჭეშმარიტი მწერლის ცხოვრება უმთავრესად მწერლობას მოიცავს, ხოლო სხვა ყოველი მხოლოდ დანამატ კომპონენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც ლოგიკურია, რომ მწერალი ნებაყოფლობითი ზვარაკია საზოგადოების ინტერესებისა. სწორედ ამ ლოგიკაშია ახსნა გოდერძი ჩოხელის - ამ უაღრესად ღვთისნიერი ადამიანის, პიროვნული ტრაგედიისა, რაც მან ორგზის თვითმკვლელობის მცდელობით გამოხატა; იმაშიც არის ლოგიკა, რომ მესამე და „სამართალიც“ სწორედაც რომ თვითმკვლელობა გახლდათ, თუმცა არც ერთი მათგანი არ შეიძლება ყოფილიყო ჩვეულებრივი კაცის თვითმკვლელობა, ეს უდავოდ შემოქმედებითი თვითმკვლელობა უნდა ყოფილიყო, ოღონდაც, რომ პიროვნულში განსხეულებული ისევე, როგორც მაგალითისთვის გალაკტიონის ან მრავალ სხვა შემთხვევაში.

სწორედ ამ რეალობის ნაწილია გოდერძი ჩოხელი მისი სულიერი მრწამსით, მისი ფილოსოფიური თვალსაწიერით, ღრმა ცხოვრებისეული აზროვნებით, ღვთისნიერებით, ადამიანის

შინაგანი სამყაროს საოცარი ჭკრეტისა და მისი მკითხველისთვის წიგნად გადაშლის უნარით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ადამიანური სიტბოთი და „ადამიანთა სევდით“.

ჩოხელის ღრმა ფილოსოფიური აზროვნება, სიკვდილ-სიცოცხლის მისეული აღქმა, სამყაროს ინდივიდუალური ხედვა ყველასაგან გამორჩეულ ლეტერატურულ ნიშას ქმნის და სწორედ ეს გამორჩეული ნიშა ჩვენი კვლევის საგანი. ბუნებრივია, ამ ნიშას მისი შემადგენელი კომპონენტები გააჩნია და თითოეულ მათგანს ცალკე შესწავლა და გამოძიება ესაჭიროება. ამჯერად კი ჩოხელის შემოქმედების რელიგიური ასპექტებითა და პარალელებით შემოვიფარგლებით.

რელიგიური ასპექტი კი იმ შემოქმედის ნაწარმოებებშია თვალსაჩინო და შესამჩნევი, რომელიც თავადაც შინაგანი ღვთისნიერებით გამოირჩევა და ამგვარადვე ჰლევს მის ცხოვრებისეულ გზასავალს. გოდერძი ჩოხელი „ქრისტიანული თავმდაბლობითა და უბრალოებით გამოირჩეოდა, ოღონდ ღვთის რჩეული რომ იყო, ამას, ალბათ, მაინც გრძნობდა, რაკი ღმერთი ყველა მის მხურვალე ლოცვას ისმენდა და ყველა მის თხოვნას უსრულებდა. ამაზე იგი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში საუბრობს. საერთოდ, გოდერძის მოთხრობების დიდი ნაწილი ავტობიოგრაფიულია, სადაც არა მარტო მის თვისებებსა და ხასიათს ვეცნობით, არამედ მის დედასაც და ცოლ-შვილსაც.“ [1,273] ალბათ „ანგელოზთდამეობას“ გულისხმობს რევაზ ბალანჩივაძე, სადაც მართლაც რომ სასწაულებრივი დამოკიდებულებაა აღწერილი უფლისადმი რწმენისა და აშკარად იკვეთება გოდერძი ჩოხელის ღვთის რჩეულობის უტყუარი ნიშნები: „... გადაღებისთვის აუცილებელი იყო თოვლი. მე წავიდე სანთლები, ხავიწის ქადეები და ვილოცე. იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. ეს ამბავი ჩემი კინოს მონაწილეებმა შემთხვევითობას მიაწერეს და დამცინოდნენ კიდევ...“

-აბა ეხლა სთხოვე ღმერთს და მოგიყვანოს თოვლი, ტყუილებით რო აგვიკვლი! - ირონით მითხრა ოპერატორმა, როცა ხევსურეთის ყველაზე მაღალ სოფელში ავედით და იქაც მწვანე ბალახი დაგვიხვდა.

... ავედი იმ ადგილზე. ავანთე სანთლები. ჯვარედინად დავსერე ხავიწის ქადეები და დავიწყე ლოცვა. ისეთი რწმენით ვთხოვდი ღმერთს თოვლს, ისე ვვედრებოდი, რომ მისი სიყვარულით და იმედით მთელ ტანში შრუანტელი მივიღა.

...დაბინდებამდე მუხლამდე მოვიდა თოვლი და კიდევ ხვავრიელად ბარდნიდა.“ [5,61-62] სხვა ნებისმიერი ადამიანი სიხარულით აივსებოდა მისი, ან მისი შვილის ოცნება და სურვილი უფლის მიერ თუ იქნებოდა შესმენილი, მაგრამ ღვთის რჩეულები ხომ მოვლენათა აღქმა-გათავისებამდე ღვთის რჩეულები არიან და ამიტომ არც არაფერია გასაკვირველი მწერლის დედის შენიშვნაში შვილისადმი, როდესაც იგი შვილს არ უწონებს საქციელს და სთხოვს - აღარასოდეს შეაწუხოს ღმერთი მისი პირადი ინტერესებისთვის.

„- მე ხომ კეთილი საქმე ვთხოვე? (ალალი გულწრფელობით კითხულობს მწერალი)

- შენთვის რაც კეთილია, სხვისთვის რო არ არის კეთილი, შვილო! აბა, რა იყო ეხლა ამ თოვლის მოსვლა: რამდენი ყვავილი ჩაჰკნება შიგ, რამდენ მწერს გაუმწარდება ცხოვრება, რამდენი კიდევ სხვა რამე აირია ამ თოვლის მოსვლით. გთხოვ, შვილო, აღარასოდეს მიხვიდე იმ ადგილზე.“ [5,62] თითქმის წარმოუდგენელი სურათია დედაშვილობისა, საოცრად ხალასი, მართალი და პატიოსანი დამოკიდებულებაა ერთურთისა და არა მხოლოდ ერთურთის მიმართ, უცნაურად ზოგადია ეს განცდა და ამავდროულად უცნაურად პირადული. დედა-შვილისთვის ერთმანეთის სიყვარული ნიშნავს ერთმანეთისათვის ყველა დანარჩენის სიყვარულსაც და სწორედ ესაა მართლმადიდებლური მოძღვრების უმთავრესი შინაარსი, სწორედ ამ სიტუაციაშია გაცოცხლებული სურათი ჭეშმარიტი ქრისტიანობისა.

გოდერძი ჩოხელის რელიგიური მრწამსი მთელ მის შემოქმედებაშია ჩადულაბებული. ის არის სულით ქრისტიანი და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს უაღრესად ღვთისნიერი შემოქმედი მისი სოფლის და, ზოგადად, გუდამაყრის ხეობაში ერთმანეთთან სასწაულებრივად შერწყმული ქრისტიანობისა და წარმართობის ერთობ უცნაური ნაზავის გავლენასა და გარემოცვაშია ფორმირებული მწერლადაც და პიროვნებადაც. ამ ძირეულად ორიგინალურ და თავისთავად გარემოს, რომელსაც, როგორც გურამ ბენაშვილი იტყოდა - „ადეკვატი არც კი მოეპოვება“.[4,5] უდავოდ ლომის წილი მიუძღვის გოდერძი ჩოხელს - როგორც შემოქმედს, ფილოსოფიური და რელიგიური თვალსაწიერის სწორედ ისეთი სახით ჩამოყალიბებაში, როგორადაც არის კიდევ განსხეულებული მთელ მის შემოქმედებაში. იგი მხოლოდ იმაზე წერს, რაც უშუალოდ განუცდია, რის შესახებაც არაერთგზის უფიქრია, რასთანაც პირადი და არცთუ იშვიათი შეხება ჰქონია და რაც ასე უმოწყალოდ ნადგურდება, იგვება პირისაგან მიწისა, ხოლო გოდერძი ჩოხელის შემოქმედება, როგორც უტყუარი მემატანე ძველი ქართული მთის სოფლისა (მით უფრო, რომ ძველი მთის სოფლის ტრადიცია, ანალოგიის წესითა და განზოგადების მეთოდით, გაცილებით სცილდება რიგითი სოფლის ფარგლებს და სრულიად

საქართველოში განიხილავს), ორმხრივ მცველადაა შედედაბოძებული ისტორიასა და დღევანდელობას შორის, რადგან ბევრი რამ, სწორედაც რომ, მხოლოდ მისი მოთხრობებით თულა შეიძლება აღდგეს.

გოდერძი ჩოხელი სხვა თვალთ უყურებს ადამიანებს, სხვა საზომით აფასებს და, შესაბამისად, პერსონაჟებსაც სრულიად განსხვავებულს, მხოლოდ მისეულს ხატავს. „შენს სულს ყოველთვის ემახსოვრება ღმერთი, რომელიც შენ გწამდა და თუ არ გწამდა, მაინც გყავდა არსებაში.“ [2,251] - ეუბნება ლუკა გამიხარდას და უნებურად დემონსტრირდება ავტორის ესოდენ მადლმოსილი დამოკიდებულება ზოგადად ადამიანის ფენომენთან მიმართებაში. თუმცა რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს დამოკიდებულება აქ არ მთავრდება - ვინაიდან გამიხარდას პასუხი კიდევ უფრო შორს ჭკრეტის საშუალებას გვაძლევს „ღმერთი ისევე დგას ჩვენში, როგორც ადამიანში“ [2,251] - მართალია, ნაწარმოებში ეს სიტყვები უსამართლობით გაბოროტებულ, პროტესტის განცდით შეპყრობილ ადამიანს ეკუთვნის, რომელიც უკიდურესი ფსიქოლოგიური ზეწოლით, პირველყოვლისა, საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობს, რომ ადამიანი კი არა, თევზია და თევზის სათქმელს საუბრობს (აქ შეიძლება შემდგაველიც გამოჩნდეს და თქვას, რომ ეს მაინც ადამიანის პოზიციაა, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, თევზად მაინც ვერ გარდაიქმნებოდა) თუმცა, სწორედ ადამიანის ამდაგვარ პოზიციაშია საქმე! ვინაიდან ეს სიტყვები სწორედაც რომ ავტორისეული დამოკიდებულებაა, როგორც ამ შემთხვევაში თევზის, ისე ბუნების ყველა სხვა ქმნილებასთან მიმართებაში. „სიტუაციები, რომელთაც მწერალი თავის მოთხრობებში აღწერს, ხშირად რთულია. მე ვიტყვოდი, რომ პროფესიული თვალსაზრისით, საშიშიც (მთიელი, რომელიც კინოგადაღებაზე ირემს ასახიერებს, რეალობაში უცებ მართლაც ირმად იგრძნობს თავს; ადამიანი თავისი სიცოცხლისა და სისხლის ხარჯზე ნაძვის ნერგს გამოზრდის საკუთარ სხეულზე), მაგრამ მწერალი ამ სიტუაციაში რჩება დამაჯერებელი და მნიშვნელოვნად ღრმა. ის გაურბის ლიტერატურულობას, არაბუნებრიობას, სენტიმენტალურობას. ამის ერთ-ერთ ახსნას მე ვპოულობ იმაში, რომ გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში პირობითობა „პირველადი“ წარმოშობისაა - იგი სათავეს ფოლკლორში იღებს.“ [3,6] - წერს ნოდარ დუმბაძე და ეს მოსაზრება ერთგვარად ეხმიანება ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მის მოსაზრებას, სულიერ არსებათა მიმართებაში გოდერძი ჩოხელის მეტად ორიგინალური დამოკიდებულების თაობაზე.

ეს ყველაფერი კარგად არის რეალიზებული მის თითოეულ მოთხრობაში. ღვთისადმი რწმენა სრულიად განსხვავებული ქრისტიანობა, როდესაც „მღვდლის ცოდვაში“ ერთმანეთის გვერდითაა ქრისტიანული დოგმები და ბუნებასთან კავშირი, ბუნების განცდა, მასთან შენივთება და ის არაქრისტიანული სასწაულები, რომლებიც ასე უხვადაა გაბნეული თუნდაც ამ ნაწარმოებში. სოფელ ჩოხს ჰყავს „თავისი წმინდა გიორგი“, განსხვავებული დანარჩენი 364 წმინდა გიორგისაგან, რომლის კულტიც საქართველოშია გავრცელებული. ის ყველაფერი, რაც ღვთისმსახურებასთან არის დაკავშირებული, მხოლოდ გადმოცემით თუ იცის მომავალმა მწერალმა, რადგან მისი მსოფლმხედველობის თუ რელიგიური მრწამსის ჩამოყალიბებისას უღმერთობა სჭარბობს ჩოხში. რელიგიური მრწამსი კი არ არის ადვილად შესაცვლელი, ნებისთ თუ უნებლიეთ, რადაც ნაწილი აუცილებლად რჩება და ილექება სულის ერთ კუნჭულში მაინც - დადებითიცა და უარყოფითიც.

გაიხადო ანაფორა და ჩაიცვა „წითელი ხალათი“ - არ ნიშნავს იმას, რომ სინდისი მოგასვენებს. ის, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“ და თუმცა მთელი ძალით ცდილობს „გაწითლებული მღვდელი“ წარსულის დავიწყებას, მაგრამ სულ ამაოდ. წარსული მას არ ივიწყებს და თითოეული ცოდვიანი საქმის ჩადენისას, თითოეული მცდარი ნაბიჯის გადადგმისას აფუთფუთდება ადამიანის ტანში და მიანიშნებს, რომ თურმე ის მრწამსი, რასაც უწინ ემსახურებოდა, იყო გაიგივებული სინდისთან და თითოეული ნაბიჯი, გადადგმული სულიერების საწინააღმდეგოდ, თითქოს „ახალი ცხოვრების საამებლად“ და რაც შეიძლება მეტი წყალობის მისაღებად, არის საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასვლა. ეს ყველაფერი ილექება ცნობიერებაში და ერთხელაც იქნება, მოგვთხოვს პასუხს, თუნდაც იმ ყვავის ყრანტალით, სხვებს რომ არაფრად მიაჩნიათ და შენ რომ მიწასთან გასწორებს. ამიტომაცაა, რომ გოდერძი ჩოხელს, ერთი შეხედვით, რელიგიური გაგების ორმაგი სტანდარტი გააჩნია, ორმაგადაა მასში უფლის შემეცნების განცდა, თითქოსდა ორივე მრწამსით ცხოვრობს, ორივეს აღიარებს, წარმართულ გადმონაშთსაც და ქრისტიანულ კანონიკესაც. ისე, რომ რთულია ჩასწვდე, სად ამთავრებს იგი პირველ მათგანს და სად იწყებს მეორეს. თუმცა პასუხი მისი პიროვნების, მისი მრწამსის ორიგინალურობაშია, მისთვის სწორედაც რომ არ არსებობს საზღვარი და ორივე მათგანი ერთი მთლიანობად მიაჩნია, ერთიანობის ორ განუყოფელ ნაწილად. მწერალი ისეთ სათუთ დამოკიდებულებაშია საკუთარ მრწამსთან, რომ არც ერთ მხარეს იოტისოდენადაც არ აკნინებს, ორივეს თავ-თავის წილს ესათუთება და ესისხლხორცება.

ეს ყველაფერი გოდერძი ჩოხელის წარმოსახვაშია შენივთებული და თუმცა ვწერდით, მისი პიროვნული ჩამოყალიბება უღმერთობის ხანას დაემთხვა, მაგრამ რაც უნახავს, განუცდია, ბავშვობიდან შეუსისხლხორცებია, მასშია დალექილი და თითოეული მოთხრობიდან მოჩანს. საბედნიეროდ, მწერალი იმასაც მოესწრო, როგორ აღზევდა ქრისტიანული სული ქართველ ხალხში, სადაც ისევე იყო მათი მშობლების თუ წინაპრების მიერ განვლილი მოწამებრივი გზა, ქრისტიანობის განსამტკიცებლად გადადგმული თითოეული ნაბიჯი, როგორც პატარა გოდერძი ჩოხელში, რომელიც სულ ახალგაზრდა წამოვიდა თავისი კუთხიდან და უკვე თბილისში აგრძელებს იმ მორალით ცხოვრებას, რაც სოფელმა, სოფლის თემმა თუ ჩოხის წმინდა გიორგიმ ჩაადულაბა მის არსებაში.

პატარაა სოფელი ჩოხი, ამიტომ გაოცებს ერთად შეკრებილი ამდენი სიწმინდე, ამდენი საკრალური ადგილი: ჩოხის წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც მამაკაცები სალოცავთან ახლოს ყოფნით ხედავენ თავის უპირატესობას ქალის წინაშე, იმ ქალისა, რომელმაც ასე სამუდამოდ დააკარგვინა სამოთხე, ლალი და უზრუნველი ცხოვრება და დღეს მხოლოდ იმითილა უგებენ ნიშანს, რომ სწორედ ქალებს დაუწესდათ სამანი, რომელსაც ვერ გადავლენ, ეკლესიასთან ახლოს ვერ მივლენ და მამაკაცებთან ერთად ვერ ილოცებენ; ისინი ამ აკრძალვაში ხედავენ მამაკაცების მეტ უფლებას ღმერთის წინაშე, თითქოს ღმერთმა მათ ქალებზე უფრო მეტად აპატია სიტყვის შეუსრულებლობა და „დამნაშავე“ ქალები რიდით გასცქერიან სამანს იქით მყოფ კაცებს; სულ სხვაგვარად მსჯელობს თავად ავტორი. „ქალმა გაცდუნა? ქალიც ხომ აცდუნა გველმა? შენ ხომ კაცი ხარ, კაცი იყავი და კაცურად არ უნდა დაგერღვია სამოთხის კანონი, რატომ იყრი დღემდე ქალზე ჯავრს?“ [4.72]

მაგრამ ასეა თუ ისე, ღვთისმსახურება ჩოხის წმინდა გიორგის მოედანზე ქალების გარეშე სრულდება. კაცებმა კარგად იციან, რომ სულაც არ არიან უცოდველები და „შესაწირავი საქონლის დაღვრილი სისხლით ცდილობენ თავიანთი ცოდვების გამოსყიდვას“ [4.12]

ჩოხის წმინდა გიორგის მარცხენა მხარეს კი დევის ქვაა. დევის ქვაც სამანია, რომლის იქით ხალხს არ შეუძლია გადასვლა. დევი კი აქეთ ვერ გადმოვა. იქვე ახლოს კი ელიას მთაა და ჩოხელებს მტკიცედ სწამთ, რომ ზეცად ამაღლებული ელია იმ მთაზე დაესახლა და ეს მთა „თითქოს მთა კი არ არის, არამედ წმინდა წიგნია, სადაც ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის ნიშნები იკითხება... აქვეა წარმართული ნიშნები და ყველაფერი ეს მთვარის შუქით არის განათებული“. [4.45]

საოცარი სანახავია ამ დროს ჩოხის მთა. ნელ-ნელა ღამდება. მთვარე ანათებს „საბეროებს“, სადაც ოდესღაც ისეთ ბერებს უცხოვრიათ, - წერს გოდერძი ჩოხელი, - რომელთაც თავიანთი სიწმინდით ღვთის წინაშე ისეთი მაღლი დაუმსახურებიათ, რომ ფრენა შესძლებიათ. „თანდათან მრავლდებოდა მთის წვერზე დასახლებული ბერების რიცხვი“, [4.85] მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და დღეს ამ სიწმინდეთაგან მხოლოდ კედლებიღაა შემორჩენილი.

და შენც, გოდერძი ჩოხელო, იკითხე, რამდენად გინდა, ეს წმინდა წიგნი, ამის წაკითხვას ვერავინ დაგიშლის, ამ ნანგრევებს ვერავინ წაგართმევს, ეს ხსოვნა წმინდა ბერებისა სიცოცხლის ბოლომდე გაგყვება. ეს სალოცავებია, გაჭირვების ჟამს რომ გიშველის, უჩინარს გაგხდის და მტრის ალყიდან მშვიდობით გაგიყვანს. შენი გმირობა ყოველ ხატობაზე უნდა გაიხსენონ ჩოხელებმა და ლექსად „დაიძახონ“.

გოდერძი ჩოხელი არის აბსოლუტურად თვითმყოფადი მწერალი, მას შეუძლია წეროს იმ თემებზე, რაზედაც დიდ ვაჟას უწერია და წეროს უკეთესადაც. თუნდაც ორი მოთხრობის - „სათაგური“ და „ბუბუნაურების ჭალა“ ერთმანეთთან შედარება გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას. მას შეუძლია იმ ქვეყანაში, სადაც ასე უყვარდათ და ზეპირად იციან ხალხური „შემომეყარა ყივჩაღი“ თუ გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“, დაწეროს იმავე თემაზე და ორივე ლექსზე უკეთესად. სამწუხაროდ, ქართველი ხალხი არ ღალატობს იმ ტრადიციის აღიარებას, რომელიც არსებობდა ილიას, აკაკის, გალაკტიონის, ვაჟას, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა შეფასების (მხოლოდ სიკვდილის შემდგომ რომ ეღიროს აღიარებას), გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შეფასება მხოლოდ ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ იწყება. ტყუილად ხომ არ წერდა ერთ-ერთ ინტერვიუში, როდესაც ჰკითხეს, თუ რომელი გამონათქვამი შეეფერებოდა დღევანდელ ყოფას: „ავაჰ მე! მოგიკვდეთ ჩემი თავი!“ როდესაც ნიკო კეცხოველს წაუკითხავს მისი მოთხრობა „ცასწავალა“ - უთქვამს - ამ მოთხრობას ვაჟა მოაწერდაო ხელს.

გოდერძი ჩოხელი ცდილობს, ყოველი მის მიერ დაწერილი მოთხრობა თუ რომანი მიდიოდეს მკითხველის სულამდე, რადგანაც დღეს ლიტერატურას სხვაგვარი ხედვა გააჩნია, სხვა ინტერესები ეძალება. ეს ბუნებრივი პროცესია. ყველა ვამბობთ და სამართლიანადაც, რომ რუსთაველი უდიდესი პოეტია, მაგრამ დღეს მას არავინ ბამავს, რადგან ლიტერატურაში სიახლე იძლევა თხზვის იმპულსს. ჩვენმა დრომ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ნამდვილი შემოქმედი თავისი ბუნებით ოპოზიციონერია, ამ

სიტყვის კარგი გაგებით, რადგან იგი ეძებს ახალს, ებრძვის გაბატონებულ თვალსაზრისს და ეყრდნობა მარადიულ თემებს. ეს ყველაფერი მთელი სისავსით გამოვლინდა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში. განსაკუთრებული სისავსითა და სისათუთით წარმოჩინდა სოფელი ჩოხი, ბურსაჭირის ხეობა, მასში მცხოვრები ადამიანები, მათი ურთიერთობანი, ადათ-წესები, ყოფა.

გაუთვითცნობიერებელი მკითხველიც კი ამჩნევს, რომ ეს არ არის მხოლოდ თემატური გამორჩეულობა, ეს მსოფლშეგრძნებაა, ფასეულობათა თავისებური სისტემა. გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების კითხვისას უდიდესი სიმშვიდის განცდა გეუფლება, რომ დღეს ისევ ლოცულობენ ჩოხელები ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში, ისევ მტკიცედ სჯერათ, რომ ის წმინდა გიორგის სალოცავი ენაა და რაკი: დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა, გოდერძი ჩოხელი საიქიოდანაც გვლოცავს. იქნებ ისიც, ასე უღმერთოდ ამ ქვეყნიდან წასული, იმედოვნებს, რომ თითოეული მისი ნაწარმოების წაკითხვით შენდობას ვუთვლით მის სულს, რომელიც „იქნებ სასუფევლის კართან დგას და შენს ლოცვას, შენგან შენდობის თქმას ელოდება“. [4.92]

ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რ., „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“, თბ., 2011;
2. ჩოხელი გ., თევზის წერილები, თბ., 1969;
3. ჩოხელი გ., „თხზულებანი ხუთ ტომად“, ტ. I, თბ., 2008;
4. ჩოხელი გ., „თხზულებანი ხუთ ტომად“, ტ. II, თბ., 2008;
5. ჩოხელი გ., „თხზულებანი ხუთ ტომად“, ტ. III, თბ., 2010.

რეზიუმე

ჩოხელის ღრმა ფილოსოფიური აზროვნება, სიკვდილ-სიცოცხლის მისეული აღქმა, სამყაროს ინდივიდუალური ხედვა ყველასაგან გამორჩეულ ლიტერატურულ ნიშას ქმნის და სწორედ ეს გამორჩეული ნიშა ჩვენი კვლევის საგანი. ბუნებრივია, ამ ნიშას მისი შემადგენელი კომპონენტები გააჩნია და თითოეულ მათგანს ცალკე შესწავლა და გამომზიურება ესაჭიროება. ამჯერად კი ჩოხელის შემოქმედების რელიგიური ასპექტებითა და პარალელებით შემოვიფარგლებით. გოდერძი ჩოხელი საიქიოდანაც გვლოცავს. იქნებ ისიც, ასე უღმერთოდ ამ ქვეყნიდან წასული, იმედოვნებს, რომ თითოეული მისი ნაწარმოების წაკითხვით შენდობას ვუთვლით მის სულს, რომელიც იქნებ სასუფევლის კართან დგას და შენს ლოცვას, შენგან შენდობის თქმას ელოდება.

SOME ASPECTS OF RELIGIOUS THEME IN GODERDZI CHOKHELI'S CREATION

Giorgi Khorbaladze, Specialist by contract

RESUME

Chokheli's highly philosophical thinking, his own opinion about life and death, his individual point of view, create absolutely distinguished literary features which is the subject of our searching. It is undoubted that these features have their consisting components and each of them must be studied and searched separately. This time we intend to discuss only some religious aspects and parallels of this writer's creation. Goderdzi Chokheli prays for us even in heaven and we hope that maybe he stands at the door of Paradise and expects our preying and forgiveness of his soul.

საბავშვო ლიტერატურის არსი და სპეციფიკური ნიშნები

ნელი ჭამბურიძე, სრული პროფესორი

დღევანდელი ახალგაზრდობა სწრაფი ცვლილებების ხანაში ცხოვრობს, ეკონომიკის გლობალიზაცია და მძლავრი საინფორმაციო ტექნოლოგიები ვირტუალური სამყაროსკენ უბიძგებს მას. ამიტომაც განათლების წინაშე მრავალი საჭირობოროტო ამოცანა დგას. დღეს უფრო რთული ხდება შეინარჩუნო ადამიანობა, როგორც დიდი იაკობი იტყოდა, შეინარჩუნო „კაცური-კაცობა“. ამიტომაც მნიშვნელოვანია განისაზღვროს თანამედროვე განათლებული მოქალაქის ფორმირების პროცესში მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ კი საბავშვო ლიტერატურის ადგილი და მნიშვნელობა. პიროვნების სრულყოფა ზოგადსაკაცობრიო, მაღალი მსოფლშეგნებითი კრიტერიუმებით ხორციელდება. განათლების პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, თუ რას ვასწავლით, როდის ვასწავლით და როგორ ვასწავლით? საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია სპეციფიკური ლიტერატურის სწორად მიწოდება და სწავლების თანამედროვე მეთოდების მიზანმიმართულად გამოყენება. ჯონ დიუი აღნიშნავს: „ჩვენ უფრო დამაჯერებლად და სწორად მივალწევთ პროგრესს, როდესაც საკუთარ თავს მივუძღვნით იმის ძიებას, თუ რა არის განათლება და რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ განათლება რეალური იყოს და არა ცარიელი სახელი და ლოზუნგი“.

იდეოლოგიურ-ესთეტიკურმა ძვრებმა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში, მხატვრული ნაწარმოებებისა და მთელი პროცესების გადაფასებამ მათი ახალი ესთეტიკური კრიტერიუმებით შეფასება გამოიწვია. ცვლილებების საჭიროება მოითხოვა განათლების სისტემამ, რომელიც პერმანენტულად მიმდინარეობს. სწორედ აღნიშნული ცვლილებების პროცესში მნიშვნელოვანია საბავშვო ლიტერატურის თანამიმდევრული კვლევა და სწორი მსოფლმხედველობრივი ანალიზი. პიროვნების ფორმირების პროცესში, კერძოდ, აღზრდის, სწავლებისა და განათლების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ლიტერატურის შესწავლასა და პედაგოგიკურ მიდგომებს, საბავშვო ლიტერატურის, როგორც წყაროს მიზანმიმართულად გამოყენებისას. ლიტერატურის ისტორიის ამოცანაა გაარკვიოს მწერლის შემოქმედების ხასიათი, თუ ადამიანთა ცხოვრების რომელ მხარეებს და როგორ ასახავს მწერალი. კაცობრიობის სულიერების ისტორია ყოველთვის იყო ნიშნული სულიერებითა და რომანტიკულობით.

საბავშვო ლიტერატურა ორიგინალური და სპეციფიკური ნაწილია მოზრდილთა ლიტერატურისა. საბავშვო ლიტერატურის შექმნისას საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული დიდაქტიკურ მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, იგი თავისი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. მართებულად ამბობდა ქართველი მწერალი ვაჟა-ფშაველა: „ნურვის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების წერა. ყველაზე მწიკი სწორედ ესაა და თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს . . . არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი“ [2,25].

საყმაწვილო ლიტერატურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებასა და განვითარებაში. ყოველ განვითარებულ ერს აქვს ძლიერი საბავშვო მწერლობა. უამისოდ მისი კულტურა დროებითია და უსაფუძვლო. ქართველ განმანათლებელს იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა საბავშვო ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა: “ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზეც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყმაწვილო ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრად ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრ წარმატებებში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისნი ყმანი გარემოცული არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებებით “. [3,337].

საბავშვო ლიტერატურა მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის პირველი წყაროა. ბავშვებისათვის ხომ ოდითგანვე დამახასიათებელი იყო პოეტურ-სახეობრივი აზროვნება. მართლაც, დღემდე ჭეშმარიტებას ღაღადებს ფრაზა „პოეტში თუ ბავშვი არ ცოცხლობს, მისი პოეზია ფანტაზიისაგან დაცლილია“. ბავშვი ბუნებით პოეტია. მისი უშუალობა, მოძრავი და დაუდგომელი ფანტაზია ყოველ წამს ქმნის სხვებისაგან შეუცნობელსა და ინდივიდუალურ პოეტურ სამყაროს. ყმაწვილის ბუნება, მისი სულიერი სამყარო მრავალფეროვანია, უცნაური ხილვებითაა სავსე. ეს ხილვები გულწრფელი და მართალია, რადგანაც, პირველად რომ ეცნობა სამყაროს, ცდილობს ყველაფერი თავად მოსინჯოს, დარწმუნდეს, დაინახოს, იგრძნოს. შიშველი დიდაქტიკა, თითის დაქნევით ჭკუის სწავლება ბავშვს აღიზიანებს, ამიტომ საბავშვო მწერალი ბავშვის ბუნების, მისი ფსიქოლოგიური სამყაროს ღრმა და

ყოველმხრივ მცოდნე უნდა იყოს. ბავშვებთან მოსაუბრე მწერალი დიდი პედაგოგი უნდა იყოს, რომელსაც ზედმიწევნით ესმის ბავშვისა და ცდილობს, მის ფანტაზიას გაქანება მისცეს. ყველასათვის ცხადია, რომ ის, რაც ბავშვობაში წაგვიკითხავს, უფრო ღრმად ჩაბეჭდილია ჩვენს მეხსიერებაში, ის, რაც მოგვწონებია, დიდხანს სიამოვნებით გაგვყოლია ცხოვრების გზაზე. ეს სულიერი საზრდო აყალიბებს და ძერწავს ადამიანის შეგნებას, მის მსოფლმხედველობას, მის ხასიათს. ბავშვის ზნეობრივი აღზრდა მისი განვითარების უმთავრესი და ძირითადი მხარეა. საბავშვო ნაწარმოებები უნდა გამოირჩეოდეს მაღალი აღმზრდელობითი პრინციპებით.

ზოგადად საბავშვო ლიტერატურას განმარტავენ, როგორც ყმაწვილთა ესთეტიკური აღზრდის საშუალებას, მოზარდებში სამყაროს უკეთ შეცნობის ინტერესების გამღვიძებელს, ზნეობრივ ნორმათა, ეთიკურ ფასეულობათა წარმომჩენს და დამნერგავს. საბავშვო ლიტერატურის ამოცანები საზოგადოებრივი აღზრდის საერთო მიზნებიდან გამომდინარეობს და ხასიათდება სპეციფიკური ნიშნებით. საბავშვო მწერლობა მოითხოვს როგორც ლიტერატურული ოსტატობის ხერხების გამოყენებას, ისე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის-განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნას. საბავშვო მწერალმა უნდა იცოდეს ბავშვის ბუნება, ასაკობრივი ფსიქოლოგიის თანამედროვე და ტრადიციული თეორიები, ასევე ნაწარმოების შერჩევისას მოსწავლეთა მრავალფეროვნებისა და სწავლის პროცესის სირთულეების გათვალისწინება. შემთხვევით არ უთქვამს აკაკის, რომ მწერალი იგივე პედაგოგია: „საზოგადოდ მწერალს ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწრთენელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია, მასწავლებელი რამდენსამე მოწაფესა წრთვნის და მწერალი კი მთელ ხალხს, და არა მარტო აწმყოში, - მომავალშიც“ [4, 9].

ხშირად ჭირს ზღვრის გავლება სადიდოსა და საბავშვო ლიტერატურას შორის. განა ცოტა ვიცით მაგალითები კლასიკური ლიტერატურიდან, რომ გარკვეული დროის შემდეგ ესა თუ ის ნაწარმოები ყმაწვილის საყვარელ საკითხავად ქცეულა. ხოლო გენიალური საბავშვო ნაწარმოები გამორჩეულ ადგილს იკავებს სადიდო ლიტერატურის გვერდით და ის ხდება ესთეტიკურად მისაღები და შინაარსობრივად აქტუალური ყველა ეპოქისა და ასაკის ადამიანებში. საბავშვო ლიტერატურის განხილვა უნდა ხდებოდეს მეთოდოლოგიური და ნაწარმოების ტექსტის ფორმის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რაც დარგობრივ სპეციფიკას სძენს მხატვრულ ტექსტს.

საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკური ნიშნები შეიძლება ზოგადად შემდეგნაირად დავახასიათოთ:

- საბავშვო ნაწარმოებები დაწერილი უნდა იყოს ლაკონიური, მისაწვდომი, გამართული და ხალისიანი ენით - ბავშვმა საბავშვო ლიტერატურის კითხვა მსუბუქი, ადვილად გასაგები და, მამასადამე, მარტივი სიტყვებითა და ფორმებით უნდა დაიწყოს;
- მნიშვნელოვანია საბავშვო ლიტერატურის მორალურ-დიდაქტიკური და ემოციურ-შინაარსობრივი მხარე;
- მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობა;
- მსუბუქი იუმორი;
- მარტივი სიუჟეტი და მკაფიო კომპოზიცია;
- დინამიურობა, მოქმედების სწავი მონაცვლეობა და მიმზიდველობა;
- მკითხველში ფანტაზიის განვითარება;

საბავშვო ლიტერატურის დიდაქტიკურ-შემეცნებითი მხარე საფუძველია მომავალი თაობის წიგნიერების სწორხაზოვანი განვითარებისა. ერის წიგნიერება საფუძველია სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა, მომავალი ძლიერი, ერთიანი და დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად. საბავშვო ლიტერატურის განვითარება შესაბამისად მოითხოვს საბავშვო კრიტიკის განვითარებასაც, რაც, ბუნებრივია, უნდა ეხებოდეს როგორც თარგმნის, ისე ორიგინალურ ლიტერატურას. აუცილებელია საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის გაღმავება და მისი პრინციპების შესატყვისობა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მოთხოვნებთან. თუმცა, იკვეთება საინტერესო ტენდენცია საბავშვო ლიტერატურასა და მის კრიტიკაზე ზრუნვისა, რისი ნიმუშიც არის საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდ - „ლიბოს“ საქმიანობა. ფონდმა შეძლო, საზოგადოება დაეფიქრებინა ამ სფეროს პრობლემებზე, მისი საქმიანობა ეხმარება არა მხოლოდ ავტორებს, არამედ მკითხველს, ანუ ბავშვებს. მსგავსი საქმიანობა ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და ყურადღების გააქტიურებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის მიმართ.

ლიტერატურა:

1. ქართული მწერლობა, თბ., 1987;
2. ვაჟა-ფშაველა, თხზ.ტ.5, თბ., 1993;

3. იაკობ გოგებაშვილი, რჩ. თხზ., ტ. I, თბ., 1989;
4. „აკაკის თეიური კრებული“, # 8, 1898;
5. www.libofund.com

რეზიუმე

ეკონომიკის გლობალიზაცია და მძლავრი საინფორმაციო ტექნოლოგიები ვირტუალური სამყაროსკენ უბიძგებს ახალგაზრდობას. ამიტომაც განათლების წინაშე მრავალი საჭირობოროტო ამოცანა დგას. დღეს უფრო რთული ხდება შეინარჩუნო ადამიანობა, როგორც დიდი იაკობი იტყოდა, შეინარჩუნო „კაცური-კაცობა“. ამიტომაც მნიშვნელოვანია განისაზღვროს თანამედროვე განათლებული მოქალაქის ფორმირების პროცესში მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ კი საბავშვო ლიტერატურის ადგილი და მნიშვნელობა. პიროვნების სრულყოფა ზოგადსაკაცობრიო, მაღალი მსოფლმეგნებითი კრიტერიუმებით ხორციელდება. განათლების პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, თუ რას ვასწავლით, როდის ვასწავლით და როგორ ვასწავლით? საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია სპეციფიკური ლიტერატურის სწორად მიწოდება და სწავლების თანამედროვე მეთოდების მიზანმიმართულად გამოყენება.

ESSENCE OF CHILDREN’S LITERATURE AND SPECIFIC SIGNS

Nelly Champuridze, Full professor

RESUME

Today’s youth live in the age of fast changes. Economy globalization and powerful informational technologies push them towards the virtual world. That’s why education faces a lot of problematic tasks. Today it is more difficult to maintain humanity like Great Iakob used to say to maintain honesty”. That’s why it is important to define the place and importance of fiction, namely children’s literature in the process of the formation of the modern, educated citizen. Personal improvement is carried out with common, high conscious criteria. The important aspect of the education process is what we teach, when and how we teach. It is important to convey properly specific literature and to use modern teaching methods in an oriented way in the educational process.

შენიშვნებისათვის



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge